# ცისკარი

სამხატვრო- სალიტერატურო ჟურნალი **3** | 2000

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია

# ცისკარი

3 | 2000

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
გაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბალათერ არაბული
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გური ოტობაია
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსულ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აგულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა№ 1
ტელ: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

### პოეზია და პროზა

3. ირაკლი ციგროშვილი. ლექსები
7. ლადო მრელაშვილი. და შეჰქმნა ღმერთმან კაცი...
რომანი. დასაწყისი
57. შალვა ფორჩხიძე. ლექსები
62. ხოზე ადეიშვილი. ლექსები
63. მიხეილ ქვლივიძე. ვაპირებ ცხოვრებას... ავტობიოგრაფიული
ჩანაწერები. დასასრული
103. ნუნუკა გურალია. ლექსები

### თანმდევი სული

104. ნიკო სამადაშვილი. ლექსები

### ახალი თარგმანები

108. მაქს ჟაკობი. პოლ ელუარი. რობერ დესნოსი.
ფრანსის კარკო. ანრი მიშო.. ფრანგულიდან თარგმნა
მარინე მითაიშვილმა
111. ხუან რულფო. ყური მიუგდე, არ ყეფენ ძაღლები?
თარგმნა დათო კიკოლაშვილმა

### წერილები

114. გიორგი კანკავა. „კაცია-ადამიანის?!" „წინასიტყვაობის" ტექსტების
მხატვრულ ხატთა სისტემა. იდეოლოგია. დათარიღება
127. გურამ ოდიშარია. „რიყრაყის ქაფიდან" შაოსან ხეებამდე
130. მაია ქარდავა. გიორგი ლეონიძის მხატვრული ენის თავისებურება
132. ცირა ბარბაქაძე. „რაც სამუდამოდ რჩება უთქმელი"

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლი ციგროშვილი

## მეამა იის სიხარული...



მეამა იის სიხარული მაისის დილით,
ავყევ მადლობის მანათობელს, ფრინველთა ბოქირს.
ტანს იმოსავენ ცის მანანით ყვავილნი ბრდილნი,
გადავივიწყე წუთით ყოფნა გუშინდელ ბრბოში...
მყავ ბედნიერი იის სუნთქვით, იის ღუმილით,
გადაათეთრა ფერდობები ტყემლის რტოებმა.
ალვიძებს,
ალხენს ყურე-კუნჭულს ფუტკრის ბზუილი,
რარიგ თბილი ხარ,
რარიგ უხვი – უბიწოებავ!

* * *

ამ დღესაც გადაუარეს
სიცილით იასამნებმა.
რაღა ვიღონო... უამრავ
სათქმელს მაძალებს სამება.
მე ვნახე, მთები მდუმარე
როგორ დაღარა თავნება
ღვართქაფმა. აჰა, ბეწვივით,
გზაზე საღამოს ჩრდილია.
ტყეები ჩამოწეწილი
ნისლებით მისევდილია...
ვლამობ და... სად დაგეწევი,
სადმე ნუგეშის სხივია?..

### ავტოპორტრეტი

აჰა, დასრულდა ზაფხულ-ზამთარი –
წუთის უსწრაფეს გაქრა ერთიან.
მითხარ, ნუგეშის ზღვარი სად არის,
ან სად ზღვა არის, ან სად წვეთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოველდღიური საზრუნავი და
ყოველდღიური იმედის ხემსი
გყოფნის. შენი დრო კი არ წავიდა,
არამედ მიდის განგების წესით.
მზეში, ხან მწუხრში იარე ალმა,
თავქვეს ჩაჰყევი, სად არ იყავი...
ჭალა-ხევები შესუდრა ჯანღმა
და მოაბნელებს სივრცეს ჭილყვავი...
ბევრი რამისა მოასწარ ნახვა,
კვლავ მოსასვლელი დილა მოგყვის...
მცირე ხალისიც ისევ თან გახლავს.
დროის ვარამიც, გულს შემოყრილი.
ის არემარე ყინჩად იგრძენი,
სად ფოთოლცვენა ნახეს მრავალთა.
ახლა დღეისდღე,
დღე-მასპინძელი
გმასპინძლობს ბოლო გადასავალთან.
წუთიერია გზაი მარტვილის
და მიგაჩქარებს... ნაყოფს რტოებზე
უხარის მაინც. აჰა, დათვლილი
შენივე დღენი გასაზრდოებენ...

* * *

შუაგულ ტყეში ისე თბილა,
ისე მყუდროა,
თითქოს გეცხოვროს
ამ უღრანში ათასწლეული.
შენს შესახვედრად მირიადი ციური წვეთი
წვეთავს და წვეთავს
და ფოთლებზე არის მცვრეული...

პირიმზესთან და არჯაკელთან -
გამოღმა, გაღმა -
ალაგ და ალაგ ყვავის ლენცოფა...
და სიმშვიდეა
და ჩეროთა ამო მზე...
მაგრამ აყალმაყალი შორეული
მაინც გეცნობა.

* * *

ვინ დაგამშვიდოს?! შენივე განცდა
გმოძღვრავს. მყობადი გიდგას კარებთან.
თემ-სოფლის ფიქრი არც როს არ აგცდა,
თემ-სოფლის ცეცხლი აღარ განელდა!

არსთა განმრიგის დიდი ვალი გაქვს,
ეს ქედი გერგო გადასავალი...
იდუმალი ხმა გსტუმრობს მალიმალ,
ამ ხმას არა აქვს არსად სამანი...

მზე გადაბერტყავს
ღამეულ ნამცვრევს,
წამებულის გზა დაჩნდება, ღმერთო!
გჯეროდეს, კარგი ამბების მაცნე
გამოაქროლებს აქეთკენ თეთრონს.

* * *

დასალიერის ვარსკვლავმა კიდევ -
წუთიერი ბრწყინვით დამხედა...

მიმქროლავ ქარმა
სინანულის ბრჭყალი დამასო.

მოდი ჩემს კერას:
გარდასულ ცეცხლს მოაყურადე!

## ლექსი ობოლზე

უფლისგან არა გქონია
შენ შესვენების ნებაო.
ზოგჯერ დაკარგავ ბილიკსა
და სივრცე გედრუბლებაო...
ზოგჯერ ფრიალო კლდეებზე
ხელს შეგაშველებს შვებაო.
ობლისა კვერი ოდითგან,
ოდითგან ასე ცხვებაო.

## ლექსი მელაზე

გეშს იღებ და საქათმისკენ მიძუნძულებ,
ცბიერო,
არც რო ნაფეხურებს წაშლი, არც
გადარდებს მწევარი.
მოსაკლავად რომ მოგდიეს, იმათ
სამაგიეროს
უხდი, ისიც კარგად იცი, სოფელი გყავს
მწყევარი...

ნაცადი ხარ... ისიც უწყი, გიჩივლებენ
ვერსადა
და ამიტომ ბატიც მიგაქვს თავის
ბუნაგისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვა ის დღე, შენც გახდები ტყიურების
კერძადა.
ქამი ურჩი მდევარია, ის მოგაგებს
მისაგებს...

* * *

გუშინ - გუშინწინ კლდე-ღრეში
იარე, გეშიც გეცვალა.
ვერც მუხლი ვერ დააოკე,
მოინადირე ვერცარა!..
ესეა მიწყივ სოფელი,
ესეა მიწყივ განგება:
ზოგჯერ შემწეა,
ზოგჯერ კი
უმწეოდ დაგეკარგება.

* * *

არ წყდება დღეთა ორომტრიალი
და მძვინვარება მტერ-მოყვარეთა.
გიყეფს შარაგზის ძაღლი ტიალი -
როგორც შიგნიდან,
ისე გარედან.
გიყეფს ქოფაკი! მაცილის ბუნაგს
განუკითხავი ღამის ბურანი
ერევა... ირგვლივ ნამქერი ბრუნავს
და ბნელს შერთული წყევლა-კრულვანი.

## დრო - განმგებელი...

შენი დღეისდღე უთვალავ ფერით
სხვადასხვა ფარჩით ამოდ ირთვება...
აქ რაღაც დარჩათ ფრთოსნებს გაფრენილთ,
რაღაც იჯავრეს ტყემ და მინდვრებმა.
იმღვრევა,
წმდება წყალთა სათავე
და მიმოსვლაა თითქოს წრიული...
მიდის,
გეძახის და გითვალთვალებს
დრო - განმგებელი მარადიული.

## გაძლება გინდა...

ფოთოლ-ბალახზე ხმაურობს ქარ-წვიმა, მიწის სამოსელს
ასველებს უმოწყალოდ და წყურვილით გახრჩობს წყაროზე.
რომელი მთისკენ გპირდება, სად, როდის, რას გიწყალობებს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკლაკნებიან გველები, ხეები წელში წყდებიან...
დელგმის პირისპირ რომ ჩანან, შენი დაღლილი ძმებია.
წუხელ ნანახი სიზმარი რა ჩქარა აგცხადებია!

უმწეო ჯოჯოხეთისა კარი და ჭერი ზრიალებს,
თავს ჩალის ქოხი ენგრევათ ქაჯებს გულგოროზიანებს.
ზღურბლზე ადგია თავისი ჩანადინარი სიავე...

უყურებ დღეის მდინარეს, იგონებ ყრმობის ქამინდელს
და ღობე-ყორეს ვერ ჩქმალავს ჯანღი... შენ ხედავ ხვალინდელ
ცას. შუაღამის მთვარეს და შენთან მოსასვლელ ამინდებს.

ავდრის ღრუბელი მძვინვარე ჩრდილავს თავ-ბოლოს გზისასა
და ემოყვრება უფროსე თავის წესსა და მიზანსა.
„გაძლება გინდა, ნაბადო, ჭექა-ქუხილსა ცისასა!...“

* * *

ფოთლებისა და წვეთების ხმაზე
გამოვდივარ ჩემი ქოხიდან
და ხვთისნიერ მუსიკას ვუშინაურდები.
რომ ზეციურმა სიმმა აღმაფრთოვანოს -
წარმავალი ბურუსისგან
შესუდრულ ტყეში.

## თვალსაწიერზე

ელვის მათრახით დასერილი ზეცა დაგხედავს,
მთების გულ-გვამში
ისევ ღუის მწველი საკირე.
სხვას რაღას ელი, რას მიელტვი ახლა აქედან,
სხვას რაღაც ელი,
რა გრძნობებმა გაგინაპირეს!

ხმობენ ღრუბლები,
გაზაფხულის ხმობენ ქვენები,
ხმობენ უღრანნი, ხან სიამით, ხანაც ნაღვლითა.
ჩანს ყველაფერი:
თვალსაწიერს არ შეეშლები,
სხვას რაღას ელი, რას მიელტვი ამ სინათლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლადო მრელაშვილი

## და შექმნა ღმერთმან კაცი...

რომანი



### მამაჩემო

*ჩემი პირველი ნაცოდვილარი რომ წაიკითხეს, სიამით გითხრეს:*
*- მოგვილოცნია, შვილი მწერალი გამოგსვლიაო.*
*შენ გაგეცინა:*
*„მწერალი, თორემ ეგეც საფლავზე ოქრონაჭედ ძეგლს დამადგამს...“*
*ჩემო ძვირფასო: პატიოსან კაცს დღეს სიმდიდრე ვინ მიაშაევა? -*
*მწერლის ქონება კალამი და მჭრელი სიტყვაა...*
*და, რაკი ოქრო არ გამაჩნია, -*
*- ეს წიგნი იყოს შენი ძეგლი, დიდო ვაჟკაცო!..*

ლევანა ტახტზე წამოჯდა და ქისა დაცალა. ფულის ჩხრიალმა რამდენიმე წამით წაშალა ცაცხვის ირგვლივ მიმობნეული სხვა ხმიანობა. ერთხანს იჯდა გასუსული, მერე ხელი ფრთხილად დაადო პაწაწინა ხვავს და გაირინდა... გვიან გაახსენდა მთავრობას, რომ ქვეყნის ორი ძუძუდან დოვლათს ქალაქი მხოლოდ ერთ ძუძუს აწოვებდა. მაგრამ ის, ვინც გაიხსენა, რომ მიწის მუშასაც საპყრობისა თუ სიბერის ჟამსაც სტომაქი კვლავ წესრიგში ჰქონოდა, მაინც დიდი ტვინგალაყებული უნდა ყოფილიყო: როგორ შეიძლებოდა კოლმეურნეობაში ბოლო სამი წლის ნაშრომით კაცის ღვაწლის შეფასება?.. ფოსტალიონმა მოსვლისთანავე განაცხადა: სანამ შენამდე ჩამოვაღწევდი, ქაღალდის ფულმა ჭირი მოგჭამაო.

ლევანამ ქამარზე თამბაქოს ქისა მოსინჯა.

- ჯანდაბას შენი გამომგზავნის თავი, ჩაყარე ეგ ხარახურა, - პირი მოჰხსნა და შეუშვირა. როცა ხელში დაეჭვებით აწონა, მომტანს კითხვის თვალი მიაპყრო.

- ამ თვიდან პენსიები ყველას მოემატა. შენი შრომის ნამდვილი ფასი, აი, ეგ არი. - და გაბრუნდა.

ლევანამ კიდევ ერთხელ დაგემოვნებით გადაუსვა ფულის გროვას ხელი და იქიდან ერთი ცალი აიღო. გულდაგულ მოსინჯა. ჩვეული შეხებით გრძნობდა, თითებში როგორ სრიალებდა გრილი ლითონი. მერე ცხვირთან მიიტანა და ერთხანს გააჩერა. გამახვილებულ ყნოსვას მისწვდა კარგა ხნის მივიწყებული, ოდნავ მწკლარტე, შინ მოყვანილ თამბაქოს მქისე სუნგარეული, ახალმოჭრილ მონეტებს შერჩენილი ზარაფხანის სუნი. გლუვი ხორკლი, რომელიც მასზე ამტვიფრული ციფრებისა, ღერბისა და წარწერიდან შეიგრძნობოდა, კარგა ხნის გარდასულ, შორეულ მოგონებებს აღვიძებდა.

სათვალემ მყინვარწვერს აცილებული მზე აირეკლა და ლევანას თვალები მოაჭუტვინა. გუნჯალ ულვაშებში მეჩხერი კბილები ზაფრანისფრად ჭიატობდა. მარღი თვალები დაუხამხამებლად მისჩერებოდა და პირდაპირ სულში უძვრებოდა.

ლევანა დააკვირდა თვალების ცივ ელვარებას, პირზე შერჩენილ თბილ ღიმილთან შეუთავსებელს და გაიკვირვა:

- ბაჟი გადახდილია, „ნაჩაი“ ცოტა არ იყო, კიდევ რას ითხოვს ბატონი მოხელე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხელე არც განძრეულა. იდგა და ყინულივით უფერულ თვალებს არ აშორებდა მგზავრს.

ლევანამ წარბი შეიკრა.

მოხელე შებრუნდა და ფურგონისკენ წავიდა. მშვიდი მოლოდინით მდგარ მარცხენა ცხენისთვის ზედაც არ შეუხედავს, მხოლოდ ჯიდაოდან ძუამდე დაფარებულ თექალთოს შეავლო თვალი. ხელი ალერსით გადაუსვა, სიამოვნებით დაყნოსა რამდენიმეგან და ზედ ნეტარებით აეკრა გაფუებული ლოყით. მერე მინაბული თვალი გაახილა და კვლავ იმ ცივი, უფერული, მზაკვრული მზერით გამოხედა.

ლევანა მიხვდა, რომ გაცემული იყო. ჯიბიდან ვერცხლის მანეთიანები ამომუჭა.

მოახლოებულმა მებაჟემ უბრალოდ თქვა:

- ერთი წითელი უნდა.

ლევანამ ვერცხლი ჯიბეშივე ჩააბრუნა, იქიდან ოქროს თუმნიანი ამოიღო და ფეხებთან დაუხეთქა. მებაჟეს არც მის შემოხედვაზე დაუხამხამებია თვალი, არც პირზე გაუქრია ის ძველებური ღიმილი, არც რომლიმე სხვა ასო-სახსარი შეუტოკებია, მხოლოდ ოდნავ შესამჩნევად გაიქნია თავი დანანებით.

- ახალბედა ხარ, გეპატიება. აიღე ეგ ფული და ჟანდარმებს ნუ აცდუნებ. განა შეიძლება, მისი უდიდებულესობის ერთგული ქვეშევრდომი ხელმწიფე იმპერატორის თავს მტვერში ისროდეს?

ლევანამ წუთით მოსწყვიტა მზერა ამზევებული სათვალის შუშებს და საბაჟოსკენ გაიხედა.

ჟანდარმს ცალი ხელი წელზე შემოედო, ცალით ხმლის ტარზე შებმულ მეწამულ ტემლაკს ეფერებოდა და კარწინ კვლავ უდარდელ ბოლთასა სცემდა. აქეთ-იქით, ლოდებზე მსხდარი ორი კაზაკი ჩვრით აპრიალებდა შაშხანის ლულებს.

ლევანა მიხვდა: მისი ბედი და საეჭვოდ ვეება თექალთოებში საგულდაგულოდ ჩალიანდაგებული, სარაყამიშში ნაშოვნი სამსუნური თამბაქოს ბედიც იმაზე იყო დამოკიდებული, ახლა როგორ მოიქცეოდა... კეთილ მებაჟეს ერთიც შეავლო თვალი, თავი დაიოკა და ოქროს დაეწოდა. ისეთი ძალით წმენდდა თუმნიანს მტვრისგან, ლამის მიაცვითა ცალთავიანი ხელმწიფე იმპერატორიცა და ორთავიანი არწივიც...

ლევანამ კიდევ ერთხელ გადაუსვა ტახტზე დაყრილ ფულის გროვას ხელი და დაითვალა. ოცდაათი იყო, მანეთიანები. მათი ვერცხლისფერი სიცინცხალე კაცს მზერას მოსჭრიდა, ალბათ. თვალის ჭრილები დაუვიწროვდა, კილოებთან მიყრილი ნაოჭი გაუხშირდა, ყურები ოდნავ შეუტოკდა და სახემ ღიმილნარევი სინანული აღიბეჭდა. დაწკურული თვალები ხევხევას გაღმა იყურებოდნენ. მათი ქრუნი-თაფლისფერი ბზინვა წუთით აღვიძებდა ოდინდელი ვაჟკაცური სილამაზის ახლანდელ ნამუსრევს.

დიდხანს იჯდა ეგრე ფიქრებში გარინდული. არც ისე საცნაურიყო, თუ რატომ მისცეს ოცდაათი... თავმჯდომარეს ორასი, - გასაგებია, მაგრამ მის ნათესავ-ახლობლებს? კანტორაში მსხდომთ? გამგეობის წევრებს? ბრიგადირებს?.. ყველას რატომ ლევანაზე მეტი?.. ოცი წელი ილებდა თვეში თორმეტ მანეთს... დღეს დაადგინეს მისი შრომის ნამდვილი ფასი?.. მაინცდამაინც ოცდაათი?..

ჩამობურული დღით წაქეზებულმა რევმატიზმმა თავი შეახსენა. წელი გამართა და ცაცხვს მიეყუდა. ზურგითა გრძნობდა დაშაშრული ქერქის შიგნით მოქცეულ ძალოვანი ხის სისხლძარღვა სხეულს. დღევანდლიდან ას წელს ითვლიდა ცაცხვი. მისი დაბადების დღეს ტყიდან ჩამოიტანა მამამისმა, თავადს ნებართვა გამოსთხოვა და სახლის წინ დარგო ჩუმათხეველთა განთქმულმა მეზვრემ.

ლევანა ოდნავ შებრუნდა და ხეს ხელი ფრთხილად მოუცაცუნა. ხელი დიდი ჰქონდა, ვეებერთელა. მთავარი ძარღვი გარუჯული ხელის ზურგზე ნახევარრკალად დაკლაკნილიყო, იქიდან ტოტავდა თბილ სისხლს გახეშეშებულ თითებში. რუხი, მსხვილი თითები ნელა დაცოცავდნენ ქერქის ნახეთქებში. რკინადქცეული ფრჩხილები ოდნავ გასაგონი ფხაკუნით სინჯავდნენ გზად შემოხვედრილი ყოველი ნაპრალის ხაზს და ნაწიბურს. - ეს ალერსი გახლდათ, ალერსი და მადლობა ერთად. უცნაური იყო: როგორც კი ამ ხეს მიეყუდებოდა, მაშინვე იწყებოდა მიყუჩებას ტკივილი ჯანში. აქამდე შემორჩა: გაზაფხულის პირველ ქუხილზე, ჩვეულებრივ, კედელს კი არ აეკვრებოდა, - ცაცხვთან მირბოდა ზურგის მისაყუდებლად და, როცა ტახტზე იჯდა, ცას და მყარს შორის, ამ ცაცხვით გრძნობდა მიწასთან კავშირს. მიწა კი ძალიან უყვარდა ლევანას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

- მიწა? - გაოცდა თავადი, - მიწა რად გინდა? მთელი ჯანაანის მიწები შენს ხელშია, განა კიდევ მიწა გჭირდება?

- მე მინდა, ჩემი მიწა მქონდეს, ბატონო, - ლევანა იდგა და ნაბდის ქუდს ჭმუჭნიდა.

- იმ კარგი მამის სული ნუ წამიწყდება, დახელთილა ეს ბიჭი დასტურ. რად გინდა? შენი მიწა?

- ვენახი უნდა გავაშენო.

- ვენახიო? ვენახს ჯანაანიდან გადაკარგვა რად უნდა? მიდი და გააშენე. სადაც გინდა, გააშენე. ჩაფრისეული კი ზედგამოჭრილია სავენახედ. მოურავს გაგაყოლებ და წინანდლიდან ამოიტანთ საძირეს. ძალიან აქებს ჭავჭავაძე. ჩაფრისეული კარგი მიწაა. გაირეკე ბიჭები და დღესვე დაიწყეთ ორპირის გადაბრუნება.

ლევანამ ფეხი მოინაცვლა, ქუდი გაასწორა და თავადს ჯიქურ შეჰხედა.

- მე ჩემი საკუთარი ვენახი მინდა, ბატონო.

თავადმა პირთან მიტანილი ჩიბუხი გაყინა. ატლასის მუთაქისპირის აბრეშუმის ფუნჯი, აქამდე რომ ხელში ნაზად ათამაშებდა, მუჭაში ჩაბღუჯა და, თითქოს პირველად ხედავსო, ბიჭი ფრთხილად შეათვალიერა. მერე ნელნელა წამოჯდა, ფეხები ტახტიდან ჩამოუშვა და ქოშებში წაყო.

დიდხანსა სცემდა ბოლთას ცაცხვის ქვეშ, ცალი ხელი წელზე შემოედო, ცალითაც ჩიბუხის ტარს ისვამდა ბოლქვა ულვაშებზე.

უცებ შემობრუნდა და ბიჭს პირდაპირ მიაჩერდა.

- რომ არ მოგყიდო, სად წახვალ?

- ქვეყანა დიდია. თუ ფული იქნება, საყიდელი მიწაც გამიჩნდება.

ბიჭს ბატონისთვის თვალი არ აურიდებია და თავადი მიხვდა, რომ მის წინ ნამდვილი უგუნური იდგა. ყველაფრით ეტყობოდა, რომ გომბორში, დანიელოვთან მოჯამაგირედ ყოფნას უკვალოდ არ ჩაევლო.

რიყის მხრიდან ზანზალაკების წკარაწკური მოისმა. სტვენა-წრუპუნს ფრუტუნი გაერია და აჭახუნდნენ ქვებზე ნალები.

ბატონი შემობრუნდა და დააყურადა.

ხავხევაზე ეტლი გადმოდიოდა.

- ეს ულვაში გამპარსეთ, თუ ჩემი კატენკა არ იყოს. ეტყობა, კანიკულები დაეწყო და შინ მოდის.

ცხენებმა ერთიც დაიფრუტუნეს და ჭიშკართან შეჩერდნენ.

ეტლიდან გაღელილახალუხიანი ჩამოხდა და განიერი შარვლის ფრიალით ღია ჭიშკარში შემოვიდა. მძიმე ვერცხლის ქამარში ჩატანებული აბრეშუმის ბაღდადი მიწაზე მოსთრევდა.

თავადს ნირი წაუხდა, ჩამქრალი ჩიბუხი ააპლაკუნა და ბიჭს მიუბრუნდა.

- ისევ ის არი. კაი დრო კი შეურჩევია, მე და ჩემმა ღმერთმა. გაიქე და დედაშენს უთხარ, ტაბლა აქ მოგვართვას. მარანში შედი და ჯანაანურას გადაჰხადე.

მოსულმა ქეშად დაშვებული, მოკლე „კაზიროკიანი" ქუდი მოიხადა და დამხვდურს თავმდაბლად მიესალმა. მუგუზლისფრად გარუჯულ სახეზე მოვარდისფროდ გაიელვა ოფლიანმა, მზედაუკრავმა დაბალმა შუბლმა.

- ცუდ დროს გარჯილხარ, იაგორ, ამას წინათაც ხო გითხარი, შემოდგომამდის დამაცა-მეთქი? წელს ვენახებს კაი პირი უჩანს. ანდე კუნძი.

- აი, ხორველამ კი წაიღოს, ვინც ერთ წელიწადს ვალი გაიხსენოს; - მოსულმა კუნძს ხელი გადაუსვა და ჩამოჯდა. - ერთი წლის მერე კი აღარ გირჩევ, კნიაზ. - ვალი რწყილივით არი, - ადვილად ძვრება სახლში, მაგრამა, თუ დროზე არ მოიშორე, აქლემივით იზრდება და შინიდან ველარ გამეეტევა ხოლმე. მააშ!

თავადმა გაოცება ვერ დამალა, წარბი შეიკრა და გაყუჩდა. იჯდა ეგრე და მდუმარედ უმზერდა ალაზნის პირას აყუდებულ, მუქ ლილაში გავლებულ მთებს. მერე ჩამქრალ ჩიბუხს მიეძალა და ძლივს გააღვივა ხელახლა.

ლევანა დაბრუნდა. სველი ხელადა და ჯამები სახელდახელო ტაბლაზე შემოდგა.

- აბა, დაასხი და სტუმარს მიართვი. - ბრძანა უეცრად გამხიარულებულმა თავადმა. - კონდოლში ვახვახიშვილისთვის ვენახები წაგირთმევნია, იაგორ. კონდოლის ღვინო მეფე-ერეკლეს დროიდან განთქმულია. აბა, დააჭაშნიკე, ეგეთი თუ მოდის იქა?!

- წამირთმევნია, რომელი ქორ-ორლი მე ვიყავი? - ერთი კრუტინა ვალში არ წავიღეე? - დანარჩენი ფულად შამისყიდნია. ღვინო კი შამადგომაზე გამოჩნდება, რა პესნას დაუკრამს... ეს ამ ოჯახს გაუმარჯოს... იფ! სუფკარაპეტის მადლმა, ცხონებაა. აბა, ერთიც, ბალიკჯან!.. იფ! ეხლა ეს, ამ სიცხეში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგეთი მისწრებაა, როგორც ჯოჯოხეთში ყინული. აბა, ერთიც!.. ახლა შენ კნიაზ, მითამ ჩამინისკარტეე? - ერთ წელიწადს შენ ვენახებს არაფერი ემუქრება. იყოს ვალი შამოდგომაზე. ეხლა კი საქმეზე ვილაპარაკოთ: შენი ხევხევა უნდა მამყიდო.

თავადი გაირინდა, პირთან მიტანილი ღვინიანი ჯამი ხელში შეაცივდა.

- რა უნდა მოგყიდო?

- ეს ხევი, რაღა? - რიყე რო არი, წყალი რო მოდის, ქვები რო ყრია.

თავადმა ყურებს არ დაუჯერა. მერე ჭაღარა წარბების ბუწკნარი აზიდა, დაბნეული, პატარა, ჭროღა თვალები გამოაჩინა. ერთხანს ჩაჰყურებდა ლალივით ღვინის ელვარებას, მერე მზერა დააელამა და სტუმრისაკენ თავი მძიმე-მძიმედ ჩამოაბრუნა.

სტუმრის სახე-თუჯისფერი, ალუბლის კურკასავაით წვრილი, უძრავი, შავი თვალები, - ფოსოების ჩაღამებული სიღრმიდან გამომზირალი. გაყინული, გაყინული, გაყინული და... უნასივით ჩასაფრებული.

თავადმა კიდევ ერთხელ იეჭვა, - ხომ არ მომეყურაო და სტუმრისაკენ მთელი ტანით შემობრუნდა.

- ხევი მოგყიდო?

- ჰო, ხევი.

- რიყე რო არი, წყალი რო მოდის და ქვები რო ყრია?

- ჰო, ეს ხევი, ეს რიყე, ეს ხევხევა, რაღა.

- იაგორ, როგორც მითქომს, ვალს შემოდგომაზე წაიღებ, მაგრამ, ის კარგი მამა ნუ წამიწყდება, მეორეთ ეგეთი ხუმრობა არ გამაგონო.

- იმ არევ, ქუ არევ!* - არა ვხუმრობ, კნიაზ.

- წმინდა გიორგიმ დამცეს თავისი ლახვარი, თუ მაგ საქმისა რამე მესმოდეს.

- შენისთანა დიდი კნიაზისთვინ არც არი საჭირო მაგისი ცოდნა.

- იაგორ, პური-იყიდე, ღვინო-იყიდე, ტყეიყიდე, მინდორი-იყიდე, მაგრამ გვარამ ჩუმათხეველს ხევხევას გაყიდვა არ უხსენო.

- ახლა, კნიაზ, კატისა არ იყოს, - რო გაიგო ჩემი... ისემე... წამალიაო, ადგა და მიწაში ჩაფლა...

თავადმა ჯამი დადგა, წარბები რისხვით შეჰყარა და თვალებში ელვა ჩაიყენა.

- აი, რას გეტყვი, ვაჭარო, ეგ ღვინო დალიე და დარბაისელი სტუმარი იყავ, თორემ მამაჩემის საფლავის ჯვარს ვფიცავ, მალე მტერი მამიკვდეს, მალე იმ „ისემეს“ ნაცვლად შენ გფლავდნენ მიწაში.

- ვაიმე, ვაიმე, კნიაზჯან, განა საწყენად მითქომს რამე? განა იგეთი ტუტუციცა ვარ, კვერცხით ქვის გატეხვა მოვინდომო. - დიდ ღენერალს, კნიაზ ჩუმათხეველს, ფინთი რამე როგორ ვეხუმრები. - ვაჭარმა დარაიის ახალუხი კიდევ უფრო გაიღელა, იქიდან სპილენძის ძეწკვით დაკიდებული, ოფლითა და ქონით გაზინთული ავგაროზი ამოაცოცა, საძგზის ეამბორა: „იალლა, მუში სულთან სუფკარაპეტ!“ - წაიჩურჩულა და ისევ უკან ჩააბრუნა. - სუფკარაპეტის მადლმა, ერთი წლით მინდა სათავიდან ალაზნამდინ.

თავადმა მრისხანება დაიოკა. ერთხანს ჩუმი მზერით უცქირა და მერე თანდათან მოლბა.

- ჩემთვის ეგ რიყე არაფერია. თუ მართლა რამეში გამოგადგება, ფეშქაში მითქომს.

- არა, კნიაზ, ოსკანოვი მუქთი არაფერი აიღეფს. ყველაფერი თავისი ზაკონით იქნება. ნასყიდობის ქაღალდიც, როგორც წესი არ არიი-იგრე შასდგება. ათი თუმანი მოგცეე, ჩემი ყარაული დავაყენოო, - ერთი წელიწადი, ერთი კენჭი, შენც არ გაგატანოს!

- ჯანდაბას შენი თავი, ვაჭარო, რაკი ეგრე აგიხირებია და ფულიც გადასაყრელი გაქვს, მამიყიდნია. მაგრამ, ჩემი კატოს მზემ, ან შენ გაგიჟებულხარ და ან მე დამხელთა დღეს ამ ბიჭმა.

- ამ ბიჭს რაღა ღეემართა, კნიაზჯან?

- ეშმაკმა იცის ამისი თავი, - ახუნხულებულა, მოჯამაგირედ უნდა დავდგე, ფული ვიშოვნოო.

- ფული?.. ჰოო?.. ფული კარგი საქმეააა, მაგრამ ეგრე იანიჩარივით შაკაზმულმა სად უნდა იჯამაგიროს?

- სადაც მოჰხვდება. მეზვრე კი ამისთანა უნდა ინატროს კაცმა.

თაგვის ცერცველასავით წვრილი თვალები სულში უძვრება მერიქიფეს.

- ამ ხანჯალმა ერთი კარგი ჰაზრი მამივიდა თავვში. ჰამაც დამბაჩა ქამარშიი... მეზვრე კი არა, ნაღდი ქიარიმა-ყაჩაღია, ერთი წენი სახელი მამყიდე, ბიჭო!

- მე სახელს არა ვყიდი, - წაიღრინა ლევანამ და მოსულს ავად შეხედა.

- ვეე! - გაიკვირვა ვაჭარმა, - ჩემმა

- - - - -

* შენმა მზემ, ჩემმა მზემ (სომხ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჯემ, კნიაზ, ძალიან მამწონს ეს ბიჭი... დღეში უზალთუნი და ერთი წლით ამ რიყის ყარაულობა. ჰა, რას იტყვი, ჩასპანდ?

- რაკი ბატონისგან მივდივარ, ფულის საშოვნელად მივდივარ. უარს ვამბობ!

- ვაჰ! ცოტაა?!

- ცოტაა. ან რიყის ყარაულობა რა საქმეა.

- ალალი იყოს ჩემი ამაგი შენზე და შენი ჩემზე, ლევან. გამიშვიხარ და, საითაც გინდა, წახვალ. ოღონდ, იაგორ, მახსოვს, ვახვახიშვილს კარგა ბლომა ზვრები ჰქონდა კონდოლში.

- მეზვრე არა მჭირდება, კნიაზჯან... დღეში აბაზი და ეს რიყე, ლევანჯან, - ბაშუსტა?

- ბაშუსტა, - თქვა მაშინ ლევანმა და ჯამები ხელახლა შეავსო.

* * *

ოსკანოვმა თავისი „ხელობა“ დუქნის ბიჭობით დაიწყო.

მოქეიფე შვილისაგან გაკოტრებულმა ფართლის ვაჭარმა-თათუზა ოსკანოვმა ერთად დაწყევლა ჭიანური, ზურნაც, დუდუკიც, ორთაჭალის ბაღებიცა და ზედ თავისი ღვიძლი შვილიც მიაყოლა. კაცმა არ იცის, მამის წყევლამ უწია თუ ჩხუბში მოხვედრილმა კეტმა, შვილმა სული უფალს მიაბარა, უზარმაზარი ვალი მამამისს. როცა თათუზას სახლ-კარიდანაც ამოჰკრეს კუკუ, მთელი თავისი მონაგრიდან გადარჩენილი ერთადერთი ქონება-აღლი აიღო, შვილიშვილს, ჯერ კიდევ ქორფა ბალღს, შვიდკვირიანი მარხვა წესისამებრ ისე მკაცრად შეანახვინა, პირს მხოლოდ შაბათ-კვირას თუ ამხსნილებინებდა. როგორც კი მარხვა ჩამოთავდა, სულად მიგდებული ბიჭი მუშში სუფკარაპეტის საფლავის მოსალოცად წაიყვანა. პაპამ აღლი ბიჭის ხელით წმინდანის საფლავზე დადო, ბალღი საკუთარ ფლასებში გაახვია, ბებერ ძვლებზე მიიკრა, იქვე მიწვა და წმინდანთა შორის უდიდეს წმინდანს ღამე უთია, რათა მადლ-ბარაქა ღვთისა გადმოსულიყო იაგორაზე და პაპის ხელობას გაჰყოლოდა. გათენებისას ეკლესიის გალავნის ქვა-კირს პაწაწკინტელა ნამსხვრევი შეატეხა, პაწაწკინტელა ჩითის ფერად ნაკუწში გამოკრა, ყელიდან უბრალო სპილენძის ძეწკვი მოიხსნა და ის ნატეხი იმ ძეწკვით ბალღს კისერზე ჩამოჰკიდა. ხელში კვლავ თავისი ნახმარი აღლი მისცა და ქვეყნის წინაშე დაანამუსა: რა საქმეც უნდა დაეწყო, სავედრებელი სიტყვები არ დავიწყებოდა: „იალლა მუში სულთან სუფკარაპეტ!“ - რათა ქვეყანაზე არ დაკარგულიყო. მერე უკანასკნელად გადაიარა ავლაბარი, ბალღი თელავში თავის ბიძაშვილ-ყველის ვაჭარ გედამას ჩააბარა და ყველა წმინდანი ერთად დააფიცა, რომ ბიჭი აღლის კაცად გამოეზარდნა. თავად კი, სევდამწარებული, ორ კვირაში იქ გაემგზავრა, სადაც მართალნი განისვენებენ.

უშვილძირო გედამამ ბავშვს დიდი სიყვარული აჩვენა. კარგად დამოძღვრა, - დუქნის ბიჭს პირველივე დღიდან რა და რა გამოცდა ელოდა და რანაირად უნდა დასძრომოდა ყოველ ხაფანგს. მერე გასამხნევებლად ბეჭზე ხელი დაჰკრა და კვირის თავზე ბაზაზ არტემას მიჰგვარა.

პატარა იაგორამ ყველა გამოცდას გაუძლო. მერე და მერე კი გონიერმა, მარიფათიანმა ბიჭმა ხუთი-ექვსი წელი ისე მარჯვედ ჩამოიბლერტა, თხუთმეტი წლისა იმავ დუქანში ნოქარი გახდა. ხოლო როცა უმემკვიდროდ გაწამებულმა გედამამ პირი საიქიოს გამგებლისკენ იბრუნა, მთელი უძრავ-მოძრავი ქონება, ყველის მუშტარ-მომმარაგებლიანად, თავის ერთადერთ პატრონ-გამპატიოსნებელს გულდაჯერებით დაუტოვა, რადგან იცოდა: ჭკვიანი და ეშმაკი ბიჭი თუ არაფერს მიუმატებდა, არც არაფერს მოაკლებდა იმდენი ხნის ნაგროვ-ნაამაგარს. თელავში გედამა ოსკანოვის სიმდიდრე ბევრს შეშურდებოდა და იაგორა-ნოქარი ძლიერ ბევრისთვის იქცა სასურველ სასიძოდ. ბაზაზ-არტემა არ იყო სულელი და, რათა ბიჭი დუქანში „დაება“, თავისი ერთადერთი უსახური ქალი, თოთხმეტი წლის სათენიკა ნოქარს შეუჩინა. არც იაგორა გამოდგა უჭკუო და ორი წლის შემდეგ ნიშნობაც გადაიხადა.

კეთილმა სათენიკამ მხოლოდ ათიოდე წელს გაუძლო გედამასეული სახლის ხესა და ქვაში საუკუნოდ გამჯდარ ყველის სუნს. გათენებისთანავე ქმარს ყური ჰქონდა გახვრეტილი მისი ჩივილით: „რა ვქნა, იაგორჯან, რა წყალს მივცე თავი, რა გახდა, ქაა, ეს ყველი სული, გავთავდი, რადა, დედაკაცი!..

და ერთ ადრიან დილას, როცა იაგორა, ჩვეულებრივ, საქონლის გამოსატანად მიადგა ქვედა სართულს, სადაც დუქანი და უზარმაზარი საწყობი გახლდათ, პირკატა ეცა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატეხილი კარი გაფრიალებული დაუხვდა. ვეება კასრებსა და აუზებში ნიმუშადაც აღარ ტივტივებდა ყვითელ წაკში გამოყვანილი თუშური ყველის მცირე ნამუსრევიც. გაშეშმიშებული, უეცარი ელდით დაბნეული იაგორა დიდხანს უსაგნოდ ავლებდა თავის ცურცველასავით თვალებს დაცარიელებულ საწყობსა თუ კარ-კლიტის ნამტვრევებს. დადიოდა, ერთხელ ნახულს მეათედ ჩხრეკდა და თან თავისთვის ბუტბუტებდა: „ვაჰ, კაცოო, ყველი იყო და რა ყველი. - კბილები ჰქონდაა, თავისი თავი თითონ შამჭამდა". მერე უეცარმა გააფთრებამ აიტანა. ბრაგაბრუგით ავარდა მაღლა, დილის ძილში ჩამტკბარ თანამეცხედრეს საბანი ერთბაშად გადაჰგლიჯა და დაფეთებული ზემე წამოაგდო.

- ყველი სული, ყველი სული! ჰაი, მე შენი დედი სული! კიდე მოგდის ყველი სული!

ძილისაგან გაბრუებულმა, გამოუტანელი სიმძრით გაწამებულმა დედაკაცმა ვერა გაიგო-რა და დარეტიანებული ცხერის თვალებით მიაჩერდა გააფებულ ქმარს...

არ გასულა დიდი ხანი და ბაზაზ-არტემაც ოთხმა კაცმა გაიდო მხარზე. მაშინ იაგორამ სახლიცა და საწყობ-დუქანიც ნერსესა აჯამამუდოვს მიჰყიდა, თავად კი ერთადერთი ვაჟით სიმამრის ბინაში გადასახლდა. ბაზაზ-არტემა არ იყო ხელწამოსაკრავი კაცი. თბილისსა და ვლადიკავკაზში ჰქონდა სახლები, ჰქონდა დუქნები და ნახევარ მილიონამდე ნაღდი ფული. მაგრამ ვაჭართა მარაქაში ერთბაშად ამოტივტივებული „უპატრონო ბაღლი" ძალიანაც არ ეპიტნავებოდათ ედიგაროვებს, ბოზბაშიანცებს, აჯმამუდოვებს, ბაშინჯაღოვებსა და ნაიბაშვილებს.

კავკასიის სამხედრო უწყებამ თელავში, ჭანდრის გადაღმა, რუსის ჯარისთვის ყაზარმების აშენება რომ გადაწყვიტა, მაშინ მთელი თბილისის დიდ-დიდნი მოიჯარადენი ეწვივნენ თელავს. თბილისელებმა თელავის ყველა ფულიანი ბობოლა დაქრთამეს ასასი თუმნით - ამ საქმეში არ შეგვეცილოთო და მხოლოდ ოსკანოვი მოიგდეს გვერდზე: - იი, შენ ვინა ჰგდიხარო?! - მაგრამ ეშმაკი და გულბოროტი იყო ოსკანოვი: - აბა თუ ვინა ვგდივარო! - ადგა და ათ-ათ თუმნად კისისხეველი ბახუტაშვილებისა და წინანდლელი ჭავჭავაძეებისაგან ერთი წლით კისისხევის ხევი შეისყიდა, რუისპირელი მაყაშვილებისაგან - თურდო; გურამიშვილებისაგან - ზემო ხოდაშენის ხევი, თელავ-ქალაქისგან - თელავის რიყე, ხოლო ჩუმათხეველთაგან ხევხევა.

შესყიდულ ხევთაგან ყველაზე მცირე თელავის რიყე იყო. თელავ-ქალაქის თავმა, თუმცა ტვინი ბევრი იჭყლიტა, რათა მიხვედრილიყო, რად უნდოდა ეს ერთი ბეწო, ცარიელი რიყე ვაჭარს. ვერაფერს გახდა, მაგრამ რადგან თავადაც სომეხი იყო, მაინც ოცი თუმანი დაუსვა იგი ოსკანოვს!..

თბილისიდან ჩამობრუნებულმა მოიჯარადრეებმა იმდენი მუშახელი და ისეთი კამეჩები ჩამორეკეს, მთელ კვირას იყო სალაპარაკოდ თელავის სალაყბოს. ყაზარმათა შენება ერთ წელიწადში უნდა დამთავრებულიყო და ფრიად ჩქარობდნენ. მაგრამ, აი, უბედურება! - პანკისიდან საგარეჯომდე მხოლოდ ხუთ ხევს ჩამოჰქონდა საძირკვლის ქვა და ხუთივე ხევი ოსკანოვის ხელში აღმოჩნდა... თანაც ერთი წლით!!! სათავიდან ალაზნის შესართავამდე დაძრწოდნენ ხევთა ყარაულები და რიყეზე გადაფრენილ ყვავებსაც კი შურდულს ესროდნენ.

მოიჯარადეებმა მიიკითხ-მოიკითხეს და, რაკი ოსკანოვი ქალაქში დაიგულეს, ხევხევაზე მიიტანეს იერიში - ყარაული ბაღლია და შევაშინებთო.

ლევანამ ცალი ხელით სპილენძით ნაჭედი ქარქაშიდან დუმით გაპოხილი მამისეული ხანჯალი ამოიღო, ცალითაც ქამარში გაყრილი დამბაჩა დააძრო.

დამიხვეულ ბიჭთან არანაირმა ქრთამმა არ გასჭრა!..

მერე დიდხანს გაჰყურებდა ლევანა, უკანვე როგორ მიიზლაზნებოდნენ დევმუხლა ლომა-კამეჩები, როგორი ზავთიანი მედიდურობით მიჰქონდათ უჩოთირო ქედები, როგორი ზანტი სიდარბაისლით ირწყამდნენ ძალოვან ფერდებზე გიშრისფუნჯა კუდებს და თითქმის კილომეტრს იქიდან ისმოდა უღელს მოხვედრილი, შავ-რუხად დატკეჩილი, წვივის სიმსხო რქების რაკუნი...

* * *

ლევანამ რაკუნზე მოიხედა, ყური წაუგდო. მამალი მოსულიყო და საჭმელს ითხოვდა. ძველ ტახტს ისეთი ხმა ჰქონდა, როგორც კოდალამიძალებულ ფუტუროს.

- მოგშივდა, პეტო? მოდი, შე აჯამო, მოდი.

მამალი ტახტს შემოახტა. ლევანა გაიბადრა. მარცხენა ხელი გასწია, კისერი მოუქებნა და მერე ჯიჯლიბოდან ბოლომდე ხმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისგული მძიმედ გადაუსვა.

მამალი სიამოვნებისგან გაიყინჩა, კატასავით ჩაიკუზა, მერე ისევ გაიმართა და ყელი მოიღერა. ლევანამ სათითაოდ გადასინჯა ჯიჯლიბოს ყველა კბილი, კეფა და ყანყრატო. ორთავ ბიბილო თითებში მოსრისა და მოუთელა. ნაჭრილობევი და ნასისხლარი დილანდელი უნდა ყოფილიყო. ვენახში კარგად ესმოდა ინდაურების გააფთრებული კივკივ-ლუყლუყი. გავაზე ნელა დააწვა და, რაკი ფრინველი არ ჩაიდრიკა, სავსე, ღონიერი ბარკლები სიამოვნებით მოუსინჯა. ქვემოთ ჩაყოლილი ხელი მსხვილძვლიან, ქერცლდაყრილ კანჭებზე შეაჩერა. მამალი ბებერი იყო და ლამის ორგოჯიანი დეზები ესხა. არც ერთ მამალზე არ უნახავს ლევანას ამოდენა დეზები. თავიდანვე ყველა სამამლე წიწილაში გამოარჩია. როცა დაყვინჩილდა, ყველაზე ადრე მოსინჯა ხრინწიანი ხმა. ხოლო როგორც კი ბოლო დაინამგალა, მეზობლების ყველა მამალი დალახა და თავის ეზო-ყურეზე აღარ გააჭაჭანა.

- პეტო, აქ დაჯექ, პეტო. - მუხლზე ხელი დაირტყა. მამალი ოდნავ აკუზული მუხლის კვირისტავზე ახტა და ყელი კიდევ უფრო მოიღერა.

- რაო, პეტო, დღეს ბევრი გითაქეს მარუაანთ ინდაურებმა?

მამალს, ეს მეორე წელია თავ-ყბა დაჯირჯვებული დააქვს. მკერდსა და თავ-კისერზეც ალაგ-ალაგ გამობდღვნია ნანისკარტალი. რაც მეზობელმა ინდაურები გაიჩინა, მას შემდეგ მოსვენება არ ღირსებია. თვითონ ისინი არას ერჩიან, მაგრამ ეს გაუხტება ხოლმე იქით ეზოში. განა თავად ეზო არა აქვს? არა, ის ეამაყება, მათ ცხვირწინ რომ ამპარტავნულად აივლ-ჩაივლის. ინდაურები ჯერ ყურსაც არ იბღარტუნებდნენ, მერე კი მობეზრდათ მისი პამპლაუქობა... მთელი ჯგრო ერთად დაედება ხოლმე. ეზოს ომითა და ლავიდარაბით შემოატარებენ. არ ტყდება მამალი. რიგრიგობით მიახტება ხოლმე მეწინავეთ, დეზითა და ნისკარტით ნაბუარს ადენს. ვაი იმისი ბრალი, ვისაც ჩიჩვირს დაუჭერს! - ვენახშიც რომ იყოს, ლევანა ამას ყველაფერს ისმენს და თვალნათლივ ხედავს მთელი ბრძოლის მსვლელობას, ხერხებსა და ილეთებს, მეტევა-უკან დახევას, განზე გახტომას, ცრუ იერიშს და შემობრუნებას.

ერთი მამალი და თორმეტი ინდაური.

ერთი მამალი და თორმეტი ინდაური.

ერთი მამალი და... და აშკარად ესმის: „შინ რას იმალები, კოჟას ბიჭო, ეზოში ჩამოდი, რა ჯეილი ხარ!" ვინ იცის, მერამდენედ ისმენს ამ გამოწვევას.

პირველად დიდად ეცნაურა: მისი ყური ფრიად გაუხედნავი იყო ასეთი თავხედობისთვის. ღია აივანზე გადადგა და ღონინჯით გადაჰხედა ეზოს.

მარუას მთელი ჯალაბი გამომშლილიყო გარეთ. სამი მომუტრუკებული ბიჭი, სოსია, ნუცა, სიძე ნიკა და თავად მარუა. მიხვდა ლევანა, რომ გუშინდელ ამბავს დღეს უნდა მოჰყოლოდა გაგრძელება. გუშინ საღამოს კი მინდვრიდან შინ მობრუნებული გაოცებით შედგა და მზარავს დააკვირდა. საღამოს ბინდში სოსია იცნო. ლევანამ მხრიდან ჩამოღებული თოხი მიწაზე ყუით დააყუდა, ტარს იღლიით ჩამოეყრდნო. დიდხანს უცქირა. მიხვდა, რომ სოსიამ შეამჩნია, მაგრამ არ დაიმჩნია.

- სოსო, რაკი ბინდბუნდია, დავიჯერო, ვერ ამჩნევ, რომ სხვის მიწას ბარავ?

სოსიას არ ესმის.

- სოსი, როდის შეგეხვეწე, ბარვაში მიშველე-მეთქი?

სოსიას არ ესმის.

- სოსი, შარი არ მინდა, დაანებე ბარვას თავი.

სოსის არ ესმის.

- სოსი, დაანებე ბარვას თავი, თორემ, რასაც ეძებ, გაპოვნინებ.

- მიწა ჩემია და გინდა დილით დავბარავ და გინდა საღამოთი. - სოსია წუთით ჩერდება. ჯერ მარჯვენა ხელის ცერს აჭერს მარჯვენა ნესტოს და მარცხენას ერთი ჩაბერვით ცინგლისაგან ათავისუფლებს, მერე მარცხენა ცერით მარჯვენა ნესტოს ცლის, ხელს შარვლის ტოტზე იწმენდს და კვლავ ბარვას განაგრძობს.

- მაშ, არ დაანებებ თავს?

- მე არ დავანებებ და, თუ ბიჭი ხარ, შენ დამანებებინე.

- კარგი. - ლევანა წყნარად აყუდებს თოხს კედელთან, წყნარად შედის შინ, წყნარად გამოაქვს ფისტვნიანი თოფი, გრძელ ლულას ბოძად ჩასმული ჭერმის ორყაბაზში წყნარადვე სდებს, ჩახმახს მაღალ ფეხზე შემოაყენებს და მერე ასეთივე სიწყნარით ეუბნება:

- აბა, ეხლა ამ თოფსა ვკითხოთ, დაანებებ ბარვას თავს თუ არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოსია იცნობს ამ ხმას. ხმის ტონიც ნაცნობია, ამ ხმის პატრონი კი თავად ლევანაა... უკანასკნელ ბელტს უგემურად ამოაბრუნებს, უგემურად გაიდებს ბარს მხარზე, უგემურად მიიზლაყება. ხევხევაში რომ ჩავა, სანამ თავისი სახლისკენ შეუხვევს, მანამდე შემოუბრუნდება და იქიდან უგემურივე ხმით იძახის:

– თუ არ ჩაგიფსა მაგ თოფში, კოჟას ბიჭო, მაშ კაცი არ ვიყო!..

მამალმა ხელში ჩაუნისკარტა.

ლევანა საკენკიან ჯამს გადასწვდა, ფრინველს მიუშვირა.

მამალი ისე გამგელებით ეცა საჭმელს, ხორბლის მარცვლებმა წყლის შხეფებივით იწყეს აქეთ-იქით ცვივნა. როგორც კი ჩიჩახვი ამოიყორა, მაშინვე ყელი მოიღერა, კისერი დაძგიბა და მადლობა-კმაყოფილება ისეთი ხაფხმიანი ყიყლიყოთი გამოხატა, ხევხევას გადაღმიდან მისცეს ბანი იქაურმა ინდაურებმა...

– ჩამო, რაღა, ჩამოდი, ჩუმათხეველივით რო შამოგიდგამს ღონჯი, აბა, დაბლა ჩამოდი, თუ ვაჟკაცი ხარ!

ჭირივითა სძულს ჩხუბი ლევანას, მითუმეტეს მეზობელთან. ნათქვამია: თუ სახლის აშენებას აპირებ, ჯერ გაიგე, ვინ იქნება შენი მეზობელიო. მაგრამ აქ არჩევანი არ ეგებოდა: ძალიან დიდხანს ეძახდა ადგილის დედა და ამ ძახილს ვეღარ გაუძლო. მოვიდა თავის ძველ ნაბინავარზე, მაგრამ აქ მოსვლასაც დიდი ვაჟკაცობა უნდოდა: მისი სამი წინამორბედი მარუამა და მისმა ქმარშვილმა არ დააყენა ამ ეზო-ყურეში. იმათაც, იმ საწყლებმა, აიკრეს გუდა-ნაბადი და ისევ თავიანთ ძველ კერას მიაშურეს.

– ჩემია, ჩემი აქაურობა! არ დაგანებებთ არავის! აქ ყველაფერი ჩემი დარგული და მონაგარია! მთელმა სოფელმა იცის, რო გიჟს ვუვლიდი! გიჟიც იყო და ძამბლაც! აემ ხელებით გამქონდა იმისი ნაფსამ-ნანეხვი! ყველაფერს ლოგინში შვრებოდა. მერე მე გამქონდა გარეთ! თუ აქაურობაზე თვალი გეჭირათ, სად იყავით მაშინ?!.

და ყველა წავიდა, რადგან ვერ გაუძლო მარუას ქოთქოთს, ნუცას წყევლასა და შეღერებული ბიჭების მუქარას...

– ჩამოდი, უთოფოდ ჩამოდი, კოჟას ბიჭო, გუშინ საღამოს რო მეყიმყიმებოდი!

– ოჰ, შენც აქა ხარ, კურდღლის ბუდავ? მარუასა და ნუცას ორთითები უჭირავთ, სოსიას ჭიგო, სამ ბიჭს – სამი ბარაქიანი კეტი, მხოლოდ სიძეს დაუთრევია სამკბილა ფიწალი...

– კარგი, ჩამოვალ, – ამბობს ლევანა და ბუხრის გვერდზე მიყუდებულ სამარშინიან შვინდის ჯოხს იღებს. ეს ჯოხი თოხის ტარის სიმსხოა, ხმელი, რკინასავით მაგარი და მძიმე. როგორც კი კიბეს ასაშუალებს, ჯოხს შუაზე, თანაბარ მანძილზე სჭიდებს ხელს და ძირს ასე გარდიგარდმო, მუხლებს ზემოთ დაჭერილი ჩააქვს.

– აჰა, ჩამოვედი. – ლევანა დგას გალაჯული, ჯოხი ისევ მუხლებს ოდნავ აცილებული უჭირავს და იცდის.

მოპირდაპირენიც დგანან გაოცებულნი, რადგან ეს საჩხუბარი დგომა არ არი. მოჩხუბარს კეტი თუ კომბალი, ცალ მხარეს ხელჩავლებული, მაღლა შემართული აქვს, ეს კი ჩხუბის მთლად უმეცარი ჩანს. ამით სარგებლობენ მარუას ბიჭები და ერთბაშად მიაქვთ იერიში! ლევანა უცებ სამთავეს დარტყმას ორივე ხელით მაღლა აწეულ ჯოხს აატანინებს, ბრუნით უკანიდან მოქცეული ელვის სისწრაფით ჯოხის თავ-ბოლოს კეფაში ურტყამს და პირქვე პყრის სამივეს. მერე ასეთივე სისწრაფით იცდენს ორთითებსა და ფიწალს, სოსიას ჭიგოს ქვევიდან აკერით ჰაერში ისვრის და ფეხზე წამომხტარ ბიჭებს ზურგებს უხურებს...

– აი, ერთ დღეს დაგმარხეთ და ერთ დღეს ჩაგდეთ მიწაში! მაშ მე დედაკაცი უნდა მერქოს და თქვენ კაცები?! ჰაი, თქვე პირქვე დასამარხავებო, ჰაი, თქვე ძუკნა ძაღლის ნასხლეტებო! თქვე ფურთხით ნაკეთებნო! – ძვალმსხვილი, ჩასხმული, ახმახი დედაკაცი, ჯიქივით უშიშარი, მოურიდებელი, ლანძღვა-გინების არსენალი – მგელივით მოიწევს.

ლევანა თავისი მამალივით დახტის ამ პატარა ჯგროს წინ, კვლავ დიდი სისწრაფით იცდენს მოქნეულ კეტებს, საჩხელეტად გამოქანებულ ფიწალს და კვლავ ზაპუნი გააქვს მის ჯოხს მომხდურთა სახესა და მკერდზურგზე.

– ჩემია აქაურობა, ჩემი! არ დაგანებებ, კოჟას ბიჭო! – მთელი ხმით გაჰკივის მარუა.

– მაშ ჩემი დაპანღურებაც გინდათ აქედან, ციმფიებო? იცით კი რა თქო მგელმა?

– აი, მშიერმა მგელმა შეგჭამოს აღრე და მალე, მოწყდი აქედან, შე მიწის სახრავო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშინებული ნუცა აივანზე არბის და იქიდან იწყევლება.

ლევანა ერიდება მარუას, რაც არ უნდა იყოს, მაინც დედაკაცია, და ხელიდან ორთითის გაგდებინებით კმაყოფილდება.

- კაცობა მოძულებულებო! დედლებო! უტ-კოებო! ბარემ ცოლების ნიფხვები დაიხურეთ თავზე და იგრე იარეთ! სად გარბიხართ, სადა! კარგა შაჰხედეთ, - ერთი კაცია! ერთმა კაცმა ეგრე როგორ უნდა დაგვხაბნოთ! თქვენი წილი სახლ-კარი როგორ უნდა დაანებოთ! აი ყველა ერთ დღეს ჩაგდეთ მიწაში, თქვე ნაბიჭვრებო! - მარუა იღრიალებს, უცებ შეუვარდება ლევანას იღლიებში, წელზე ხელებს ჰხვევს და ქუხს: - აბა, დაჰკათ, ახლა მიდით! დაჭერილი მყავ! მიდით და დასცხეთ, რაც შეგიძლიათ! დაჰკათ, - აბა, დაჰკათ!!! - ჯიქი, ჯანიანი, ლამაზი, ჯმუხი, ავი, დაუნდობელი, ლევანას ტანზე ტკიპასავით ეკვრის და თავს მის განიერ, აქშინებულ მკერდში ოსტატურად რგავს, რათა ყოველი მოქნეული ჯოხი აიცდინოს... მაგრამ ვინ ყოფილა ეს ლევანა! ეს რა ჩხუბი სცოდნია, რა ჯოხის ხმარება! ამბობდნენ და მართლა მაგარი ვინმე ყოფილა! შეთანხმებულებივით ნელ-ნელა უკან იხევენ თავიანთი უძლურების შეგნებით, ლანძღვით, მძულვარებითა და მუქარით: „დაიცა, კოჟას ბიჭო, დღეს, ეტყობა, შენი დღეა, ხვალ და ზეგ ვნახავთ რა ბიჭიცა ხარ!..“ მხოლოდ მარუას შემოუხვევნია ღონიერი მკლავები ლევანასთვის, ამ მკლავებში გაუთანგავს, ლოყით მკერდზე მიჰკრობია და თავისი არმიის მორიგ იერიშს ელოდება. მაგრამ სად არიან მოიერიშენი? რატომ აღარ ისმის მათი ქლავი-ქლუვი და წკავწკავი? სად არი ბიჭების კეტების ბაგაბუგი და მარჯვე სიძის ფიწლის ტრიალი? მარუა უცებ ერკვევა, დატყვევებულ მოსისხლე მტერს უცებვე უშვებს ხელს, ზიზღით იფურთხება განზე, კვლავ შავ მიწაში სდებს ყველა მხდალსა და ქვეშაფსიას და თავადაც წყევლა-კრულვით სტოვებს ბრძოლის ველს...

მამალმა კუჭი რომ გამოიძღო, მკერდი და მხარი მიიჩირჩნ-მოიჩირჩნა, ბოლო მიისწორ-მოისწორა, ერთი თავისებურად კიდევე დაიყივლა და ფართქუნით ძირს ჩახტა.

ლევანამ საკენკიანი ჯამი ისევ თავის ადგილას დადგა.

ნეტავ ახლა რომელი საათი იქნება? ღამე რომ იყოს, მიჰხვდებოდა, მაგრამ დღისით, როცა მოეპრიანება, მაშინ ყივის მამალი. ყური წაუგდო, არსაიდან ისმოდა ჩქამიც. მისი შვილიშვილისა და პატარა დათოს ჭაჭანება არსაიდან შეიგრძნობოდა. სად გაიკრიფნენ ყველანი დღეს?.. საოცარია, ხშირად როგორ სცვლის შემთხვევითობა კაცის ბედიღბალს. - ერთისთვის რომ იკლავს თავს, გაიხედავ და სულ სხვა რაღაცა გამოხტება. იქნებ ყველაფრის მიზეზი მართლაც ადამიანის ბედისწერაა? შემთხვევითობა და ბედისწერა...

* * *

ფაიტონი ერთბაშად შედგა. მთელი ძალით მოზიდული სადავეებისაგან ცხენები უკანა ფეხებზე ჩაიკრიფნენ. ნალებმა ქვაფენილზე ცეცხლი გაყარეს. ზანზალაკები უკმაყოფილოდ ახმაურდნენ და დადუმდნენ. ვიღაცამ ცხენი მეეტლესთან მიაგდო. ლევანამ ღამეში ძლივს გაარჩია ცხენოსანი.

- მთელი თელავი გადავანგრიე, ძლივს დაგიჭირე. - და წინ გაუძღვა.

საბოქაულოს ეზოში ერთადერთი ნათურა ბჟუტავდა. ფთილა-ფთილად წამოსულ თოვლის რიალში ძლივს მოჩანდა საბმურის სარჩეხში მიბმული შეკაზმული ცხენები. იქვე ჩალიჩობდა იარაღასხმული ხალხი.

მხედარი დაქვეითდა, ცხენი კიბის სახელურს აჩქარებით მიაბა, მხარზე გადაგდებული შაშხანის კონდახი ბარკალზე მიიკრა და საფეხურები რამდენიმე ნახტომით აათავა. ფიქლების ჩუმ შრიალში დაიჭირა ყურმა ნათქვამი: „მზათ გახლავთ, თქვენო კეთილშობილებავ?“

მომხსენებელმა უკანვე მკვირცხლად ჩამოირბინა, ცხენებთან მობორიალეთ ხელი დაუქნია, კიბის სახელურიდან ახსნილი საჟერხე ფაიტონს უკან გამოაბა და თავად მარჯვედ ახტა კოფოზე.

აივანზე ნაბდიანი კაცი გამოვიდა. კიბის თავთან წუთით შედგა. მხედრებით სავსე ეზოს თვალი დაკვირვებით მოავლო, მერე ფაფახი კიდევ უფრო ჩამოიწია შუბლზე, გრძელი ნაბდის კალთები წამოკრიფა და დაბლა მძიმედ დაეშვა.

ეზოდან გასვლისას ლევანამ იკითხა:

- საით, თქვენო კეთილშობილებავ?

- თავქვე გარეკე, - უთხრა კოფოზე მჯდარმა ჩაფარმა.

კვლავ აჭახუნდა ქვაფენილზე ნალები და უკან აღევნებული ცხენების ფლოქვთა გუგუნი ეტლმა თავქვე ჭენებით წაიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდმა მხარმა უთხრა ლევანას, როგორც კი კოფოზე გვერდით მჯდარი ცხენოსანი წეღან ეტლს წინ გადაუდგა. მაგრამ იქნებ სულაც ქალაქს მიდის? ან უფრო შორს - იმერეთში? - ჯანდაბას იქით წასულა ეშმაკის კერძი! - მაშინ შეიძლება ერთ კვირას მაინც დაისვენოს... განა კოლა მაყაშვილი კი ბოქაული არ იყო, რომ ეტლსა თუ ფაიტონში, რომელიც სად შემოხვდებოდა, იმაში ჯდებოდა ხოლმე? - არასოდეს უძებნია, მაინცადამაინც ლევანას ფაიტონი მომგვარეთო, იმ ხალხთანაც არ იყო სამტროდ გადაკიდებული. გაიგებდა თუ არა, „გასული ბიჭები" ამა და ამ ადგილს ქეიფობენო, მაშინვე მაცნეს გაუგზავნიდა: - მოვდივარ და მანდ არავინ დამხვდეთო. აკი მალევე გამოუყვანეს წირვა მის დამბეზღებელს... წავიდა კოლა და მაშინვე ქუთაისიდან გადმოიყვანეს კოწია ბოქაული, - „ყაჩაღების ხორველა". ცუდი დარი დაუდგათ გასულ ბიჭებს! - მარტო მისი სახელის გაგონებაც თავზარსა სცემდა ტყედ გავარდნილთ. გაქრა უდარდელი ქეიფის დღეები. აღარსაიდან მოდიოდა „შესაწირავი". დაყარეს ხორცი. მოუსვენრობამ დაიბუდა მთელ რაზმში. წარამარა იცვლიდნენ ადგილს, მაგრამ მეორე-მესამე დღეს მაინც კაცი მოსდიოდათ: თქვენი ბინა გაცემულია და აიყარენითო. ყოველი ბუჩქის ძირში ჩასაფრებული ჩაფარი იჯდა; ყოველი გოხის თავზე შიშველი მაუზერი იდო; ყოველი ხის უკან კოწია ბოქაულის უშველებელი, შავი ულვაშები იმალებოდა! გამრავლდნენ „შპიონები". ნდობა აღარავისი იყო. ერთადერთი ლევანაღა დარჩა, რომელზედაც ეჭვის მიტანა არ ეგებოდა. და, აჰა, ახლა მას გადაჰკიდებია და საშველს არ აძლევს, ოსკანოვის ვალი დაედო. თვენახევარია, რაც იმ ბიჭებს დასაჭერად სულ მისი ფაიტონით დასდევს. ყველა მუშტარი დაუფრთხა. ვინმე შემთხვევით თუ ჩაუჯდება, რომელიც კოწია ბოქაულს არ იცნობს, არ იცის, რომ ეს ფაიტონი ახლა ბოქაულის საკუთრებად ითვლება.

კურდღელაურს გასცდნენ. მამლიყივილიანთ აღმართთან სულ მთლად ჩამობნელდა. თოვლ-ჭყაპი კვლავ მოდიოდა. შორს, ძალიან შორს შუქი დაჩნდა. სიცოცხლის ეს ნიშანი ღამეს ისე გამოერჩა, როგორც ოაზისი უდაბნოს. მთლად უშენი ადგილი იყო, მხოლოდ ერთადერთი მიკიტნის დუქანი ღიმღამობდა ამ უდაბნოში.

გზამ როგორც კი ტრამალიდან დუქნისაკენ შეუხვია, ლევანა მიხვდა, რომ ბოქაულს არსად მიეჩქარებოდა. ალბათ, ქეიფს აპირებს. კაცმა არ იცის, როდისღა მოიგუნებებს შინ დაბრუნებას. იქნებ შუაღამემდეც გაწელოს? აი, სეირი მაშინ იქნება: ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ ამ სიცივეში დაიხუთებიან მშიერი ცხენები.

მთელი გზა ხმა არ დაუძრავს კოწია ბოქაულს, არც გვერდზე მჯდომ ჩაფარს გაუღია ჩუჩუნი. მხოლოდ ზანზალაკების ერთფეროვანი წკარუნი, უკან მომყოლი ცხენების თქარუნი და იშვიათი ჩაფრუტუნება არღვევდა გარემოს დუმილს.

დუქანი დიდი სიუხვით დაუხვდათ; მრგვლად მოხარშული დედალი, ახალი თევზი, ქინძმარში ჩადებული ალაზნის ლოქო, „ყაიდაში გაკეთებული" ეწყო სუფრაზე. ისევაც ორთქლი ასდიოდა მსუქან ხაშლამას. სურნელოვანი მწვანილი თხლად დათლილ ლორთანა და კომბოსტოს მწნილთან ერთად შემწვარი კარტოფილი - მადას აათკეცებდა. მთელ თელავში განთქმული რაჭველი კაციტაძეების თონიდან ამოყრილი ლავაშები გვერდიგვერდ ელაგა შალაურულ შოთის პურებთან. მედუქნესა და დუქნის ბიჭს დროდადრო მოჰქონდათ ცვრიანი მწვადები და სველ-სველი ხელადები.

დიდხანს ისხდნენ სამნი მაგიდასთან. ისხდნენ, ტკბილად შეექცეოდნენ ვახშამს და ზედ ლევანას საყვარელ ჯანაანურას აყოლებდნენ. დუქნის ერთ კუთხეში შეერთებულ მაგიდებთან მიმსხდარი ჩაფრების მოკრძალებული, ხმადაბალი ღლიცინი სულ არ უშლიდა ხელს მეინახეთა დარბაისლურ საუბარს. დროდადრო წამოდგებოდა მაგიდიდან კოწია ბოქაული, დინჯი ნაბიჯით განივ გადასჭრიდა სამიკიტნოს და უკან დინჯადვე მიბრუნებული იმერული თავაზიანობით აზავებდა ნათქვამს.

- ვენახის გაშენება, ბოშო, ძიელ კარქი საქმეა, მარა ქე უნდა იცოდე ვაზის ხელი კარქათ. მიწის გადაბრუნება არ იცოდენ ჩვენში წინეთ. გადაბარავდენ, შენ ხარ ჩემი ბატონი, მიწას ისე და ჩარგავდენ შით ლერწს... აგრონომი ვერ ჯობდა მამაჩემს: გადააბრუნებიებდა მუშებს მიწას სამ ჩარექზე, თუ გვერდობი იყო - ერთ არშინზე, მერე, რომელი ჯიშის გაშენებაც უნდოდა, იმ ვენახიდან შეაჭრევიებდა გოჯის სიგრძე ხელშავიან ლერწს და ჩარგავდა. გაახალშენდებოდა მიწაში ძირები. მერე შემოუშლიდა მიწას, რო არ გაეკეთებია ზედა ფესო... სამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლამდე ახალშენი იყო ვენახი. დახარდნდებოდა ვაზი და შოუდგამდით ხარდანს. ხარდნის დასმა მანამდეც ქე იცოდენ, მარა უხარდნო ვენახიც ქე იცოდენ. გედეიზდებოდა აქეთ-იქით უხარდნო ვაზი, გეიბარდებოდა მაყვლის ბუჩქივით. მაღნარიც ვიცით იმერეთში.

- მაღნარი რაღაა?

- ხეზე შეშობილი ვენახი.

- იმერლები რათ ეძახით ვაზს ვენახს, თქვენო კეთილშობილებავ?

- ჩვენში ვენახს ვაზსაც უძახიან, შენ ხარ ჩემი ბატონი.

მაღალი იყო კოწია ბოქაული, ხმელხმელი, არც ისეთი მხარბეჭიანი, მაგრამ ვერც თხელს იტყოდი. ბოლო ღილამდე შეკრული ახალუხი გრძელ კისერს უჩენდა. კატასავით რბილი სიარული ჰქონდა. გადაბიჯებისას იშვიათად გადაეწეოდა შავი ჩოხის კალთა და იქიდან მქრქალ შუქზე წამით გამოკრთებოდა ყარამანდული შარვლის ხმელ თამბაქოს-ფერში შერეული სიელვარე. აზიური წაღები ფრთხილად დაცოცავდნენ მიწურ იატაკზე. როგორც კი შეჩერდებოდა, დიდ, დაძარღვულ ხელებს მაღლიდან ჯვარედინად დააწყობდა ვეება ხანჯლის ტარზე. ტარი შავი ძვლისა იყო, უბრალო, ასეთივე უბრალო ჰქონდა ქარქაშიც, შავი კემუხტის ტყავგადაკრული. ვერცხლი მხოლოდ წვრილ წელზე შემორტყმულ ბალთებიან ქართულ ქამარზე ესხა წესისამებრ. გამოხედვა ჰქონდა თბილი და შთამბეჭდავი, ლაპარაკი მშვიდი და დამაჯერებელი.

- ჩვენში ვაზი ვაზია, ვენახი - ვენახი. დიდ ვენახს ზვარს ვეტყვით, თქვენო კეთილშობილებავ.

- იმერეთში, შენ ხარ ჩემი ბატონი, მამული ვიცით.

ბოქაული დაჯდა. გვერდით უტყვი ჩაფარი ხელადას გადასწვდა.

მოსაუბრემ ლამპის შუქზე გაჰხედა სავსე ჭიქას.

- ღვინო ასეთი უნდა, მარა არც ჩვენ გვაქ ცუდი ღვინო. უხვად მოდის ცოლიკაური. კაი ღვინო იცის ციცქამაც, მარა შედარებით ნაზია, ხალისიანი. კრახუნა კი, მართალია, ჯანაანურასთან ვერ მოვა, მარა ქე გავს კახურ ღვინოს სიმძიმით, მხურვალებით და ვაჟკაცურობით. რა ჯიშის გაშენება გინდა შენ, ლევანა?

- ახალი ჯიშისა, თქვენო კეთილშობილებავ.

- რომელი ახალი ჯიშის?

- მეც არ ვიცი, მთლად ახალი, თქვენო კეთილშობილებავ.

- რავა არ იცი, ბოშო, ვენახში გქონია ჭიპი მოჭრილი.

- არ ჰიცი, რას დავარქმევ, ეს ჯიში ჩემი გამოყვანილია! ნასოფლარ ტყეში ვიპოვე გაგარეულებული. მარცვალი წვრილი აქვს, მტევანი პატარა, მაგრამ გემოთი, ღმერთმანი, ჯანაანურას აჯობებს ნაღდად. მინდა დავხვეწო, ტყიდან უკეთეს მიწაზე გადავიტანო და ნამდვილ ჯიშად ვაქციო. ამას კი დრო უნდა, თქვენო კეთილშობილებავ.

- სად აპირებ გაშენებას?

- არ ვიცი, თქვენო კეთილშობილებავ. ვენახს მიწა უნდა, მიწას ფული. მე ჯერ არც ერთი მაქვს და არც მეორე. ვარ ეგრე გაჩერებული, სანამ მიწის საყიდელ ფულს ვიშოვნი.

კრაველის ფაფახს ქვემოდან ჭროლა თვალების დაკვირვებული ბზინვა, ყბების გასწვრივ დატაროებული ულვაშების მიყინვა. გრძელი, სწორი ცხვირის ნესტოების ნაბულზე მდგარი მეძებარივით წამიერი შეთრთოლება. ჩამობურულ, გადაბმულ წარბებშუა ძლივს შესამჩნევად შეკრული ნაოჭის ნაუცბათევი გაქრობა. სუფრაზე გაწოლილ წამიერ სიჩუმეს ბოქაულის თბილი ხმა არღვევს.

- წერა-კითხვა თუ იცი შენ, ლევანა?

ლევანა დუმს.

ბოქაული იცდის.

- დიახ, თქვენო კეთილშობილებავ, რუსულიცა და ქართულიც.

- სად ისწავლე ასე კარგათ რუსული?

- დანიელოვთან ვიყავი გომბორში, მოჯამაგირედ, ბალღობისას.

- ექიმი რომ იყო?

- დიახ, თქვენო კეთილშობილებავ.

- კაი ქირურგი ყოფილა, - ძალიან აქებენ.

- კაცი უკეთესი იყო, თქვენო კეთილშობილებავ.

- რამ მოკლა მაინც ის საწყალი?

- ხორველობა რო იყო, მაშინ, თქვენო კეთილშობილებავ,

- შენ როგორ გადარჩი?

- ვერც მე გადავრჩი. ყველა მოჯამაგირე გაიქცა, მელა ვიყავი იმათი მომვლელ-პატრონი, წყლის მიმწოდებელი. მემრე მეც წამაქცია.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



- ხორველა გაქვს გადატანილი?

- დიახ, თქვენო კეთილშობილებავ.

- აბა, ასი წელი მომიცია შენთვის ამ ქვეყნის საყურებლად.

- ეჰ, თქვენო კეთილშობილებავ, ნეტა მართლა შეგეძლოთ, მაგრამ თქვენ არა ხართ ჩემი სიცოცხლის მომმატებელ-დამკლები.

- ფაფახიანი გაისუდრა. მხოლოდ მცირე ხნის შემდეგ ფიქრებში წასულ მეეტლეს ღიმილნარევად ჰკითხა:

- ერთგულება გცოდნია შენ, ლევანა. თუ დაგიფასდა მაინც.

ლევანამ თავი სინანულით გადაიქნია.

- რა მნიშვნელობა აქვს, თქვენო კეთილშობილებავ, დაფასება-არდაფასებას? ასეთი მკვდრები სიცოცხლეშივე იხვეჭენ პატივს და სამაგიეროსაც სიცოცხლეშივე იხდიან. ყველაფერს რო თავი ვანებოთ, ჩემი კაცური ვალი მოვიხადე.

ფაფახიანი კიდევ უფრო დაკვირვებით მიაჩერდა მოსაუბრეს.

- რა ხანია ეგ ხოლერა იყო. რამდენი წლის იყავი მაშინ?

- რა ვიცი, ვიქნებოდი ცამეტ-თოთხმეტი წლისა.

- ადრე დაგიწყია კაცობა!

ლევანამ ლოქოს მსუქანი ნაჭერი თეფშიდან გააქრო და თითები ხელსახოცს შეაწმინდა.

- მგონია, დაბადებამდეც კაცი ვიყავი, თქვენო კეთილშობილებავ.

- ყოჩაღ შენ, ლევანა, ყოჩაღ! მართლაც რომ ღირსი ხარ მიწისაც, ვენახისაც და... და ფულისაც!..

მედუქნე მოვიდა და ორი ჯერ ისევ მოშიშხინე მწვადი მოიტანა. ბოქაულმა ერთი ცალი ჩამოართვა და თავისი ხელით ჩათალა ლევანას თეფშზე.

- მართალი გითხრა, რასაც შენ აპირებ, მაგი საქვეყნო საქმეა. ასეთი მეურნე ხელმწიფე-იმპერატორსაც პატივში ყავდა ყოველთვის. რაც ჩვენს მამა-პაპას შეუქმნია თუ შეუძენია, არ უნდა დეიკარგოს იგი. მამაპაპა კი ბრძენი გვყავდა ნამეტანი... რუსთ იმპერატორს რომ არ შევფარებოდით, გაგვაჩანაგებდა ბუსურმანი. ვერ მიატანდა აქობამდე ვერც ეკლესია და ვერც ქრისტეს ჯვარი. წაგვართმევდნენ ღმერთსაც, მიწასაც და ვენახსაც. ვენახი კი ქართველი კაცისთვის, ქე იცი შენ, ლევანა, რაცაა. მეტისმეტი სიყვარულით მას მამულს ეძახის. იგია მისთვის ყველაფერი. ბუსურმანი რომ მოდიოდა, ჩვენი ქვეყნის წახთენა რომ უნდოდა, - პირველათ ვენახს ჭრიდა!.. უვენახოთ წამხდარი იყო ქართველი კაცი. ცოტანი ვიყავით ყოველთვის, მარა, რომ დალევდა ერთ-ორ ყანწს ცოლიკაურს, ოჯალეშს, საფერავს თუ რქაწითელს ქართველი და შეეარდებოდა ომში, ლეწავდა ყველაფერს!.. ჯანაანურას დალევის შემდეგ ხო ვეღარაფერი დოუდგებოდა წინ! მაშინ ყოველ გოჯსა და მტკაველ მიწას ვიცავდით, მარა გლეხკაცისთვის მაინც არ იყო საშველი. ახლა კიდო მეტად გაჭირდა მიწის შოვნა ამ ჩარჩ-ვაჭრების ხელში... მარა აგერ ვარ მე და, სადაც დამიდებ ხელს, იქ გამოვიებ, რავარ მიწასაც იტყვი.

ლევანა იჯდა და ისმენდა თანამოსაუბრის ალთაბალთას. მაგრამ საით მიაჭენებს ბატონი ბოქაული თავის კოჭლ ბედაურს? რა აქვს გუნებაში? რა განუზრახავს ხელმწიფე-იმპერატორის სიმშვიდის ერთგულ დარაჯს? ნუთუ ამდენ ხანს არ დადგა დრო, რომ გული „გადაიღეღოს"? განა ძვირფას დროს ტყუილად ხარჯავს უბრალო მეეტლესთან ყოფნა - „ბაასით?" ან ეს დარდიმანდული, ძმაბიჭურად, თავისი ხელით მწვადის დაჭრა რა თითლიბაზობაა? კარგად კი შეუსწავლია მისი გემოვნება, წარსული ცხოვრება და გულისწადილი. მაინც რა არი ეს, ვაზ-ვენახზე ეგეთი ჩირთიფირთი? რა ბალღური თამაშია?.. ფრთხილად, ლევან, კაცი იყავი და კაცადვე უნდა წახვიდე ამ ქვეყნიდან.

- აბა, რას იტყვი, გადმოხვალ თუ არა ჩემთან სამსახურში?

ეს კი დიდად მოულოდნელი იყო ლევანასთვის! აი, თურმე საიდან უბერავდა ქარი!.. ეტყობა, ამასთან ორჭოფობა არ ივარგებს, ეშმაკის ლაჯებში ჩანს გამოვლილი!.. უნამუსო ვირს უნამუსო პალო უნდა!..

- ჰა, რაია აქ საჭოჭმანო?! ვატყობ, ცხენები ქე გიყვარს, კაი იარაღიც ნაყვარებაო, შენ ხარ ჩემი ბატონი!..

- ნათქვამი კარგია, მოსმენაც-სასიამოვნო, მაგრამ მოულოდნელად ჰაერის გამოცვლას დაფიქრებაც უნდა, თქვენო კეთილშობილებავ.

- აღარაა აქ საფიქრალი, ლევანა: ცხენი კარქი, ჯამაგირი - კარქი და „ხაზეინი" - კიდევ უკეთესი. - მიუყარე ოსკანოვს მაი ცხენები და ფაიტონი და დურთე თავი ჩემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



კენ!

– ეგრე უცებ, თქვენო კეთილშობილებავ? დღემდე არავითარი მიზეზი არ მოუცია ოსკანოვს ჩემთვის.

– მაინც მიუყარე და გადმოი ჩემთან.

– ეგრე უცებ ვერ მივუყრი, ბატონო ბოქაულო. – „თუ დღეს აქედან გავასწარ...“

– არაა საჭოჭმანო, მიუყარე.

– ვერა, თქვენო კეთილშობილებავ, ვერ მივუყრი ეგრე უმიზეზოდ.

– მიზეზს მე მოგცემ და მიუყარე.

– თქვენი მიზეზით არ გამოვა, თქვენო კეთილშობილებავ.

– გამოვა, მიუყარე.

– ვერა, დიდო ბატონო, უმიზეზოდ ვერ მივუყრი. – „თუ აქედან დავიძვრინე თავი...“ – გაიფიქრა ლევანამ. ბოქაული მიხვდა, რომ კედელს ცერცვს აყრიდა. უცებ ჩაცხრა და ხმას კვლავ თაფლი გაურია:

– ვიცი, კარგი იარალი გიყვარს შენ, ლევანა... მოდი ჩემთან, აირჩიე, რავარი თოფიც გინდა, ხანჯალი თუ ლივერი. რაფერსაც იტყვი, იმფერს მიიღებ.

– ძალიანაც დიდად ვაფასებ თქვენს პატივისცემასა და თქვენს ყურადღებას ჩემისთანა უბირი კაცისთვის, თქვენო კეთილშობილებავ, მაგრამ ჩემ სიცოცხლეში არ მახსოვს, პირველათ მე მიმეცეს ვინმესთვის საბაბი ჩხუბისა და მტრობისა. ამიტომ არც ჩხუბის კაცი ვარ და არც ვინმეს მოსისხლე. რა ჭირად მინდა იარალი, – ჩემი იარალი სალავეები და შოლტია. თუ გამიჭირდა, ხანჯალზე უფრო მკლავს ვაჭრეინებ! კაცი რო რეულვერს დაიკიდებს, უნდა გაისროლოს კიდეც, თუ გაისვრის, მეორე კაცს უნდა ესროლოს. ადამიანი კი ერთხელ მოდის ამქვეყნად და სულიც ერთი უდგა. არა, თქვენო კეთილშობილებავ, პირდაპირ გეტყვით: არც თქვენთან მინდა, მქონდეს საქმე და არც ახალთაობის ხალხთან, – სოციალისტებთან!

ახლა კი იქუხა ბოქაულმა:

– სტყუი, ღორის შვილო! – მაგიდაზე ღონიერმა დარტყმამ ღვინიანი ჭიქა მაღლა შეისროლა და ნოეს ნაკურთხი წვენი შავ ჩოხაზე გადაესხა მაზრის უსაფრთხოების მცველს. ამან კიდევ უფრო გადარია ბოქაული. გადაიხარა მაგიდაზე და გრძელი, ხმელი თითი ცხვირწინ დაუტრიალა მეეტლეს. – სტყუიმეთქი! რავა, შარშანსწინ თელავში რომ გამოსვლებ-დემონსტრაციები იყო, მაშინდელი მაზრის ბოქაული – ოდესელი სუსლიაკოვი შენ არ გააცურე?!

– რა სუსლიაკოვი, რის სუსლიაკოვი, რას ბრძანებთ, თქვენო კეთილშობილებავ?

– აჰ, დაგავიწყდა, არა?! მე გაგახსენებ: კვირა დღეს თელავის ბაზარში შენმა „გასულმა ბიჭებმა“ – ქურდებმა, ყაჩაღებმა, სისხლის მსმელებმა და ქვეყნის ამრევ-დამრევებმა რომ გადაწყვიტეს, ის გლეხი მოეკლათ, რომელიც მათი მამისა და იდეოლოგის-ავქსენტი სიდამონიძის ცოლს წაეჩხუბა, – შენი ქათამი ჩემს ეზოში რად გადმოვიდაო. – გახსენდება? მერე სროლაში ამ გლეხის მაგიერ იმ დროს ბაზარში სავაჭროდ მყოფი თავიანთი პარტიის წევრი რომ შემოაკვდათ შემთხვევით, – გახსენდება?! იმ დღეს, როცა ასაფლავებდენ, დეიხურა ზემო და ქვემო ბაზარი, დეიკეტა ყველა დუქანი და სამიკიტნო, გეიმართა დიდი დემონსტრაცია. დეიძრა გორი-ჯვრიდან წმინდა გიორგის ეკლესიისკენ, იქ დიდი ეზო იყო და დიდი მიტინგის გამართვა უნდოდათ ძალიან, – გახსენდება?! რას დუმხარ, რავა, კიდევ უფრო წვრილად გინდა ჩამოგიკაკლო? – გახსოვს, სასტუმრო „ოტელ ესპერანტოს“ ქვედა სართულში, სადაც სამიკიტნოა, ამ სამიკიტნოს პატრონი სარქისა სუქიასოვი რო მოვიდა შენთან, ამფსონებთან ქეიფობისას, და ყურში გითხრა: „აქ ერთი ჩემი ნაცნობი ოსი მევიდა, ეს ოსი სუსლიკაოვის პირადი მცველია, მევიდა და მეუბნება: „აი, სენი წირიმე, სარქისო, შენზე კარგი ამხანაგი არავინა მყავ და გეუბნები: ჩვენმა პრისტავმა გითხრა-ხალხივით ჩაიცვი, ხალხში შეერიე და, როცა მე იმ ხალხს ჯარს შემოვარტყამ, იქიდან ლიორველი ისროლეო. თუ ცოცხალი გადარჩი ამ სროლაში, ორმოცდაათ თუმანს მიიღებ, თუ მოკვდი, იმ ორმოცდაათ თუმანს – შენი ცოლ-შვილიო. დაიხსომე, რო, თუ მოკვდი, ორმოცდაათი თუმანი მართებს ჩემი ცოლშვილისა, ჩვენ პრისტავსა“. – სწორი ვარ? შენ მაშინვე მაგიდა მიატოვე და ის „გასული ბიჭები“ ინახულე, რომელნიც ტყიდან გამოვიდნენ, რათა დემონსტრაციას სათავეში ჩასდგომოდნენ... სწორი ვარ?!.

ლევანა დუმდა.

– და ამ სცენაზე შენმა გამოჩენამ სულ ჩაშალა სუსლიაკოვის გეგმები. „გასული ბიჭები“ მიიმალნენ, სუსლიაკოვმა კი, რომელიც მგონი არც ისეთი „დალაგებული“ უნდა ყოფილიყო, ჯარი სასაფლაოსკენ წაიყვანა, რადგან ეგონა, რომ მკვდარს პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირ სასაფლაოზე წაიღებდნენ... გენიშნა?

ლევანა კვლავ სდუმდა.

- მარტოდ დარჩენილმა ოსმა, როგორც კი ჯარი შეამჩნია, მაშინვე ლიველზე გეიკრა ხელი, მარა ალყა უკვე ისე იყო დავიწროებული, ერთმა კაზაკმა შეამჩნია და მაშინვე აართვა იარაღი... ასე რომ, მთელი იმ დღის და იმოდენი მზადება ჩეეშალა სუსლიაკოვს... და ამის მიზეზი შენ ბრძანდებოდი! მართალი ვარ?! თქვი, ამეიღე ხმა, შე ღორის ლასმულო!

- დიახ, მართალი ბრძანდებით, თქვენო კეთილშობილებავ.

ბოქაულმა შვებით ამოისუნთქა:

- მადლობა ღმერთს, ძლივს კვლავ არ გამაგონე შენი სირინოზის ხმა! მერე, მართალი იყავი მაშინ?

- მართალი ვიყავი.

- გადამრევს, ბოშო, ეს კაცი! რაფერ იყავი მართალი, როცა სამშობლოსა და კანონსამართალს უღალატე, ყაჩაღებსა და ბუნტისთავებს მიეხმარე და ბოროტ ხალხს სასჯელი ააცდინე!

- მე მთელ ჩემ სიცოცხლეში სამჯერ არ ვიყავი მართალი და ამის გამო სამჯერვე მურდლად დავისაჯე.

- რაფერ იყავი მართალი, ეშმაკის ნაშენო?!

- იმფერ, რო არ იყო კაი კაცი ის სუსლიაკოვი.

- რავა არ იყო მართალი ხელმწიფეიმპერატორის სამსახურში მყოფი?!

- არ იყო. ამბობდნენ, დიდი პოგრომისტიაო. ამ პროვოკაციით უნდოდა უდანაშაულო ხალხის დარბევა და დაჭერა-გადასახლება.

- აჰაა! აკი არ ვარ სოციალისტიო?

- მე არავისტი არა ვარ, თქვენო კეთილშობილებავ.

- ყაჩაღებისტი ხარ შენ და ხელმწიფის მტერი!

- არც ვინმეს მტერი ვარ და არც მინდა ვინმე ჩემი მტერი იყოს.

- თუ არავისი მტრობა არ გინდა, უნდა მითხრა, სად იმალება ის შენი ნათესავი ჟორჟიკა ბერძენაშვილი.

- აბა ყაჩაღისას რას გაიგებ, თქვენო კეთილშობილებავ, რომელ ტყეშია შემძვრალი და სად აფარებს თავს?

- თუ არ მეტყვი შენ, ლევანა ჯანაშვილო, სად არის ჟორჟიკა-ყაჩაღი და მისი რაზმი, ჩემზე დიდი მტერი სიცოცხლეში არ გეყოლება.

ლევანას ხმა არ დაუძრავს. იჯდა და თავის წინ მდგარ ხელადას მისჩერებოდა ფიქრებში წასული.

- თუმცა რა, არც ისე დიდი ხნის სიცოცხლის იმედი უნდა გქონდეს, თუ არ მოეგები ჭკუას!

- კიდევ ერთხელ გეუბნებით, თქვენო კეთილშობილებავ, მე საგინებელი კაცი არა ვარ და არც ყური მაქვს მიჩვეული ვინმეს გინებას.

- ერთი უყურეთ ეშმაკის ნაშობს, რას მიბედავს?! ერთი უყურეთ ამას, რას მიბედავს!.. იტყვი თუ არა, სად არიან?!

- არ ვიცი, თქვენო კეთილშობილებავ და რას ვიტყვი?

- იცი და, დედის სულს ვფიცავ, იტყვი კიდეც!

- ღმერთმანი, არ ვიცი.

- იცი-თქვა!

- არ ვიცი!

- უჰ, შენი დედა!.. გეიყვანეთ და დახვრიტეთ, ამისი დედაც!..

ჩაფრების გრძელი მაგიდა ერთბაშად შემოტრიალდა.

მედუქნე და დუქნის ბიჭი ლახლს იქით გაშეშდნენ.

- გეიყვანეთ და იქვე მინდორში მიახვრიტეთ! - ბოქაული წამოდგა და გაოგნებულ მეეტლეს ზურგი შეაქცია.

მეწინავე ჩაფართაგან ორნი ეცნენ. ლევანა წამოდგა და ორივე მხრებიდან ჩამოიბღერტა.

- მე თავად წამოვალ. ეს კი იცოდეთ, თქვენო კეთილშობილებავ, უდანაშაულო კაცსა ჰკლავთ.

გარეთ უკუნი სიბნელე იყო. ნალამპარი თვალი ვერაფერს არჩევდა. ლევანას ერთადერთი ის აწუხებდა, რომ ოსკანოვის ვალი მიჰყვებოდა. თავიდანვე დიდი დაფასება, ნდობა და ხათრიჯამობა აჩვენა იაგორამ... მაგრამ ყველაზე დიდი საწუხარი, რომლის გახსენებაც ყოველთვის გულს მწარედ უსერავდა, მაინც ის იყო, რომ იმქვეყნად განუქარვებელ დარდად წაიყოლებდა თავისი საკუთარი მიწის უქონლობასა და ვენახის გაშენების შეუძლებლობას. იმ ვენახისას, რომელიც, ვინ იცის, როგორ წაადგებოდა თავის ქვეყანას რუსის იმპერიის კლანჭებიდან დაძვრენის მერე. ან იმ ვაზს თუ ვინმე მიაგნებდა ნასოფლარის ტყეში... ღლალა რჩებო-

და. ვაჟკაცის ბადალი დედა... მაგრამ არაფერია, თუ გაუჭირდა ისევ ჩუმათხეველებთან დაბრუნდება. იქ ყოველთვის სიხარულით შეხვდებიან მის გამოჩენას... თავისი თავი ჯანდაბას - რაც შეეძლო, იშრომა კიდეც, ილაღობა კიდეც, არც ქალი დაუკლია და დროც კარგი ატარა. რაც მოვა - მოვიდეს, - ქორ-ქიკა მის სისხლს არავის შეარჩენს!..

აქეთ-იქიდან ხელჩავლებულთ ხელი შეუშვეს და ზურგიდანაც მოხსნეს მიბჯენილი თოფის ლულა. ახლა სულ მარტოდმარტო იდგა ლევანა, ვერც რამეს ხედავდა, ვერს რამეს აზრობდა და ვერც რამეს გრძნობდა... სულ არ გაუგია, როგორ გასცა ბრძანება უფროსმა ჩაფარმა: „თოფები მხარზე!“ როგორ აჩხაკუნდა საკეტები და კვლავ როგორ იღრიალა ბართლომემ: „ბათქი!“

ლევანა უკან მიაწყდა. მის ყურს მისწვდა დუქნიდან გამოვარდნილი კაცის ყვირილი: „არ მოკლათ ეგ კაცი, მის კეთილშობილებასთან მეეტლე!“

ლევანამ ახლაღა იგრძნო, რომ ცალ მუხლზე იდგა სველ მიწაზე. უქუდო თმაში წვიმად ქცეული თოვლ-ჭყაპი ატანდა, სახეზე ზოლებად ჩამოსდიოდა და ნიკაპთან ისკვნებოდა. შეამჩნია ფანჯრიდან გამომდინარე მქრქალი სინათლეც.

ორნი მოვიდნენ და იღლიებით ასწიეს.

- არ გინდათ, მე თავად ავდგები.

ჩაფრებს ადგომის შემდეგაც არ შეუშვიათ ხელი.

დუქნის კარამდე გრძნობდა კვლავ ზურგზე მჭიდროდ მიბჯენილ თოფის ლულას. დუქნის კარებში შედგა ლევანა, ყოველგვარი გრძნობებისაგან დაცლილი და გაოგნებული. უსაგნოდ უმზერდა მაგიდასთან მარტოდმარტო მჯდარ იმპერიის კანონების მცველს. მის ცნობიერებამდე ჯერ კიდევ ვერ მისულიყო, რა მოხდა რამდენიმე წუთის წინ. ერთბაშად ვერ გაესაგნებინა ძველებურად ნაცნობი გარემო და მისი მდგმურნი.

- რავა, ისევ ცოცხალი ხარ, ბოშო, შეენ? გადეირია ჩემი მტერიი? ისე რაფერ დაბრმავდა ათი-თორმეტი კაცი, რომ ერთი ტყვია ვერ მოგიყენა ვერსად?.. აპა, ახლა ხომ მიხვდი, რატომ მინდოდა შენი მოსვლა ჩემთან? ვისაც ვკითხე, ყველამ ერთი და იგივე მითხრა: ქორქიკას ჯაბნის სროლაშიო. ერთი ტყვიით გაფრენილ მერცხალს ბოლოს ისე წააცლის, ტ...ს არ ატკენსო. ამათ იმედზე იყოს შენი მტერი. თუმცა არცაა გასაკვირი: ასეთ წკვარამ ღამეში ალავერდის ტაძარს აატყენს კაცი თოფს... რაკი გადარჩი-გადარჩი. ორჯერ დახვრეტილი კაცი არ გამიგია მე. მოი, აქეთ დამიჯექ, შენს ადგილას. ქე ყოფილხარ ქუდბედიანი. ახლა მაღარიჩი დავლიოთ შენი გადარჩენისა.

იჯდა ლევანა საფეთქლებზე მუშტებშემოწყობილი, კეთილად გამოთლილ ხის ქანდაკებასავით გაშეშებულ-გაციებული. იჯდა და თვალმოუცილებლად ჩასცქეროდა თეფშზე დათლილ-გაყინულ მწვადს... უეცრად შეკრთა, მიბრჯნით თავი ასწია და სახეზე მიაჩერდა პირისპირ მყოფს. ახლა ჩაესმა იმ ტყვიების წივილი, წეღან რომ თავზე გადაუარა გამაყრუებელი ბათქისას! უნდოდა წამომხტარიყო, სადღაც დასაკარგავში გაჰქცეოდა უცილობელ სიკვდილს, მაგრამ ისე დამძიმებულიყო მოულოდნელი და ერთბაშად გაცნობიერებული შიშისაგან, ტანი ვერ აზიდა სკამიდან. ახლა შენიშნა, თვალმოწკურული თანამესუფრე როგორ უმზერდა ქვეშქვეშა, ძლივს შესამჩნევი დამცინავი ღიმილით... გამოცოცხლებული ტვინის რომელიღაც კუნჭულიდან გამოღოღდა აზრი, რომ, თბილ დუქანში ყოფნის ნაცვლად, შეიძლებოდა ახლა გარეთ, იმ სიცივესა და ყიამეთში, ადრეული მარტის თოვლ-ჭყაპით გალიგვულ მიწაზე დებულიყო უსულოდ, ხოლო გათენებისას მთელი ღამით ნაქეიფარ მესისხლეთ, აი, ამ კაცის ბრძანებით, უდიერად დაეგდოთ მისივე ეტლის საბარგულზე და თელავს აეტანათ. იქ, საბოქაულოს ეზოში, წელზევით გაშიშვლებულს უპატიურად მოისროდნენ-ტყვიებით დაცხრილულს - და ეგდებოდა ასე რამდენიმე დღე, რათა ჯერ კიდევ ჩაუწყნარებელი ურჩი მოსახლეობა დათრგუნულიყო, გულისხმაში ჩავარდნილიყო, კარგად გაეთვალსაჩინოებინა თუ რა ბედი ელოდა მეფისა და იმპერიის წინააღმდეგ გამომსვლელს, ყაჩაღებისა და „ბუნტოვჩიკების“ ხელის შემწყობს. და ლევანამ შიშთან ერთად საშინელი ზიზღი და სიძულვილი იგრძნო ამ კაცისადმი...

- ცოტა კი შეგაჭანჭყარეს ჩემმა ბიჭებმა, მარა არაფელია, მოგიხდება კიდეც მაგი შენ... აბა, გიუნაშვილო, მეიტა ცხელი წვადი, თვარა გაცივდა მაგიდა... რა იფიქრე, ლევანა, სახესთან რო წუილით გაგიარეს ბზიკებმა და არსად გაკოცეს?.. ჰა, ამეიღე ხმა, თვარა ეს მუსიკა ხომ მოგასმენიე, თუ ჭკუით არ იქნები, მალე აგაცეკვებ კიდეც!.. აბა, რას იტყვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივდივართ ახლავე, ამ ღამითვე?

კვლავ გახევებული იჯდა ლევანა, უტყვი და უგლიმი. თავი ჩაექინდრა და გაქვავებულ სახეზე ძარღვიც არ ეძროდა. ისეთი ფერი ედო, თითქოს სისხლისგან მთლად დაწრეტილაო.

– რავა თლა წამხთარხარ შენ, ყაძახო! სულ ეგ არის შენი ვაჟკაცობა? ვის რათ უნდიხარ ასეთი ჭირიანი. შე ჭიამკვდარო. დეიკარქე იქით! შეშინებული ძაღლი შვიდი დღე-ღამე მთვარეს უყეფდაო, შენ კი, გეტყობა, ხმაც ჩაგვარდნია!

ლევანამ მწვადიანი თეფში გვერდზე გაასცურა და თავი ასწია, ბოქაულის ჭროლა თვალებს გაუტეხელი თაფლისფერი მზერა შეაგება.

– თქვენო კეთილშობილებავ, ვერ ვიტყვი, რო არ შემშინებია... მაგრამ, სადაც შიშია, იქ სირცხვილიც არი და მე ეხლა მრცხვენიან, რო შემეშინდა... მაგრამ დღეიდან ამ სირცხვილს დავიხსომებ და, თუ კიდევ დადგება ჩემს ცხოვრებაში ეგეთი ჟამი, ვეცდები, ეს სირცხვილი გავიხსენო და ვაჟკაცად მოვიქცე!

– შენ თლა ფილოსოფოსი ყოფილხარ, ლევანა, იმის მერე, რაც შენ შეგემთხვა, რავა დალაგებით ლაპარაკობ, ბოშო!

– რას ვიზამთ, თქვენო კეთილშობილებავ, ვისაც ჭირი არ გამოუცდია, ბედნიერებას გემოს ვერ გაუგებს.

– ძალიან კარგად ლაპარაკობ შენ, ლევანა, ძალიანაც მომწონხარ, მარა ახლა მე საქმისთვის ვტეხ ამ ღამეს და, თუ ეს საქმე ჩამიგდე, არა მგონია, მაგ გემოიანი ბედნიერებით დიდხანს დატკბე. ახლავე გაემზადე და იმ ხალხთან მიმიყვანე!

– მე სულ მზადა ვარ, თქვენო კეთილშობილებავ, საითაც მიბრძანებთ, იქით გავქუსლავ.

– შენ, ლევანა, ჭკუაზე აფრაკად ხომ არა ხარ? ახლავე გამიძღვები, მათ ბუნაგს დამაყენებ თავზე და ჩემი ბრძანება მხოლოდ შემდეგ იქნება შენთვის.

– ვერ მოგატყუებთ, მე იმ ბუნაგისა არა ვიცი რა.

– შენ, ლევანა, სიკვდილზე თუ გიფიქრია ოდესმე?!

– სიკვდილზე მოფიქრალი კაცი არც იგრე შორსაა სიკვდილისგან.

– ყველა მოთმინებას საზღვარი აქვს. იცი და წამიყვან კიდეც!

– წეღანაც მოგახსენეთ: არ ვიცი-მეთქი.

– სუკინ სინ! იცი და არ ამხელ!

– ღმერთმანი, არ ვიცი, თქვენო კეთილშობილებავ.

– ჰაიტ, შე ღორის დასმულო, კიდევ არ ტყდები?! გაიყვანეთ, ამისი დედაც... არ არის სიცოცხლის ღირსი! მანდვე მიახვრიტეთ! მინდორში!

სამი ჩაფარი ელვის უმალ ეცა.

ლევანა არ გასძალიანებია.

ცოტა ხნის შემდეგ იგრიალეს თოფებმა. შორს-შალაურსა და კურდღელაურში ძაღლებმა ამ ხმას ერთობლივი ლავლავით უპასუხეს...

როცა კვლავ მაგიდას მიუჯდა, ლევანა ისევ დიდხანს იყო გაოგნებული. მიუხედავად იმისა, რომ იცოდა: ეს თამაში იყო, რომ თოფების დაცლის შემდეგ ისევ მაგიდას უნდა დაბრუნებოდა, მაინც დიდი იყო შიში სიკვდილისა. ბოქაულმა დაპირება შეასრულა და საცეკვაოდ ახლა ფეხებში დაუხალა ტყვიები. ერთი რამ იყო საოცარი: იმ უკუნ სიბნელეში როგორ ახერხებდნენ ლამხვრეტნი, დასახვრეტი კაცი მთლად გაუკაწრავად გამოსულიყო ბათქიდან. ნამდვილად არ ცრუობდა კოწია ბოქაული: კარგი მსროლელები ჰყავდა ჩაფრებად... და იჯდა მეეტლე გარინდებული, ჩუმი და იქ არმყოფი.

– მე არ მინდოდა, ლევანა, ეს ყველაფერი... მაგრამ რაც იყო – უკვე მომხდარია. – თქვა ბოქაულმა თვალმოუშორებლად. – კარგად დაწყებული საუბარი ისეთმა ამბებმა შეაფორიაქა, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობასთანაა დაკავშირებული. – ისევ გადაიწია ჩოხის სახელო და ხელადას გადასწვდა.

ჩაფარმა მოირბინა და სცადა, ხელიდან ჩამოერთმივნა ხელადა.

– არ გინდა, ბართლომე, წაი შენთვის, დრო გაატარე. ჩვენ თვითონ მოვუვლით აქაურობას. ისეთ კაცთან აღმოვჩნდი ამეღამ, ღირსია თავის გატოლებისა. – მშვიდად, წყნარად ლაპარაკობდა, წყნარადვე ასხამდა ჭიქებში სასმელს. – „ჭკვიანი მტერი რეგვენ მეგობარს გერჩივნოსო“. – ბრძენს უთქვამს და შენს მაგალითზე ვამჩნევ, რომე მართალი უნდა იყვეს ეს ნათქვამი... მშობლები ხომ გყავს ცოცხალი?

ლევანა გვიან გამოერკვა გარინდებიდან და უფრო მიხვდა, ვიდრე გაიგონა, რა თქვა თანამესუფრემ.

– მამაჩემი აღარ არი.

– რა ვქნათ მერე, მეწისქვილეებისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიგონია: „ზედა ქვა უფრო მალე ცვდებაო“. ჩემი ალარცერთია უკვე. კარგი ხალხი იყო... შესანდობარი ვთქვათ, ვინც წარსდგა უფლისა ჩვენისა წინაშე და დღეგრძელობა იმას, ვინც სახვალიოდ უცდის მზის ამოსვლას. - დედაშენის სადღეგრძელო იყოს... ნათქვამია: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“. მაინც რა კაცი იყო მამაშენი?

– ჩვეულებრივი გლეხკაცი იყო, ჩუმათხეველების მეზვრე. - ჩუმი, ჩავარდნილი ხმით თქვა ლევანამ გვიან.

– ა, ხედავ? არ შევმცდარვარ, როცა ვიფიქრე: საიდან უნდა იცნობდეს ერთი უბრალო მეეტლე ვაზს ასე კარგად-თქვა. აბა, ცოცხლებს - გამარჯვება და მკვდრებს - ცხონება. - ჭიქა დაცალა და დადგა. ახალმოტანილი შამფურებიდან ერთი აილო, პატარა ნაჭერი ჩამოაჭრა და ღვინოს მიაყოლა. – კაი მეზვრე იყო მამაჩემიც! იტყოდა ხოლმე ცხონებული: „ღვინის ავ-კარგი მარანში იწყება და მარანში თავდებაო“. კარგი ოდა-სახლი ედგა, კარქა გამართული, ისეთ აივნიანი - ცხენი გაჭენდებოდა ზედ. ეზო - ხეხილიანი და კოინდარით ამწვანებული. საჩრდილობლად მამაპაპეული დიდი ცაცხვი.

ცაცხვის ხსენებაზე ლევანა თითქოს გამოცოცხლდა.

– ცაცხვის მოშორებით - ძელქვის პატარა კორომი. კიდევ უფრო მოშორებით - სამზადი, სასიმინდე, ბეღელი და კიდევ უფრო მოშორებით - ბოსელი. მომაღლო ადგილას ჭურმარანი - მქერის ღობით შემორაგვული. ჭურის თავზე ერთმანეთზე ტოტებგადაყვანილი კომშები იყო დარგული.

– კომშები? - შეიცხადა ლევანამ, - მარანთან ხის დარგვა ვის გაუგია, ხო გახვრიტავს ქვევრებს ფესვი!

– აჰ, კომში არც ბჟოლაა და არც ნიგოზი. კომშის ფესვი ღრმად, მარა სწორად მიდის და, რავარი დაუკირავიც უნდა იყოს ჭური, არ გახვრეტს მას. სამაგიეროდ, ჩრდილავენ ჭურის თავს, მისი ფოთოლი კი ბუსუსიანია და კარგად წმენდს ღვინოს მოკიდებულ ბრკეს... ეს იცოდა კიდევ ცხონებულმა: ჭურის კედლებს, გარეცხის მერე, ირგვლივ შეახეხდა კომშს - სასიამოვნო სუნს აძლევს ღვინოსო...

– ქვევრები გარეთა ჰქონდა ჩაყრილი? თანდათან დაინტერესდა ლევანა ენად გაკრეფილი მეინახის ნაამბობით.

– რა თქმა უნდა - გარეთ.

– რათა კაცო, - წვიმა, თოვლი, ქარი, მზე...

– აქ, კახეთში, სულ სხვანაირი ჰავაა, ჩემო ლევანა, და იმერეთში - სულ სხვანაირი. იმერეთში გადახურულში ჭურის ჩაგდება საზიანოა ღვინისათვის: ჩერო და უმზეობა ღვინოს დაცდის და შმორის სუნს მისცემს. იქ ხეები ისეა დარგული, რომ მხოლოდ შუადღის ხვატი არ ჩამოუშვას. დილით ამომავალი მზის ცინცხალი და სალამოს ჩამავალი მზის დაღლილი სხივები ძალიან უხდება ჭურს. ნიავი, წვიმა და თოვლი კი ზომიერ სიგრილეში ინახავს ღვინოს.

– მაშ, მარანს რისთვისღა აშენებთ?!

– რავა რისთვის, შე კაცო, იმ მარანში დგას საწნახელი, იქინე იწურება წლის მოსავალი. იქვე ვინახავთ ღვინისა და ჭურის ხელსაწყო-იარაღებს, ჭაჭის მისაწევ-მოსაწევს, სატუკელას, ორშიმოებს, სარცხებს, სათხლეებს, არყის სახდელ ქვაბს, ზარფუშს, საქაჯავს და ათას სხვა რამეს.

– მაშ, მარანში ქვევრებს არა ჰყრით?

– რავა არა, მარა იგინი პატარებია და შიგ ყველს ანდა მწნილს ვდებთ მუდამ.

– ეგ რანაირი მარანი ყოფილა, თქვენო კეთილშობილებავ? ის რა მარანია, სადაც ქვევრები არ არი და შიგ ღვინო არა დგა? აბა, ჩემ მარანს როგორ დავიკვეხნი, მაგრამ ჩუმათხეველის მარანი კი ერთ ნახვადა ღირს: ჯერ გარედან რა ქვის წყობაა, ალაგ-ალაგ რა აგურის არშია, ქართული აგურითვე გადათაღული ვიწრო სარკმლები, ორივე მხარეს მუხის სქელი ფიცრებისგან შეკრული კარები - გარედან რკინის საგდულებითა და ლარტყებით ლამაზად ნაჭედი. ახლა შიგნით ნახე, ყველა ზომის დიდ-პატარა ქვევრები როგორ წყობაზეა ჩაყრილი! - ორი მწკრივი იმოდენებია, შიგ კიბეებით ჩადის გასარეცხად ორისამი კაცი. ერთგან კაი დიდი ბუხარია, იქვეა მაგიდა და მუხის დიდი კუნძები სკამებად. კედლებზე ირმების, შვლების, დათვებისა და ტახის თავებია იგეთი, რო შეხედავ, ცოცხლები გეგონება. კედლებიდანვე გამოწეულ ხის ტოტებზე ხოხბები, კაკბები, გნოლები სხედან; ფრთაგაშლილი არწივები, ქორები და შევარდნები იგრე არიან ასაფრენად დამზერილები, თითქოს ხელის აქნევასღა ელოდებიან. სიცხეში იგრე გრილა, იქ ყოფნასა და პურის ჭამას არაფერი სჯობს.

მეეტლემ უცებ მოსხიპა სათქმელი და დადუმდა. დიდხანს იყო თავჩაქინდრული. პირი არაფრისთვის დაუკარებია, გაცივდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალმოტანილი მწვადიც.

არც მის თანამესუფრეს გაულია ჩურჩუნი. იჯდა ისიც თავისთვის და სავსე ჭიქას ერთ ადგილზე ისეთი ხელოვნებით ატრიალებდა, წვეთი ღვინო არ იღვრებოდა.

მეეტლემ დახლში მდგარ, რაღაც ავის მომლოდინედ შეშინებულ მედუქნეს გაჰხედა და ჯამი მოითხოვა.

მედუქნე ერთხანს უხერხულად გაირინდა. მერე, რაკი საპატიო სტუმრის მანიშნებელი მზერა დაიჭირა, მომთხოვნს სასურველი სასმისი მიუტანა.

ლევანამ მათი თვალების წამიერი გაბაასება შენიშნა, მაგრამ არაფერი დაიმჩნია და ჯამი შეავსო. შიგ მოლაპლაპე ღვინოს ჩააცივდა.

თანამესუფრემ ყოყმანი შეატყო და წააქეზა.

- თქვი, ლევანა, თქვი, თქვენთან, კახეთში გამიგონია: „შაირი არ გამრუდდებაო". თქვი, რაც გინდა, სუფრაზე ყველა თანაბარნი ვართ. - ახლა შენი ჯერია.

ლევანამ მწარედ გაიღიმა და ჯამი აიღო.

- თქვენო კეთილშობილებავ, ჩვენ თანაბარნი მაშინ ვიქნებით, როცა თქვენი თანაბარი თანამდებობა მაინც მექნება და ზურგსაც თქვენოდენი არმია გამიმაგრებს... ეხლა მე და თქვენ კატათაგვაობას ვთამაშობთ. კატამ იცის, რომ ახლომახლო ხვრელიც კი არ ეგულება თაგვს. ამიტომ არხეინად შეაგდებს, დაიჭერს, შეაგდებს, დაიჭერს, მემრე შეუშვებს კლანჭებს, თავისთვის ნებივრად ლულავს თვალებს, გორაობს და თავს იგრე აჩვენებს, თითქოს იმისი არსებობა სულ გადაავიწყდა, ცალ თვალს კი ჩუმ-ჩუმათ არ აშორებს. როგორც კი პატარას მოასულიერებს - ისევ შეაგდებს. მერე ჩაავლებს პირს, გაირინდება და უცდის, ერთხანს ხვრიპოს თაგვმა სიკვდილის შიში. და როცა იფიქრებს, უცებ არ გასძვრეს სული, ეს ტკბილი გართობა არ მომეშალოსო, ისევ გაუშვებს... და ისევ თავიდან იწყება თამაში...

უეცრად მეეტლემ შენიშნა, რომ შუბლზე წამოწეული ფაფახი თანაბრად, ოდნავ შესამჩნევად ირხეოდა. მყისიერად მიხვდა: თანამესუფრე ქირქილებდა. ჩუმად, კმაყოფილებით ქირქილებდა. მერე ქირქილი შეწყვიტა, თავი ასწია და პირდაპირ მჯდომი მონღომებით შეათვალიერა.

- რამდენ ხანს იყავ შენ, ლევანა, დანიელოვთან?

ლევანა წამიერად შეყოვნდა.

- კარგა ხანს გახლდით, თქვენო კეთილშობილებავ. რაზე მეკითხებით?

- რას გაკეთებიებდა მაგ კარგი კაცი?

- ყველაფერს, რაშიაც დავჭირდებოდი: ვჭრიდი შეშას, ვანთებდი ღუმელს, ვეზიდებოდი წყალს, ვთიბავდი ბალახს, ვცელავდი ქერს, ვმკიდი ყანას, ვარწყულებდი ცხენებს და, როცა ავადმყოფთან ან სანადიროდ მიდიოდა, მეეტლეც ვიყავ.

- თითისხელა ბავშვი?

- რათა თითისხელა ბავშვი, ცხრა-ათი წლიდან თოთხმეტ-ხუთმეტ წლამდის, - კაი დამუტრუკებამდის იმასთან ვიყავი.

- როცა სტუმარი ყავდა?

- სტუმრებთან ვმერიქიფეობდი, სარდაფიდან მომქონდა ღვინო და ჭიქებში ვუსხამდი.

- რა ხალხი იყო, ვინ იყვნენ სტუმრები?

- დაკითხვას მიწყობთ, თქვენო კეთილშობილებავ?

- მაინტერესებს, რა ხალხთან გქონდა ურთიერთობა.

- ყველანაირი ხალხი გახლდათ, უფრო კი ნასწავლნი, განათლებულნი და ჭკვიანები... ზოგს მთელი ევროპა მოევლო, ზოგს მთელი რუსეთი. ათასი ჯურის ხალხი ენახათ, ათას დარჯაკში გამოევლოთ, აბა, რა ვიცი.

- თვითონ დანიელოვი რა კაცი იყო, სადაური?

- აქაური კაცი გახლდათ - გომბორელი.

- რუსი?

- დედა რუსი ჰყავდა, მამა - კავკასიაში გადმოსახლებული პოლონელი. დიდი ხნის წინ, ვარშავის აჯანყებისას დაეჭირნათ და ხელმწიფეს აქეთ ეკრა თავი.

- ეტყობა, კარგათ გექცეოდა.

- შვილივით მინახავდა. თავად ბიჭი არა ჰყავდა და სულ გვერდით მიმყოფებდა ხოლმე. როცა შინ იყო და არც ავადმყოფები აწუხებდნენ, ერთი სადურგლო ჰქონდა აშენებული, იქა ტრიალებდა. ურმისა და ფურგუნის თვალებიდან მოკიდებული, რას აღარ აკეთებდა. შალაშინსა და ხელეჩოს იგრე ხმარობდა, იმერელ ხუროს შაარცხვენდა. მეც იქვე ვიყავი და ყველაფერს მასწავლიდა. ძაან ღვთისნიერი კაცი იყო.

- ასეთი დემოკრატიული აზრები, თავი რომ დაგინაგვიანებია, მის სუფრაზე ხომ არ არის წამოკრეფილი?

- არც უმაგისობაა, თქვენო კეთილშობილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ებავ: ძაან ჭკვიანი ხალხი იყო და მიყვარდა იმათი ყურის გდება.

- კიდევ რა ისწავლე მის სუფრაზე სასიკეთო?!

- არა ცილსწამო; არა იპარო; არა იცრუო.

- კიდევ?

- კიდევ?!

- ჰო, კიდევ, ათი მცნებიდან კიდევ თუ გახსოვს რამე?

- როგორ არა, - არა კაც ჰკლა, - და ჩუმათ, ქეშათ გაჰხედა კანონთა მცველს.

მის კეთილშობილებას არაფერი უთქვამს. ერთხანს სუფრაზე მდუმარება სუფევდა.

- ასეთი რამეც თუ მოგისმენია: ყველა კაცი თანასწორი უნდა იყოს და არა აქვს უფლება, ერთმა მეორე დაჩაგროს.

- არ დავმალავ - მომისმენია.

- კაი გვარიანი განათლება მიგიღია შენ, ლევანა.

- გლეხი კაცის კვალობაზე ვერ დავემდურები, თქვენო კეთილშობილებავ.

- დანარჩენი სად შეიძინე?

- დანარჩენი მამაჩემს ეკუთვნის.

- მამაშენისგან ისწავლე უფროსების უპატივცემულობა, უხიაგობა და დაუჯერებლობა?

- არა.

- აბა, მაშ, რაია, ბიჭო, რომ არ მიჯერებ ამხელა კაცს? მეგობრობას გთავაზობ და რავა ვერ გაგირჩევია, შე კაცო, ავი და კარგი? რავა, ცუდი მინდა ახლა მე შენთვის? გადმოდი, ჩემთან იმსახურე-თქვა? თუ კარქა ჩაუფიქრდები, არც იმ შენი ნათესავისა და მისი კაცისმკვლელებისათვის იქნება ცუდი. გამევიყვანოთ ტყიდან და ჩავაბაროთ მთავრობას. ვიტყვი, რომ თავისით გამევიდნენ, თავისით ჩამაბარეს იარაღი-შეუმსუბუქდება სასჯელი. ერთ-ორ წელს მეინანიებენ ცოდვებს და მერე კვლავ იქნებიან ჩვეულებრივი მოქალაქენი. ყაჩაღის ბოლო მაინც სიკვდილია. ხარება და გოგიასი ქე იცი შენ... უჭკუო კაცი არ ჩანხარ: ეირჩიე ამ ორიდან ერთი: ან ჩემთან გადმოდი სამსახურში, ან ამ ღამით, ახლავე წამიყვან იმ ყაჩაღების ბინაზე.

- თქვენ ჩემზე ბევრად გამოცდილი, ჭკვიანი და ბევრ ჭირგადანახადი კაცი ბრძანდებით, თქვენო კეთილშობილებავ, და ქვისა და შუშის მეგობრობა არ გამოვა. თქვენს სამსახურში გადმოსული კაცის გზაც იმ ყაჩაღებთან მიდის და აქედან ამაღამ გასულისაც - განა სულ ერთი არ არი, ვირზე რომელი მხრიდან შეჯდები? რას მაწვალებთ? გამიყვანეთ და, რაცა გნებავთ, ის მიყავით, სულერთია, სწორ ხეს ზეზეულად გახმობა არ უწერია.

- კარგად დაფიქრდი შენ, ლევანა, მარტო ახლანდელი ცოდვები კი არა, ძველებიც გაიხსენე. -

- რომელ ძველზე მელაპარაკებით, თქვენო კეთილშობილებავ?

- ნუ მათქმევინებ ამას, არ არი საჭირო.

- ეგრე ეჭვებით თუნდა წმინდა გიორგის დავადანაშაულებ.

- საიდან გეიცანი ხარება?

- ხარებაო? ჩემ დღეში თვალითაც არ მინახავს ხარება.

- არც გოგია?

- არც გოგია.

- მაშ, რაფერ ამარაგებდი ამ გარეწრებსა და ბოროტ ხალხს იარაღით?!

- რომელი იარაღით, რას ბრძანებთ, თქვენო კეთილშობილებავ?!

- შენ და კოსტა მგელაიძე რომ იძენდით და მერე შენი ფაიტონით მიგქონდათ მაღრაანის ტყეში.

- მგელაიძეს ვიცნობდი. ერთხელ მთხოვა, ერთი დიდი ყუთი წამეღო ქვემო ალვანში. ეს იყო და ეს. რა მეეტლის საქმეა, მგზავრს რა ბარგი მიაქვს? ხარებაზეც მგელაიძისაგან ვიცოდი, რომ თუშეთში - ბოჭორნაში იყო იმისი მამა დიაკვნად. ხარებობა დღეს გაჩნდა და ხარება დაარქვეს. ცხენის ქურდობა დაბრალდა და დაიჭირეს. ციხეში გაიცნო ცხენის ქურდი გოგია კენკიშვილი. ციხიდან გამოსვლის მემრე ფშაველელმა აქსენტი სიდამონიძემ უქადაგა და ცხრაასხუთში ტყეში გავიდნენ. ხარება კაი კაცი იყო, გოგია - ავი და დაუნდობელი. - სულ ეს ვიცი მაგ ხალხზე, თქვენო კეთილშობილებავ.

- მაშ, ხარება კაი კაცი იყო, ხომ?

- ხალხი ამბობდა, თორემ მე რა ვიცი ავი იყო თუ კარგი.

- მგელაიძეს საიდანდა იცნობდი?

- აკი მოგახსენეთ, მგზავრი იყო და თავის სოფელში მივიყვანე-მეთქი. იქ გავიგეთ, რომ ხარება და გოგია თავისი რაზმით მაღრანის ტყეში დაეხოცნათ. გაიგო ესა და მგელაიძემ თავი მოიკლა.

- რატომ, რა მოხდა?

- არაფერი უთქვამს, გადამიხადა ეტლის ფული და მემრე შუბლში იკრა ტყვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



- ვიცი, წასული საქმეა, მარა მინდა ვიცოდე, ლევანა.

მეტი არაფერი ვიცი, თქვენო კეთილშობილებავ.

- იცი, ლევანა, იცი, შენ მაგი და მეტყვი კიდეც. შენი ცოდვები აგერ, ა, ხელისგულზე მაქვს ჩაწერილი. - ლევანამ უნებლიედ დაჰხედა. ბოქაულის გამოშლილ ხელისგულს.

- რომელი ცოდვები, რის ცოდვები! ღმერთმანი, სეტყვასავით ერთნაირად ურტყამთ ცოდვილისა და უცოდველის ვენახს, თქვენო კეთილშობილებავ.

- მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს, ლევანა, რა მოგცა ზიანის მეტი მაგათთან წანწალმა? გარეწრები არიან მაგენი, კაცისმკვლელები და ყაჩაღები. გლეხობის დამცველებათ მოაქვთ თავი, მარა ნამდვილად მშრომელი გლეხი გაიმეტეს მოსაკლავად, - შენმა ქათამმა როგორ გაბედა აქსენტი სიდამონიძის ეზოში გადასვლაო! აი, შენი სოციალისტები! საწყალთა „ნამდვილი ქომაგნი“! სრულიად უდანაშაულო ხალხის მკვლელები და მყვლეფელნი! ამათ აფარებ შენ ხელს? იმათი გულისთვის სწირავ შენ თავს? უნდა ამეიძირკვოს მაგენი ყველა! უნდა აღიგავონ პირისაგან მიწისა!

- ცამდე მართალი ბრძანდებით, თქვენო კეთილშობილებავ, მაგრამ მე სხვა რითი შემიძლია გემსახუროთ? - მაგათი გზა არ ვიცი და კვალი. აი, ფაიტონი მანდ არი, ცხენები მანდ არიან და მეც აქა ვარ, მიმსახურეთ, როგორც გნებავთ.

- მაგ აფთრების ხროვიდან ერთადერთი შენი ნათესავი მენანება. მაგისი სურათი ვნახე როინიშვილისგან გადაღებული. ასეთი ლამაზი ვაჟკაცის მნახველი არა ვარ, ლამის დაგაჭარბოს შენ, ლევანა. გადაჭრილ ხეზე აქვს ფეხი შედგმული, შავი ჩოხა აცვია - სპილოსძვლის მასრებიანი. წელზე პატრონტაში, განიერ მხრებზე პატრონტაში, გვერდზე ნაგანი და წინ ქამარში გაყრილი მაუზერი. მარჯვენა ხელით ძირს კარაბინი დაუბჯენია, მარცხენათი დოინჯი შემოუდგამს. მაღლა აწკეპილი ულვაშები კიდევ უფრო ვაჟკაცურ იერს აძლევს. თვალები კი... ნამდვილი ყაჩაღის თვალები აქვს. ისე იყურება, კაი გულმაგარ ყაძახსაც წაახთენს... ღმერთმანი, ძალიან მენანება. კაცი რომ იყოს მთქმელი: „წაი, ბიჭო, ანებე ტყე-ტყე წანწალს თავი, გამოდი, ჩაბარდი მთავრობასო“, ძიელ მოიგებდა.

- წეღანაც მოგახსენეთ, თქვენო კეთილშობილებავ, მაგ საქმეში ჩემ იმედს ნუ იქონიებთ-მეთქი. ჯერ ერთი: ვერსად მივაგნებ; მეორეც: რომც მივაგნო, ვერ გამოვასწრებ იქიდან ცოცხალი.

- შენ მაგი ნუ გადარდებს, ისე მოვაწყობ საქმეს, მადლობელიც დაგრჩეს!

- არა გამოვა რა, თქვენო კეთილშობილებავ.

- კარგი ვაჟკაცია და მენანება-თქვა, გეიგე ეს, შოუშვი ყურში... არც გაქვს მეტი გზა: აგერ მაქვს, ა, შენი ცოდვები დაწერილი. სად წაუხვალ?! მხოლოდ ერთი გზა გაქვს დარჩენილი: ან ჩვენთან, არ არსად!

- თქვენო კეთილშობილებავ, სამაგისო ხალხი ნიჩბით სახვეტია, მე რას ჩამაცივდით? დამაცადეთ, მივდგე-მოვდგე, გავიხედ-გამოვიხედო, ავათვალ-ჩავათვალიერო, ჯერ ბატკნობა მოვათავო და მგლად მემრე მაქციეთ.

ბოქაულს მიწისფერი დაედო. ერთბაშად მიეჭრა სისხლი თავში. შმაგივით ავარდა სკამიდან, აჰკრა ხელი მაგიდას და ზედ ნალაგმა ჭურჭელმა ლიწინ-ლიწინი მოადინა იატაკზე.

- ჰაიტ, შე უნიფხვო ყაძახო! როგორ მიბედავ მაგას! ჰუყურე შენ ამ ღორის დასმულს! „თაგვს ბუმბულში აწვენდნენ და ის მაინც „ფუჩეჩ-ფუჩეჩ“ - გაიძახოდაო!“ რავა მიკრა ყოლიფერს ფეხი ამ დედაგაგლეჯილმა! მართლა არ გამიტოლა თავი?! გეიყვანეთ ახლავე, იმ დიდ ხეზე მიაკარით თოკით! ისე დაჩვრიტეთ, რომ ძარღვში წვეთი სისხლი არ დოუტოვოთ! თითომ თითო მჭიდე დააცალეთ! არ დეინანოთ ტყვია! დაცხრილეთ, დახვრიტეთ, დაჩვრიტეთ, დაგლიჯეთ, ამისი მკვდარიც და ცოცხალიც!.. ჰუყურეთ, რავა ამიგდო ამ ნაბუშარმა! დედას გიტირებთ ქორჟიკა-ზამბილ-უტრუხუნეანათ! სისხლად დაგცლით, სისხლად! ჰუყურე შენ უნიფხვო ყაძახს!..

ბოქაულის ბობოქრობა ყრუდღა სწვდებოდა მეეტლის ყურს წკვარამ ღამეში. უცნაური გრძნობა ჰქონდა: თუ ცაცხვამდე მიიყვანდნენ, უეჭველად გადარჩებოდა. ცაცხვი მისი ხე იყო, მისი მფარველი. დაბადებისთანავე ხელში აიყვანა და თავის ფოთლებში შეახვია. ახლაც არ დაუშვებდა, რომ მისი შვილი, მისი სხეულის ნაწილი, მისი ჩრდილით; მისი ყვავილით, მისი წვენით გამოზრდილი - დასაგლეჯად მიეცა სისხლმოწყურებული ბრბოსთვის.

როგორც კი დუქნის კარი მიიხურა, სიბნელემ ყველას თვალები დასთხარა.

- ასანთი ვისა აქვს? - იკითხა ვიღაცამ.

- რა დროს პაპიროსია, შე კაცო, - გაეხმაურა ბართლომე.

- პაპიროსი კი არა, ხე არ ჩანს.

- მუგუზალი მაინც წამოგვეღო ბუხრიდან.

- ბუწკნარში ხომ არ მიდიხარ, ბოშო, ტრიალი მინდორია. ეგერ, ე, პირდაპირ ჩანს ის ხე.

ლევანამ სუფრიდან ბოქაულის ჩუმათ, სახელოში შემალული მწვადის საჭრელი დანა ჩამოსწია, წვერი მაღლა უქნა და ცაცხვთან ზურგით ისე დადგა როცა ზედ მიაყუდეს, რომ ხეს და მის ზურგს შუა თითქმის ერთი ხელი ჩაეტეოდა. სამმა კაცმა იგი ისე მაგრად მიაკრა, ლამის მუცელი ჩაუჭრა თოკით.

როგორც კი ღვინოში დამბალი სამივ ჩაფარი ხეს მოსცილდა, ლევანა იმ წამს ხეს ზურგით მიეკრა. თოკი მაშინვე მოფოლხვდა. ელვის სისწრაფით მუშაობდა ლევანას ტვინი! - ყოველი შემთხვევისთვის უმალ ცაცხვის ზურგში მოექცა.

დანა მჭრელი გამოდგა. როგორც კი იღრიალა ბართლომემ - ბათქიო - გადაჭრილი თოკიც ჩავარდა ფეხებთან.

თოფების ერთბაშმა გრიალმა კვლავ აალაყლაყა მახლობელი სოფლების ძაღლები.

მეორე ბათქისთვის აღარ დაუცდია ლევანას, მოსწყდა ცაცხვსა და თავისი ფაიტონისკენ გავარდა! ფაიტონთან ყარაულად მდგარი ჩაფარი სახეში საშინელმა დარტყმამ მოცელა და ლევანა ერთი ნახტომით მოევლო კოფოზე.

სადავემოშიღულმა ცხენებმა პატრონის მარჯვენა იგრძნეს და ჩუმ წრუპუნზე ისე დაიძრნენ, ლამის იქაურობა თან გაიტანეს...

* * *

ოსკანოვმა მაშინ დააფასა ლევანას ვაჟკაცობა, როცა მოიჯარადრეებმა თბილისშიაც მიაგნეს. დღე ერთი იყო და მოციქულთა მიმოსვლა-ათასი. ვერაფრით გატეხეს კერპი ვაჭარი. ასი თუმნიდან წამოწყებული ქრთამი ათას თუმანზე აიყვანეს.

იაგორამ ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე ფეხი მოირთხა და იქიდან ფადიშაჰივით ტკბებოდა გარს ნაზირ-ვეზირებივით შემოხვეული მთხოვნელების ციცინითა და ქათინაურებით.

- იაგორჯან, „ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეჰხედაო" - კარგი რაა, ზაჰლა აღარ არი.

- უნდა მითხრათ, ვინ დაგაკიდებინათ ფეხებზე ოსკანოვი.

- მთლად ნუ გაგვათახსირებ, ჯიგაროჯან, ეხლა რაღა ნიშნეულობა აქს, ვინ მიჰქარა პირველათ? შენ შენი აიღე-ჩვენ ჩვენი დაგვანებე, ცავატანემ.

- არა, ვერ ავიღებ-ერთი წლის მერე უფულოთ გაძლევთ.

- იაგორჯან, მაშ, ღმერთი აღარ არი? იგრეც ლამის მთელი თვე გავლიეთ შენ ლევნაში. ვაღა ერთი წელია. ეგ რო ერთ წელიწადში მოთავებული არ ჩავაბაროთ-შაა-ბაშ! სუყველას კამჩატკის იქით გაგვასხლებენ. ერთი ხევი დაგვითმე და ჰალალი იყოს ათასი თუმანი.

- ვერ დაგითმობთ, მე მჭირდება.

- ვაჰ! რა ოხრად გინდა, იაგორჯან, ამდენი ხევხუვი? ათასი რამე კუკუ გაჩრია, აიღე და გავათაოთ.

- კუკუ თქვენა გაჩრიათ. როდის იყო, რო ცხვარს თავისი დუმა ამძიმებდა?!

მოიჯარადრეებმა ერთმანეთს სასოწარკვეთით გადაჰხედეს. მერე ერთმა გამწარებით გაიკრა ხელი უბეზე და იქიდან გატენილი ქისა ამოიღო.

- აჰა, საცა ერეკლე, იქაც თეკლე! - ათას ასი თუმანია, დათვალე!

- დათვალე, დათვალე, იაგორჯან, ფულს დათვლა უყვარს.

- ნათქომია: „მიწა რომც ოქროთი იყოს მოფენილი, ჯერ დათვალე და მერე აიღეო."

- არ ავიღებ, არ მინდა. თქვენი ფული - თქვეენ, ჩემი ხევები - მეე.

- ოოჰ, ასტვააც! რა ოხრად გინდა ამდენი ხევი, ჰამაც ცარიელი, იაგორჯან?!

- მე მაგ თოკზე ხორბალი უნდა გავფინო.

იჯდა ფეხმორთხმით ოსკანოვი და ტკბებოდა მომხდარი შთაბეჭდილებით. ახლა იმ მახრჩობელა გველს ჰგავდა, რომელმაც ანტილოპა იგდო ხელთ და ძვლების დასამტვრევად ნელ-ნელა უჭერდა ირგვლით თავის ფოლადისკუნთება რგოლებს. და იმდენ ხანს უჭირა ეს რგოლები, სანამ მთხოვნელნი ათას შვიდას თუმანზე არ აიყვანა. ბოლოს გატყდა ფადიშაჰი, მათი აჯა შეისმინა და მოკლედ მოუჭრა:

- ორი ათას ათი თუმანი და მოერჩით! - ხუთივე ხევი თქვენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ასტვააც, ტერ ასტვააც! რას გვიშვრები, იაგორჯან?!

- ეხლა თქვენ იცით. დიდი ბოდიში მომიხსენებია თქვენისთანა სტუმრებისთვინა, მაგრამა ემ მინუტას მივდივარ კავკავს ორის თვითა.

და, როდესაც იმ სულის შემხუთავ რგოლებისაგან საშველი აღარ მიეცათ, თავადაც გატყდნენ მოიჯარადრენი და ოსკანოვს ორი ათას ათი თუმანი ჩაუთვალეს.

- ააჰა, ჰალალი იყოს, ახპერ, ორი ათასი, მაგრამ ეს ათი თუმანი მითამ რაღააო?

- თქვენ მაგას მაშინ გაიგებთ, ადგილზე ჩასულები ქალაქის თავს რო ჰკითხავთ, რა დამიჯდა თელავის რიყე.

მეორე დღეს თელავში თავისთან დაიბარა ლევანა.

- შენ გინდოდა ჩემი ნახვა, ალა-იაგორ?

- მე მინდოდა და ძალიანაც გამახარე შენის ნახვითა, ლევანჯან - ანგარიში უნდა გავასწოროთ.

- ანგარიში?! ჯერ ხო ერთი თვეც არ გასულა?

- შენ ჩემი წელიწადებისას რას გაიგებ, ჩასპანდ ზოგი ხუთ წლამდინ არ ჩამოთავდება, ზოგმაც, შაიძლება, ორ-სამ კვირაში გაირბინოს.

- რას ვიზამთ, გავასწოროთ. დღეს ოცდამეოთხე დღეა, ოთხი მანეთი და ოთხი აბაზი მერგება! თუ დღევანდელ დღეს არ ჩავთვლით - ოთხი მანეთი და სამი აბაზი.

- იცი, რას გითხრამ? - მე შენი მანეთმუნეთ-აბაზმაბაზები არ ვიცი. შენ ჯერ ეს აიღე, - და გამოშლილი ხელის გულზე ოქროს თუმნიანი დაუდო.

- ეს რა არი, ალა-იაგორ, მე სადამაქ ამის ხურდა!

- ოო, ეხლა ამან მამიყოლა ხურდამურდა. რომელი ხურდა, ჩათუქესან, ფეშქაშათ მამიცია.

ლევანა თვალებს არ უჯერებდა. პირველად ხედავდა თავის ხელში თუმნიანს და თანაც ოქროსას.

ამას რაში მაძლევ, ალა-იაგორ?

- კაცობაში, ლევანჯან, კაცობაში, - პირისწყალი რო არ გასტეხე. აჰა, აი ესეც ჯამაგირიი. - და ათი თუმანი გადაუთვალა.

ლევანამ ლამის გონი დაკარგა. დიდხანს უცქერდა გაოგნებული ერთმანეთზე დაწყობილ ტკიცინა თუმნიანებს.

- ეს ხო მთელი ერთი ხევის ფულია, ალა-იაგორ, ვის ოჯახს აქცევ - შენსას? საკუთარს? თუ სიზმარში ხარ - გამოფხიზლდი, - მე ხო ხუთი მანეთის სადირალიც ჯერ არა გამიკეთებია-რა.

თაგვის ცერცველას მსგავსი თვალები ფოსოებს იქით გადაიკარგა. მერე ოდნავ გამოაბჟუტა. უცნაური ცქერით დააკვირდა ლევანას. იაგორამ ერთხანს თავი ჩაჰკიდა და, როცა შავი წარბების ბუწკნარქვეშიდან გამოიხედა, ლევანამ რაღაც თბილი, ახლობლური იგრძნო ამ გამოხედვაში.

- ოოხ, ლევანჯან, ნეტა ათი შვილი მამცა და მემრე ის ათივე შენ ერთში გამაცვლევინა.

- რათა, ხაზეინ, რა ქნა შენმა შვილმა იგეთი?

ოსკანოვმა, თითქოს თავისი წუთიერი სისუსტე ინანაო, უცებ წარბი შეიკრა, მოიქუშა და ისევ ძველ იაგორად იქცა.

- ეგ მემრე, ლევანჯან, ეხლა კი საქმეზე ვილაპარაკოთ. დღეს გაპატიებ ეგეთ შაკითხვებსა: ეს რათა, ის რათა; მე რათა, იმას რათა. ეგეთი რამეები შენ ჯამაგირობაში არ შადის. იაგორა რასაც აკეთებს, მუდამ იცის, რათა და რისთვინა. მე ათას ხუთასი აეშაგი მყავ გაშვებული, - მიწის ქვეშ რა ხდება, იაგორამ ის იცის. შენ რო კირკიტი კაკალი არ ჰყოფილიყავი, მე-პუპუზ! - ცარიელზე დამსომდნენ. შენმა ბიჭობამ დააფრთხო დანარჩენი ხევების ყარაულები და სადალატოდ ნაფიქრალი ერთხანობას მააშლევინა. მანამდინ კი მოვასწარი და ვანანე იმ გაბრექილ ქალაქის ქონიან ალებს ჩემი ბრიაბრუს ქნა. იგრე რომა, სანამ შუშანა მაირთვებოდა, საყდარში წირვაც მოთავდაა. მააშ!

ლევანამ კიდევ ერთხელ დაჰხედა ფულს და უკან გაუწოდა.

- კაცი ჰყოფილხარ, ალა-იაგორ, და მიმსახურე, რაშიც გინდა. მაგრამ უოფლო ფულს კი ვერ ავიღებ. ეს ფეშქაშიც საკმარისია და ძალიანაც დიდი მადლობა.

ვაჭარს თვალებში კიდევ უფრო დიდი სითბო ჩაუდგა. წუთიერად კვლავ გაისუსა. მერე თავი ბუზებმიძალებული ხარივით გაიქნია და რბილად თქვა:

- აიღე, ლევანჯან, აიღე. შენ მამეცისა გეშინოდეს, თორემ აიღესი ნუ გრცხვენიან. ეგ ფული უოფლო ფული არ არი. შენ მე ამ საქმეში ასჯერ და ორასჯერ მეტი მამაგებინე.

ლევანა ერთხანს უმზერდა თაგვის ცერცველებს, მერე ვეება ხელები ხანჯლის ტარზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოაწყო და გარკვევით თქვა:

- ალა-იაგორ, კაცის მოკვლაზე არა მითხრა რა, დანარჩენში, თუ გამოგადგები, მიმსახურე.

ოსკანოვმა აყლარწული ბიჭისთვის შეუფერებლად განიერ მხრებს თვალი მოაცილა და მის უტეხ მზერას დააკვირდა. მაგრად მოკუმული სქელი ტუჩები ოდნავ გაეხსნა და უცნაურმა ღიმილმა დაუგრიხა:

- ჰაი, ლევანჯან, ლევანჯან, ოსკანოვის მოტყუება ეგრე ადვილია? ახლა შენ რო ვინმემ ერთი ფინთი რამე არ გითხრაას, მაგ არსენას ადლის ტოლა ხანჯალს შიგ ჯიგარში გაუყრი.

ლევანას არაფერი უთქვამს, ფული ჯიბეში ჩაიდო და ჩუმი მოლოდინით მიაჩერდა „ხაზეინს“.

- აი, ეგ უკვე მამწონს. - ბაშინჯაღიანი უნდა მოვკლა.

ლევანა არც განძრეულა, მხოლოდ თვალებში გაუკრთა გაკვირვება. მერე ხელი ჯიბეში ჩაიყო, ფული იქვე მდგარ სკამზე დადო, ზემოდან ოქროს თუმნიანი დაადო და კვლავ მოლოდინით გაირინდა.

- რაო, ჩასჰანდ, გეცოტავება?

- არა. ჯამაგირი გამისწორე და წავალ.

- ვერ წახვალ, ჯერ ბაშინჯაღიანი უნდა მოვკლათ!

- არ მოვკლავ!

- როგორ არა, მოჰკლავ!

- არა.

- თუ მოსაკლავია?!

- მაინც არ მოვკლავ!

- თუ მარტოკას გეშინიან, მოგეხმარები.

- იცი, რას გეტყვი, ვაჭარო? - ჯამაგირი გამისწორე და მერე, თუ გინდა, მთელი თელავის ვაჭრები გაგიწყვეტნია შენიანათ.

ოსკანოვი იდგა და სიამოვნებით უცქერდა ბიჭის მოქურუხებულ თვალებს, დაღრუბლული წარბებქვეშიდან მუქარით რომ გამოიყურებოდნენ. ჯერაც პირტიტველას სახე ისე ასტკეცოდა, გეგონებოდათ, გაჩაღებული თონიდან ალს ამოუკრავსო.

- ჩემმა მზემ, ლევანჯან, რო არ გიცნობდე, ნაღდი ჩუმათხეველი მეგონებოდი. ეხლა ბრუდეთ დავსხდეთ და სწორეთ ვილაპარაკოთ.

- შენთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვს - რაცა მქონდა, გითხარი.

- ლევანჯან, ცავატანემ, სამი რამეა ფიცხი კარგი: საწისქვილე წყალი, სარეცხის მზე და ფაიტვნის ცხენი. - ვაჟკაცი დინჯი და ჭკვიანი უნდა.

- სულ ერთია, არ მოვკლავ! ვინ არი ბაშინჯაღიანი, მაჩვენე და უფულოდ იგრე გაგიბლერტო, როგორც სკინტლიანი გოდორი.

ოსკანოვმა გაიცინა.

- ვაჰ, ლევანჯან, ეგ რა კარგი მაიგონე! მართლა გოდორია და თანაც სკინტლიანი. მაგრამ, ქუ არევ, მე და შენ მაინც მოგვიწევს მაგისი მოკვლა.

- არა, მოკვლა არა.

- მოგვიწევს-მეთქი. აბა, ეგ ფული ისევ ჯიბეში ჩაიდე და მაგ სკამზე დაჯექ.

- არ მინდა სკამი, ჯამაგირი და მივდივარ!

- ძალიან გამაბრაზა და არ შავარჩენ!

- ჩვენ მარტო ხევზე მოვრიგდით.

- ბაშინჯაღიანი ნოქრადა მყვანდა და კაცად ვაქციე. ერეკლეს წყაროსთან რო ბაკია, მაგისია. ომნიბუსებისა და დილიჯნების ფულიც უპროცენტოდ ვასესხე. ორხევსა და ჩუღურეთში თავლები მე ვაშოვნინე. ჯიბე გაივსო, გასუქდა და გადიდგულდა. ეჭვადა მაქვს: იმ ფოდრატჩიკებთანაც მაგან მიბოზა. ეგ კიდევ არაფერი. იმ დღეს, ქალაქს რო მივდიოდი, ბილეთს ვინა ჩივის, ბარგის ფულიც კი გადამახდევინა. მე მაგას ამეებს შავარჩეენ?!

- იდგა ლევანა და ღია ფანჯარაში იცქირებოდა. მერე ერთხანს დააკვირდა ფანჯრის მინაზე შუქ-ჩრდილის თამაშს ნიავით აქანავებული ხის ტოტისას და კისერი მოღრიჯა.

- უზურში რა გაქ?

- ბაშინჯაღიანის სიკვდილი.

- ალა-იაგორ, ჭკვიანი კაცი ჩანხარ, რო მოჰკლა, მერე რაღა პირით უნდა იარო მიწაზე?

- ეეჰ, ლევანჯან, შენ ჯერ ბალღი ხარ და არ იცი, რამდენნაირია კაცის სიკვდილი. მაგას რასაც ვუზამ, ჩემი ხელიდან კი მკვდარი იქნება და თითონ, რამდენიც უნდა, იმდენი იაროს მიწაზე.

- მაშ, მე რათ გინდივარ?!

- ოოო, ბალიკჯააან, მინდორში რო თაგვი არ გაიცუნცულებს, ერთი შავხედო და მაშინვე გეტყვი, თხილზე მიდის თუ კაკალზე. მე კაცის ცნობაში მეძებრის ყნოსვა მაქვს. დაჯე და გეტყვი, უზურში რა არი. ჭკვიან კაცს უთქომს: ნუ იქნები იგეთი მწარე, რო გადმოგაფურთხონ, მაგრამ ნურც იგრე დასტკბები-გადაგყლაპონო. ჰააშ! ეხლა ეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფული აიღე და მაგ სკამზე დაჯე. ჰაა, დაჯე რაღა!

ლევანამ ფული მაგიდაზე გადადო და დაჯდა.

- ეგრე. ეხლა ყური მიგდე: კირაკოზას გვერდით ცარიელი ხრიოკი ადგილი არ არის, - ის უნდა ვიყიდო.

- ვინ კირაკოზა?

- ბაშინჯაღიანი, რაღა. მაგის ბაკის გვერდით უფრო დიდი ბაკი უნდა ავაშენო. ვიყიდი დილიჯნებს, ომნიბუსებს, ფაიტენებს, ეტლებს და ბილეთებს დავაიაფებ. მთელი მაგისი მუშტარი ჩემთან წამოვა. ეგ კონკურენციას ვერ გაუძლებს და ერთ წელიწადში გაკოტრდება. ეხლა რო ცხრაფუთიანი არ იწონებაა, ერთ წელიწადში იგრე შავამსუბუქო, - ქარმა წაიღოს. მააშ! - ამაზე მეტი სიკვდილი რაღათ უნდა.

- ალა-იაგორ, ეგ რა საქმეა ან მე მაგაში რაღად გინდივარ?

- როგორ თუ რად მინდიხარ? შენ კირაკოზას არ იცნობ, - ეგ მგელია, ნამდვილი მგელი!

- ფულიანი ხალხი განა სუ მგლები არა ხართ?

- ეე, ბალიკჯან, ყველა მგლები როგორ იქნება? აი, მე თითონ... უფრო დათვს ვგევარ.

ლევანა ვაჭარს დააკვირდა.

- რა განსხვავებაა, ნადირი ნადირია.

- ეე, ახპერ, შენ მაგათი ზნე არა გცნობია. მგელი რო ფარეხში არ შავარდებაა, თუ ვერ გაუგებენ, ლამის მთელ ფარას გააფუჭებს. დათვი კი ერთს აიყვანს, წავა და წაიღებს. - ისიც ხო ღვთის გაჩენილია, ჭამა ხო უნდა!

- კარგი, ერთი - მგელი, მეორე - დათვი, მემრე მე რა ვქნა ორ ნადირშუა, რა ვაკეთო? ცხვრობის გუნებაზე კი ნამდვილად არა ვარ!

- აბა, მამისმინე: მე მაგ მგელს კარგა ვიცნობ. ბაკის გაკეთებას ათასი მასალა უნდა. რო მოვზიდო და იმ მინდორში დავყარო, ეგ ნავთს გადაასხამს და ფაა-ფუუ! - აღარ იქნება ოსკანოვის ბაკი. ყარაული რო დავაყენო, მართალია, ეგ იგეთი კრიჟანგია, ხანჯალი რო არ ატაკოო, ჭრილობიდან სისხლსაც არ გამოუშვებს, მაგრამ ფულს არ დაინანებს, რო რამენაირად შააცდინოს. მა რა ვქნა, მეორე ლევანა სად ვიშოვნო?

- მაშინ წყლიდან ხმელეთზე უნდა გადმოვინაცვლო?

- და, აბაზის მაგივრად, დღეში ათი შაური.

- ყაბულსა ვარ. სულაც რო არაფერი მოგეცა, უარს არ გეტყოდი.

- ეგრე, ლევანჯან-და, მემრე მე ვიცი შენი პატივი.

- როდის იწყებ?

- ხვალვე.

- ხვალ გათენებამდის აქ ვიქნები. - ლევანამ მაგიდიდან ფული აიღო.

* * *

ტახტზე მჯდომმა ფულიანი ქისა ცაცხვის ძირას მისწია და თავადაც ზედ მიეყუდა. გაისმა ფრთხილი ფეხის ხმა და ერთბაშად ხელზე თბილი სისველე იგრძნო. მიხვდა, ძაღლი მოსულიყო.

- რაო, ბრუნო, მოგშივდა? სად ემმაკებში ეხირე წუხელ? აი, შე მექალთანევ, დაგავიწყდა ამას წინათ რო დამხოშიანად დაგბეგვეს? შენ გოგოებში წანწალი კაი დღეს არ დაგაყრის. აბა, მოდი ახლო!

ძაღლი ტახტზე აეტოტა, გაღმოხრილ პატრონს ენა ცხვირის წვერამდე მიუწვდინა და ალერსიანად აწკმუტუნდა.

ლევანამ თავ-პირი და ყელ-მხრები მოუსინჯა, ხშირი ბალანი მიუთელ-მოუთელა და თბილად უთხრა:

- ამ ჯერობაზე გადარჩენილხარ, - გადაიხარა, ცაცხვის ძირიდან ალუმინის მოზრდილი ჯამი აიღო და წინ დაიდგა. - აბა, მიდი, მიდი ეხლა და შენებურად დაბომბე!

ძაღლი ტახტზე ახტა, პატრონს გვერდულად დაუდგა და ხარბად დაუწყო საჭმელს ხლაპვა. პატრონმა ახლა მთელი სხეული მოუსინჯა და, როცა უკან და ქვემოთ ხელი ფათუნით გაუცურა, ძაღლმა კუკუხო ძირს დახარა და სასირცხვო ადგილები ბუთქუნა კუდის ლაჯებში ამოდებით დაიფარა. ლევანამ ჩუმად ჩაიქირქილა, მკერდსა და კუდუსუნზე მოსდო ხელები, მიიზიდა და სახე ხშირ ბალანში ჩაყო.

ბრუნომ ჯამი ისე მოლოკა, შიგ ლაჩის გამკეთებელი გამოაჩინა. მერე კმაყოფილი გაიზმორა, მადლობის ნიშნად პატრონს ხელები გაულოკა მის გვერდით ნებივრად გაშოტილმა თავი მუხლებზე დაუდო და მთელი ღამის ნაბღლარძუნევი ტკბილ თვლემას მიეცა.

ძალიან უყვარდა ლევანას ძაღლები. ყოველთვის ჰყავდა შესაშური მყეფარი: ღნივრები, გონივრები, ფხიზლები, მაგრამ ბოღრას მსგავსი და ფარდი აღარსად გამო-

ჩნდა. ბოღრა არ იყო სხვებსავით ვეება, საშუალო ტანისა გახლდათ, მაგრამ ისეთი მკვრივად შეკრული, ისეთი კუნთმაგარი, ისეთი რკინისგულა, რომ ძაღლები მარტო მის დანახვაზეც შიშით ფეთდებოდნენ. სამი ძაღლი ჰყავდათ მიქელაანთ, - სამივე უბნის ძაღლების რისხვა! როგორც კი საღამოს მინდვრიდან შინ მიმავალი ლევანა მათ კარზე აივლიდა, სამივე ძაღლი აივანქვეშ იმალებოდა. გვერდზე აღევნებული ბოღრა პატრონს უკან ჩუმათ ჩამორჩებოდა, შევიდოდა მათ ეზოში, ურმის თვალსა თუ მარხილის კავზე, გოდრებსა თუ კრუხის მიტოვებულ საბუდრებზე, ამ ძაღლების თვალწინ ასწევდა ცალ ფეხს, გუნებიერად მიაფსამ-მოაფსამდა, მერე ავიდოდა აივანზე, ზედ საქმიანად გაივლგამოივლიდა, მერე ისევ ჩამოვიდოდა ძირს, კვლავ აუჩქარებლად გადასჭრიდა ეზოს და ისევ პატრონს ამოუდგებოდა გვერდით. იმ სამი ძაღლიდან, არ მომხდარა, ერთს მაინც გაებედა და ყრუდ წაეღრინა ოდესმე. ლევანა ამას ყველაფერს მშვენივრად ხედავდა, მაგრამ ბოღრასთან თავს ისე იჭერდა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. მთელი სოფლის ძაღლების ხროვა რომ წინ შემოჰყროდა, კუდს დაბლა არ დაუშვებდა, სულ მაღლა ეჭირა ბაირაღივით. მერე როგორი ჭკვიანი იყო! - რიყის თავზე მდგარ აგურხანაში კლდეზე გაჭრილი ბილიკით ადიოდნენ. ლევანას უფროსი გოგოს მომდევნომ, ნინომ, სადილი აუტანა მეაგურეებს. სადილს რომ მორჩნენ, ნინომ ჭურჭელი კვლავ ბოხჩად გამოჰკრა და შინ გაბრუნდა. ბლის ძირას მიწოლილი ნავთიანის ძაღლი წამოდგა და გოგოს ჩუმად აედევნა. ხალხმა იცოდა, რომ ეს ძაღლი მიმპარავი იყო და შეშფოთებით წამოცვივდნენ ფეხზე. ძვლის ხვრით გართულმა ბოღრამ ყური ცქვიტა, ერთ წამს გაიაზრა ყველაფერი და ისიც, რომ რიყეში კიბედ ჩამავალ ბილიკით ველარ დაეწეოდა გოგოს აღევნებულს. მეაგურეების თვალწინ ბლიდან კლდემდე მანძილი თითქოს წითურმა ელვამ გადასერაო, ისე გაიქროლა ბოღრამ და პირდაპირ კლდიდან გადამხტარი მოგლეჯილი ლოდივით დაეცა თავზე ნავთიანის ძაღლს. გოგოს შეკივლებას ძაღლის განწირული წკნავილ-წკავწკავი ამოჰყვა რიყიდან. ლევანამ პირდაპირ ბილიკზე ჩაირბინა. კლდეზე გადამდგრებმა თვალი ჰკიდეს: ბოღრას ნავთიანის ძაღლისთვის შუა ხერხემალში დაეცა პირი, მაღლა აეტაცნა და, აქეთ-იქით გააფთრებული ქნევით, ხან თავს ახლევინებდა რიყის ქვებზე და ხან ბოლოს. იქვე იდგა შიშისაგან დაფეთებული ბაღლი და ცახცახებდა.

- არიქა, კაცო, მოკლა მაგ ღმერთძაღლმა ე ძაღლი, - ყვიროდა კლდიდან ნავთიანი.

ლევანამ ბაღლს მიუგურგურა, ტანი და ხელ-ფეხი მოუსინჯა, კბილი ხომ არსად გაუკრავს მყეფარსო, მერე ხელიდან გავარდნილი ბოღჩა აიღო და ისევ გოგოს მისცა.

- აჰა, წაიღე და წადი, ეხლა ნუღარ გეშინიან.

გაჭირვებული ძაღლის ხვეწნა-მუდარა და ტირილ-ჩივილი კლდის მაღლა, ღმერთამდე ადიოდა.

- მიჰხედე, კაცო, გააგდებინე პირიდან, თორემ გადაუკვნიტა ძვლები! - იფოფრებოდა ზემოდან ნავთიანი.

- არაფერი უშავს, ცოტა ჭკუას ისწავლის, მემრე ეცოდინება, ვის უნდა შეჰბედოს ღრენა-კბენა. - მერე ძაღლს მიუბრუნდა, ბოღრავ, გაუშვი!

ბოღრამ ერთიც მოიქნია თავისი მსხვერპლი, ერთიც უგალა თავი ქვასა და მერე პირი უშვა... ეს არაფერი, მერე მოხდა, რაც მოხდა: როგორც კი აგურის ჭრა დაამთავრეს და სოფლის ბოლოდან შინ ამოვიდნენ, ბოღრა დაიკარგა! მთელი სოფელი ეზოეზო დაიარა ლევანამ, ძირისძირობამდის გადააქოთა ტყის პირები, ყველა უბნის სანაგვე და, ვერც მკვდარს მიაგნო და ვერც ცოცხალს. გამწარდა ლევანა, ოჯახის წევრივით უყვარდა ძაღლი. გავიდა მთელი კვირა და კოლმეურნეობამ გადაწყვიტა აგურხანაზე დახურული კრამიტი ამოეტანა. ახლა არყის სახელზე - „ზაოდზე“ უნდა დაეხურნათ. შეაბა გიგოლამ კამეჩები, დაუსხდნენ გვერდზე ლევანას ნავთიანი და ჩიხრიხა. გასწიეს სოფლის ბოლოსკენ.

- როგორც კი აგურხანასთან ავიდნენ, მოშორებით, კვრინჩხებთან მიწოლილი ძაღლი დაინახეს.

- აქ რას აკეთებ, ბოღრავ?! - გადაირია ლევანა.

ძაღლმა რომ პატრონი დაინახა, აღარ იცოდა სიხარულით რა ექნა. რაც იმან ლოკა, ყნოსა და ეფერა! - დადგა უკანა ფეხებზე, წინა თათებით აებღოტა, როგორც კაცი კაცს, ისე მოეხვია წელზე, თავი სად აღარ უგლასუნა, იწკმუტუნა, იტირა თუ იცინა, იქ მყოფთ ველარ გააშორეს კარგა ხანს ძაღლი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონი ერთმანეთს.

- რა გინდოდა აქ, რატო არ ამოხვედი შინ, რა დაგემართა? - ლევანამ გულდაგულ სათითაოდ გადაუსინჯა ყველა ძვალ-სახსარი და ვერსად იგუმანა ნაჭრილობები ან მოტეხილობა. - ტყუილია, ეს ძაღლი აქ უმიზეზოდ არ დარჩებოდა.

- კარგი, ჰო, გეყოფათ, ე კრამიტს მიხედვა უნდა, ეხლა გაგისკდათ სიყვარულის გუდა ძაღლსა და პატრონს?!

- ტყუილია, გიგოლ, ეს ძაღლი უმიზეზოდ აქ არ დარჩებოდა.

ლევანა კვრინჩხებისკენ წავიდა.

ძაღლის ნაწოლთან მისი ძველი, გაცვეთილი წინდები ეყარა.

ლევანამ ერთხანს უყურა, მერე თავი დანანებით გადაიქნია და წინდები აიღო.

- ერთი უყურე, კაცო, ერთი უყურე, თავი შიმშილით რისთვის მოუკლავს.

გიგოლამ გაოცება ველარ დამალა.

- უნამუსო კაცი ვიყო, თუ ეს ძაღლი ერთ ოჯახად არ ღირდეს.

მაგრამ ყველაზე საკვირველი ის იყო: როცა კრამიტი აჰხადეს საავურეს და ურემზე დაუდეს, ბოღრამ სამგზავროდ აჭრიალებულ ურემსა და პატრონს თვალი მდუმარედ და მუდარით გააყოლა.

ლევანამ უკან მოიხედა.

- რა დაგემართა, ბოღრავ, რას უყურებ, ვერ ატყობ რო ღამდება?

ძაღლი ერთხანს იდგა თავჩაქინდრული. მერე გაბრუნდა შიმშილისგან მუცელგალასტული და ისევ კვრინჩხებისკენ წალასლასდა.

ლევანა, რაკი ძაღლი თავის გვერდზე ვერ დაინახა, უკან მობრუნდა. თვალი ჰკიდა, კვრინჩხებთან მიყრილი წინდების გვერდით როგორ წვებოდა.

- ნახე, გიგოლ, რას შვრება ეს ძაღლი, კაცო?

გიგოლამ უკან მოიხედა, ძაღლს შეხედა და თავი გაიქნია.

- ეგ ძაღლი მაგ წინდებს არ მოეშვება, ლევან. თავს მოიკლავს და არ მოეშვება.

ლევანა დაბრუნდა უკან და ძაღლთან მივიდა.

ბოღრამ კუდი სიხარულით უძლურად აბათქუნა და თვალებში სიყვარულით მიაჩერდა.

ლევანა ჩაცუცქდა, წინდები აიღო და ძაღლს ცხვირთან მიუტანა.

- ეს ძველი წინდებია, ბოღრავ, ახლები ჩავიცვი და ესენი გადავყარე, აღარ ვარგა, აი, აჰა, აღარ ვარგა, - თითები გაუყარა გაცვეთილი წინდის ნახვრეტებში. - აი, ამისთვის გადავყარე. - და წინდები უფრო შორს მოისროლა, - ადე ეხლა, წამოდი. - ადგა და თავად წამოვიდა.

ათიოდე ნაბიჯის შემდეგ მოიხედა.

ძაღლი მიძუნძულდა და ახლა იქ მიწვა, სადაც ძველი წინდები დაეცა.

და მიხვდა ლევანა, როგორც უნდა მოქცეულიყო, რათა ძაღლი შინ მიეყვანა...

ბრუნომ მოხუჭულ თვალზე თათი ერთხელ კიდევ ჩამოიკრა, მოძალებული ბუზი ერთხელ კიდევ გააფრთხო და საბოლოოდ გამოფხიზლდა. ადგა, ნებიერად გაიჭიმა, გემოზე დაამთქნარა და პატრონს თავი გამოსამშვიდობებლად გაუხახუნა.

- კარგი, წადი, მაგრამ სამამაძაღლოდ აღარ გინდა, - ამაღამ მე და შენ ვენახში შაბაში უნდა შევკრათ.

ძაღლი ტახტიდან ჩამოხტა და მალე მისი რბილი ფეხის ხმაც გაერიდა ყურთა სმენას. „ნუთუ ძაღლს გარდა პატრონის ამგვარი ერთგულება და სიყვარული სხვა ცხოველებმაც იციან? ცხენი! ცხენსაც მაგარი სიყვარული სცოდნია.“ ერთხელ ლევანასა და თავის გოგოებს დანიელოვი მოუყვა, როგორ გადაარჩინა ტყვეობას ცხენმა თავისი პატრონი, თავად კი დაიღუპა: ერთ ბედუინს ძალიან კარგი ცხენი ჰყავდა. ერთხელ სალაშქროდ წავიდა. მტერმა დაამარცხა და ცხენთან ერთად ტყვედ ჩაიგდო. როგორც კი დაღამდა და გამარჯვებულნი ძილს მიეცნენ, ცხენმა აღვირის ტოტები გადაღრღნა, ხელფეხშეკრულ პატრონს დასცა ტანსაცმელზე პირი, გამოიტაცა და უდაბნოს მისცა თავი. გათენებამდის შეუსვენებლად ირბინა და გათენებისას პატრონი თავის კარავში მიიყვანა. თავად იქვე დაეცა და განუტევა სული...

- ოოო! ლევანას რომ ჰყოლოდა ასეთი ცხენები...

* * *

ცხენებმა როგორც კი წყლის სუნი იკრეს, ფეხს აუჩქარეს და ფაიტონი აუზთან ღვრიალით მიიტანეს.

დაფეთებული გოგო უკან მიაწყდა. ჭურჭელმა აუზის კედელზე ჭახანი მოიღო და ნამტვრევებად გაშალა.

მეეტლე კოფოდან გადმოხტა. გოგო რომ უვნებელი დაინახა, სინანულით დახედა სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა


რის ნამტვრევებს. ნელა დაიძრა, ახლოს მივიდა და ყური მოჰკრა სასოწარკვეთილ ჩურჩულს: „მამკლავს მამაჩემი, მამკლავს მამაჩემი..." მეეტლემ ხელი გაიწოდა და თვალებზე აფარებული მაჯა ძირს ჩამოალებინა. გოგოს მთელი სახე ცხენთა ფლოქვებისაგან ანასხლეტი ლაფით გასწუწოდა. გაელიმა.

- ეს არაფერია, ხელად ისევ კოხტა გოგოდ იქცევი.

კაცმა წყაროს მილისკენ შეაბრუნა, დაბებკილი თავსაფარი მოხსნა და ვეება მუჭა წყალს შეუშვირა. როცა პირი კარგად მოჰბანა, ქულაჯის კალთა ასწია და სარჩულით შეუმშრალა.

- აბა, ეხლა მეჩვენე, მზეთუნახავო.

გოგომ თავი ასწია და კაცს შეშინებული მზერა მიაპყრო. თვალებში ორი ისეთი დაბინდული მზე ედგა, მეეტლემ უმალ გაიფიქრა: „ალბათ, მალე მოუშლიან ამ ბალღს ბუდეს..."

- აჰა, შენი თავსაფარი და ცოტა ხანს აქ დამიცადე, ეხლავ დავბრუნდები, - ჩემი გაფუჭებული საქმე მევე უნდა გამოვასწორო.

ფაიტონმა მოდიდებული ხევხევას ფონი გაიარა და თვალს მიეფარა. მთელი უსასრულო ნახევარი საათი გავიდა, სანამ ფაიტონი კვლავ გამოჩნდებოდა. იდგა გოგო მორჩილად, სიცივითა და გაურკვეველი მოლოდინით ატანილი. ყინვაში გამოსული ქათამივით ხან ერთ ფეხს ასწევდა, ხან მეორეს. ფაიტონი რომ დაბრუნდა, მაშინლა დაორფეხდა და აკანკალებული ხმით წაიჩურჩულა:

- ეხლა წავალ.

ადვილი მისახვედრი იყო, გოგომ არ იცოდა, ამდენ ხანს რად იცდიდა. იცდიდა მხოლოდ იმიტომ, რომ უთხრეს დაიცადეო.

- ერთი წუთიც! - ფაიტონიდან ჩამომხტარმა კაცმა სადავე კოფოზე მიაგდო და ახალთახალი სურა წყალს შეუშვირა. ორჯერ გამორეცხა საგულდაგულოდ, მერე გაავსო და გაშტერებულ გოგოს მიაჩეჩა.

გოგო ვერაფერს მიხვდა და დაბნეული მზერა კაცს შეავლო.

- გამომართვი, შენია.

- ჩემია? - დაიბნა გოგო.

- ჰო, დაიჭი და გაიქეცი, შინ, ალბათ, რა ხანია გელოდებიან.

გოგო კვლავ გაბრუებული იდგა გაუნძრევლად. შემდეგ სავსე სურას შეაჩერდა და, თითქოს ბურანიდან ერკვევაო, უჯერმაჯერად შეათვალიერა. მერე, რაკი ბოლომდე გაიცნობიერა, რაც მის თავზე მოხდა და ხდებოდა, ბედნიერებისაგან აცრემლებული თვალი კაცს, როგორც ღმერთს ისე შეანათა. კაცმა ერთიც ახედ-დახედა გოგოს და ახლალა შეამჩნია, რომ ფეხშიშველი იყო. რალაც სინაზისა და სიბრალულის მსგავსმა გაჰკრა გულზე და თავი სინანულით გადაიქნია.

- სად ცხოვრობ, გოგო?

გოგო უცხო კაცის კითხვაზე ერთხანს შეყოვნდა, შემდეგ უთხრა, სადაც ცხოვრობდა.

- მერე, იმ სიშორიდან აქ დადიხარ წყალზე?!

- ჰო. წვიმის დროს ჩვენი წყალი იმღვრევა ხოლმე.

- კარგი, დაჯექი, მეც იქით მივდივარ. - მეეტლე კოფოზე მსუბუქად შეხტა და სადავეები წამოკრიფა, მცირე ხნის შემდეგ მოიხედა. გოგო ისევ ერთ ადგილას იდგა. სავსე სურის სიმძიმეს მისი ცალი მხარი ძირს ცერად დაეშვა.

- დაჯექი, შინამდის მიგიყვან.

გოგო, თითქოს ეს ნათქვამი მისთვის არ იყო გამიზნული მორცხვად არიდებდა შემკრთალ მზერას ლამაზ ფაიტონსა და კოხტად მორთულ ცხენებს.

- ჩქარა, ჩაჯექი, თორემ მთლად გაიყინები ამ ლაფში დგომით.

- ვერ დავჯდები, მამკლავს მამაჩემი - უცხო კაცს როგორ ჩაუჯექიო.

- ჰოო, ეგ კი ველარ ვიანგარიშე... თუმცა, დაიცა, მამაშენს მე დაველაპარაკები, ვეტყვი, რომ სულაც ჩემი მიზეზით გაგიტყდა სურა და ფაიტონით შენი შინ მიყვანა ჩემგან ბოდიშის მოხდად მიიღოს.

გოგომ ცოტა უნდობლად შეავლო თვალი.

- კარგი. თუ მაინც ცემა დაგიპირა, ვეტყვი, რო თითი არ დაგაკაროს.

იმან იცის, ვინცა ვარ და ხმასაც ვერ გაგცემს უბატონოდ.

სიცივისგან ფერდაკარგულმა გოგომ ძლივს დასძლია შიშგარეული მორცხვობა, ნელა დაიძრა, მორიდებით აბიჯა ფაიტონზე და სავსე სურაც თან აიტანა.

* * *

- პაპაჩემო, არ გესმის, პაპაჩემო?! - შალვას ხმა იყო.

ლევანა ერთბაშად გამოფხიზლდა და ტახტს მომდგარს აჰხედა.

- მეც წაედი, პაპავ. საჭმელი სამზარეულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოში მაგიდაზეა. კაი კიტრისა და პამიდვრის სალათაც გაგიკეთე. შენი ღვინის ხელადაც იქვეა. პური, იცი, სადაც არი. როგორც კი მოგშივდება, ადი და დააყუმბარე. აქ აღარ ჩამოგიტანე - ძაღლი, ღორი, კატა, ქათამი და ჩიტი-ჭრიტი ყველა შენი დოსტია სუფრაზე, - წაგიმურტლავენ.

- შენ სად მიდიხარ?

- აბა, სად წავალ?! კიბო - მდინარისკენ, თევზი - ზღვისკენ, გედი - ცისკენ, მე - სამსახურში.

- კაცო, წუხელ მთელი ღამე იქ იყავი, არა გძინებია, ეხლა მაინც დაგეძინა. რა გაქვთ იგეთი იმ ღვინის ქარხანაში, რო სულ იქ ათენ-აღამებ.

- სეზონისთვის ვემზადებით.

- წინათაც გქონდათ სეზონები, მაგრამ ეგრე არ გაგიჟებულხართ. ეს მთელი ღამე მუშაობა რაღაა?

- შენ როგორ ლაპარაკობ, პაპაჩემო, - შალვამ ხმას დაუწია, - იმოდენა შაქარს დაბინავება არ უნდოდა?!

- წუხელაც შაქარს ეზიდებოდით?

- მაშა! მთელი ღამე მუშებს ვედექი თავზე.

ლევანამ ერთხანს იყუჩა, მერე დაფიქრებით, სინანულით თქვა:

- თქვენ ეგ შაქარი კარგს არაფერს მოგწევთ. მაგ სიტკბომ შეიძლება იგეთი სიმწარე გაჩვენოთ, თავბედი გაწყევლინოთ. თქვენ ეგრე არ მოგივიდეთ: ვირი რო მოგებაზე წავიდა და ნალებიც იქ დაყარა. გირჩევნიათ, მაგ ფულთან თამაშს თავი ანებოთ და წლობით თქვენგან წამურტლულ ღვინის ხარისხს მიხედოთ! არმათ ნაშოვნი - არმათვე წავა. თათრებმა იციან: კარტში მოგებული ფულით მეჩეთი არ აშენდებაო. როგორ გაანადგურეთ, შვილო, როგორ წაახდინეთ ყველაფერი, წმინდა რაც არი!

- მე რა მენაღვლება, როცა მთავრობა თითონ გვეუბნება: თქვენ მიდით - ჩვენ აქა ვართო?

- ადამიანი სიკვდილთან და კანონის წინაშე მარტოა, თუ ამ კანონს პატიოსანი ადამიანები უდგანან გვერდში. აქ მეგობრები და თანამზრახველები სათვალავში არ ჩაიგდებიან, მაგრამ, თუ მართლა ზევიდან არი ეგ ყველაფერი ნებადართული, კიდევ უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო, რადგან გამოდის, რო იქაც თქვენისთანა თაღლითები სხედან, იმ სათავეში. ეს კი ორმაგად საშიშია, რადგან საჭიროების ჟამს იმათგან დანდობა არ ეგების. აქედანვე ეცადეთ, რაკი არ იშლით, თავის დასაძვრენი ხვრელი სადმე გაიგნოთ რამენაირად. ნათქვამია: „ღმერთის იმედი იქონიე, მაგრამ ვირი მაინც მაგრად დააბიო".

- შენ ნუ გეშინიან, პაპავ, ყველა ვირი რა ხანია მაგრადა გვყავს დაბმული.

- მე მაგ ვირებზე არ გეუბნები. სწორედ ეგენი არიან საშიში: როგორც კი ფეხი აგიცდებათ, მაშინვე ყველა ვირი აიწყვეტს საბმურიდან. ამოდენა ხნის კაცი ვარ, თვალისამხილე, სამ მთავრობას მოვესწარი და ჯერ ეგეთი რამე არა მსმენია, - მთავრობა თავად აქეზებდეს - იქურდეთ, იარამზადეთ, გაყველიფეთ და ითაღლითეთო. რაო, გაზეთში ეწერა?

- ამას გაზეთში ვინ დასწერს, პაპავ, ჩუმათ არი ნებადართული. მოსკოვს შეპპირდნენ: ამდენსა და ამდენ ყურძენს მოვიყვანთო. მთელი საქართველო რო ზვრებად აქციო, მაგის ნახევარიც არ მოვა, გეგმას კი შესრულება უნდა, თორემ საკავშირო ცეკასთან ჩვენი ცეკა, როგორ გგონია, პირშავად დარჩება?! მაშ, ყოველ წელს საიდან მოსდით ორდენ-მედლები, დაწინაურება, თანამდებობები და პრემია-ჯილდოები? აქ კოლექტივი თუ მეურნეობა, რამდენიც საჭიროა, იმდენს უმატებს, როცა რაიკომს ცნობებს აწვდის გეგმის შესრულებაზე; რაიკომი თავისას უმატებს და თანაც იმდენს, რო მოცემული გეგმა გადაჭარბებით შეასრულოს და ცეკას ეგრე აწვდის. ცეკა მოსკოვს თავისი დანამატით აწვდის და საკავშირო გეგმაცა და დანაპირებიც ეგრე სრულდება.

- იგრე მიხსნი მაგას, თითქოს ეთქვენოთ არ ვიცოდე, რა ღვთისნათლულებიცა ხართ! მაგრამ ის ათი მცნება მარტო მოსესა და ქრისტესგან კი არ მოდის - რაც ადამიანი თავისი გონებით პირუტყვზე ამაღლდა, მას მერე ისმის: არა იმრუშოო. თქვენ მრუშობა მარტო დედაკაცთან ხო არა გგონიათ? ყველაზე დიდი მრუშობა - ნამუსთან მრუშობაა. აქედან იღებს სათავეს ყველანაირი სიდამპლე და სიმყრალე.

- ეჰ, პაპაჩემო, ნეტა რა მოგიტანა ამ შენი სინდისის სიწმინდემ? ეს ღვინის ქარხანა რო არ ყოფილიყო, შენ ისევ იმ დაქონქილ, ნათავადარ სახლში უნდა გეცხოვრა შენი მეზობელივით.

- რით არა სჯობდა, ვითომ, ის ძველი სახლი ამ შენს მიშენებულ-მოშენებულ-დაშენებულ ზიზილ-პიპილოს? ამ ფულით ორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ოჯახი აშენდებოდა ჯანაანში. ფრთხილად იყავი, ზომიერება ყველაფერში სიკეთის დედაა.

- ბუზი ხო ბუზია, პაპაჩემო, და ისიც კი სიტკბოს ეტანება, კაცისგან რა გასაკვირია;

- ბუზი მარტო სიტკბოს კი არა, სიდამპლესა და სიმყრალეს არანაკლებ ეტანება. კაცი კი იმიტომ არი კაცი, რო იცოდეს: ცეცხლი ქაღალდში არ შეიხვევა და, სანამ პირს დაღებდეს, ჯერ თვალი გაახილოს კარგად. კომუნისტებს ძაღლი არ ენდობა, არა იმიტომ, რომ კომუნისტები არიან, არამედ იმისთვის, რომ კომუნისტის სახელს ამოფარებული მგლები! ის კომუნისტები, ვინც გულისგულში ადამიანის თანასწორობასა და პატიოსნებას ატარებდნენ, დიდი ხანია გადაშენდნენ. ეხლა კომუნისტების დიქტატურა კი არა, პარტიის დიქტატურაა! ამიტომ ყოველი მგელი და მგლის ლეკვი ათასობითა და, ზოგჯერაც, ათიათასობით ხარჯავს ფულს, რათა როგორმე პარტიის მანდატი იგდოს ხელთ, რადგან უპარტიოს ბორჯომის შიმტანადაც არ მიიღებენ სადმე სამსახურში. დაიხსომე: ღმერთმა ნუ ქნას და ქვეყანა რო გადატრიალდეს, ყველა სათავეში ისევ ეს პარტიულები მოგევლინებიან, ოღონდ კომუნისტურ ქურქს გაიხდიან და საკუთარი ტყავით გამოვლენ სათარეშოდ... მაგათ განსჯაგანკითხვა სამართლის სასწორზე არ უწერიათ. მაგათთან ხუმრობა ჯერ არავის წასდგომია კარგად.

- შენ რო კაცმა ყური გიგდოს, მთელი ქვეყანა სამგლეთად არი გადაქცეული.

- ეგრეც გაგრძელდება, სანამ „კომუნისტური“ ჭრა-კერვა იქნება. იცოდე: თათარს რო აჭრიან, შიგ ძირში კი არ აჭრიან - მხოლოდ იმდენს, რამდენიც საჭიროა. იმერელი ყურძენს შაქარს იმიტომ აყრის, რო იქ, მთიან ადგილას, ყურძენი ვერ ასწრებს დამწიფებას და ღვინო მჟავე გამოდის, აქ კი, კახეთში, იგრე მწიფდება, შაქრიანობა ზოგჯერ ოცდაექვს-ოცდაშვიდ გრადუსამდე ადის. აქ რაღად სწამლავთ, შვილო? შაქრით გაკეთებული ღვინო ინფარქტის პირველი მასალააო. შენ მე მომყიდი, მე - შენ, ის - იმას და ამით ჩვენ ყველა ერთმანეთს ვწამლავთ. მაშასადამე, საკუთარ თავს ჩვენვე ვიწამლავთ.

- ნუ გეშინიან, პაპავ, საჩვენო და საძმაკაცო ღვინოს ცალკე ვაყენებთ და ვინახავთ ხოლმე. მე შენ დაშაქრულ ღვინოს დაგალევინებ?!

ლევანა ერთხანს დუმდა, მერე თავზე წამოყუდებულ შვილიშვილს ახედა და დაფიქრებით უხთრა:

- კარგი, წადი, შვილო. სიგიჟეა ბრმათა ქვეყანაში სარკეების შეტანა... უწმინდურება სუფთა ადგილზე ჩანს ხოლმე. წადი, იქნება შეგრჩეთ, რადგან თითქმის მთელი ქვეყანა უწმინდურებითაა წამურტლული.

- ეგრე, შე კაი კაცო. მარტო მე რას მომდგები ხოლმე? როდის იყო ერთი ყვავილით გვირგვინი იწვნებოდა? - და შალვა წავიდა.

* * *

ლევანა ისევ გულაღმა გაწვა ტახტზე. დიდხანს იყო ჩუმათ. მერე იდაყვზე წამოიწია და გაკვირვებით, რომელშიაც მოწონება საკმაო დოზით იყო შერეული, წაილაპარაკა:

- ნახე, რა მითხრა ამ მამაძაღლმა?! - ერთი ყვავილით გვირგვინი არ დაიწვნებაო... ყვავილი... ყვავილი... „ყოილი, ხშირი ყოილი დაფენილიყო გზაზედა...“ ისიც „ყოილი“ იყო. - საწყალი, უპატრონო, უპოვარი და მარტოსული „ყოილი...“ და ლევანა უცებ გადასახლდა ჯანაანის დილის ბინდბუნდში.

* * *

ცხენმა საწნახელივით გრძელ აუზს გვერდი გულგრილად ვერ აუარა. გაიწია და ლევანამაც ნებაზე მიუშვა. კამკამა წყლის სარკე ერთბაშად დაიმსხვრა და შიგ ვეება კაკლის მრუმე გამოსახულება ოკრობოკროდ ათამაშდა.

ჩაღმა ჩაფენილი სოფელი საგანთიადოდ ჩუჩუნებდა. წყაროს იქით, გორაკზე, ქონგურებიანი ციხე-გალავნის რუხი კედლები და ოდნავ წინწამოწეული საბრძოლო გოდოლები ისევა თვლემდნენ გარიჟრაჟმოძალებულნი.

ლევანამ დარწყულებული ცხენი შემობრუნა და ადგილზე გააქვავა. წყაროზე გადაყვანილ თაღს კეფით მიყრდნობილი, მკერდზე სურააზუტებული გოგო იდგა. ლევანამ ცხენს ფერდებზე ქუსლები ოდნავ მოუცაცუნა და ახლოს მივიდა. გოგოს ნაცნობი სახე ჰქონდა, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა, სად ენახა. ერთიც შეხედა და თვალი ველარ მოაცილა. ქალი ისე აჩქარებით სუნთქავდა, თითქოს თელავიდან ჯანაანამდე შეუსვენებლად ურბენიაო. მკერდი სწრაფად აუდ-ჩაუდიოდა. ტუჩები გახსნოდა და იქიდან მძივივით აკინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძული კბილები ქათქათებდა, ხოლო თვალებში, შავ, უძირო თვალებში, უძილო ღამეობით ნანატრის აღსრულების, ბავშვისათვის დაკარგული ძვირფასი სათამაშოს ნაცუბათევი პოვნისა და წამებით გავლილი გზის დასასრულის სიხარული ჭიატობდა.

გოგომ სურა კიდევ უფრო მჭიდროდ მიიკრა მკერდზე და განთიადის მოძალებულ შუქზე შავგვრემან ღაწვებზე ცეცხლი წაიკიდა.

ლევანა ქალის გამოხედვამ და მღელვარებამ დააეჭვა. მერე რაღაც გაურკვეველი ბგერები აღმოხდა და ცხენიდან მოსხლეტით ისკუპა.

- თინა, თინიკო, პატარა თინათინო, დავიჯერო, შენა ხარ?! როგორ გაზრდილხარ, რამოდენა გოგო გამხდარხარ, შე პატარა თინათინო, შე პატარა თინიკო! ჰოი, შენ გენაცვალოს განჯა-ყარაბაღი, ერან-თურანი, მაშრიყ-მაღრიბი და, თუ ეს არ იკმარებს, ზედ ჩინ-მაჩინი და ინდოეთი დამიმატებია. აქ ამ დროს რა გინდა?! აქ რას აკეთებ, განა ამ გვალვაშიც თქვენი წყალი ისევ მღვრიე მოდის? ეს ჩემი ნაჩუქარი სურა ხო არ არი, გულში რო ჩაგიხუტებია? ის არი, სწორედ ის არი, მე რო მოგიტანე, ჩემგანვე გატეხილი სურის მაგივრად.

გოგოს სახე მთლად გაუნათდა, კიდევ უფრო მიიკრა სურა მკერდზე და აფორიაქებულმა მიმოიხედა.

- უნდა წავიდე, ეხლა წყალზე ხალხი გამოვა, დამინახავენ.

ლევანა უცებ მოეგო გონზე, შეშფოთებით მოავლო თვალი გზას და რიყის პირს.

- დახე, მართლაც შემომათენდა. შენ კი, თინიკო, დღეის შემდეგ ხურაფერი ნუ შეგაშინებს, ნურც მამაშენთან ლაპარაკი და ნურც სოფელი. ყველას უთხარი, რომ ლევანას დანიშნული ხარ და, თუ ვინმე გამოჩნდება თავზეხელაღებული, ლევანამ იცის ეგეთი ჯეილების დაჭკვიანება. ეხლა დრო არა მაქვს, დიდხანს არ შემიძლია გაჩერება. აქ შენს გარდა არავინ არ უნდა დამინახოს. მელოდე და, როგორც კი ვიდროვებ, მოვალ და ქალაქში, ჩემთან წაგიყვან. აი, აჰა, ეს წაიღე და უთხარ მამაშენს, რაც საჭიროა, ყველაფერი კარგად გიყიდოს, ყველაფერი, ყველაფერი, რაც დაგჭირდება. ჩემმა დანიშნულმა სოფელში იგრე უნდა იაროს, თითქოს ჩუმათხეველთა სარძლო იყოს. აქ იმდენია, მამაშენსაც გაუნაწილებ. იცოდე, არაფერი დაიკლო, დამელოდე და არ ინანებ. აი, ეს ბაღდადი კი ჩემ სახსოვრად ეხლავე მომირთმევნია! დაიხსომე, რო დღეიდან შენ ჩემი დანიშნული ხარ! მეტს ველარაფერს გეტყვი, უნდა წავიდე. ჰა, გამომართვი, თორემ ამ წყაროზე შემომათენდა. მამაშენს ამ ფულთან ერთად ისიც გადაეცი: დღეიდან იგრე გაგიფრთხილდეს, როგორც ჯანაანის დედოფალს! აჰა, გამომართვი, თორემ სამზეური ლამის გაწითლდეს.

გოგომ აღარ იცოდა, რა უნდა ექნა თავს დატეხილი ამოდენა ბედნიერებისათვის. არც ის იცოდა, ამ წუთს როგორ უნდა მოქცეულიყო. იდგა ჭკუადაფანტული, გაშეშმიშებული და ჯერაც ბაიბურში არ იყო, დღეიდან როგორ უნდა შეცვლილიყო მისი ცხოვრება. უცქერდა მეეტლეს გამოუთქმელი სიყვარულით და თვალი ველარ მოეწყვიტნა მისი ცეცხლოვანი თვალებისათვის.

ლევანა მიხვდა, ქალი ახლა რა დღეშიც იყო, ფული მოამრგვალა და სურის ყელში ჩაუჩურთა, მერე ერთი ნახტომით მოევლო შიშველ ცხენს, ჰკრა ქუსლი და სოფლის თავზე გამავალ ტყეში ჭენებით შეაგდო...

* * *

- მამაამთილო, მამაამთილო!.. მამააამთილო!.. - მეზობელი იძახოდა ბაღის ბოლოდან.

- ბატონო, ბატონო, ბატონო!

- შინა ხაართ, ხალხო?!

- ქათმებს დოუძახე, დოუძახე, დოუძახე!

- ვერ გავიგე, რას ამბობ!

- დათვალე, დათვალე, დათვალე!

- არ მესმის, კაცო, ვერ გავიგე!

- ერთი, ორი, სამი, ოთხი... ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა!..

- რა ვქნაა, ეს კაცი ხო არ გაგიჟდა, ქაა? - ბუტბუტებდა მოახლოებული ლიზა.

- მეთერთმეტე დაკაარგულა, დაკაარგულა, დაკაარგულაა!

- რა არი, ლევანა ძიავ, ავათა ხარ?

- არა. ეს სიმღერა მამამთილოთი კი არა - დედამთილოთი იწყება.

- იჰ, ე რანაირი ხუმრბა იცი ხოლმე, ქაა.

- რა არი, გიჭირს რამე?

- ცელი მინდა, ლევანა ძიავ, ცოტა ხანს მათხოვე...

- ცელი რად გინდა?

- აგე, მარნის გარშემო ანწლი და ჭინჭარი უნდა გამოვშლანგო.

- შენა?!

- არა, ქაა, მე ცელისა რა ვიცი. ი ბიჭი

შინ არი.

- ნუ ამაყენებ, მიდი საჩეხში და ახალი, მოკლე რომელიცა არი, ის ჩამოიღე. მეორეს, ყუნწში როა გადაბმული, ხელი არ ახლო.

როცა ცელიანმა ლიზამ ახლო გაუარა, ტახტიდან წამოიწია და გასძახა:

- აბა, მაჩვენე, რომელი მიგაქ!

- ნუ გეშინიან, გრძელისთვინ ხელი არ მიხლია, მოკლე მიმაქ. ი ბიჭსაც მოკლე უყვარს.

- შენა? შენ რომელი გიყვარს?!

- იი, ქაა, შენ როგორიღა ხუმრობა იცი ხოლმე, ლევანა ძიავ!

ეს მერამდენე წელია, აღარ უხმარია ის ცელი. არი არხეინად ჩამოკიდებული საჩეხში და თვლემს თავისთვის. ახლაც არ იცის, სად იშოვა ადამამ. იმსიგრძე იყო, თავიდან რომ დააყუდებდა, წვერი ჭიპამდე სწვდებოდა. ჯიბრიანი იყო ლევანა - სულ ეგონა, თიბვაში რუსი იმიტომ ჯობნიდა, ეს ალმასივით მჭრელი ცელი ეჭირა. იმდენი ქნა, მოჰპარა. პატრონს რომ ველარ ეცნო, მჭედელს ყუნწი მოაჭრევინა და ისევ ზედვე მიაკერებინა. მაინც იცნო ადამამ. როცა სათიბად გავიდნენ, თავი დანანებით გადაიქნია: „ამ ცელს კაცი გააფუჭებდა? - მეტყოდი და მოგცემდი. აესეც მაგის ჯიშისაა“.

ლევანამ გეზად გახედა ადამის ახალ ცელს...

- შენ მაგივრად იარაღმა გადამიხადა სამაგიერო.

- მე მეგონა, რო ეგ თითი მართლა ხერხმა გაგიფუჭა.

ჯიბრიანი იყო ლევანა, მაგრამ ადამა ბევრად უარესი!

ათი წლისა არც კი იქნებოდა, დანიელოვმა გომბორს რომ ჩაიყვანა. ძალიანაც არ უნდოდა ბიჭს ნაცნობ კარ-მიდამოსა და სოფელ-ქვეყანას განშორებოდა, მაგრამ ბატონმა ისურვა და დედამისმა იფიქრა: ექიმის სახლში კაცად იქცევაო. ყოველთვის მოსწონდა დანიელოვს ენამოსწრებული, ტანმაღალი და ლამაზი ბიჭი.

- ნუ გეიშიან, დედი, - უთხრა ბაბალეს, - შვილივით გავზრდი, ისე გავზრდი, ოჯახსაც გამოადგეს და თავის ქვეყანასაც! ჩემ გოგოებსაც ძმა ეყოლებათ.

- აბა, იქ რა უნდა, შვილო, გომბორში ვენახი არ გამიგია, ბაღლი კი ვაზზეა გადარეული. მაგის მამა მეზვრე იყო, მაგის პაპა მეზვრე იყო, იმ პაპის მამა-პაპაც მეზვრე იყო, იმათი პაპის პაპებიც ჩუმათხეველების მეზვრეები იყვნენ. მაგისი ჯიში სულ ეგეთია.

- არა უშავს, დედი, ვაზი აქედან არსად გაექცევა, იქ კი ბევრ რამეს ისწავლის და ქვეყანასაც ნახავს. კარგა ხანია, თვალში მომივიდა, მინდა მაგისგან ქვეყნის გამოსადეგი კაცი დადგეს. ვიცი, რო კარგი დედმამის შვილია, იმიტომ არ მინდა დაიკარგოს.

- სამი-ოთხი წლისა ძლივს იყო, ზვრებში რო დაჰყავდა თავის მამას. აი, ბაღლია და ხანმოთავებულ კაცსაც იგრე არ ეცოდინება ვენახისა და ვაზის ყადრი, მაგან რო იცის!

- იქიდან კიდევ უფრო მცოდნე დაგიბრუნდება, დედი. კაცი, რაც უფრო გარეთ გავა, იმდენ მეტ ცოდნას აგროვებს.

- ხო იცი, ბაბალე, რო მეც ძალიან მიყვარს ე ბაღლი, ჩემ ზვრებს ძალიანაც დააკლდება მაგისი ხელი, მაგრამა იმ კარგი მამის სული ნუ წამიწყდება, ძაან კარგს გირჩევენ. სხვას რო ეთხოვნა, ღმერთმანი, დიდ უარსა ვტკიცამდი! წავიდეს, გაიხედ-გამოიხედოს, იქაური ავ-კარგიც ნახოს და მერე სად წავა?! ისევ აქ არ მოვა?!

- დიდი მადლობა, დიდო ბატონო, შენ სიტყვას როგორ გადავალ. ე ბატონიც კარგი კაცი ჩანს, რადგან შენთან ავ კაცს არ მოესვლება. ღმერთმა ხელი მოუმართოს. წადი, შვილო, აქაურობაზე ნურა გენაღვლება; წადი, - ეგ იგეთი კაცი ჩანს, რომ მაგის ოჯახში ანთებული ლამფა შენც გაგინათებს. მამაშენის დარიგება არ დაგავიწყდეს: შენი გამხმარი პური სხვის ქადას გერჩივნოს და, ეცადე, სხვას იგრე მოექცე, როგორც გინდა, სხვა შენ მოგექცეს. ასი ამხანაგი ცოტაა, ერთი მტერი - ბევრი, მაგრამ - ბრგე დედაკაცი ავად მოიქუშა და თავის ნაშიერს ისე გაჰხედა, - მაგრამ ვისაც მტრისა შეეშინდება, ის თითონ იქნება იმ მტრის მიმხმარე და ქომაგი. არც გაჭირვებამ დაგაფრთხოს, - ლუკმას რაც უფრო სიმწრით იშოვნი, იმდენად უფრო ტკბილი იქნება. ბოროტ ხალხს არ ეამხანაგო! იცოდე, მელამ რამდენიც არ უნდა ირბინოს, იმისი ბოლო მაინც ტყავის დუქანია. წადი, შვილო, ღმერთი შეგეწიოს და, თუ მართლა კაცად ქცევა გიწერია, მაძღარს ის ძვალი არ დაგავიწყდეს, შიმშილობის დროს რო ხრავდი...

ერთ დღეს, შუა იანვარში, როგორც კი გარეთ გამოვიდა, ისეთი ყინვა დაეჯახა, კინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამ სული შეუგუბა. ეზოში ჩავიდა, ერთხანს თოვლში ირბინა, მაგრამ რაკი ვერ გათბა, სამზარეულოში შევარდა.

- ჰაი, რა კარგი ბიჭი ხარ! საიდან გაიგე, რო ეგრე მჭირდებოდი?! - გაუხარდა მზარეულს, - მიდი, შენ გაზდას, წყალი მაარბეინე! - დანიელოვის ყველა მოჯამაგირესა და მსახურს უყვარდა ჯანმაგარი და მორჩილი ბიჭი.

ლევანამ ცეცხლზე კიდევ ერთხელ მიატრიალ-მოატრიალა ხელები, მერე აიტაცა სპილენძის დიდი თუნგი და წყალზე გაიქცა. როგორც კი თავისი ახალი ბატონის ეზოყურეს გასცდა, მარცხივ, პატარა გორაკზე მარტოხელა ბიჭი დაინახა. ერთ წუთს შეავლო თვალი ყინულზე მოსრიალეს, - „ვიღაცა გიჟი უნდა იყოს“, - გაიფიქრა და გზაზე გავიდა. წყლილან რომ მობრუნდა, ის ბიჭი ისევ იქ დაინახა. გაოცებისაგან დადგა თუნგი და ყურება დაუწყო. ბიჭი რვა-ცხრა წლისა იქნებოდა. უქუდოს ტანზე დაბრანძული, რუსული ხიფთანის მსგავსი რაღაც ეცვა და ფეხზე ამოკრული ქალამნებით სრიალებდა. გორაკიდან ქვემოთ რომ დაეშვებოდა, ისევ გორაკის თავზე მოექცეოდა. და ასე, შეუსვენებლივ: ადიოდა და ჩამოდიოდა, ადიოდა და ჩამოდიოდა. მსუქანი, მრგვალი სახე ყინვისგან წითლად უპრიალებდა, უქუდო თავზე ქერა თმა ზღარბივით ედგა, ხოლო თეთრად დაფიფქული წამწამებიდან გადმოღვრილი ცრემლები ნიკაპამდე ვერც კი აღწევდა, იქვე ეყინებოდა ღაწვებზე. ბიჭი ტიროდა. აშკარად ტიროდა. გაუსაძლისი ყინვა-სიცივისაგან ტიროდა და მაინც არ იშლიდა სრიალს. ეგრე ტირილ-ტირილით ადიოდ-ჩამოდიოდა და თან გზადაგზა დამზრალ ხელებს იორთქლავდა. როცა თვითონაც მთელ ჯანში სიცივეგამჯდარმა ლევანამ წყალი აიტანა და ბუხარს მიუფიცხდა, ნანახი მზარეულს მოახსენა.

- ეგ ადამაა, - გუძინსკის ბიჭი. აეგეთი გარდუკეტაა, - რო მოჰკლა, თვალს ვერ დაახამხამებინებ. ზამთარ-ზაფხულ აეგრე შიშველ-ტიტველი დატანტალებს და, რა ვიცი, მე მაგისი გაციება და ავადობა არ გამიგონია.

მეორე დილით მზარეული მეტად გაოცებული დარჩა, როცა ბიჭი ადრიანად ჩამოვიდა ძირს და თვითონვე მოითხოვა თუნგი წყალზე წასასვლელად.

ლევანას ეგონა, გარეთ გამოსვლა დავასწარიო და, თვალებად იქცა, ადამა რომ ისევ სასრიალო გორაკზე დაინახა. სასწრაფოდ ჩავიდა წყაროზე, უკანაც სწრაფად დაბრუნდა, იდგა და უყურებდა ბიჭის სრიალს. მერე უცებ დადგა თუნგი, ერთი შეკუნტრუშდა და თავადაც გაქანდა სასრიალოდ.

ძირს ჩამოსულმა ადამამ უცხო რომ დაინახა, უკან, გორაკზე აღარ აბრუნებულა.

როგორც კი ლევანა ქვევით დაეშვა, ადამა სასრიალოს ბოლოში გაწვა და ზედ წამწყდარი ლევანა გაუკვალავ თოვლში ყირაზე გადაატარა.

მოულოდნელობისაგან გაოგნებული ბიჭი ჯერ ფეხზე წამომდგარიც არ იყო, რომ ადამა ცხვირწინ აეტუზა.

- მე შენი დედა!.. ვინ დაგპატიჟა?! არ იცი, რო ეს ადგილი ჩემი დასიპულია და მე ვსრიალებ?!

ჯანაანში ბიჭები ჩხუბში კი იგინებოდნენ, მაგრამ ეგრე მშვიდობიანობის დროს რომ შეეგინებინათ ერთმანეთი უმიზეზოდ, ასეთი რამ არ მომხდარა. და თუ მაინც მოხდებოდა, მაშინ ჩხუბი გარდუვალი იყო.

გომბორში ყოფნით ლევანამ იმდენი რუსული ისწავლა, ამ ბიჭისთვის რუსულადვე გაეცა პასუხი. და ეს პასუხი დამთავრებულიც არა ჰქონდა, სახეში კაი მაგარი მუშტი ჰხეთქეს.

„დაუპატიჟებელი სტუმრისთვის“ ისეთი მოულოდნელი იყო ეს დარტყმა, რომ ერთ წამს გაოგნდა. მაგრამ როცა პირველ მუშტს მეორე მოჰყვა, ამან უეცრად გამოაფხიზლა. შემდეგი მოქნევა აღარ დააცალა. ელვის სისწრაფით ეცა, მარცხენა ხელი მარჯვენა ხელის იდაყვს ზემოთ დასტაცა, მარჯვენა ხელი მარცხენა მხარზე გადასდო და მუცელზე თეძო მიუგდო. მოგვერდზე წამოღებული ბიჭი ლურჯ ყინულზე ზურგით გაიშალა. წაქცეული ჯერაც ვერ გარკვეულიყო, მის თავს რა მოხდა, რომ მოპირდაპირე მაღლიდან გადააჯდა და მუშტი მუშტზე მიაყოლა.

მალე მოეგო გონს ადამა, სცადა ადგომა, მაგრამ, რაკი არ აუშვეს, ქვევიდან აამუშავა მუშტები. ურტყამდა დარტყმაზე თავადაც და თან განუწყვეტლივ იგინებოდა.

- გაჩუმდი, შენი დედაც!.. - და, რაკი მუშტებით ვერ გააჩერა, თოვლს ხვეტდა მუჭით და პირში უტენიდა. ბოლოს ისე გამოუვსო, კინაღამ დაახრჩო. ადამა სახეს არიდებდა, თავს აქეთ-იქით ახლიდა, პირიდან

სისხლიან თოვლს აფურთხებდა და მაინც არა სწყვეტდა გინებას.

და, როდესაც მთლად მიასიკვდილა და თითონაც გასავათდა, წამოდგა, აიღო თუნგი და შინისკენ წალასლასდა.

მზარეულმა ბიჭის მიტანილი წყალი ცეცხლზე შემოდგა, შეუთბო და ხელ-პირი კარგად დააბანინა...

- ეგრე რო ხაზეინმა გნახოს, გკითხავს მიზეზსა და ვერ დაუმალავ. ძალიან ეჯავრება ტყუილი და ჩხუბი. ტანსაცმელიც მიიწმინდმაიწმინდე და ბუხართან გაშრი. ადამას კი თავი დაანებე, ხეირს არ დაგაყრის. ხო ნახე, რო მარტოა და არც ერთი ბალღი მაგასთან არა თამაშობს.

- იმოდენა ბიჭს, დავიჯერო, არაფერი საქმე არა აქ, რო მისდგომია და მთელი დღე ცურაობს?!

- დედ-მამა დაეხოცა და ძმა კი არა ჰყავს, ერთი ბებერი უვლის - დედის დედა. აბა, ის არი მაგის დამჭერი?! არავისი არაფერი ესმის. რამდენჯერა ჰსცადა ხაზეინმა მოქრისტიანება, მაგრამ არაფერმა გასჭრა, ახლოს ვერ გაიკარა. დროდადრო მაგისთვინ ტანსაცმელსა და საჭმელს უგზავნის ხოლმე ი ბებერს.

იმ ღამეს ლევანამ გვიან დაიძინა, რადგან ქალბატონი ჯერ რუსულ წერას ასწავლიდა, შემდეგ კი წიგნს უკითხავდა ორმოცი ყაჩაღისაგან გამოქვაბულში დაგროვილ განძეულსა და ერთ საწყალ კაცზე, რომელმაც ეს გამოქვაბული იპოვნა. დაწოლისთანავე იმაზე დაიწყო ფიქრი, მე რომ მეპოვნა, იმოდენა ოქრო-ვერცხლს რაში მოვიხმარებდიო. ათასნაირი ვარაუდები შეცვალ-შემოცვალა და ბოლოს მაინც იქამდე მივიდა, რომ აიშენებდა სახლს, იყიდიდა თავისთვის მიწას და იმ ვაზისაგან გააშენებდა ვენახს, რომელიც ალაზნის პირას, ძველ ნასოფლარში იპოვნა მამამისმა და მოშინაურება ვერ მოასწრო.

დილით, როგორც კი ღამე შეარყისფრდა, გაელვიძა, უმალ წამოხტა, ალახმალახ ჩაიცვა, გარეთ გამოვარდა და ეზოდან თავქვე ისე დაეშვა, სამზარეულოში არ შეუხედავს.

სასრიალოზე სულიერი არ ჭაჭანებდა. მოდგა და გული იჯერა სრიალით. ის იყო, შინ წასვლას აპირებდა, რომ ადამაც გამოჩნდა. ახლა სასრიალოს მიტოვება გაქცევად ჩაეთვლებოდა. გორაკიდან ერთიც დაეშვა, მერე იქვე ჩამოჯდა თოვლზე და ადამას მოსვლას დაუცადა...

შინ მზარეული გაავებული დახვდა.

- ვინ გითხრა, რო შეშაც მე უნდა ვჩეხო, წყალიც მე უნდა ვეზიდო და კერძებიც მე ვხარშო?! ჭკვიანათ იყავი, თორე ვეტყვი ხაზეინსა და პანღურისკვრით გავაგდებინებ აქედან შენს თავსა! - მერე სახედასისხლიანებული და ორივე თვალდალილავებული ბიჭი შეეცოდა და ურჩია: მაგ ადგილებზე, სანამ აქ მოხვალ, თოვლი დაიდე ხოლმეო.

რა თქმა უნდა „ხაზეინმა“ მაინც გაიგო.

- ლევან, შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, რა ნახე კარგი ცემა-ტყეპაში? დილდილობით გარეთ ისეთი ყინვაა, ძაღლი კატას ქურქს შეუკერავს. შენ კი, ლოგინიდან წამომხტარი, გარბიხარ და საწყალ, უპატრონო, უპოვარ ბიჭს მუშტს უხათქუნებ. მიხარიან, რო მალე ეჩვევი წერაკითხვას, უფროსებისადმი იცი პატივისცემა. ყურადღებით ისმენ დარიგებას. გიყვარს სხვათა მოსმენა. ვიცი, რო ერთ დროს შენ სხვას ასწავლი ბევრ რამეს, მაგრამ დაიხსომე: სწავლა-განათლება ადვილია - კაცობაა ძნელი.

- განა მე მინდა ჩხუბი, ბატონო, პირველად თითონ...

- ლევან, ტყუილი კარგი არ არი, მაგრამ, თუ იტყვი, ისეთი უნდა იყოს - კლდესავით იდგეს. განა სულერთი არ არი - ქვა დაგეცემა თუ ქვას დაეცემი? სისულელე ყოველთვის იქ იწყება, სადაც ჭკუა თავდება.

- რა ვქნა, ბატონო, მეც ძალიან მინდა, რო არ ვეჩხუბო, მაგრამ დამინახავს თუ არა, გიჟივით მეცემა ხოლმე.

- გიჟისა და სულელისთვის ყოველი ჭკვიანი კაცი გზის დამთმობია. ერთიკი აუცილებლად დაიხსომე: თუ ჯერ საკუთარი უღირსი ქცევა არ აღკვეთე, უფლება არა გაქვს, სხვას ცუდი ქცევა უკიჟინო.

ლევანამ დახსომებით კი დაიხსომა, მაგრამ ადამამ დრო არ მისცა, ეს სამართლიანი შეგონება თავში კარგად გასჯდომოდა. და, როცა მეორე დილას კარგა ნაცემ-ნაბეგვი დაბრუნდა წყლიდან, დანიელოვმა ბიჭი კაბინეტში დაიბარა.

- დაჯექი და მისმინე!

ბიჭი მოხუსხა კაბინეტის მორთულობამ, კედლებზე გამოფენილმა საოცარმა სურათებმა, იატაკზე დაგებულმა ლამაზმა ხალიჩამ, დიდებულმა ავეჯმა და წიგნებით გამოტენილმა ჩუქურთმიანმა კარადებმა. კართან თეთრ-ნაცრისფერი ძვლებასხმული ადამიან-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ის ჩონჩხი იკრიჭებოდა.

- დაჯექი.

ბიჭი ყოყმანობდა.

- დაჯექი, თუ დაისვრება, გაიწმინდება... ახლა მისმინე: ვატყობ, კეთილი სიტყვა შენი ყურისთვის არ არი გამიზნული. მაინც უნდა გითხრა: ჩვენი წუხილიცა და სიხარულიც მუდამ სხვაზეა დამოკიდებული. ეს სხვები კი იმავ თიხისგან არიან გამომცხვარნი, როგორნიც ჩვენა ვართ. ამიტომ ყოველი კაცი უნდა ეცადოს, თიხის ნაკეთობა კი არ დაამსხვრიოს, არამედ სხვათაგან დამსხვრევას გადაარჩინოს. გულკეთილობის წინააღმდეგ ხმალიც კი უძლურია, მოთმინება კი ყველაზე დიდი სამკაულია კაცისთვის.

ლევანა გულმოდგინედ უგდებდა ყურს. მოსაუბრის გაჩუმების შემდეგაც კარგა ხანს დუმდა. მერე ჩაქინდრული თავი ასწია, თვალსაჩინოებისათვის მიაბრუნ-მოაბრუნა და წყნარად იკითხა:

- მოგწონთ ჩემი მორთულობა, ბატონო ექიმო?

ექიმმა ბიჭის გამბედაობაზე თავი ველარ შეიკავა და გაეცინა.

- აბა, ვის მოეწონება ასეთი უსახო სახე? - სისხლსა და ტალახში გაქვს მოსვრილი.

- ჰოდა, ეს „პატარა სამკაული" იმ „დიდმა სამკაულმა" მაჩუქა, თქვენ რომ ეხლახან მიქადაგეთ.

- ეს როგორ გავიგოთ?! - სიცილი მოსხიპა ნაწყენმა ექიმმა.

- ნუ ფიქრობთ, თითქოს თქვენს დარიგებას არად ვაგდებდე. პირიქით, ეს ყველაფერი თქვენი დარიგებისადმი ყურადღებამ მიყო.

ექიმმა თავი უკან გადასწია და კიდევ უფრო მეტი დაკვირვებით მიაჩერდა.

- მაინც რისი თქმა გინდა?!

- დღეს ადამამ დამინახა თუ არა, მაშინვე მომვარდა: სად მიიპარები, ეგრე ჩუმათო? - ვთქო, რაც მითხრა?!

- თქვი.

- ჰაი, შე ძუკნა ძაღლის გაგდებულო, ჩაისვარეო? თუ ქვეშაფსია არა ხარ, რათ ამიქციე გვერდიო? - მომდგა და იმდენი მირტყა, აეგრე მომიქცია „მოთმინებული" თავ-პირი.

- და შენ ხელი არ შეგიბრუნებია?!

- რო შემებრუნებინა, განა ეგრე ვიქნებოდი ახატულ-ჩამოხატული?

- არც შეგიგინებია?

- არა.

ექიმი წამოდგა სკამიდან და ხალიჩაზე ბოლთა დაარტყა. თანდათან აოცებდა ეს ბიჭი, ბოლოს შედგა და რამდენჯერმე მძიმედ ჩაიქნია თავი.

- მდაა... მე შენი უკანვე, შენს ბატონთან გაგზავნა მინდოდა.

ლევანა გაშრა. გაწყვეტამდე მისული ლარივით დაიჭიმა.

- მართლა გინდოდათ ჩემი გაგდება?

- ახლა აღარა - გადავიფიქრე.

ლევანას მუხლები მოუდუნდა.

- აი რა, ჩემო ბიჭო, განაგრძე წყალზე სიარული, მაგრამ, ვინც უნდა იყოს, პირველად შენ ნუ გამოიწვევ, თუ გამოგიწვიეს, ეცადე, ჩხუბი აიცილო. მაგრამ თუ მაინც მოგაყენეს შეურაცხყოფა, ყოველგვარი უფლება გაქვს, თავი დაიცვა...

გავიდა ზამთარიც. სითეთრე სიმწვანემ შეცვალა, საცურაო გორაკი ბალახმა შემოსა, მაგრამ ორ მოქიშპეს წელიწადის ვერც ერთმა დრომ ვერ დაატყო ცვლილება. ყოველ დილით თითოეული მათგანი ისეთი ერთგულებით მიდიოდა დანიშნულ ადგილას, როგორც იმამი მეჩეთში ნამაზისათვის. ლევანას ტანიცა და ჯანიც მეტი ჰქონდა მოქიშპეზე, მაგრამ ადამას, ღონესთან ერთად, სიჯიუტე, სიმამაცე და გამძლეობა ჰქონდა საოცარი. წააქცევდა, თრევით ჩაიტანდა გორაკის ძირამდე, მოაჯდებოდა მაღლიდან, კარგა მიასიკვდილებდა, მერე დაღლილი აიწევდა ასადგომად, რათა შინაც თავის დროზე მისულიყო, მაგრამ ვინ გიშვებდა?! - ადამა სტაცებდა საყელოში ხელს და თავადაც ტკიპასავით ზედ მიკრული აჰყვებოდა წამომდგარ ბიჭს. და ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა! ასე გრძელდებოდა თითქმის მთელი წელიწადი. ისე მიეჩვივნენ ერთმანეთსა და ერთურთის თავ-პირის მტვრევას, აუცილებელ მოთხოვნილებად ექცათ და, სანამ ხელახლა შეჰხვდებოდნენ, მეორე დილამდე მთელ დღეს უამურად ატარებდნენ. იყო გამონაკლისი დღეებიც. ეს ის დღეები იყო, როცა ლევანა გომბორში არ იმყოფებოდა. საქმე ის გახლდათ, რომ გომბორიდან გასულ დანიელოვს ბიჭიც თან მიჰყავდა. როცა მეგობრები ხუმრობით გაჰკენწლავდნენ ასაკით შეუფერებელ თანამგზავრზე, ექიმი სერიოზულად ეტყოდა ხოლმე: „ისეთი გონიერი ბიჭია, გეგონებათ, ერთხელ უკვე მოუვლია სიბერე და ამჟამად ხელმეორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსულა!" „კარგი ერთი, ნუ წაგვჭამე ყურები ამ შენი ინდური ფილოსოფიით. სასიძოთ კი ნაღდად ზედგამოჭრილია".

და ამ სასიძოთი თავადაც მაშინ დაინტერესდნენ, როცა ერთხელ, სანადიროდ წასულები, სადილად დასხდნენ და ცეცხლს შელის მწვადები დაურთეს. კისისხევის ბატონმა სწორედ მაშინ შენიშნა, რომ პაპიროსი გასთავებოდა. მიიხედ-მოიხედა და თვალი ლევანას დაადგა.

– პატარა ბიჭო, რო გთხოვო, თეთრწყლებში ვერ აირბენ პაპიროსისთვის?

– ბატონის თხოვნა ბრძანებაა, მიბოძეთ ფული და მოგართმევთ, ოღონდ, თუ გეჩქარებათ, ფეხით ცოტა დავიგვიანებ.

გაკვირვებული ბახუტაშვილი ცეცხლთან მოფუსფუსე მსხაურს მიუბრუნდა:

– შეკაზმე ჩემი ცხენი, ბიჭო! – ცხენზე ჯდომა ხომ იცი, ყმაწვილო?

– წაღმა-უკუღმა.

– ჩემი შარაბანით წავა.

– ცხენი სჯობია, უფრო მალე ივლის.

სანამ მწვადი შეიწვებოდა, ლევანაც დაბრუნდა.

– ოჰო! ელვა ხარ, კაცო?

– ინებეთ, ბატონო.

– ეს რა არი, ბიჭო? – წარბი შეიკრა გამგზავნმა.

პაპიროზი არ დამაბარეთ, ბატონო?

– მერე, ეს არი „სამსუნი", შვილო? არ იყო „სამსუნი?"

– იყო, მაგრამ ეს უფრო იაფი გახლდათ და ფული დავზოგე. აი, ინებეთ ხურდა.

სტუმრებმა გადაიხარხარეს, მხოლოდ ექიმმა შეიკრა წარბი. გაეღიმა კეთილ მასპინძელსაც.

– ჯერ პაპიროსი არ გიყიდნია?

– არა. არც „ხაზეინი" ეწევა და არც მე.

– ფული არ უნდა დაგეზოგნა, შვილო, „სამსუნი" მინდოდა, „ტერრა" კი არა.

– რა მნიშვნელობა აქვს, „ტერრა" იქნება თუ „სამსუნი"? – ერთიდანაც ბოლი გამოდის და მეორედანაც.

აბა, ახლა იყო ხარხარი თუ იყო!

კისისხევის ბატონს წარბი გაეხსნა, ჭაღარა ულვაშები მიმოისწორა და თავადაც გაეცინა.

– მართლა კაი ბიჭი ყოფილხარ. ეხლა ეგ დაზოგილი ფული ჯიბეშივე ჩაიდე და სხვა დროს, თუ კიდევ ერთად მოვხვდით, არ დაგავიწყდეს, რო „სამსუნი" მიყიდო.

– მიწყრებით, ბატონო?

– აჰ, როგორ გეკადრება, უბრალოთ, რაკი გვასიამოვნე და კარგადაც გვაცინე, ფეშქაში იყოს...

და გზაში, უკან დაბრუნებისას, ლევანას კიდევ ერთი გაკვეთილი ჩაუტარდა უფროსუმცროსობასა და პასუხის მიგებაზე.

გომბორში შუადღისას ავიდნენ.

– ცხენი ჯერ კარგად გაატარ-გამოატარე, ოფლი შეაშრეს და წყაროზე მერე ჩაიყვანე.

– მაგ საქმეში კი დარიგება ნამდვილად არ დამჭირდება, ბატონო.

წყარომდე ორასიოდე ნაბიჯი თუ იქნებოდა დარჩენილი, რომ მოსახვევშივე ქლავიქლუვი შემოესმა. თათრულ-რუსულ-ქართული ერთმანეთში იყო არეული. უფრო მეტად კი თათრული ისმოდა. ლევანამ ცხენი ააჩქარა და, როგორც კი მოსახვევს გასცდა, გაოცდა: ერთ ბიჭს ხუთი-ექვსი ბიჭი დახვეოდა და თავსა, პირსა თუ ზურგზე დაუნანებლად უბაგუნებდნენ მუშტებს. მარტოხელა ბიჭი ძაღლებმისეული მგელივით ტრიალებდა ირგვლივ, თავადაც გამწარებით იბრძოდა და თან განუწყვეტლივ რუსულ-ქართულად იგინებოდა.

ასეთი რამ ჯერ არ ენახა ლევანას, არც გაეგონა, რომ ერთ კაცს ჩხუბში ამდენი მისეოდა. არც ვინმე ჩანდა ახლომახლო მიმშველებელ-გამშველებელი. ცხენი ააჩქარა და, როცა ახლოს მივიდა, იცნო თავისი მოსისხლე მტერი. ძლივსღა იდგა ფეხზე ადამა. გატეხილი ცხვირიდან სისხლი ორტოტად მოსდიოდა, სახე დაღმეჭოდა, ჭიაფრად შეღებილი პირი ნახევრად დაეღო, ხელებს სუსტადღა იქნევდა და ყოველ დარტყმაზე წასაქცევად ბარბაცებდა. ლევანამ ვერ აიტანა ასეთი უსამართლობა, ცხენი პირდაპირ ხროვაში შეაგდო და განურჩევლად ყველას მათრახი დაუშინა. მოულოდნელი ქომაგით დამფრთხალი მოიერიშენი კისრისტეხით გაცვივდნენ განზე. ლევანა მიხვდა, რომ გაჩერება არ შეიძლებოდა. ცხენი აღვირით მიღრიჯ-მოღრიჯა, გაქცეულებს დაედევნა და მათრახის შეუჩერებელი ტრიალით წყაროს იქით გადალალა. ბოლოს, რაკი გამარჯვება განმტკიცებულად ჩათვალა, უკან გამობრუნდა.

მტრებშემომფრთხალ, მოსულიერებულ მის მოსისხლეს წყარომდე მიეღწია და, როგორც კი დაქვეითდა, მაშინვე მუშტი მიიღო ყბაში: „შენ ვინა გკითხავდა ჩემ საქმეში ჩარევასო?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშველელი გაოგნებიდან მეორე მუშტმა გამოიყვანა.

ლევანას ახლა ნამდვილად არ უნდოდა ნაცემის ცემა და შინ ნაჩხუბარი მისვლა.

– ხვალამდის შეგრჩეს. დღეს ჩემ მაგიერ სხვებმა იზრუნეს შენს „გასაპატიოსნებლად“. ხვალ მოგივლი ჩემებურად. – კატასავით შეხტა აუზის თავზე, იქიდან დარწყულებულ შიშველ ცხენზე ისკუპა და გააჭენა.

მეორე დილით ძალიან მოიწადინა „საომარ“ გორაკთან მისწრება. იცოდა, ცხარე შეტაკება ექნებოდა, რადგან გუშინდელ ამბავზე დიდად იყო გამწარებული, მაგრამ განზრახვამ არ გაუმართლა, – მოსისხლეს მიესწრო! იჯდა მათივე ფეხით გაგლილ-გათელილი ბალახის კალოზე, ცალი კანჭი წინ გაეჭიმნა, ცალი აეკეცნა და აკეცილ მუხლზე ორივე ხელი შემოეჭდო. მეტოქის მოსვლაზე ყურიც არ გაუპარტყუნებია. იჯდა სამიჯნე ლოდივით ცივი და უძრავი. იჯდა მტერმოყვარის აინუნში არჩამგდები, იჯდა და ქვემოთ, თბილის-თელავის გზას გაჰყურებდა თვალმოუშორებლივ.

ლევანა დაიბნა. ერთხანს დაეჭვდა: ხომ არ ჩაეძინაო. მერე წამოუარა და წინ გაუჩერდა. დამხვდურს სახის გარდა ყველაფერი ადამასი ჰქონდა. სახე კი... შემუპებულ-დაჯირჯვებული, შიგადაშიგ გადაყვლეფილ-დაკაწრული, ორივე თვალი გასიებულ-დაბუშტულ-დალილავებული და თანაც მარცხენა, თითქოს არც ოდესმე ჰქონოდეს, – გაუხელელი თვალის ადგილას ხორცის გუნდა ედო. მხოლოდ მარჯვენა მცირედ გახსნოდა და იქიდან ვიწრო, რაღაც მოცისფრო-მღვრიე შუქი ოდნავ კიაფობდა. შავ-შავი ლაქებით აფორაჯებული ლოყები ღობეში გაჭედილ გოგრასავით გაზრდოდა განგანზე. უხეირო ყასბის ჩლუნგი ნაჯახით დაღიჯნილი ხორცის ნაჭრებივით მიჰკროდა ჩაშავებულ-ჩათეთქვილი ტუჩები ერთმანეთს. ნიკაპი მთლად გადაჰქლეშოდა, ხოლო ცხვირი გაფუებულ ლოყებს შუა შავად ჩამწიფებულ ღორქლიავასავით ეჯდა.

ადამა არ განძრეულა. არც ის ოდნავ მღვივანი თვალი დაუხამხამებია. იჯდა თავისთვის ისევ უგრძნობელი და უქმური, თითქოს წინ ზორზოხა ბიჭი კი არა, ცრიატი ნისლის ნაფლეთიც არ აჰფარებოდა.

ლევანა ერთხანს იდგა გარინდებული. მერე ერთიც შემოუარა ირგვლივ, მივიდა და თავადაც იქვე ახლოს ჩამოჯდა. ერთი გადახედვით კიდევ გადახედა, შემდეგ თავადაც აიკეცა ცალი ფეხი, თავადაც ორივ ხელი მუხლზე შემოიჭდო და გზის გაღმა, ხევისპირა ფერდობს შეფენილ ფშავლების სოფელ რუსიანს მიაჩერდა.

კარგა ხანს ისხდნენ ეგრე ჩუმათ, გახევებულნი. ფხიზლობდა ლევანა, დაელმებით უთვალთვალებდა, როდის გაინძრეოდა მდუმარე ლოდი და მისკენ როდის გამოექანებოდა სილა თუ მუშტი.

პირველად, მართლაც, ადამამ დასძრა ხელი. მაგრამ ეს ხელი უბისკენ გაცურდა, უბეში წამით გაირინდა, იქიდან ორი მსხალი ამოიღო, ერთი თავის პატრონს დაუტოვა, მეორე კი ლევანასკენ გამოიწოდა. ოდნავ შესამჩნევად შეიძრნენ ტუჩები და ძლივს გასაგონად აშიშინდნენ:

– ტატრის ბიჩები იკვნენ. პანტა მოჩრეს და ვეჩხუბე.

ლევანა ერთბაშად არ შეჩქვიფებულა. დაელმებული თვალები ელვის უმალ გაასწორა და, სანამ ნათქვამის აზრს ჩახვდებოდა, ახლოს მჯდომის სახეს დააკვირდა.

ადამა ისევ ისე უძრავად იჯდა, ისევ ისე დაჟინებით გაჰყურებდა გზას, ისევ ისე მგელივით გაეშეშებინა თავ-კისერი. ოღონდ ახლა მთლად ქვადქცევას მეზობლისკენ გაწვდილი მსხლიანი ხელის გაქვავებაც დაჰმატებოდა. ერთ წამს იფიქრა: ხომ არ მომეყურაო, – მაგრამ კვლავ წელანდელი ხმა მოესმა.

– აიგე, კიდევ მაქ.

ახლა უკვე ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო – ეს ადამას ხმა გახლდათ, მაგრამ ნათქვამში მშვიდობიანი სიტყვები ნაღდად გინების ადგილას იყო ჩასმული.

ლევანა მიხვდა, შემოთავაზებული უნდა აეღო. უნდომლად ჩამოართვა მსხალი და თავი რაღაც უხერხულად იგრძნო. ერთიც გადაჰხედა „მასპინძელს“, რომელიც თავის წილ მსხალს, ვინ იცის, რა ტკივილის ფასად კბეჩდა და დაასკვნა: თავადაც უეჭველად რაღაც უნდა ეთქვა.

– პანტა რათ მოჭრეს?

– ეგენი ტკეში ნახშირი ცვავენ და კიდიან.

– სხვა ხეები ხო უამრავია, პანტა რათ მოჭრეს?!

– მაგათ ფეხებზე კიდიათ, სხვები მოჩრეს, პანტა მოჩრეს.

– შენ რა, მეტყევე ხარ?

– პანტა ჩემი იკო. ნიშანი იკო. მე უნდა

მომეჩრა...

– შენ რაღად გინდოდა? პანტა ხომ ისხამსხილია!

– პშავლები მასცავლეს, ხანდახან კოვზები და ჩამჩები ვაკეთებ, ვკიდი, – პანტა კარგი გამოდის.

– თათრები ორი თუ სამი კომლია გომბორში, ამდენი ბიჭი საიდან მოგროვდა?

– მაგათ სხვანაირი გმერთია, თითო-თითო ათი-თორმეტი ბალგი არი.

– მემრე? მარტო რას იზამ მაგათთან?

ადამა წამით გაჩუმდა, მერე მარჯვენა ხელი ღონივრად დამუშტა.

– მაგათი დედა!.. ეხლა ორნი ვიკნებით...

* * *

– გამარჯობა, ლევანა პაპავ.

ლევანა გაყუჩდა, იდაყვზე წამოიწია და ყური კიდევ უფრო გაამახვილა.

– რომელი ხარ, რო ველარ გიცანი...

– ჩხიკვი ვარ, ცელი მოგიტანე.

– აი, შენ კი შეგჭამოს ყვავის მამიდამ. ე რანაირი ხმა გაქ, რამ დაგიბოხა ეგრე?

– წუხანდელი პახმელია ვარ. განა არ ვიცი, რა ძაღლიც არი არაყი, მაგრამ რო ვერ მოვიშალე? წეღან დედაჩემ რო არ წამოვეგდე, ეხლაც შუა ძილში ვიქნებოდი.

– არაყს რა გასმევს, რუსი ხარ?

– განა კი მიყვარს, კაცო, მაგრამ, ცოლისა არ იყოს, ყველაფერი შახვედრაა. ნავთიანის ბიჭმა – ამის მეტი არაფერი მაქო. არაყი კიდე, ხო იცი, ერთ-ორს რო გადაჰკრავ მემრე გატკბება ხოლმე.

– აბა, მომისმინე, შვილო: პირველ ჭიქა არაყს კაცი სვამს ხოლმე, მეორე ჭიქა არაყს – არაყი სვამს, მესამე ჭიქა არაყი კი თავად სვამს კაცსა. თანაც, იცი კი, რას გასმევენ?!

– მართალი ხარ, ლევანა პაპავ, მაგრამ ისიც ვიცი, რო სხვისი ქერი საკუთარ ხორბალზე გემრიელია.

– შენ სმას მოეშვი, ჩხიკვო, თორემ ეგ სმა ოღესმე გადაგიყოლებს: ერთხელ დალევ კარგია; ორჯერ დალევ – საკმარისი, სამჯერ დალევ და – ნაღდი უბედურებაა! ან ნავთიანის ბიჭთან რა დაგაწანწალებს?

– ეეე, რას იზამ, ლევანა პაპავ, ხო იცი, რო სულელს ერთი გიჟი ათას ჭკვიანს ურჩევენია.

– მეც არანაკლები გიჟი ვარ, რო ბრმას ფარანს ვაჩეჩებ ხელში. ცელი რა უყავ? ალბათ, პირი ყუად უქციე.

როგორიც წავიღე, იგეთივე მოვიტანე. თუ გინდა, ნახე. ინდე – ცაცხვზეა მიყუდებული.

– შვილო, გიგავ, ჩემგან ეს ერთი დაიხსომე: არაყი და გრძელი ძილი ძაან მოკლე გზაა სიღარიბისკენ მიმავალი.

– ეეე, ლევანა პაპავ, ნავთიანსაც ძალიან უნდოდა გამდიდრება, მაგრამ ვერც უარყობამ უშველა და ვერც კოლექტივში შასვლამ. გონი, პარტიაშიც გამდიდრებისთვინ შავიდა... მაგისმა ბიჭმა თქო: პარტიიდან გარიცხესო.

– როცა კოლექტივი ჩამოეაყალიბეთ, პირველად ხუთი კაცი ვიყავით, მემრე ნავთიანი მეექვსე კაცად შემოგვიერთდა.

– ყველა პარტიაში იყავით?

– მე ვიყავ უპარტიო.

– რანაირათ, კაცო, შენ არ ჩამოაყალიბე კოლექტივი?!

– მე და ალექსამ.

– პარტიული სუ არა ყოფილხარ?

– ალბათ, მთელ კახეთში პარტიაში ჩემზე ადრე შესული ბევრი არ იქნებოდა.

– შენც გაგრიცხეს?

– არა, მე თვითონ დავდე პარბილეთი.

– მემრე? არ დაგიჭირეს?

– რა ვიცი, არ დავუჭერივარ.

– რათ დააგდე პარტბილეთი-გაგრიცხეს?

– არ გავურიცხივარ, მე თითონ დავდე.

– რათა?

– ეგრე იყო საჭირო.

– მემრე, კაცო, რანაირად გაპატიეს კომუნისტებმა?

– ძველი დამსახურება მქონდა.

– რა დამსახურება?

– გრძელი ამბავია.

– როგორ გადარჩი, რო არ დაგხვრიტეს? მაგათ ხო ფეხებზე ჰკიდიათ ახალიცა და ძველი დამსახურება?

– ერთი კაცი დამეხმარა. ძაან გადაერჩი.

– ოცდაჩვიდმეტში?

– ოცდაჩვიდმეტში ლევანა გოგოჭურმა ფილიპე მახარაძესთან მიშუამდგომლა და ეგრე წვალებ-წვალებით აქამდინ მოვათრიე ძვლები.

– ძაან გადარჩენილხარ... ქაქუცა მართლა იგეთი იყო, როგორსაც ამბობენ?

– როგორი?

– ბოთლს დაიდგამდა თავზე და იგრე თამაშობდა, ძირს არ გადმოუვარდებოდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მართალია. ბაღდადს გამლიდა უზურგო სკამზე, შეხტებოდა ზედ და იგრე ცეკვავდა, ბაღდადი არ იკეცებოდა.

– ბოთლიც ზედ ედგა?

– ბოთლიც ზედ ედგა.

– აბა-ბა-ბა, ე ვინა ყოფილა, კაცო!

– ბაღდადზე შუასკამზე ხანჯალს დაურჭობდა და ფეხებს იგრე უსვამდა, ჩექმასაც არ გაიკაწრავდა.

– მართლა მაგარი ვინმე ყოფილა.

– ძაან მაგარი იყო.

– ნავთიანი რაღად გარიცხეს?

ლევანა ერთხანს დუმდა, მერე გულაღმა გადაწვა, კეფა მუთაქაზე დადო და ხელებიც თავქვეშ ამოიწყო.

– მაშინაც პარტიაში ბევრი იყო ჭკვაზე აფრაკად.

– რა მოუშარეს?

– ეგეც გრძელი ამბავია.

– შენც ადექი და გრძლად მიამბე.

– ეეე, შენ როგორიღა ჩამოკიდება იცი ხოლმე, კაცო.

– შენ ხო იცი, როგორ მიყვარს შენი მოყოლილი ამბები. მიდი, ეხლაც გაჰკარი შენებურათ, ერთბაშად ძნა არ ჩაგეწვას კალოზე. შენც მოცლილი, მეც მოცლილი – მეტი რა საქმე გვაქვს?

– მე ავაზაკო, საქმე როგორ არა მაქვს, ვენახში სამი მწკრივი კიდევ დამრჩა გასამარგლი.

– ამ სიცხეში ვენახში რა გინდა, კაცო? ამ ცახვს იგეთი გრილო აქ, ჭკვიანი კაცი დღისით აქედან როგორ გავა. ადექი და ღამე გააკეთე, შენთვინ სულერთი არ არი? რა, ღმერთმანი, ფარანი დაგჭირდება?

– სად არი სიცხე, ჩხიკვო? ვერა ხედავ, როგორ არი ჩამობურული ცა? – ნეტა ეგეთი ჭკვა შენს საქმეში გამოიჩინო ხოლმე...

– რაო, რა მინდაო, დილას რო მოგაკითხა იმ შენმა ბიძაშვილმა?

– უჰ, ძაან გაუმაძღარია, ლევანა პაპავ.

– მაინც რაო?

– რაო და; რაც ეგ თელავში გადავიდა ეს ეზო და სახლ-კარი ხო მე მამყიდა...

– მერე?

– მერე მაგისი დეიდაშვილი ხო რაიკომში მუშაობს, – ჩალიანის კოლექტივის თავჯდომარედ დანიშნა. იგრე გასუქდა, რო ერთ სკამზე ველარ ეტევა. სამივე ბიჭს ცალ-ცალკე სახლები აუშენა თელავში. კიბეები და კარფანჯრები სუ კაკლისა გაუკეთა. ჩალიანელები ჩიოდნენ: რაც სოფელში კაკლები იყო, სულ დაჭრა და წაიღოო. მინდორში მკათათვეში რო მზეს დაემალო, საჩრდილობლად კაკალი არ გაუშოეო.

– მერე მაგისი რათ გიკვირს, განა ყველა თავმჯდომარე ეგრე არ იქცევა?

– არა, ლევანა პაპავ, ჩვენი ნიკა ნამეტანი გაუმაძღარია.

– მაინც რით არი გაუმაძღარი?

– რითა და, დილას მამადგა: ისევ უკან მამყიდე ჩემი ეზოო.

– თუ თითონ უნდოდა, რაღად გაყიდა?!

– ეხლა, რაც ეგრე გასუქდა, საკურორტოდ უნდა ესა – გინდა თუ არა, უკანვე უნდა მამყიდო, სიზმარში სუ აქა ვარო.

– როგორ მორიგდით?

– მე უთხარი; სიზმარში მე ხან გომბორში ვარ, ხან თრიალეთზე, ხან საფრანგეთში, მაგრამ მე იქ არავინ არაფერს მაძლევსმეთქი!

ლევანა ხითხითებდა. ნაბდის ქუდი პირდაპირ თვალებზე ჩამოეფარებინა და ისე ხითხითებდა, ცრემლებს ცერით იმშრალებდა.

– ეე, ლევანა პაპავ, ძაან შორს გამიკარ ჩილიკა. რატო არ მეუბნები, ნავთიანი რათ გარიცხეს პარტიიდან?

– სისულელისთვის. მაშინ ხო ყოველგვარი სისულელის ჩადენა შეიძლებოდა?

– რა სისულელისთვინ?

– მთავრობა ხელს უწყობდა კოლექტივებს და ყველა ღარიბს მოუწოდებდა კოლექტივში შესვლას. პირველად ექვსნი ვიყავით, – მეექვსე ნავთიანი იყო.

– ნავთიანი თქვენ დაარქვით?

– მენავთესთან იყო მოჯამაგირეთ და, ჩვენთან რო მოვიდა, ნათის სუნად ყარდა.

– თუ ეგეთი ღარიბი იყო, პარტიიდან რაღათ გარიცხეს?

– აკი გითხარი, მაშინაც ბევრი ჭკვათხელი ერია პარტიაში-მეთქი. ვისაც რა გვქონდა, კოლექტივში შევზიდეთ. მე ერთი ცხენიღა შემრჩა, ცალთვალა იყო, – ის არ წაურთმევიათ მენშევიკებს. „ქორჟიკას“ ვეძახდი. მაინც კოლექტივისა იყო, რადგან იმითა ვხნავდით და ვეზიდებოდით ყველაფერს. ერთი ბერწი ძროხა მყავდა, – ის დავკალით, ხორცი გავყიდეთ და „უჯიგროსაგან“ კრამიტი ვიყიდეთ. სოფლის თავში, ხევხევას პირას არყის სახდელი „ზაოდი“ მოვაწყეთ. სოფლის ბოლოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი, კლდის თავზე, აგურხანა მოვახიჟიავეთ. ხის ყალიბები დავაკეთე და აგურსა ვჭრიდი. ვჭრიდი, ვყიდიდით და იმ ფულით უღელი კამეჩი ვიყიდეთ. ზამთრის პირზე იმ კრამიტს აგურხანას გადავხდიდით, წავიღებდით და „ზაოდს" ვაფარებდით. გაზაფხულზე „ზაოდს" გადავხდიდით და საგურეს ვაფარებდით. აეგრე წვალებითა და წამებით ვშოულობდით ყველაფერს. გარიჟრაჟიდან ბინდამდის. ძალიან ვიღლებოდით. კვირა ჩვენთვის არ იყო და უქმე. შინ რო ვბრუნდებოდით, ჭამის თავი აღარა გვქონდა, იგრე მივეყრებოდით ძილად. შაბათ საღამოს თელავიდან გადმოდიოდა კაცი და საბჭოს გვერდითა ოთახში პოლიტმეცადინეობა გვქონდა. ლექციას გვიკითხავდნენ: მსოფლიო ომი როგორ დაიწყო, როგორ მოხდა რევოლუცია, როგორ გაიმარჯვა მუშათა და გლეხთა კლასმა, ჩვენ რა პროგრამა გვქონდა, რა გვჭირდებოდა, კაპიტალისტებს რა აწუხებდათ ან რა უნდოდათ. როგორ გვივლიდნენ გარშემო, როგორ ცდილობდნენ საბჭოთა კავშირის დამხობასა და ათას ამისთანა-იმისთანებს. ჩვენ კი, დაღლილ-გასავათებულებს, მთელი დღის მუხლჩაუხრელი შრომით ნაწლავებჩაწყვეტილებს, ერთი სული გვქონდა, როდის მივეყრებოდით ლოგინებზე, – ვისა სცხელოდა სალექციოდ? მაგრამ, როგორც შეგვეძლო, ავათ თუ კარგათ, ვფხიზლობდით და თითქმის სიკვდილის ფასად ვისმენდით იმათ რახარუხს. სკამებიც კი არა გვქონდა ჩამოსაჯდომათ. მოზრდილი ქვები შევიტანეთ და იმეებზე ვისხედით. მხოლოდ ნავთიანს დაეზარა თავისთვის ქვის მოტანა. აღოღდებოდა ერთადერთი ფანჯრის რაფაზე და იქ აკანტურებდა ჭაჭანაჭამი ინდაურივით თავს. ერთხელ შუა ლექციაზე ჩაეძინა საწყალს. უცებ თელავიდან მოსულმა კაცმა შეამჩნია და გადაირია: „შენ რა, ფეხებზე გკიდია პარტიის პროგრამა და წესდება?! როგორ გაჰბედე იმ დროს ძილი, როდესაც პირსისხლიანი კაპიტალისტები მგლებივით გვივლიან გარს, ცდილობენ, როგორმე შემოყონ ჩვენს ბოსტანში თავიანთი ღორული დინგი, შენ კი გატყლარჭულხარ აქა და არხეინად ხვრინავ?!" – სტაცა საყელოში ხელი, კარგა რიგიანად შეაჭანჭყარა და ფანჯრიდან გადმოაგდო. საწყალი ნავთიანი, – ნამძინარევი, დაბნეული, გაოგნებული, შეშინებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ვერ გარკვეულიყო, სად იყო, რათ იყო და რა მოხდა. მერე, როცა ერთხელ კიდევ შეანჭყრიეს და ყურშიაც ჩასჩხავლეს: აბა, ეხლა, შენ მითხარი, გერმანია და იაპონია რათ გამოვიდნენ ერთა ლიგიდანო, თანდათან მოგონდა. უყურა, უყურა ამ თელაველ კაცს, არაფერი უთქომს, იგრე მიბრუნდა, ისევ იმ თავის რაფაზე აბობღდა, თავი კვლავ ფანჯრის შუშაზე მიდო და მიიძინა. მაგრამ ვინ აცალა ძინება? – გადაირია თელაველი კაცი, მთლად გაცოფდა: „როგორ თუ ძაღლათ არ ჩამაგდეო?! – ისევ ებღვნა, გემოზე მიგრიხ-მოგრიხა და მთელი ხმით უღრიალა: „გამეცი პასუხი, – რათ გავიდნენ გერმანია და იაპონია ერთა ლიგიდან!" ნავთიანმა ერთხელ კიდევ გამოაბჟუტა მიბლეტილი თვალები, ერთხელ კიდევ შეავლო გულგრილი მზერა ამ კაცს, ცოტა ხანს ეგრე უყურა, მემრე არც აიღო, არც დაიღო და უთხრა: „ერთის დედაც და მეორისაც. იმათ ჩემთვის არც შასვლა უკითხავთ და არც გამოსვლა". – ისევ მიდო თავი ფანჯარაზე და მიიძინა.

ჩხიკვმა იმდენი იცინა, ნერწყვი გადასცდა სასულეში და კინაღამ ხველებით დაიხრჩო.

– ძაან გადარჩენილა. – თქვა, როცა სული მოითქვა.

– არც გამიკვირდებოდა, რო დაეჭირნათ. მაშინ დიდი განუკითხაობა იყო... ეხლა, აი, რას გეტყვი: როცა რამე გჭირდება, მოციქულებს კი ნუ მიგზავნი, შენ თითონ მოდი. ახლა აიღე ეგ ცელი, წაიღე და თავის ადგილს დაჰკიდე.

ცოტა ხნის შემდეგ ჩხიკვი უკან დაბრუნდა.

– კაცო, ლევანა პაპავ, ი დიდ ცელს რა ძალა დააყენე, იგეთი რა უქენი, რო მაინცადამაინც შიგ ყუნწში გადაპტეხე?

– ლევანა დუმდა.

– კარგათ კია მიკერებული, მაგრამ პეწი რაღაც დაკარგული აქ.

ლევანას არც ახლა ამოუღია ხმა.

– ჩაგეძინა, ლევანა პაპავ?

– ჩხიკვი, ის-იყო, აღგომას აპირებდა, რომ ცელის პატრონის ხმამ ისევ დასვა.

– ქრისტე ბრძანებს: არა იპაროო!.. და, ვინც ამ მცნებას ყურად არ იღებს, ყოველთვის ისჯება.

– შენ რა, ეხლა ისევ გაიხსენე? ხო გითხარი იმ დღესაც, შენი თხები მე არ დამიხოცნია-მეთქი? „ხორველა" ჰკლავდა ხოლმე... მართალია, იმათი ხორცი მეცა მხვდებოდა ხოლმე, მაგრამ დახოცვით ისა ჰხოცავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერმის გამგეს მე როგორ გადაუხტებოდი წინა?

- თუ ეგრე იყო, მაშ, რათ მეუბნებოდი: ღამე დათვი მოვიდა და მოგვტაცაო; საგორავი მოჰხვდა და დავკალითო; კლდეზე გადავარდა და მოკვდაო?.. რაღა ჩემი თხები იყვნენ ამ დღეში?

- კაცო, მე ერთი უბრალო მწყემსი ვიყავი, მე რა უნდა მექნა? - რო მეთქო, შენ იმათ მაგას არ შაარჩენდი და მეტყოდნენ: ამხანაგის გატანა არ იციო და ამამკრავდნენ პანღურს.

- ფეხებსაც ვერ მოგჭამდნენ. სიმხდალე კი უკეთურ საქმეში კაცს თავათაც იმ უხეირო საქმის მონაწილედ ჰხდის.

- კაცო, რა არი, რო ამ ბოლო დროს ყველაფერს მე მაბრალებთ? გუშინაც თავმჯდომარე მე მამადგა: გინდა თუ არა, ის კამეჩები შენ დაჰნალე და იმიტომა კოჭლობენო. მე უთხარი: ჩაქჩაქაანთ ნასყიდაც მე დავნალე, რათა კოჭლობს-მეთქი?

ლევანამ სიცილი ვერ შეიკავა და ხელი ჩაიქნია.

- შენთან ლაპარაკი წყლის ნაყვაა. როდის იყო, რო კობიას დანალული საქონელი კოჭლობდა?

- მთვრალი იყო. შენც ხო იცი, ხელადაში ბურნასავით ძვრება.

- კარგი, მაგას თავი დავანებოთ. ავკაცობა - ავკაცობაა, თუნდაც ფრჩხილის ოდნავ იმონაწილეო... მე ეგ ცელი ადამას მოვპარე. ჯიბრიანი ვიყავი. ვგიჟდებოდი: ადამა თიბვაში როგორ მჯობნის-მეთქი... მოვპარე და, რო არ ეცნო, გომბორელს არ ვენდე, - უჯარმაში წავიღე, იქაურ მჭედელს ყუნწი წავაჭრეინე და მერე ისევ მივაკერებინე. ყუნწს რო აჭრიდა, გამოქანდა ეს წაჭრილი ყუნწი და წითლად გავარვარებული აემ თითში მეცა... იმის მერე მაქ ეგრე, - ვერცა ვღუნავ და ვერცა ვშლი.

- მუშაობაში რო არ გიშლის.

- არაფერში არ მიშლის. პირველი სახსარი ჩვეულებრივ მუშაობს.

- ძაან კი გამწარდებოდი.

- გამწარება მაშინ უნდა გენახა, როცა ადამამ მაინც იცნო თავისი ცელი.

- იჩხუბეთ?

- ნეტა გვეჩხუბნა, გულზე მომეშვებოდა... მითხრა: მეორეცა მქონდა, ეგ შენთვის უნდა მომეცაო...

- ძაან მაგარს ამბობენ ადამას. თიბვაში ჰჭამდნენ ერთმანეთს ისა და ლევანა, მაგრამ ვერ იტყოდი რომელი რომელსა ჰჯობდაო.

- ნამდვილად მაგარი იყო. ეე, ძაან მაკლია უიმისობა.

- დიდი ხანია, რაც მოკვდა?

- დიდი ხანია.

- თუ ეგრე მაგარი იყო, რამ მოკლა?

- არაყმა. სმა უყვარდა ძალიან.

ჩხიკვი ერთხანს გაისუსა. მერე იეშმაკა და საუბრის წყალი ისევ ძველ ღარში გადაუგდო.

- ეხლა ხო ყველაფერი წასული საქმეა, ლევანა პაპავ, დავიჯერო, ცელის მეტი არაფერი მოგიპარნია ბალღობაში?

ლევანამ ცოტა ხნით იყუჩა.

- პირველათ გომბორელი მეტყევის მამალი მოვიპარე.

- მამალი რამ მოგაპარინა, კაცო, დედალი მაინც ყოფილიყო. - ქირქილებდა ჩხიკვი.

- ქათმის მამალზე გეუბნები, დაბდუროო. ერთი უბედური მოჯამაგირე ჰყავდა დანიელოვს, შემიჩნდა: ძაან ადრე გვაღვიძებს ეგ ჯიჯლიბოძაღლი, უნდა როგორმე მოვიშოროთ, თორემ დაგვხოცავს მუშაობითო. თან შიგადაშიგ შეაპარებდა: რო იცოდე, რა ხორცს დაჰყრის, ჭამით ვერ გაძღება კაციო. მართლა დიდი იყო. რო არ მოგატყუო, კაი მაგარ ინდაურს წააჭარბებდა. იმოდენა ხმა ჰქონდა, რო დაიძახებდა: ყო-ყოროყოო! - გაღმა-გამოღმა მთები იგეთ ხმას აძლევდა, გეგონებოდა, მთელი ქვეყნის სამამლეთი გომბორში შეყრილაო... იმდენი ქნა, იმდენი მაქეზა, რომ მომაპარინა. ერთი დიდი სამოვარი გვქონდა, შიგ ერთი სურა წყალი ჩადიოდა... კვალის გასაქრობად ბუმბული დავწვით. მამალი ნაჯახით დავჩეხეთ და ნაჭრები სამოვარში ჩავაწყეთ. იმოდენა სამოვარი პირამდე გაავსო... ორი დღე ვჭამდით და ვერ გავათავეთ... პატრონი რო მოვიდა, ჩვენ გარშემო ვუსხედით და „ჩაის" ძღლღებას ვუცდიდით. დიდი ყურადღებით მოჩხრიკა იქაურობა, იმ სამოვარს ღაეჭვებით გარს რამდენჯერმე შემოუარა. ჩვენ „გაკვირვებულნი" ვადევნებდით თვალს, - ვითომდა, აქ რას ეძებსო. მერე გვკითხა: მამალი დავკარგე, ხო არ გინახავთო. უარი რო მიიღო, გაბრუნდა და წავიდა...

- მერე? თუ წავიდა, ვიღამ-დაგსაჯა?

- ღმერთი დიდია, ყველაფერს ხედავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა


- როდის აქეთია, რაც ღმერთი იწამე?

- რა მნიშვნელობა აქვს, მე ვიწამებ თუ არა? თავისით ხო არსებობს.

- ჰოო-ო? - ჩხიკვმა დაეჭვებით ახედ-დახედა. - მაშ, ეხლა გაიხსენე ღმერთი?

- ღმერთი მე ყოველთვის მახსოვდა, ავაზაკო, შენ კი არა გგავარ.

- ეხლა დაიწყე ეგრე ჭიკჭიკი? მაინც როგორ დაგსაჯა?

- როცა მოხარშული მამლის ნაჭრებს ვიღებდი, სამოვრის ყელში თეძოიანი ბარკალი გაიჩხირა. რო გამოვწიე, სამოვარი წაიქცა და მდუღარე წყალი ფეხზე გადმომენჩქრა!..

- კაი სიმწარეს კი გამაიველიდი! გაიგო დანიელოემა, როგორ დაგემართა?

- არ დამიმალნია.

- მერე? შუბლზე გაკოცა?

- ნამუსი შემინახა. ძაან ვუყვარდი და არ გამაგდო.

- ის მოჯამაგირე?

- ყველაფერი მე დავიბრალე.

- ინდე! ეგეც მე ვარ? რატო შენ არ დააბეზღე, იმან წამაქეზაო?

- მეც იმიტომ გაპატიე იმ თხების შეთქლეფა, ავაზაკო.

- გიგააავ! ჰაი, გიგააავ! სადა ხარ, ბიჭო, აქამდის?!

- დედაჩემია. ფიჩხი უნდა დაუჭრა, თონეს ახურებს. წავალ, ფიჩხ მიუკუწ-მოუკუწავ და ამოვალ.

- წადი, რაღა შენი სიტყვა და რაღა ძაღლის ქვეშით ბერვა. გუშინაც, მგონი, შენ იყავ, - ამოგიელიო.

- გუშინ ბიჭებმა წამიყვანეს ნავთიანის ბიჭთან. დღეს ნაღდი ვარ, პაპავ.

ლევანა ცაცხვს ზურგით მიეყრდნო და გაირინდა. ირგვლივეთის მყუდროებაში მხოლოდ ნაგვიანევად დასმული კრუხის კუტკუტი და წიწილების წიავ-წიავი ისმოდა მეზობლის ეზოდან. ხამუშ-ხამუშ წამობერილ ნიავს ბოსტნიდან კამისა და პიტნის ნაზავი სურნელი მოჰქონდა. ძლივს გასაგონად ჩურჩულებდნენ ცაცხვის ფოთლები. ოდნავ, სულ ოდნავ აღწევდა აქამდე გვალვისაგან დალეული ხევხევას ღუდუნ-შრიალი. მოშორებით მიწოლილმა ბრუნომ ყრუდ წაიღრინა, მერე ცხვირი დააცემინა და კვლავ მიყუჩდა.

ლევანამ უცბად იგრძნო, რომ წინსაფრის კალთა დაუმძიმდა. ხელი გაიწოდა და გაიღიმა.

- ჯიბგირ, მოხვედი, ჯიბგირ?

კატა მოფერებისთანავე აკრუტუნდა. იდგა და ხელის ყოველ გადასმაზე ხან ნელ-ნელა ჩაიდრეკდა ზურგს, ხანაც კვლავ აიკუზებოდა. თან კმაყოფილი კრუტუნებდა და კრუტუნებდა. როცა დაატყობდა, პატრონის ხელი შეჩერდაო, თვითონ შეუყოფდა თავს ხელისგულქვეშ და თავათ გაეხახუნებოდა, - მოფერება რად დააყოვნეო.

- ჰაი, შე ჯიბგირო, შე მართლა ჯიბგირო. - და ლევანა ეფერებოდა და ეფერებოდა.

საწყალი ადამა! - კატები როგორც კი თვალს მოჰკრავდნენ, მაშინვე ფხაჭა-გლეჯით გარბოდნენ დასაკარგავში: ნახევრად გახსნილი კონსერვის ცარიელ კოლოფებს აგროვებდა, შიგ კენჭებს ჩაჰყრიდა და დაჰხურავდა. მერე დაიჭერდა რომელიმე კატას, იმ კოლ-ოფს ბაწრით კუდზე მოაბამდა და იგრე გაუშვებდა. კატა, ვითომდა არაფერიაო, ნელა, დარბაისლურად გაივლიდა, კუდს ჩასპანდურად გაიქნ-გამოიქნევდა, მერე კენჭების ოდნავ გაჩხარუნებაზე შეჩერდებოდა და უკან მოიხედავდა. რაღაც დაეჭვებით შეაქლებდა თვალს კუდზე მიბმულ თუნუქის კოლოფს. როგორც კი გულს დაიარხეინებდა, ფეხს ცოტა ააჩქარებდა. კოლოფი უფრო მეტად აჩხარუნდებოდა. ახლა უკვე დარწმუნებული, რომ მის უკან მთლად ფარსაგად ვერ იყო საქმე, - გაიქცეოდა. გაიქცეოდა და კოლოფიც კიდევ უფრო გააბამდა ჩხარაჩხურს. კატა ახლა ჭენებაზე გადადიოდა და, რამდენადაც სირბილს უმატებდა, იმდენად რწმუნდებოდა, რომ უკან დიდი უბედური რამ მისდევდა დასაჭერად. ბოლოს, რაკი ეს გაუსაძლისი ხმაური, საითაც გაიქცეოდა, იქით მისდევდა ფეხდაფეხ, თავგზააბნეული კატა ხესა და ქვას ეცემოდა და თან საშინელი ჩხავილით იკლებდა შარა-ორღობეებს. და იხოცებოდნენ მთელი გომბორის ბიჭები სიცილით...

ერთხელ ერთი კატა ტყეში იპოვნა ხეზე თავდაყირა დაკიდებული. ეტყობა, საწყალი ცხოველი დაფეთებული ავარდა ზედ, მერე ხმელი ტოტი მოუტყდა, კუდზე მობმული კოლოფი ორყაბაში გაიჩხირა და ეგრე ეკიდა ბაწრით ცა-მყარს შუა. იგრიხებოდა საცოდავად, ცდილობდა იმავე ბაწრით უკანვე ასვლას, მაგრამ ვერ ახერხებდა და თავის ბედშაობას მთელ ტყეს შესჩიოდა გულსაკლავად... ერთხელ იქამდის გაბრაზდა ლევანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვახედ უთხრა: ის რა კაცია, რომელსაც ცხოველები არ უყვარსო. „აი, რო მიკვარს, იმიტომაც მიკვარს მაგათი ხუმრობა“. – და ტყვია-წამლით ხელახლა დატენა მორიგი კოლოფი... ეეჰ, რა კაცი იყო საცოდავი!.. გურამიშვილს უკვე შვიდი მთიბავი დაექირავებინა, როცა ზემო ხოდაშნის თავში ნარიან ველს მიადგნენ გასათიბად ადამა და ლევანა.

– ძალიან დაიგვიანეთ, ძმობილო, აგე, რახანია დაიწყეს თიბვა. რას იზამთ, – ვინც მიდიოდა, ისა ჰფქვავდაო.

– ნარდად აიღეს თუ დღიურად? – იკითხა ლევანამ.

– ნარდად მივეცი.

– შეიძლება ვნახოთ, როგორ თიბავენ?

– აგე, სათიბიც მანდ არი და მთიბავებიც.

წავიდნენ. გურამიშვილიც გაჰყვა.

მთიბავებს უკვე ნახევარ-ნახევარი სვე ჰქონდათ გატანილი.

– შეიძლება თითო სვე ჩვენც გავიტანოთ? – ლევანა სათიბის პატრონს მიუბრუნდა.

– მიდით, თუ ეგრე გერჩით გული, მოგებაში ვიქნები. – გაიცინა გურამიშვილმა.

– ჩადექ სვეზე, ადამა.

ადამა ჩადგა.

როცა წინ წასულ „შვიდკაცას“ წამოეწივნენ და სვის ბოლოშიც მათზე ადრე გავიდნენ, ნამიანი ცელები ალერდით გაწმინდეს, მხარზე გაიდეს და ნათიბით უკანვე ამობრუნდნენ, თვალებდაყვლეპილი გურამიშვილი იგრევე გახევებული დაჰხვდათ, როგორც დატოვეს.

– ეს რა ვნახე, კაცოო! თავი სიზმარში მგონია. ვინა ხართ, საიდანა ხართ, კაცო? თითო კაცმა ორ-ორი კაცის სვე წაიღეთ და ნახევარზე გასულებს ჩაასწარით კიდეც!

– წავიდეთ, ადამ.

– დაიცათ! – გურამიშვილმა ხელი სტაცა რუსს.

– აბა, რაღას დავრჩეთ, მუშები უკვე აგვიყვანიათ.

– არა, დაიცათ!

– რაღას დაველოდოთ, – ლევანამ ამოწვერილ მზეს გაჰხედა. – გავალთ მეზობელ სოფლებში, სამუშაოთ ვართ გამოსულები.

– ცოტა ხანს დაიცათ, ის ხალხი ამოვიდეს.

– ძაან მეუხერხულება, მაგრამა მაგ თქვენს ნათიბში ორმაგად მოგცემთ. ქვეყანაზე რა აღარა ხდება. – უთხრა ცხვირჩამოშვებულ მთიბავებს პატრონმა. – ეს ხალხი მინდა ავიყვანო. – ლევანამ ტარის ბოლოთი ნათიბში დაყუდებული ცელი მხარზე გაიდო, – ჩვენ დავიგვიანეთ. თიბვის სეზონი ეხლა იწყება, ვიშოვნით სადმე სათიბს... ეს კარგა გრძელი ველია, კარგი იყო, მოგვესწრო, მაგრამ დავიგვიანეთ.

– რანაირათ დაიგვიანეთ, მზემ ეხლა ამოყო ყური. მინდა, რო თქვენ გაჰთიბოთ.

– არა, ჩვენ ამ ხალხს ვერ შევეცილებით.

– კაცო, ეს სათიბი მაგათი კი არა, ჩემია, ვისაც მინდა, იმას გავათიბინებ.

– არა, წავიდეთ, ადამ.

– დაიცათ, – თქვა იმ შვიდთაგან ერთ-ერთმა, რომელიც იმათში თავობდა, – შემოგვიერთდით და ერთად გავთიბოთ.

– ჰა, რას იტყვით? – გაუხარდა გურამიშვილს.

– ლევან, შენი დედაც, – თქვა ადამამ, – მოდი, ეგრე გავაკეტოდ: ეს სატიბი შუაზე გავკოდ, – ნახევარი მაგატ გატიბონ, ნახევარი ჩვენ.

– თანახმა ხართ? – მიუბრუნდა ლევანა მთიბავებს.

– თანახმა ვართ. ეგეთი ხალხითვინ ალალია კაი სათიბიცა და კაი საფასურიც.

– აბა-ბა-ბა, – თქვა ბოლო სვეზე მდგარმა მთიბავმა, – ე, რუსი რო წამამეწია, რო არ მევაშკაცნა და გვერდზე არ გავხტომოდი, ნამდვილათ ფეხებ დამასხეპამდა. – თითო მოსმაზე თითო ბულულს აგდებდა, კაცოო!

– თქვენ თანახმა ხართ, ხაზეინ?

– თანახმა კი არა, თუ დღის ბოლომდინ გაუძლებთ და ამ შვიდი კაცის ნახევარს მაინც გაჰთიბავთ, – ნახევარ ფასს ხო მოგცემთ და მოგცემთ, – ზედ ერთ ჭედილასაც დაგისართებთ.

სამ დღესა თიბავდნენ ნარიან ველს. მესამე დღეს ამოვიდა პატრონი. საღამოს პირზე რუსი და მისი ძმაკაცი ნათიბ ბალახზე მიწოლილები რომ ნახა, თვალს არ დაუჯერა: მთელი ველი ტყის პირამდის ძირში იყო გადაპარსული! შვიდ მთიბავს ბოლო სვე გაჰქონდა.

გურამიშვილი დადიოდა ლამის ორმაგი სვეების შორის, ათვალიერებდა ნათიბს და გაოგნებული თავისთვის ბუტბუტებდა: „ეგეთი რამე არც მინახამს და არც გამიგია! – ე რეები ყოფილან, კაცოო!“ მივიდა, ნათიბზე მიწოლილებს თავზე დაადგა და უთხრა:

– მე ეგეთი ნათიბი არ მინახამს, გეგონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ება, დალაქს სამართებლით გადაუღიაო.

– საერთოდ, მთიბავი ნათიბზე იცნობა: ცელს რო მოუსვამს, მიწა უნდა ტიროდეს! – თქვა ლევანამ.

როცა შეიდმა მთიბავმაც „შაბაში შეკრა" და პატრონთან ამოვიდნენ, გურამიშვილმა ყველას თავისი საფასური გადაუხადა და მერე საჯაროდ გამოაცხადა:

– სიტყვა სიტყვაა! ალალია ამ ორ კაცზე ერთი ჭედილა!

– მართლა ალალია, – კვერი დაჰკრა შეიდმა ყურებჩამოყრილმა მთიბავმა, – ამ ხნის ხალხი ვართ, სად არა ვყოფილვართ, სად არ გვეითიბნია, მაგრამ ეგეთი რამე არ გვინახავს.

– მოუყვანე, ბიჭო, ამათ თავიანთი ჭედილა! – გასძახა მსახურს ბატონმა.

– არა, – თქვა ლევანამ, – სათიბი შუა გავყავით, და ეს ჭედილაც შუაზე უნდა გავყოთ.

შეიდმა მთიბავმა თავის წილზე უარი თქვა:

– ვისაც ალალათ ეკუთვნით, იმათ უნდა წაიყვანონ.

– მაშ, არც ჩვენ გვინდა. – თქვა ლევანამ.

და მაშინ იყო, შეიდმა მთიბავმა რომ მთელ კახეთს მოსდო ორი საოცარი მცელავის ამბავი...

კატამ პატრონს ბარძაყზე გადაუარა, ცაცხვის ზროს შეეტოტა და ქერქს ფხაკაფხუკი აუყენა.

– ოჰო-ჰო-ჰო-ჰო! საომრად ემზადება. ვაი ეხლა თაგვებისა და ვირთაგვების ბრალი!.. ამაზე თავის ნათქვამა და თავგუნება არც კაცი მეგულება და არც ნადირი. რა ენაღვლება-რა: ზაფხულში კაი ჩრდილი, ზამთარში კაი ღუმელი და გაზაფხულ-შემოდგომობით კაი ყუდრო სულ ამისია. ტყუილად კი არ ამბობდა ოსკანოვი: კატას ჯიბეში კაპიკიც არ უჭყავის და ხოშიანათ კი ცხოვრობსო...

* * *

ოსკანოვმა გვერდით მდგარს ცნობისმოყვარედ აჰხედა.

– აბა, რას იტყვი, ჩასპანდ, ედიგაროვის ბაკი მოვა ამასთან?

ლევანა შემობრუნდა. ერთხელ კიდევ შეათვალიერა აღმოსავლეთისა და სამხრეთ გალავნის კედელთან ჩამწკრივებული თავლები და მზერა ირგვლივ შემოატარა.

– ეს იმაზე კარგა მოზრდილია.

– აბა, მაშ მე რას გეუბნებოდი? – კმაყოფილი ოსკანოვი ფარდულთან შეჩერდა.

დილის მყუდროებაში დანდობილად თვლემდნენ ახალთახალი ომნიბუსები, დილიჟნები, ეტლები და კრიალა ფაიტონი. ამათგან კარგა მოშორებით იდგა ნაგვის გასატანი ფურგონი. იმას იქით პირდაპირ ცის ქვეშ ეყარა უამრავი სათადარიგო ნაწილი: მორგვები, სოლები, ქანჩები, ხრახნები, ხელნები, სარეკები, წინა და უკანა თვლები, ღერძები, სალტეები და სხვა ათასი წვრილმანი და მსხვილმანი. ვეება საწყობს ვეება კლიტე ედო, სადაც ნალ-ყაირი და ცხენთა აკაზმულობა ინახებოდა.

– ეხლა ცხენებიღა გვაკლია.

– ცხენები და მეეტლეები.

– მართალია, ბალიკჯან, ქუჩრებსაც შარჩევა უნდა. თუმცა, თუ დამჭირდა, ერთი ქუჩერი უკვე შინა მყამს.

– როგორ, აღა-იაგორ, შენი ბიჭი პარიზში აპირებს სწავლას, შენ მეეტლეთ გინდა დასმა?

– ერთი შენც, ჩასპანდ, – „შენი ბიჭი, შენი ბიჭი!" – ჩემმა ბიჭმა რა იცის, კატას კუდი სად აბია, – უფულოთ ციყვს ფუღურომდინ თხილი ვერ მიუტანია, რომელი ევროპაა? შენ ხო გაგიგია: ჩემი ურგები – ქოთანი ქვასა და მაწონი ძაღლსაო... ეე, ბალიკ, – სხვის თავზე კაკლის მტვრევა ადვილია. ჩემი ბიჭი? მტრის ოჯახში ეგეთი დოვლათი! ჩემი ბიჭი ჩემთან აღარავინ ახსენოს! აი, – ოსკანოვმა მოკლე კაზიროკიანი ქუდი მოიძრო და ჯაგარა თავი ძირს დახარა, – აი, აეს თეთრია, რაც მაგან თავის სიცოცხლეში შინ შამამიტანა...

– მაშ, ის ერთი ქუჩერი ვინღაა, აღა-იაგორ?

– ეგ ბიჭმა იცის! აი, ის ლაპლაპა ფაიტონი რო არ არიი, – იმისთვინა მაქვს შანახული. სხვა ქუჩრებიც კარგები უნდა შავარჩიოთ. დუქანი კი ვერ მამიფიქრებია, სად დავდგამთ.

– დუქანი? დუქანს აქ რა უნდა, აღა-იაგორ?

– ეე, კაი ბიჭო, – შატ იუღა ფლავ ხარაბ ჩი ანი*. აქ დუქანი რო არ გაიმართებაა, მილეთის ხალხი დაიწყებს მისვლა-მოსვლას: ზოგი გამგზავრებას დაუცდის, ზოგი დაღლილი დაისვენებს, ზოგი ეშიება; თუ კაი მედუქნე იქნებაა, თელაველი ლოთიფოთი

-----

* ბევრი ერბო ფლავს არ აფუჭებს (სომხ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭები სხვა დუქნებიდან სუ აქ გადმაინაცვლებენ საქეიფოთ, მააშ!

– ფულის მეტი რა გაქვს, ალა-იაგორ, აქ აღებული კაპიკები რას მოგცემს?

– ჰაი, ჰაი, ჰაი! როგორ გეტყობა, რო ნაღდი ქართველი ხარ! ნამდვილი ჩუმათხეველი ხარ, რაღა! ამის მემრე ჩემგან იცოდე, რო ფულის დედა კაპიკია. კაპიკს კი ვინც არაფრათ აგდებს, იმისი ფასი კაპიკიც არა ღირს. რას გიშლის, ავაშენოთ დუქანი, იქიდან რაღაცა გამოდნება. რაღაცა კი არაფერზე მეტია.

– როგორც გინდა, ალა-იაგორ, ადგილი შენია და აქ გინდა დუქანს გამართავ და გინდა ქარვასლას დადგამ. მე კი მაინც გეტყვი, რო ნემსით ჭას არავინა სთხრის.

ოსკანოემა მოსაუბრეს თვალი სიამით შეავლო, ულვაშების ბუწკნარში თითქმის შეუმჩნევლად გაიღიმა და გაიფიქრა: „ეს თუ ჩემ ჭკვაზე მოვაქციე, ამისგან კაცი დადგება“. აშკარად კი ეს უთხრა:

– ჭას, თუ დაგჭირდა, ნემსს ვინა ჩივის, თავით დაუწყებ თხრას. ეხლა ერთი რამეც დაიხსომე ჩემგან: სჯობია ნადირს კუდში მაარტყა, ვიდრე მთლათ დააცდინო... კანტორაც მამწონს, სალაროსაც არა უშავს-რა, მაგრამ ერთი რამე მაინც უნდა ვთქო:

– შენი ხმალი და ჩემი კისერი.

– შენ მაჩვი ხო გინახამს.

– მარტო მინახავს კი არა, სოროშიაც შემიბოლებია.

– მემრე? დაგიჭერნია?

– ვერა. ყოველთვის გამპავია.

– საიდან გაგპარვია?

– ეშმაკმა იცის იმისი თავი, გამპარვია. გეგონება, სოროდან სადმე სხვაგან გვირაბი აქვს გაყვანილიო.

– შენ პირ შაქარი. აი, საქმეც ეგ არი, ლევანჯან: ჩვენც იმ მაჩვივით ჭკვა რო არ ვიხმაროთ და ერთი გვირაბი სადმე არ გავიყვანოოთ...

– რომელი გვირაბი, ალა-იაგორ, ბახტრიონი რა ხანია აღებულია. – ლევანამ დაეჭვებით აჰხედა „ხაზეინს“.

– იაგორას გაეცინა. გაცინება ულვაშების აქეთ-იქით ზომაზე მეტად გაწევ-გამოწევით გამოიხატა.

– როგორ გეტყობა, ლევანჯან, რო უმტერო კაცი ხარ! ბაშინჯაღიანი ხო არ დაგავიწყდა? შენი თვალით ხო ჰნახე, რა შტუკები ქნა, რო აქ ბაკი არ გამეხსნა. არასდროს დაივიწყო, რო გაყინული გველი პირველათ იმასა ჰკმენამს, ვინც უბეში ჩაისო და გაათბო...

– მაინც რა გაქვს უზურში?

– მზის ჩასვლის მხარეს, გალავნის კუთხეში, ყოველ შამთხვევისთვინ, ერთი ალაყაფი უნდა დაუყოლოთ. მაქეთ ხალხი არ დადის და თვალისთვინაც მოსაფარია. საქალაქო გზაზე იგრე გახვალ, კაცმა თვალი ვერ მოგკრას. გაივლი რიყეს, გაჰყვები ზუზუმბოს ქუჩას, ჩაივლი დაღმართს, ჩახვალ დაბახნებთან და შაბაშ! – გახვალ სახელმწიფო შარაზე!

– ამოსვლით როგორღა ამოხვალ იმ აღმართზე?

– უნდა ამოხვიდე; მთელი ცივ-გომბორი ამაზე დიდი აღმართ-დაღმართი არ არიი? – დაბახანებზე კი ქვაა დაგებული.

– როგორც იტყვი, ალა-იაგორ, მასალა გვაქვს, დღესვე მოვიყვან დლურგალსა და ჭიშკარს შევაკვრევინებ.

– არა, ჯერ ეს საქმე წავიგდოთ წინა. ჰხედამ? – მთელი ზაპასნოი ნაწილები გარეთა ყრია. დღეს ესენი შააზიდინე საწყობში, დააბინავებინე, მემრე ხვალემ იფიქროს ხვალისა. ეხლა წავიდეთ და საქუჩროში დავსხდეთ.

„საქუჩრო“ ჯერ კიდევ სადურგლო სახელოსნო იყო. დაზგაზე ფიცრები შალაშინდებოდა. დაზგის ქვეშ ხვავად იდგა ნახერხი და ბურბუშელა. კედლის ძირზე, კოჭის ორ გადანაჭერზე სკამად გაურანდავი ფიცარი იდო.

ოსკანოემა თვალი ირგვლივ მოატარა, მივიდა და ფიცარზე ჩამოჯდა. ერთხანს ჩუმათ იჯდა, მერე იდაყვი მუხლზე ჩამოიდო, ხელი ნიკაპს შეუბჯინა და ბიჭს დაჟინებით შეაცქერდა.

ლევანამ ცოტა ხანს ითმინა ეს ცქერა, მერე თავადაც მოჰხედა და თვალი თვალში გაუყარა.

– რამის თქმა გინდა, ალა-იაგორ? რაღაც გაუბედავ კაცად რო არ მეჩვენები!

– ანგარიში უნდა გავასწოროთ, ლევანჯან.

– მემრე ეგ გადარდებს? შენ ხევის საქმეზე იმდენი გადამიხადე, ნამუსიანმა კაცმა ამჯერობაზე ჯამაგირი არც უნდა მოგკითხოს. ალალი იყოს, ალა-იაგორ, ბარი-ბარში ვიყოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



- ლევანა წამოდგა.

ოსკანოვი არც განძრეულა. არც ბოძად შეყენებული ხელი მოუცილებია ნიკაპისათვის. მხოლოდ თვალები დააგეზა და ისე შეხედა ფეხზე მდგარ ბიჭს.

ბიჭმა ამ გამოხედვაში სითბოს ნაპერწკლები შენიშნა და გაოცდა.

- რა არი, ალა-იაგორ, კიდევ რამეში ხო არ გჭირდები?

- ლევანჯან, - მძიმედ ლაპარაკობდა ოსკანოვი, ტკეპნით, თან ბაღდადით იწმენდდა შუბლსა და თვალებს, - ლევანჯან, თათრებმა იციან: ევ ალან, ევა მინარეთიდან ბახმაშ.

- რაღაც არ მესმის შენი ქართული.

- ქართულად ეგრე იქნება: ვისაც სახლის ყიდვა უნდა, მინარეთიდან არა სინჯამსო.

- სახლების მეტი რა გაქვს, ალა-იაგორ, კიდევ სახლი გინდა?

- სახლს რა თავში ვიხლი, ლევანჯან, კაცი მჭირდება, - ნაღდი კაცი. რა ხანია პოპოპები გავაფრინე და კოჭლი სახედრით აღარ მინდა ქარავანში გარევა... მე შენ მინარეთიდან არ გამისინჯიხარ, რა ხანია, ცხვირწინა მყამხარ. იმ არევ, ქუ არევ*, არ მინდა შენი მოშორება, ლევანჯან.

ლევანა ფიცარზე დაეშვა. ერთხანს იყუჩა, მერე თავი აიღო და მოლოდინით მომზირალ ოსკანოვს მიაჰხედა.

- რო არ ვიცრუო, მეც დამენანება შენთან გაყრა, ალა-იაგორ... კიდევ რა შემიძლიან შენთვის გავაკეთო?

- მარტო ჩემთვის არ მინდა, ბალიკ, მენანები. ახალ-ახალი ხაზეინის საძებნელათ სიარული ხეირ იოხტურ! როდის იყო, ცავატანემ, ქარს აყოლილი ღრუბელი წვიმას შერებოდა?

- მაშ, მითხარი, შენ რა გინდა და მე რა უნდა ვქნა.

- მოდი, ჯერ ისა ვთქოთ, შენ რა უნდა ჰქნა: კანტორა რო არ არიი, იქ მიხვალ და იციან, რაც უნდა ჰქნა. რო იზამენ, მემრე იქიდან პირდაპირ ჩემთან ჩამოდი.

- ალა-იაგორ, ხო ვთქვი, ბარი-ბარში ვიყოთ-მეთქი?

- შენ კი სთქვი, დალოცვილო, მაგრამ მე დაგიჯერე? არა, ცავატანემ, წმინდანის საფლავზე დამიფიცნია, შენისთანა კაცთან ჰარამი არა ვქნა. მამციაობას მამციაობა მააქს. შენ რო არა ჰყოფილიყავიი, - ბასტა! - ეს ბაკი აღარ იქნებოდა. მე რა გამამეპარება, ბალიკჯან: ორჯელ ჩუმათ გაჩენილი პაჭარი ჩააქრე. მესამეთ ძაღლი მოგიწამლეს. ღამეები-არა გძინებია და ქურდი მიწიდან ამოგითხრია. იმათ დახლილი ნიფხავ-ხონჯრები ეხლაც საწყობში გიკიდია მუზეუმივით. ვაიმე, ვაიმე! ძაღლის მამწამლი რო დაიჭირე, სამი დღე გება იმ ძაღლის ადგილას იმ ძაღლის ჯაჭვითვე. სანამ ახალ ძაღლს იშოვნიდი, იმას აყეფებდი ღამღამობით ქოფაკივითა.

- დედიმისის შვილი იყო და არ დაიყეფებდა!

- ვაჰ, ვაჰ, ვაჰ, ვაჰ! მაინც როგორა სცემე იმისი საჯდომი, რო ორი კვირა ქეჩაზედაც ველარა ჯდებოდა.

- ძაღლი იყო, ძაღლის სალაფავს ვუსხამდი გეჯაში და ცემას იგრე მიეჩვია, სანამ ქამრით ხუთწუთიან „ვარჯიშს" არ ჩავუტარებდი, სალაფავს პირს არ აკარებდა.

ვაიმე, ვაიმე, შენი დარტყმული ქამარი? აი, სუფსარქისის მადლმა, რო გამახსენდება ხოლმე, არაა, - სიცილით ვიხრჩობი. დასაფთხობათ თოფიც რო გესროლეს! ვაჰ, რა ბიჭს დააფთხობდნენ!

- გაგიხარიან, მე ისინი ვაჭენავე, როცა იმათ ნასროლს ჩემი თოფ-დამბაჩა მივაყოლე. იმის მემრე აღარც ვინმეს გაუბედნია აქაურობის ახლომახლო გამოჩენა.

- ვიცი, ლევანჯან, ვიცი, - ვინც შენ ამ ეზოში ერთხელ მაინც ღდისით არ შაგხედაა, ეს ხანჯალი, ზედ დამბაჩა და ჰამაც თოფიი, - იმ არევ, შამილის გული უნდა ჰქონოდა მეორეთ მამსვლელს.

- ნამეტანსაც ნუ გააბუქებ, ალა-იაგორ, - ყარაული იმის ყარაულია, რაც აბარია, შეინახოს.

- ერთი შენა და, ათი ყარაული შენთან ვერ მოვა. - იაგორამ თავი ოდნავ ჩაიქნია და ჩაიქსუტუნა. - შენ მე კაცის ცნობას ვერ მასწავლი! თუ კატა და თაგვი ერთმანეთში დაზავდნენ, მაშინ პატრონის ბეღელი ფააფუ! - დაცარიელდება. ეე, ბალიკ, ჩემი მოტყუება ეგრე ადვილია? მე ისიც კი ვიცი, ერთ ღამეს თავად გასპადინ ბაშინჯაღიანმა რო გიქნა „ვიზიტი". ისიც ვიცი, მარტო იმაში რამდენი გაძლია, აქ ყარაულობაზე რო უარი გეთქო. არც ის გამამპარვია, რა „პატივითაც" გაისტუმრე აქედან.

- მაგარი დაშვერვა გყოლია, ალა-იაგორ.

---

* ჩემა მზემ, შენმა მზემ (სომხ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



- მაშ როგორ! ანგლიჩანები და ფრანცუზ-ები ჩემთან - ფას!... ეხლა კი, იცი სომეხმა რა თქოო?

- რაო, რა მინდაო, სომეხმა?

- ენ აჩქერა ქორანა, ვორ ტესანელი ჩიტესნი.

- ეგ რაღააო, ვითომ.

- იგეთი თვალები დაბრმავდეს, რომელმაც დასანახი ვერ დაინახოსო.

- სომხები ჭკვიანი ხალხია, - იტყოდა.

- ჰოდა, ნუ შაგეშლება, ცავატანემ, რო მეც სომეხი ვარ. აქაურობას კი ეხლა უფრო შჭირდება პატრონი.

* * *

კატა, როგორც კი მორჩა კლანჭების ლესვას, ძირს რბილად ჩახტა და თავის კატურ საქმეზე გასწია.

ლევანა პირქვე წაწვა, გრძელი მუთაქა იდლიებსა და მკერდქვეშ მოიქცია და იდაყვები ტახტზე დააწყო. ერთი იდაყვი ქისას მოუხვდა. წამით შეცბა, რადგან იგი ყოველთვის ქამარზე ეკიდა. შეხებისთანავე, როგორც კი ოდნავ გაჩხაკუნდა, მიჰხვდა, იქ რატომაც იდო: მისი სიმძიმე ნებას არ აძლევდა ქამარზე შებმისას. და ეს უკვე ფულის კიდევ ერთი თვისება გახლდათ, რათა მისდამი უარყოფითად ყოფილიყო განწყობილი. ფული ორ ერთმანეთის საპირისპირო თვისებას შეიცავდა მარად ჟამს: ფულისთვის კაცს შეეძლო ეცრუა, ეღალატა, ემტერა, ეყაჩაღა, ექურდა, ემრუშა, კაცი მოეკლა და ათასგვარი ასეთი სიმდაბლე და სიდამპლე ჩაედინა. მეორე მხრივ კი იმავე ფულს შეეძლო: ქვეყანა აეშენებინა, მონა მონობიდან დაეხსნა, კაცი - სახრჩობელიდან, საწყალი - სიცივ-სიტიტველიდან. ფულს ძირი ოქროსი ჰქონდა და მხოლოდ ორ შემთხვევაში პირველობდა სხვა ლითონი: ერთი - განძის გაყოფის დროს, როდესაც ოქროზე ადრე რკინას სტაცებდნენ ხოლმე ხელს, ხოლო მეორე - ომში, სადაც სულაც რკინა პირველობდა, მაგრამ, საბოლოოდ, რკინა მაინც ოქროს შვილობილი იყო. ამიტომ, რაკი ფულის ეს თვისებები ერთიმეორეს აბათილებდა ლევანა საკმაოდ გულგრილობდა ფულისადმი. ხოლო ზოგჯერ, როდესაც ამ სიკეთისა და სიბოროტის წყაროს სასწორზე სდებდა, ბოროტება გადასძალავდა ხოლმე სასწორის პინას, რადგან სიმდიდრე კაცისა, უფრო მეტად, უპატიოსნო გზით დადიოდა.

ლევანამ ყური ცქვიტა. ფეხის ხმა მოახლოვდა.

- მადლობა ღმერთს, რო სიტყვა არ გასტეხე, ავამაკო.

- მე არც სხვა დროს ვტეხამ ხოლმე, ლევანა პაპავ. ზოგ-ზოგჯერ იგეთი რამე გამოვარდება, ვეღარ ვიცლი ამოსასვლელათ.

- რა დიდი საცალოები შენა გკიდია, - ძაღლივით, საცა კაი გრილოა, შენია.

- ეე, ლევანა პაპავ, ვინც ბევრი დრო ატარა, ისიც ბოლოს მიქელ-გაბრიელის ცელქვეშ მოჰყვა და ისიც, ვინც ბევრი იშრომა.

- შრომა ადამიანის სულსა სწმენდავს ბოროტი ზრახვებისაგან და დიდი ხნის სიცოცხლისთვის აკაჟებს.

- კაცო, რუს-ადამა ხო რკინისა იყო, თავისი ცხოვრებაც სუ შრომაში გაატარა, რამ მოკლა შენზე ადრე?

- იმან, რომელიც, თუ არ მოეშვები, შენც მალე გაგისტუმრებს ადამას გზით.

- არაყმა?

- დიიახ, არაყმა! ერთხელ, ზემოთ, - ჯანაანთ უბანში რო ვცხოვრობდით, ჩემთან ამოსულიყო. მე შინ არ ვიყავ - ვენახსა ვწამლავდი. მელოდა, მელოდა თურმე და ამ ლოდინში ერთი ბოთლი არაყი გამოეჩურჩნა. უეცრათ წამოვიდა წვიმა, - წვიმა და რა წვიმა! - იგრე წვიმს, თავათ წყალსაც კი დასველებისა ეშინიან. მიველ და ქოხს შევეფარე. როგორც კი იჯერა ცამ გული, გადაიღო. გადაიღო და მეც გამოვედი ქოხიდან. გამოვედი, მაგრამ არ გინდა შინ მშრალად ასვლა? მთელი გზა ჩანგალაანთ ხრამიდან გამოვარდნილი წყლით არი სავსე! იგეთი მოდის თიხასა და შლამში არეული, ძაღლიც კი მოერიდება ზედ გადახტომას. აქეთ-იქით ღობეებს გზაზე დაუტევენელი წყალი აწვება. ფრთხილად, ხელ-ნელა მივდივარ ღობის ძირებზე, არ მინდა დავსველდე, მაგრამ საქმეში ხარ? - ზოგან მუხლებამდის მირტყამს წყალი!.. შარაგზას რო ამოვცდი, პარმენაანთ ზემოთ, გავიხედე და ეხლავ: ძეძვების ძირში თეთრ-ჩალისფერი რაღაცა გდია. რგვალი. დავუკვირდი, დავუკვირდი - და ადამიანის თავია! გავშეშმიშდი: ვისი თავია, ვინ მოკლა, თუ მოკლა, თავი რაღათ მოაჭრა, თუ მოაჭრა, რაღა აქ დააგდო? ან იქნებ წყალმა ტყიდან ჩამოიტანა? - ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვით, კარგა მაგრა ავირიე. მივუახლოდი და, ღმერთო დიდებულო! - ადამას თავია! კიდევ უფრო რო დავუახლოვდი, მივხვდი, რო თავი არ მოეჭრათ. თავი ტანს ება და ტანი, ნიკაპიდან მოკიდებული ფეხებამდის, წყალში ეგდო და მთელი ეს მღვრიე ხევი ზედ გადასდიოდა. დავტაცე ხელი იღლიებში, ავწიე და ფეხზე რის ვაივაგლახით დავაყენე. ადამამ ერთი-ორჯერ ამოიქშუვლა, გამაგრ-და მუხლებში და თვალი გაახილა. ცოტა ხანს მიყურა, დამინამდვილა და გახარებ-ულმა შემომი-კურთხა:

- ლევან, შენი დედაც, რა კარგი, რო მოხვედი. სად იკავ, ერთი ბოტლი უშენოდ დავლიე.

მერე მიიხედ-მოიხედა და გაიკვირვა:

- არაკი... რა იქნა არაკი?

თურმე ეს საცოდავი, სანამ იწვიმებდა, შინ წამოსულა. მერე, როგორც ეტყობა, დაჰრია არაყმა ხელი, იქვე გზაზე, ძეძვების ძირში მიდო თავი და მიიძინა. კაცო, იმოდენა წყალი ზედ გადასდიოდა იმდენ ხანს და, სანამ არ მივედი, ვერაფერი გაიგო! კიდევ კარგი, რო თავი ცოტა მაღლა ედო, თორემ ფაა-ფუ! - ადამა აღარ იქნებოდა. - მიქელ-გაბრიელი გულუხვია, იმ ღამესვე თავისთან წაიყვანდა ვახშმათ.

- ალბათ, ერთ კვირას მაინც ლესავდა ლოგინს.

- ლოგინი არა, პანტის ჩირი, - მეორე დღესვე დილაადრიან მომადგა კარზე: წამო-დი სახლს კრამიტი გავუსწოროთ, დედაკაცს წვიმა ჩამოსვლია გუშინო.

- მართლა რკინის კაცი იყო საწყალი.

- რკინისა იყო და სასმელმა დაძალა. არაყმა გადაიყოლა.

- რამდენი წლისა იქნებოდა?

- სამოცდაათ-სამოცდათერთმეტისა იქნე-ბოდა.

- ეეჰ, ნეტა მეც მიმაღწევინა მანდამდინ.

- შენ მაგის ნახევრამდისაც ვერ მიხვალ, თუ სასმელს არ შეეშვები.

- მა შენ როგო მიაღწიე ას წელსა?

- მე რო ვსომდი, დაბდურო, მხოლოდ გრძელ კაპანიებში ვსომდი. არაყს არასდროს არ ვეტანებოდი. ღვინო კი გამოზომილი ვიცოდი. შენ კი შეეშვი არაყსა და გაბმულ სმას, თორემ მაგის ნახევრამდისაც ვერ მია-ღწევ. იმას სხვა ფოლადი ჰქონდა. უკვე დროა დაცოლიანებისაც, - იქნება დედაკაცის მოყვ-ანამ გიშველოს.

- აბა, რას დავცოლშვილდები, არც მე მიყვარს ვინმე და არც ისინი მიმტვრევენ სახლის კარს. ძველებურათ მაჭანკლებს ხო არ დაუწყებ ღრეჯას.

- შენ მიქარვას თავი დაანებე, შავ ტახს შავი ნეზვი არ დაელევა. სმას მოეშვი, მიდექ-მოდექი და იშოვნი.

- კაცო, მეც ლევანა კი არა ვარ, ვინმეს ქორწილში მიუხტე, გვერდიდან პატარძალი ავაღლიტო და გავაძუნძულო!..

* * *

ლევანა ქორწილში მაშინ შევიდა, როცა მოცეკვავენი ბოლო წრეს უვლიდნენ.

ნეფემ იმავ წამს შენიშნა შემოსული. ერთ-ბაშად გაშრა, გაფითრდა, მერე სიწითლემ აჰკრა, საყელო დაბნეული მოძრაობით მოი-ფონა და თვალებში შიშთან შერეული გაოც-ება აესახა. ეტყობოდა, ამ ღამით ისეთს არავის ელოდა, რომლის მოსვლაც ოჯახი-სთვის სასურველი არ იქნებოდა.

სუფრის დასაწყისში იდგა სტუმარი და იქ მყოფთ დაკვირვებით ათვალიერებდა. ვეება, მეცხვარული ქუდი თვალებზე ჩამო-ჰფხატოდა, გრძელბეწვიანი მხრებიდან ფეხი-სწვერებამდის დაშვებული ნაბადი მთელ ტანს უფარავდა და მის პატრონს უსახო, შავ ბუმბერაზად აჩენდა. გვიანი შემოდგომის გადაუღებელ წვიმას თავით ბოლომდე გაე-ლუმპა, ქუდ-ნაბადს წყალი წურწურით გას-დიოდა და ფეხებთან გუბეს აყენებდა. მოსული კისერს მძიმე-მძიმედ აბრუნებდა და მექორ-წილეთ დაკვირვებით ათვალიერებდა. ბოლ-ოს ნეფე-დედოფალს მიაშტერდა და ეგრევე გახევდა.

დამხვდურებმა ტაში თანდათან მიანელეს, მერე აკანტიკუნტეს და ბოლოს ზურნა-დაირასავით მთლად ჩააწყვეტინეს ხმა. ახალ სტუმარს გაოგნებულნი და ცნობისმოყვარ-ეობით აღვსილნი მიაჩერდნენ.

დარბაზი გამოუცნობის მოლოდინით დაი-ძაბა.

სტუმარი კი იდგა დედაბოძივით ჩუმი, უძრავი და პირქუში. ამ მდუმარებაში, ამ სიჩუმეში რაღაც უსიამო, რაღაც საფრთხის შემცველი იგრძნობოდა. ბოლოს შეინძრა დედაბოძი, ბანჯგვლიანი ფაფახი მოიხადა, ცალი ხელით ნაბდის კალთები მჭიდროდ ჩაბღუჯა, ცალითაც მოსაწევი ბარათი მაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ასწია.

– არავინ იფიქროს, დაუპატიჟებელი სტუმარი ვიყო. და არც უცხო ვარ ამ ოჯახისთვის.

– ნეფის ღვიძლი ღეიდაშვილი გახლავართ. ვიცი, რომ ამ დარბაზში ჩუმათ მკითხაობდნენ, – მოვიდოდი თუ არ მოვიდოდი. დავიგვიანე, მაგრამ მაინც მოვედი, რადგან ერთმა ჭკვიანმა კაცმა მირჩია: „სჯობია ნადირს კუდში მოარტყა, ვიდრე მთლად დააცდინოო...“

გეგონებათ, ქვემოდან სადგისი ატაკესო, ნეფე ისე შეხტა და გაშეშდა! მერე იქვე მჯდომ მამას კითხვის თვალი მიაპყრო.

დაქუფრული, შეძრწუნებული მამა უარის ნიშნად თავს მოსამართ თოჯინასავის აქეთ-იქით აქანავებდა და ტუჩებს ისე უსიამოდ ღმეჭდა, თითქოს თავანკარა რქაწითელის ნაცვლად მჭახე მთხლე დაეჭაშნიკებინოს.

როგორც კი სტუმარმა ქუდი მოიხადა, აქამდე ყურდაცქვეტილმა, თვალებად ქცეულმა, რაღაც საცნაურის ნახვას ჩასაფრებულმა, გულაბაგუნებულმა დედოფალმა ყრუდ ამოიკვნესა, ერთბაშად მოსწყდა და, ნეფეს რომ მარჯვედ არ ეტაცნა ხელი, უეჭველად სკამიდან ძირს დაეცემოდა.

რაკი ახალმოსული სტუმრით გართულ მექორწილეთ ეს მოძრაობა გამოეპარათ, კმაყოფილი ნეფე გადაიხარა და პატარძალს ყურში რაღაც წასჩურჩულა დარწმუნებით. გონს მოსული დედოფალი გაისუსა და შემდეგ თავი მაღლა აღარ აუწევია.

ნეფე რომ დარწმუნდა, ჩემს მომავალ თანამეცხედრეს აღარაფერი უჭირსო, ღეიდაშვილს მოჰხედა და თვალი ბოროტად შეავლო.

– ეტყობა, ჩემმა ნაგვიანევმა მოსვლამ ძვირფას კამპანიას გუნება გაუფუჭა. ერთხელ კიდევ უმორჩილესად გთხოვთ პატიებას. ყურადღებას ნუ მიაქცევთ ამ ჭერქვეშ ჩემს მოულოდნელ გამოცხადებას. – მიმოიხედა, ბოლოში თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა, შოთს ხელი წაატეხა და ყველის პატარა ნაჭერი გადაიღო. იჯდა სტუმარი თავისთვის, ჩასციებოდა თავის თეფშსა და უწადინოდ იციცქნებოდა. იციცქნებოდა და თავით ბოლომდის ჩუმათ, დაჟინებით ათვალიერებდა ვეება დარბაზს.

ხალხი ერთხანს იყო ახალი სტუმრის მოსვლით დამუხტული, მერე ეს მუხტი თანდათან დაიცალა და მექორწილენი კვლავ გამხიარულდნენ.

ვერცხლის ყაწიმებით გადაბმული სპილოს ძვლის მასრებიანი თეთრი ჩოხა ეცვა ახოვან ტანზე ნეფეს. კისრის დროდადრო მოფონებაზე ეტყობოდა, რომ წითელი დარაიის ახალუხის საყელო სახრჩობელას თოკივით უჭერდა ყელზე. ბრტყელი, ნოლა ცხვირი განიერ ღაწვებშუა თითქოს უადგილოდ გადღაბნილიყო. შორი-შორ ჩასმული მღვრიე-წყლისფერი, გადმოკარკლული თვალები დადარაჯებით მისციებოდა ახალმოსულს.

ნატიფად ნაქსოვ გულისპირიანი, ოქრომკერდით ნაკერი, მარგალიტის ღილებასხმული თეთრი ფარჩის კაბა ხატავდა დედოფალს. გულისპირზეც ხოშარი მარგალიტები ეყარა. მარგალიტებითვე გაწყობილი ყელსაბამი უმშვენებდა აღერილ ყელს. ვეება ზურმუხტისთვლიანი ჩიხტიკოპი შვენოდა ძლიერ, წინ გადმოფენილ, უმწიკვლო ლეჩაქის ტოტებქვეშ ორი შავი ღალალი სავსე მკერდამდე უწევდა. ბაჯაღლო ოქროში ჩასმული ზურმუხტის საყურეები ნაზად დაჰკიდებოდნენ პატარა ყურის ბიბილოებს. ხავერდოვანი, დიდი, შავი თვალები კი, რაღაც უამურის მოლოდინით შეშინებული, თითქმის დაუხამხამებლად მისჯაჭვოდნენ ახალმოსულს.

თამადა წამოდგა. მაღალი ბერიკაცი იყო, სიჭარმაგეშენარჩუნებული, კარგად აღნაგი. ყანწი მოითხოვა და პირამდე გაავსო.

– აბა, ეს ჯიხვი სტუმარს მიართვით. თქვენი სახელი, ყმაწვილო?.. რაო? აჰ, ლევანა! შესანიშნავი სახელი დაურქმევიათ. აბა, ლევან, ძალიან ახლობელი ჰყოფილხართ ამ სახლისა და ყველა სადღეგრძელო, რომელიც აქ თქვენამდე შეისვა, ამ ჯიხვით უნდა გამოისყიდოთ. დღევანდელი დღე და სიხარული უდღეგრძელეთ მასპინძელს. რაო, რა მქვიაო? ლევანა? დიახ, დიახ, მშვენიერი სახელია ლევანა. – თამადამ სპეტაკ ულვაშებზე ხელი მიისვ-მოისვა, მკერდზე უბიდან გამომძვრალი ვერცხლის ძვირფასი ძეწკვი შეისწორა. – თქვენი სახე თითქოს მეცნობაო. აი, ვიხსენებ და ვერაფრით გამიხსენებია, სად უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. თან სახელიც თითქოს მემცნაურება, ყმაწვილო.

ლევანამ მერიქიფეს ჯიხვის ყანწი ჩამოართვა და თავადაც ფეხზე წამოდგა.

– ყოველთვის დიდებული მეხსიერება გქონდათ, თქვენო უგანათლებულესობავ. მეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანახვისთანავე გიცანით. მირიან ბახუტაშვილისთანა ნიჭს და თავაზიანობას, მარტო კახეთში კი არა, საქართველოშიც ბევრი ვერ დაიკვეხნის. და ეს ყველაფერი მარტო აქ კი არა, თავად პეტერბურგშიც ცნობილია. წინანდალში რო რუსეთის იმპერატორი, ალექსანდრე III ჩამოვიდა, თელავის მაზრის თავად-აზნაურთაგან მის საპატივცემულოდ გამართულ ვახშამზე თქვენ ბრძანდებოდით თამადად.

თამადას გაკვირვებისაგან წარბები მაღლა აუხტა. წელში ამაყად გასწორდა და ზემოთ აპრეხილი კოხტა ულვაშები ხელის ლამაზი მოძრაობით კიდევ უფრო მაღლა აიწკიპა.

- პირდაპირ საოცარია, ყმაწვილო, თქვენთვის ეს საიდან უნდა იყოს ცნობილი?

- ჩემთვის მარტო ეს კი არა, ისიც კარგად გახლავთ ცნობილი, რომ ეგ ვერცხლის ძეწკვი, თქვენ რო ეგრე მოწიწებით ისვამთ ხოლმე ხელს ზოგჯერ, იმ ვერცხლის საათს აბია, რომელშიც თავად იმპერატორის პორტრეტია გამოსახული სახურავის შიგნით.

თამადა ახლა მთლად გაოცებად იქცა. სუფრაც მთლიანად ჩოჩქოლმა მოიცვა.

- თუ ნებას მომცემთ, მე შემიძლიან კიდევ უფრო მეტი მოგახსენოთ.

- ბრძანეთ, ბატონო ლევან, ბრძანეთ. ღმერთმანი, მეცა და სუფრაც ძლიერ გაგვაკვირვეთ.

- სანამ ვახშამი დაიწყებოდა, მისი უდიდებულესობის პირადმა ადიუტანტმა ჰკითხა მასპინძლებს: „ვინ არი წვეულების თამადა, მინდა გავაფრთხილო“. და, როდესაც თქვენთან მოვიდა, თქვენ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

„ - ბატონო ჩემო, ხელმწიფე-იმპერატორს არასოდეს თქვენობით არ მიმართოთ.

- რატომ, ბატონო, მე კულტურული კაცი ვარ, ჩემს ნაყმევებსაც კი თქვენობით ველაპარაკები.

- კიდევ გიმეორებთ: არავითარ შემთხვევაში ეს არ ჩაიდინოთ! - როგორც მაღლა ღმერთი ერთია ცათა შინა, ეგრე ხელმწიფეა ერთი დედამიწაზე!..“ და ვახშმის ბოლოს თქვენ იმპერატორის ხელიდან ეგ ვერცხლის საათი მიიღეთ დიდებული თამადობისათვის და იმ საღამოს სამახსოვროდ.

სუფრის ნახევარმა თავი ვერ შეიკავა, რომ თავისი გაკვირვება ხმამაღლა არ გამოეხატა, ხოლო მეორე ნახევარი, რომელთა უმეტესობა სუსტი სქესის წარმომადგენლებს შეადგენდნენ, ამ ამბავს აღტაცებული ტაშით შეხვდა.

თამადამ არც ისე აშკარად, მაგრამ დიდი სიამოვნებით მიიღო უცხო კაცისაგან ეს თავაზიანი ქათინაური.

თამადის მარჯვენა მხარეს მჯდარი გოლიათური შესახედაობის კაცი, რომელიც თავის მარცხენა მხარეს მჯდარ მეზობლისაკენ წარამარა იხრებოდა და ისიც ყურში საკმაოდ ხმამაღლა ჩასძახოდა, ყანწიანს მიუბრუნდა:

- კი, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით ასეთი, ყმაწვილო?

ლევანამ ყანწი გაასწორა და პირიდან გადმონადენი ცვარი მოსწმინდა.

- მე თქვენც გიცნობთ, თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ ისეთი გვარის ჩამომავალი ბრძანდებით, რომელსაც საქართველოსთვის ბევრი სიკეთე მოუტანია. მეც მიმღერია თქვენი დიდი პაპის მუხამბაზი და ძალიანაც უყვართ ორთაჭალაში. არამარტო ორთაჭალაში, მთელ თბილისშიაც. რომელი ტრაქტირი გნებავთ, რომელი დუქანი, რომელი რესტორანი თუ სარდაფი, რო არ გაისმოდეს: „ავანთოთ შუუუ-შიის ფანარიიი!..“ თქვენი წინაპრები ხმლითა, ჭკვითა თუ ნიჭით ყველა ქართველის მისაბაძია. არც პირადად თქვენ დაგიკლიათ რამე მათი საქმეებისთვის თუ არა მიგიმატებიათ-რა, ცხრაას ექვსშვიდ წლებში, წინანდალსა და თელავში გამოსვლები რო იყო, როცა რეპრესიებისთვის ყუბანის კაზაკთა ბატალიონის ცხენოსანი პლასტუნები ჩამოვიდნენ და ხალხს რბევა დაუწყეს, თქვენ თქვენს ქვისლს, - კავკასიის მთავარმართებელ ვორონცოვ-დაშკოვს ტელეგრამით აცნობეთ და ის კაზაკთა ბატალიონი უკანვე იქნა გაწვეული... ისე, რო მაქს ჭავჭავაძე ჩვენთვისაც, პატარა ადამიანებისთვის, საკმაოდ ცნობილია.

თელავის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი - მაქსიმილიან ჭავჭავაძე, რომელსაც ცქვიტი მეზობელი ყურში ყველაფერს დაწვრილებით ჩაჰყვიროდა, ფრიად ნასიამოვნები დარჩა უცნობი კაცის სტუმრობით.

- მაინც საიდან მეცნაურებით თქვენ, ყმაწვილო? - ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა თამადას.

- მგონი, ნაცნობი უნდა იყოს თქვენთვის დიმიტრი დანიელოვის სახელი, თქვენო უგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათლებულესობავ.

– რაო, დანიელოვიო? ჩემი დიმა, ჩემი დიმიტრი! ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი. – და პირჯვარი გადაისახა. – აი, ის იყო კაცი მართლაც ქრისტიანი. რა დიდი კულტურის მქონე, როგორი განათლებული, როგორი ღვთისნიერი. მაგან გადამარჩინა სიცოცხლეს, როცა ფსიტიანის ციხის გადაღმა შელის დევენაში ხრამში ჩავიჩეხე და მარჯვენა ფეხი კოჭში მოვიტეხე.

– მე კი ის ჯეილი გახლავართ, რომელმაც თქვენს მსახურთან ერთად იმ ხრამიდან ამოგიყვანათ.

– ოო, ეს თქვენა ხართ მისი შეუცვლელი მეეტლე და მარჯვე ბიჭი, რომელიც ოსტატურად სწვავდა შელის მწვადებს და მალხაზადაც მერიქიფეობდა?

– რა თქმა უნდა, – თან „სამსუნისა" და „ტერრას" პაპიროსებს გაკლებდათ დრო და დრო.

– დიახ, დიახ, – ერთიდანაც რო ბოლი გამოდიოდა და მეორედანაც.

ორივეს გაეცინა.

– მე თქვენგან დიდად დავალებული ვარ, მაგრამ დიმას გარდაცვალების შემდეგ ისე დამეკარგეთ, სამაგიერო ვერაფრით მოგაგეთ. მაპატიეთ, რომ ერთბაშად ვერ გიცანით! მახსოვს, პირტიტველი ბიჭი იყავით, მაგრამ ძვალმსხვილი და გრძელხელება. ახლა კი... ეს მოშვებული წვერი, ეს... ასე ვთქვათ... მაპატიეთ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: მუხასავით აყრილი ტანი... ოო, არ ვიცი, სამაგიეროს რით უნდა გადაგიხადოთ.

– მაგაზე არ შეწუხდეთ, ბატონო მირიან, თქვენ უკვე გადახდილი გაქვთ სამაგიერო. მე თქვენთან, თქვენს მსგავს კეთილშობილ ადამიანებთან გავიზარდე და, თუ რამ კარგი გამაჩნია, ეს თქვენი წყალობითაც გახლავთ.

– ოო, რას ბრძანებთ, ბატონო ლევან, მთელი ჩემი ფეხის სიმრთელით ვალში ვარ თქვენთან. ერთი მოიხსენით ეგ ნაბადი, რომ ეს საზოგადოებაც დატკბეს თქვენით.

– მე ვფიქრობ, აქ საკმარისნი მიცნობენ, მაგრამ ვატყობ, რო არავისა სურს ჩემი ცნობა.

– მაინც რატომ არ იხსნით, აქაც ხომ არ წვიმს?

– მგონი აქ უფრო „წვიმს", ვიდრე გარეთ, თქვენო უგანათლებულესობავ.

– ოო, ისევ ის ძველებური ენამახვილობა, ისევ ის ძველებური ბრძნული სიდინჯე. არ ვიცი, არ ვიცი, რით უნდა გადავიხადო ის სიკეთე.

– დიდი მადლობა ასეთი სურვილისათვის, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ სიკეთის სიკეთით გადახდა ბევრს შეუძლიან, – ბოროტებაზე სიკეთით მიგება კი მხოლოდ იმათი წილხვედრია, ვინც ვაჟკაცობის გადამჭარბებელია. ოღონდ ეს სიყვარულს არ უნდა ეხებოდეს... ეხლა ერთსა გთხოვთ მხოლოდ: ამ ყანწის შემდეგ კიდევ ერთი სადღეგრძელო მათქმევინეთ და მერე დაგტოვებთ, რადგან გარეთ მიცდიან და ძალიან ვჩქარობ.

ნეფემ და მამამისმა ერთმანეთს გადაჰხედეს და მოქურუხებული წარბები ოდნავ გაეხსნათ.

– როგორც გენებოთ ბატონო ლევან, როგორც გენებოთ. ვფიქრობ, არც მაყრიონს ექნება საწინააღმდეგო არც ერთი მხრიდან. თქვენ ხომ არაფერს ბრძანებთ, ბატონო მაქს?

ყურში ჩამყვირალმა თავისი საქმე მოათავა და ბატონმა მარშალმაც ბრძანა, რომ სასურველ სტუმარს რამდენი ყანწიც შეეძლო, იმდენი დაელევინა ზედიზედ.

ამ ყანწით ამ ოჯახს მინდა ორიოდ სიტყვა ვუთხრა... ეს სახლი, გლეხის კვალობაზე, ბევრ სიმდიდრით განთქმულ ოჯახს შეშურდება თავისი დოვლათით: მისი ფარები თრიალეთის საძოვრებს ცოტაობენ; მისი ნახირი ცივ-გომბორის ფერდობებს ამძიმებს; მარან-ბეღელი ვერ იტევს ღვინო-ხორბალს; ქათამ-ბატ-ინდაურებს თვლა არა აქვს... მაგრამ ადამიანი ბედნიერებისათვის იბადება და არა სიმდიდრისათვის. სიმდიდრეს თაგვი და ციყვიც აგროვებს, მაგრამ ორივე მდიდარს იმითი სჯობნის, რო საკმარისს აგროვებს და არა საკმარისზე მეტს. უზომო სიმდიდრე ცხოვრებისთვის არი საჭირო და არა ცხოვრება სიმდიდრისათვის. მაგრამ, მე თუ მკითხავთ, სიკეთის და სახელის გარდა თითქმის ყოველგვარი რამის დაგროვება, – გზაა უპატიოსნებისაკენ მიმავალი. ოდითგანვე სიმდიდრე დედა იყო სიმაძღრისა, ხოლო მაძღარს არასოდეს გაეგებოდა რამე მშიერის ღირსებისა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენს უფროს კოლეგას, პოეტ შალვა ფორჩხიძეს გულითადად ვულოცავთ დაბადებიდან მე-80-ე წლის-თავს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ულევ შემოქმედებით წარმატებებს.



# შალვა ფორჩხიძე

## ტერენტი გრანელი

### I

შთაგონებული და უწმინდესი,
ცხოვრებისაგან გაწამებული,
გულს იოხებდა სისხლიან ლექსით
პოეზიაზე გადაგებული...

თვალებში ედგა მეტი სინაზე,
სულს უწამლავდა ჭორები მწარე,
საღამოხანად მოწმენდილ ცაზე,
ცრემლით უცქერდა თვინიერ მთვარეს.

არა სიცოცხლე, არა სიკვდილი
არ ნდომებია, რაღაც სხვა სურდა,
შეჩერებოდა ცას ფერმიხდილი
და შორეულზე ფიქრობდა მუდამ.

ანგელოზების ესმოდა ენა,
ეფერებოდა უცოდველ ჩიტებს,
სწყუროდა მათთან მაღლა გაფრენა,
როგორმე ცაში ეხილა ქრისტე.

ეჯავრებოდა მტრებთან კამათი,
ოცნებით დაღლილს და სახეშეცვლილს,
ზამთარში ტილოს ეცვა ხალათი
და პოეზიის ათბობდა ცეცხლი.

წუხდა, არ ჩანდა ბედის ვარსკვლავი,
გულს უღონებდა ნაღველი მეტი,
რომ ვერ გაართვა ცხოვრებას თავი
და ვერ გაყარა ჭინკები კეტით...

### II

ის იყო სათნო, ერთობ ნაზი სულის პოეტი,
ვერ აიტანა სუსხიანი, მკაცრი ამინდი,
ემარებოდა უამური ხმები ჭოტების,
თბილისის ბაღებს აფარებდა თავს
მიამიტი.

ხშირად ქრისტიანთ ეკლესიის იყო
სტუმარი,
ხან უსასოოდ მოწყენილი, ხან აფრენილი,
ანგელოზებთან სიახლოვის ჰქონდა
უნარი,
უყვარდა წირვა და ზარების ხმა
აჟღერილი.

სულში ათოვდა სხივი სუფთა თეთრი
კანკელის,
და იყო მშვიდი, ხან შფოთავდა, როგორც
გრიგალი,
ართობდა ვარდის სურნელება, სუნი
საკმევლის,
და თხზავდა ლოცვებს ქარში ბედის
შეურიგალი.

პოეზიისთვის დაიფერფლა ბავშვივით
მორცხვი,
ანგელოზების გაწაფული სული ნატიფი,
დარჩა ლექსები, ანთებული მხურვალე
ლოცვით,
სისხლის წვეთებით თეთრ ფურცელზე
ნაზად ნატვიფრი...

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ანგელოზს ცრემლით ევსება თვალი...

ენგურის პირას ქვითინებს ბავშვი,
ვერ მიუგნია დამწვარი სახლი,
ალარ ჭახჭახებს ნაცარა შაშვი,
ეზოში ყმუის მშიერი ძაღლი...

ქარს წაუღია ქრიალით ფერფლი,
შერცხვენილ სინდისს დასტირის ქალი,
უჩანს ჩუსტებში შიშველი ტერფი,
ანგელოზს ცრემლით ევსება თვალი...

## გაფრენილი დღეები

ნეტავი იმ დროს, ცა იის წყალით
რომ გვასველებდა მწვანე მინდორში,
ტყიდან კისკისი გვესმოდა ალის,
თმას უწეწავდა ქარი რიოში.

ფრთებს იბერტყავდნენ სველი ჩიტები,
შორს ცეცხლის კვამლი ჩანდა ახოდან
და მოვდენილიდით ნახირს ბიჭები
ატალახებულ საბალახოდან.

დედა გვხვდებოდა მუდამ ღიმილით,
გრილ სოხანეზე გვიდგამდა სუფრას
და ყვავილებით შეკრულ გვირგვინის
ვენოსავდით სურნელს ცასავით სუფთას.

ღამით რეცხავდა მთებს იის წყალი,
არ გვაძინებდა ფოთლების ტაში,
ტყიდან კისკისი გვესმოდა ალის
და ქრუანტელი გვივლიდა ტანში...

## უფლისადმი

მე მწყალობელი არვინ მყავს მეტი,
უფალო, გული რატომ დამწყვიტე?
უკიდეგანო შენს ნათელს ველტვი,
მიშველე, შურით სატანა მიტევს!

მზე რომ ჭიხვინებს წითელ კვიცივით
და ღრუბელს ურქენს, როგორც მოზვერი,
მე მეჩვენება, ზეცა მიცინის
და ლექსებს ვბლავი სისხლით მოზელილს...

ეფეთებიან ლუში ცხენები,
ჭალებში ხანძარს აჩენს ყაყაჩო,
მე დაღუპულად არ ვიხსენები,
თუ ყვავილების ბოლი დამახრჩობს.

ბროწეულების მედება ცეცხლი,
ვიწვი და ლოცვით მუხლზე გეხვევი.
სულში ღვთიურ ალს ვერ აქრობს
ცრემლი,
შენს ნათელს თითქოს ხელით ვეხები.

მე იდუმალი შენი ხმა მესმის
და სიყვარული არ მინდა სხვისი,
დამაწერინე ისეთი ლექსი,
რომ ვიყო შენი ნათელის ღირსი!

## ჩემი ანგელოზები

განა ყველამ მიგანა,
განა ყველამ დამტოვა?
ქრისტემ მადლი მათოვა
ჩემს სულს დაეპატრონა!

მე არ მიმატოვებენ
მისი ნასაზრდოები
უფსკრულისპირ კბოდეზე
ჩემი ანგელოზები...

მარად მათთან ვიქნები,
სატანა ვერ მომწვდება.
ჩემი სუფთა წიგნები
მწვანით შეიმოსება.

ლოცვა შვებას მომიტანს,
ზეცა მადლით გამლუმპავს,
დაქანცულ სულს მოვითქვამ,
უფალი არ დამღუპავს!

მე არ მიმატოვებენ
ქრისტეს ლურჯი თვალები,
ჩვენზე ნაღვლიანები,
ჯვარზე ნავალალები.

მჯერა, გზას გამინათებს
მისი წმინდა ხატება,
ლურჯი ტანის სინათლე
სტრიქონს შეემატება...

ეროვნული ბიბლიოთეკა


მარად სულს აამებენ,
ცხელი გულის ფესვების
სისხლიანი ცრემლებით
დაწერილი ლექსები!..

## ნიკოლოზ მიწიშვილს

გენანებოდა პოეზია და ცა თბილისის,
არ უნათებდა საქართველოს „შავი
ვარსკვლავი",
ბედდათარსულმა უნუგეშოდ წააგე თავი,
ვერ გადაურჩი ბნელ ყაჩაღებს ლექსის
თილისმით.

მწერალთა ბაღში დაიმარხა შენი ჩიბისი,
შენ კი ნაკურთხი არ გეღირსა წმინდა
საფლავი,
კაცმა არ იცის, სად გითოშავს ძვლებს
თოვლის ზვავი,
სად გენატრება შეცივნებულს ცხელი
ივლისი...

სად არ ეხეტე, საპყრობილეც კი ნახე
„სანტე",
პარიზის ცისქვეშ სამშობლოსთვის
ცრემლები ფანტე,
ანგელოზები ვერ გიცავდნენ უიღბლო
პოეტს...

პოეზიაზე ლოცულობდი, სხვა ხსნა ვერ
ჰპოვე,
ცხოვრების გზაზე განა ბედი ყველას
უმართლებს,
„შავი ვარსკვლავი" საქართველოს ვერ
გაუნათე...

## რევაზ გაბაშვილის ხსოვნა

არ გასვენებდა საქართველოს მსახვრალი
ბედი,
სულ თვალწინ გედგა მისი ცა და მწვანე
სერები.
გულით დაგქონდა უმძიმესი ღრუბელი
სევდის,
პარიზის ცის ქვეშ განვლილ დღეებს რომ
იხსენებდი...

არ მოგიხრია არასოდეს მტრების წინ
ქედი,
ხალხს მსახურებდი, დიდებულო
ოჯახისშვილო...
ბოლოს, ყველაფრის თვითმხილველი,
სიმართლეს წერდი,
ო, შენი სული შენს მამულში აყვავდეს
ვინძლო!

იქნებ კვლავ აღდგეს საყვარელი შენი
ივერი,
სამარადისოდ დამპყრობთაგან დავიხსნათ
თავი,
ამოვირეცხოთ თვალებიდაან ნაღველი
შავი...

ვერ ჩაკლეს მტრებმა საქართველოს სული
ძლიერი
და მეჩვენება: ქრისტეს მადლი გადმოდის
ციდან,
ქართლის სერებზე თვალთა მისთა
ნათელი ცვივა!..

## დაბრუნება

ამიტანს ჟრჟოლა, მომინდება, თბილისში
ვიყო,
მომენატრება ნედლ ლექსებზე თქვენთან
კამათი
და მინდა ჩვენი სოფლის მთვარე ყველას
გაგიყოთ,
თეთრ წისქვილებთან ბრძენ მემინდის
მოწნულ კალათით.

მოვდივარ ჩქარა,
მომშრიალებს ფეხებში ჩალა,
მომაქვს პიტნის და სველ ომბალოს სუნი
უჩვევი
და მეჩქარება
მთვარიანში რუსთველზე ჩავლა,
მონახულება ხალხით სავსე ნაცნობ
ქუჩების.

ეროვნული ბიბლიოთეკა



და როცა დილით მოაკივლებს
მატარებელი
თბილისის სადგურს,
გამოჩნდება მთაწმინდის ხედი,
თვალში მეცემა სისხლიანი სამართებელი
და ამატირებს საქართველოს უწყალო
ბედი...

## უხილავის მსურდა ხილვა...

მახსოვს, ოდეს შენს თვალებზე ფიქრი მანეტარებდა,
რა ლამაზი იყო მაშინ უზრუნველი ცხოვრება,
ანგელოზებრ დაფრინავდი ჩვენი სახლის კარებთან,
შენი ნაზი გამოხედვა მუდამ მემახსოვრება.

მიწაზე არ ვეშვებოდი, სულ ღრუბლებში ვფრინავდი,
უხილავის მსურდა ხილვა - ახლო იყო ღვთის სახლი,
პოეზიის ეშხი მწვავდა, თავს ლექსისთვის ვწირავდი,
სიყვარულით შთაგონებულს ქინი მკლავდა სიახლის.

რაც დავკარგე, აღარ მოვა, სიჭაბუკე გაფრინდა,
უნდა დავწვა ლექსთა გროვა, რაც სულს არ ეკარება,
მე ხომ პოეზიის გარდა არაფერი არ მინდა,
უკვდავებად მიღირს ლექსი, გულს რომ ანეტარებდა...

## ნიკო ფიროსმანი

გულდაკოდილი შხამიან ეკლით
პურს აწვეთებდა დალოცვილ ღვინოს,
ახლად გასხლული ვენახის ცრემლით
შეზავებულ ფერს ადებდა ტილოს.

ხატავდა შველს და ხალიან ირემს.
ხოხბებით სავსე ალაზნის ჭალას.
არ უხვეჭია დოვლათი მცირეც,
შემოქმედების მსჭვალავდა ძალა.

ხატავდა თბილისს ჯადოსნურ ხელით -
კინტოს, მეთევზეს და მეეზოვეს,
და შთაგონებულს ეკიდა ცეცხლი,
ლოცავდა ხალხს და კეთილ მეზობელს.

იცავდა სუფთად ქართულ ზნეობას,
მუდამ მებრძოლი მსახვრალი ბედის,
ხატავდა ლხინის სუფრებს, სერობას,
დახარჯა სისხლი და გული მეტი...

ეროვნული ბიბლიოთეკა



კვლავ ბრწყინავს მისი ფერთა კარავი,
არ დაუკარგავს სინედლე ძველი,
სირცხვილი, არ გვაქვს მისი საფლავი,
მან უკვდავების დაიდგა ძეგლი!..

## პატიოსნება

რატომ დამარხეთ  უსირცხვილოდ პატიოსნება? -
უსინდისობამ ბრელოსავით დაგვენიავა!
სიცივე აზრობს, სული ნათლით არ იმოსება
და საქართველო იქმნა იავარ...

სად არის თქვენი სიყვარული და სათნოება?
არ ნანობს კაცი, მეორე კაცს ტყვიას რომ ახლის...
ქვეყნიერება გადაფარა ამაოებამ,
გაოგნებული ლოცულობს ხალხი!

სიკეთის გარდა ჩვენთვის სხვა გზა არ იპოვება,
ჩვენ არ შეგვფერის ამდაგვარი გამათხოვრება,
დაგმეთ ეშმაკი, გული მადლით შეიფოთლება
და აყვავდება ისევ ცხოვრება...

არ დაიჯეროთ, განსაცდელში ვინმე გვიშველის,
ყველა თავისთვის დაფაცურობს და იფოფრება...
არ მოკლათ სათნო სიყვარულის ლურჯი ფრინველი,
ჩვენი მხსნელია პატიოსნება...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ხოზე ადეიშვილი

## ზურაბ მახოხაშვილს



უტყუარი გენი გაქვს
დიდი სიყვარულისა,
ყურში დედო ზარივით
მესმის შენი გულისხმა.

სხვისთვის ხელგაწვდილი ხარ
ჩემთვისა ხარ წამალი,
შენში წვეთი არ არის
სიყალბის ნატამალი.

კაცი არ გაგიზომავს
ნაკლებობით, მეტობით,
გულღია და მართალ კაცს
უფრო მეტად ენდობი.

უპირველეს ყოვლისა
გასაკვირიც კი არი,
ბევრმა ჯერაც არ იცის
შენი პოტენციალი.

ყოველ დილით გეფრქვევა
თავზე ოქროს მარჯანი,
მთელი ერთი სიცოცხლე
დაგრჩა დასახარჯავი.

შენი ქართლი ღერძია
პირველობას ვანიჭებ,
ამერის და იმერის
ქართლი არის კარიბჭე.

კარალეთიდან მოდის
შენი უდრეკი სული,
ფიცეერცხლი გაქვს ნაჭამი
ღმერთთან ხარ შეფიცული.

ჭიდილში გაქვს სიცოცხლე
ზურაბ გატარებული,
სურამის ციხეში ხარ
ცოცხლად ჩატანებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხეილ ქვლივიძე

## ვაპირებ ცხოვრებას



### „ფიქრები პომპეის შადრევანთან“

50-იან წლებში ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ესსეისტური წერილების სერია: „ხელოვნების შორეულ ძეგლებთან“... მათი ავტორი ცნობილი სახელმწიფო მოხელე და მეცნიერი გიორგი ჯიბლაძე იყო, რომელმაც ტურისტული საგზურით მოიარა ევროპა, მოინახულა სხვადასხვა ქვეყნები და თავის შთაბეჭდილებებს მკითხველს უზიარებდა. გ. ჯიბლაძის წერილები თითქმის მთელი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა. ამ დროს ჟურნალს სიმონ ჩიქოვანი რედაქტორობდა და მე სულ მიკვირდა, რომ ჭკვიანი და განათლებული სიმონი თავისი ჟურნალის ფურცლებს თავდაჯერებული მოხელის დილეტანტურ ჩანაწერებს უთმობდა.

მაინც რას წარმოადგენდა გ. ჯიბლაძის „თხზულება“? („თხზულებას“ იმიტომ ვამბობ, რომ ავტორმა მხოლოდ 12 დღე მოანდომა მთელი ევროპის შემოვლას და ამდენივე თაბახის დაწერა მოასწრო!). ეს მეცნიერებათა დოქტორი (ხელოვნებათმცოდნე) თავის თავს „ქართველ ჩერნიშევსკის“ უწოდებდა და „ნომენკლატურულ ამხანაგთა“ წრეში შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობდა... თავის ტურისტულ ჩანაწერებში იგი ანბანურ ჭეშმარიტებებს გვამცნობდა, როგორც საკუთარ აღმოჩენას და როცა მართლა „საკუთარ აღმოჩენას“ გვთავაზობდა, ეს „აღმოჩენა“ იმდენად არაპროფესიული და მიამიტი იყო, განათლებულ კაცს სიცილად არ ეყოფოდა!

ბევრჯერ მიკითხავს სიმონისთვის: ამას რატომ ბეჭდავთ-მეთქი? და ის მპასუხობდა, რომ არაერთხელ შეუწყვეტია მინისტრის „ოპუსების“ პუბლიკაცია, მაგრამ ავტორს ცეკაში უჩივლია და სიმონიც იძულებული გამხდარა, ბეჭდვა გაეგრძელებინა... მაშინ მე დავემუქრე მეგობარს: „იცოდე, „მნათობზე“ კრიტიკულ წერილს დავწერ და სადმე გამოვაქვეყნებ!“ „შენი ჭირიმე, ოღონდ ეგ გააკეთე, - გაუხარდა სიმონს, - და მადლობას გეტყვი, ხელი გამეხსნება!“.

იმ დროს მე გაზეთ „იზვესტიაში“ სტაჟირებას გავდიოდი (საკუთარი კორესპონდენტი არ ჰყავდათ საქართველოში და ამ თანამდებობაზე დანიშვნას მპირებდნენ). „იზვესტიის“ რედაქტორს ამხ. აჯუბეის შევთავაზე: „მნათობის“ კრიტიკულ მიმოხილვას დაგიწერთ-მეთქი, დამეთანხმა და მეც გ. ჯიბლაძის წერილებზე ფელეტონი გამოვაცხე! ქართულად დავწერე, მაგრამ რედაქციამ რუსი თანაავტორი შემომთავაზა: შენი ფელეტონი დიდი თანამდებობის პირს ეხება, ამიტომ მარტო შენი ავტორობით რომ დავბეჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დოთ, საქართველოში აღარ ჩაგესვლებაო... რა მექნა? ისე მინდოდა შინ დაბრუნება, რუსი ჟურნალისტი შევიამხანაგე და ჩვენი „ერთობლივი" მასალა გაზეთში გამოქვეყნდა...

ატომური ბომბის აფეთქებას ჰგავდა გაზეთ „იზვესტიის" იმ ნომრის თბილისში გამოჩენა! ეფექტი დიდი იყო, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებაზე ჩემი ოცნება ამჯერადაც საპნის ბუშტივით გასკდა: ჩვენი მთავრობის თვალში მე უკვე არა მარტო „დისიდენტი", არამედ „ერის მოღალატეც" გავხდი და თბილისში მართლა არ ჩამესვლებოდა!..

ყოველივე ეს დიდი ხნის წინათ მოხდა... თავის მართლებას არ ვაპირებ, არც ჩადენილს ვნანობ... მე მხოლოდ კიდევ ერთხელ მინდა გავიხსენო „საბედისწერო" ჩემი ფელეტონი (პირველი და უკანასკნელი!), რომლის ორიგინალი ქართულ ენაზე ჩემს გარდა არავის წაუკითხავს და ეს ხარვეზი ახლა მინდა გამოვასწორო... მაშ ასე:

### ფიქრები პომპეის შადრევანთან

„ამა და ამ წელსა", როგორც თავის დროზე მემატიანე დასწერს, ლენინგრადის ნავსადგურიდან თბომავალი „პობედა" შუა ზღვაში გავიდა. გამცილებლებმა თავსაფრები და ხელსახოცები ააფრიალეს: წითელი, ლურჯი, თეთრი, ვარდისფერი, კოპლებიანი... დააფიქსირა რა გონებაში ეს ღირსშესანიშნავი გარემოება, თბომავლის ერთ-ერთი მგზავრი გ. ჯიბლაძე კაიუტისკენ გაემართა. თავში ამაღლებული ფიქრები უტრიალებდა: „კოლუმბი, მაგელანი, ვასკო დე გამა, მარკო პოლო საარაკო გმირობას იჩენდნენ დედამიწის გარშემო მოგზაურობის დროს. ახლა კი ევროპას რომ შემოუარო კომფორტაბელური გემით, ვერავის გააკვირებ... მაგრამ ადამიანის უშუალო შთაბეჭდილებები, მისი განსწავლულობა დღესაც ფართო ინტერესს იწვევს და ამიტომ..."

ამიტომ „განსწავლულმა" გ. ჯიბლაძემ გადაშალა სქელტანიანი რვეული და ჩაიწერა:

„ჩემი კაიუტა №238-ა. ეს სტრიქონები სწორედ ამ კაიუტაში იწერება... კაიუტაში ცხელა. მე მთხოვეს კარი გავაღო და მეც ვასრულებ ამ თხოვნას".

ამ ისტორიული ფრაზით დაიწყო ჩანაწერები, რომელთაც შემდგომ... მაგრამ ვიდრე გიამბობდეთ, რა ბედი ეწია გ. ჯიბლაძის ჩანაწერებს, მოდით, მათ შინაარსს გავეცნოთ...

გ. ჯიბლაძის ნაშრომს საფუძვლად უდევს მძაფრი და ორიგინალური სიუჟეტი: თვითონ ავტორის მოგზაურობა ევროპის გარშემო ტურისტული საგზურით.

ამთავითვე გვსურს აღვნიშნოთ არაჩვეულებრივად მძაფრი ადგილისა და დროის შეგრძნება, რითაც განმსჭვალულია ნაწარმოები.

დროის შეგრძნება: „ზუსტად 9 საათზე სტოკჰოლმის ნავთსადგურში შევდივართ"... „რატუშიდან გამოვედით ზუსტად 12 საათზე"... „სამ საათზე მაღაზიების დასათვალიერებლად მივდივართ"... „7 საათსა და 30 წუთზე მანქანებში ვსხდებით, რამდენიმე წუთში მანქანები საოპერო თეატრის წინ ჩერდებიან"... „ოპერა დამთავრდება 23 საათსა და 15 წუთზე, ხოლო 45 წუთის შემდეგ ჩვენ სტოკჰოლმიდან გავემგზავრებით"... „კარმენი" დამთავრდა 23 საათსა და 30 წუთზე"... „ჩვენ შეგვატყობინეს, რომ ნისლის გამო პორტიდან მხოლოდ 5 საათზე გავალთ..." და ა. შ.

ადგილის შეგრძნება: „მე და ჩემი მეუღლე მეოთხე რიგში ვსხედვართ, დარბაზის შუაგულში..." „ბორანი საკმაოდ კომფორტაბელურია, ცუდი კი ის არის, რომ დასაჯდომი ადგილი ყველას არ ერგო..." „ჩვენ მანქანებში ადგილს ვიკავებთ და ქალაქში მივემგზავრებით...", „ნეაპოლის პორტში შევდივართ, გემბანიდან ვხედავ: მოედანზე ავტობუსები დგანან: №№ 17, 32, 48, 105...", „ქუჩაში მორტებიანმა ზანგმა ჩაიარა, წითელი წინდები ეცვა..." და ა. შ.

№238 კაიუტის კალმოსან მგზავრს არა მარტო ქრონომეტრი უჭირავს ხელში, არამედ საოცარი სიზუსტით აფიქსირებს ყოველივეს, რასაც სხვა მგზავრები უუქსავატობისა და უყურადღებობის გამო ვერ ამჩნევენ...

განცვიფრებას იწვევს ჩვენი მოგზაურის ინტერესების მრავალფეროვნება და დაკვირვების უნარი.

აი, სტრიქონები, რომელთა სიზუსტე ვახტზე მდგარ გამოცდილ მეზღვაურსაც შეშურდებოდა.

„ქარის სიძლიერე სამ ბალს აღწევს, ღელვა - ორი ბალია, ზღვის სიღრმე - 150 მეტრი,

წყალწყვა გემისა - 7,5 მეტრი..."

ამას მოჰყვება გამოცდილი მეწარმისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ჩანაწერი: „ამ პატარა ქალაქში საქვეყნოდ ცნობილ იტალიურ მაკარონებს აკეთებენ. ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე კომბოსტო მოჰყავთ... როგორც ჩანს, იტალიაში მაკარონი და კომბოსტო მშვენივრად ეთავსებიან ურთიერთს..."

სამწუხაროა, რომ ამ საინტერესო აღმოჩენის შემდეგ ავტორმა აღარ განაგრძო მეცნიერული კვლევა-ძიება და ასეთივე დამაჯერებლობით არ წარმოგვიდგინა იტალიაში კარტოფილისა და ბლითების, მარციპანებისა და ოხრახუშის სიმბიოზის არსებობა. უნდა ვიფიქროთ, ამისთვის დრო არ ეყო!

არანაკლებ საინტერესოა ჩვენი მოგზაურის ფილოლოგიური აღმოჩენები. „კოკტეილ-პოლის" მაგივრად იგი გაბედულად იყენებს ყირიმის ერთ-ერთი კურორტის, „კოკტებელის" სახელწოდებას, ვულკანის აღწერისას, „ლავის წინწკლების" მაგივრად, იგი „კრატერის წინწკლებს" გვთავაზობს, ხოლო სიტყვა „არეოპაგს", კეთილხმოვანებისა თუ ავიაციისადმი განსაკუთრებული სიმპათიის გამო, „აეროპაგით" ცვლის...

გ. ჯიბლაძის ჩანაწერებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შემეცნებითი ხასიათის მასალას, რაც ახალგაზრდებისთვის არის განკუთვნილი. ასე, მაგალითად, ავტორი გვამცნობს, რომ პარიზში, რივოლის ქუჩაზე, „აბსოლუტურად (!) შიშველი ქალების ფოტოსურათების კოლექცია 400 ფრანკად იყიდება, ხოლო უძველესი ქალაქის პომპეის ერთ შენობას ასე აგვიწერს: „ეს იყო საროსკიპო, სადაც თითოეული ოთახის კართან პორნოგრაფიულ სურათზე სქესობრივი აქტის სხვადასხვა პოზა იყო გამოხატული..."

მაგრამ გ. ჯიბლაძის ხელოვნებათმცოდნეობითი ძიებანი ამ პიკანტური სიუჟეტებით არ ამოიწურება. №238 კაიუტის მგზავრი რაფაელის ცნობილი ფრესკით, „ათენური სკოლითაც" დაინტერესდა. სამწუხაროდ, ეს ფრესკა სარესტავრაციო ხარაჩოებით იყო დაფარული. „ჩვენ ამ გარემოებამ გაგვახარა კიდეც, - წერს ავტორი, - გავიფიქრეთ: რაფაელ სანციოც ხომ ხარაჩოებზე იდგა, როცა თავის შედევრს ქმნიდა.?! სწორედ ასეთ ხარაჩოებზე იწვა ის ბუნების სასწაული (ეტყობა, რაფაელი. მ. ქ.) ასეთივე ხარაჩოებზე ადიოდა და იქიდან ჩამოდიოდა ეს ხელოვნების ფენომენი... მართალია, მას შემდეგ 440 წელი გავიდა და ყველაფერი შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილა არც ფიცარი, არც ფორმა, არც ხის მასალისგან დამზადებული ხარაჩოების გარეგნული იერი..." ასე და ამგვარად აგვიწერა გ. ჯიბლაძემ დიდი მხატვრის ნაწარმოები, თანაც ხის, როგორც სამშენებლო მასალის, გარდაუვალ ღირებულებაზე თავისი აზრიც გაგვიზიარა.

საერთოდ, მხატვრობას გ. ჯიბლაძე ხშირად ეხება, როგორც სპეციალისტი. ლუვრის ერთ დარბაზში უცნობი მხატვრის სურათის შესახებ იგი გვამცნობს: „ოთხ საუკუნეზე მეტია, ხელოვნებათმცოდნეები კამათობენ: ეს ლეონარდო და ვინჩის თუ სხვა მხატვრის სურათიაო? რა საკამათოა, არ მესმის? შევხედე თუ არა, იმ წამსვე მივხვდი: პირწავარდნილი ლეონარდოა!.."

ძველი პომპეის ნანგრევებში გ. ჯიბლაძის ყურადღება გაუქმებულმა შადრევანმა მიიპყრო. ჩვენი მოგზაური დიდხანს ფიქრობდა და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ოდესღაც, ამ შადრევნით სარგებლობდნენ ადამიანებიცა და შინაური ცხოველებიც, მაგრამ ისინი წყალს ერთად კი არა, ცალცალკე სვამდნენ... ერთი სიტყვით, როგორც ხედავთ, ძველი პომპეის მოქალაქეებს არც მოსაზრება აკლდათ და არც პრაქტიკული გამოცდილება..."

გ. ჯიბლაძის ჩანაწერებმა რამდენიმე სქელტანიანი რვეული გაავსო. ტურისტული მოგზაურობა დამთავრდა, ავტორი თბილისში დაბრუნდა და საგონებელში ჩავარდა: რა უყოს თავის ჩანაწერებს; მემკვიდრეობით შვილებს გადასცეს? ვითომ დააფასებენ? ნაცნობებს და ნათესავებს წაუკითხოს? ღირსნი კი არიან? ყველაფერს აჯობებს სადმე დაბეჭდოს, რომ მთელმა საქართველომაც წაიკითხოს და გ. ჯიბლაძე ჟურნალ „მნათობის" რედაქციას მიადგა...

მალე ჟურნალში ჩანაწერების პირველი ნაწილი გამოქვეყნდა სათაურით „ხელოვნების შორეულ ძეგლებთან". პირველ ნაწილს მეორე მოჰყვა, მეორეს - მესამე, მესამეს - მეოთხე და ა. შ. სულ 9 ნაწილი დაიბეჭდა „მნათობის" 9 ნომერში!...

მაინც როგორ მოხდა, რომ თბომავალ „პობედის" ერთ-ერთი მგზავრის გრაფომანულმა ჩანაწერებმა საქართველოს ლიტერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურულ ცხოვრებაში ასეთი თვალსაჩინო ადგილი დაიკავა? ჟურნალ „მნათობში", სადაც ადგილის ნაკლებობის გამო, ხშირად კარგი ნაწარმოებებიც არ იბეჭდება, რატომ დაუთმეს ამდენი გვერდი ავტორს, ვინც განსხვავებას ვერ ხედავს „კოკტეილჰოლსა" და „კოკტებელს" შორის? ნუთუ ჟურნალის მესვეურებმა განზრახ გააკეთეს ეს, რათა გ. ჯიბლაძე საქვეყნოდ გაემასხრებინათ?

ჩვენ (გ. ჯიბლაძისა არ იყოს, რომელიც თავის თავს მხოლოდ მრავლობითში ახსენებს) „დიდხანს ვფიქრობდით" ამის თაობაზე და ბოლოს მივხვდით... იქნებ გ. ჯიბლაძის ლიტერატურული წარმატების საიდუმლო რამდენიმე მაგიურ სიტყვაში იმალება: „ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს განათლების მინისტრი"?

თუ ასეა, კრიტიკისთვის ბოდიშს ვიხდით. უცებ ვერ მოვისაზრეთ, ვისთან გვქონია საქმე...

(გაზ. „იზვესტია", 1959 წ. სექტემბერი).

## ჩემი „მწერკავშირი"

თავს იღარიბებს, ვინც მარტო აწმყოში ცხოვრობს, რადგან გამჩენმა ჩვენ მოგონებისა და ოცნების ნიჭი, ანუ წარსულში და მომავალში გადანაცვლების უნარიც მოგვანიჭა... დრო კრიალოსანს ან როიალის კლავიატურას ჰგავს და მისი ყოველი მძივი თუ კლავიში - წარსულიც, აწმყოც და მომავალიც, - მუდამ ჩვენს განკარგულებაშია, როგორც ფიქრისა და მოქმედების ასპარეზი...

მხოლოდ აწმყოში მცხოვრები კაცი იმ უბადრუკ პიანისტს მაგონებს, ვინც ერთი ოქტავის მონაკვეთზე ნაცნობ მოტივს ცალი თითით უკრავს და ამით კმაყოფილდება მაშინ, როდესაც როიალის მთელი კლავიატურა საშუალებას გვაძლევს, ბეთჰოვენის „მთვარის სონატაც" და ლისტის „უნგრული რაპსოდიაც" შევასრულოთ!..

აფსუსი არ არის, დროის უსასრულო სტიქიის, მისი განუსაზღვრელი შესაძლებლობების ესოდენ შეზღუდული გამოყენება?!

ეს მოკლე წინასიტყვაობა იმისთვის დამჭირდა, რომ მკითხველთან ერთად დროში გავისეირნო და ჩემი წარსულის ზოგიერთი სურათი გავაცოცხლო...

გალაკტიონმა თავი რომ მოიკლა, ჩვენ, ახალგაზრდები, მწერალთა სასახლეში მის ცხედარს ღამეს ვუთევდით. შუაღამისას, ვიღაცამ თქვა: რა დიდებული სახეა, მოდით, ნიღაბი გადავუღოთო! ჩვენ შორის მოქანდაკე გიგლა ფირცხალავაც აღმოჩნდა. იგი სამხატვრო აკადემიაში გაიქცა, ამ საქმის ოსტატი გააღვიძა, რომელიც იქვე ცხოვრობდა და მოიყვანა... ყალიბი გადავიღეთ და ოსტატმა თან წაიღო, რომ სახელოსნოში ნიღაბი დაემზადებინა... გავიდა ხანი და მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მოახსენეს ნიღბის არსებობის შესახებ; სად არისო? - იკითხა. ხელოსანს აქვს, გამოსასყიდს თხოულობს, ხუთას მანეთსო, - უპასუხეს. რა ამბავია ხუთასი მანეთი? - აღშფოთდა ხელმძღვანელი. - ნამეტანი ძვირია, უთხარით, ცოტა დაუკლოსო!.. ხელოსანმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ნაკლებად არ გავყიდიო... გავიდა კიდევ დრო. ლიტერატურულ მუზეუმში გალაკტიონის ექსპოზიცია მზადდებოდა და პოეტის ნიღაბი დასჭირდათ. ხელოსანმა ახლა იგი ხუთი ათასად დააფასა. ვერც ამაზე შეთანხმდნენ... მაშინ ერთმა ჭკვიანმა კაცმა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელს უთხრა: მე გირჩევთ ის ნიღაბი ახლავე გამოისყიდოთ, თორემ დრო გავა, გალაკტიონის ფასი თანდათან აიწევს და მაშინ მის ნიღაბს ასიათას მანეთადაც ვერ იყიდითო!..

. . . . . . . . . . . . . .

კონსტანტინე გამსახურდია (მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ჩოხაში გამოწყობილი დადიოდა) უცხოელივით იყო ქართველ მწერალთა შორის. მედიდური და მიუკარებელი, იგი თითქოს ზემოდან დასცქეროდა ყველას (გერმანიაში ნაცხოვრები კაცისთვის, ეტყობა, ფაშიზმის გაკვეთილებს უქმად არ ჩაევლო და სულ „Ubermensch"-ის „ზეკაცის" როლს თამაშობდა)... ჩვენი პროვინციელები მას უაღრესად განათლებულ, გამორჩეულ პიროვნებად თვლიდნენ და, მიუხედავად იმისა, იცნობდნენ თუ არ იცნობდნენ მის შემოქმედებას, მაინც მოკრძალებით და ერთგვარი შიშითაც ეპყრობოდნენ. გამომცემლობაში რომ მივიდოდა, თითქოს ჰაერიც იძაბებოდა მის გამოჩენაზე, ხალხზე კი რა მოგახსენოთ - უფროსებიც და უმცროსებიც, - ყველანი, როგორც ამბობენ „ჩესტზე" იდგნენ!

ერთ ასეთ ამბავს ჰყვებოდნენ. მისი წიგნი

ეროვნული ბიბლიოთეკა



„საბჭოთა საქართველოში" უნდა გამოსულიყო და იგვიანებდა. კონსტანტინე დირექტორთან მისულა, კარი ჩვეულებისამებრ ფეხის კვრით გაუღია და საყვედური გამოუთქვამს. ამ დროს კაბინეტში სოსო იორამაშვილი იმყოფებოდა - ნაკლებად ცნობილი, ხანდაზმული მწერალი და მონადირე, რომელიც გაჭირვების გამო სტამბაშიც მუშაობდა. გამსახურდია მისთვის ღმერთი იყო. მოისმინა რა კონსტანტინეს საჩივარი, სოსო ფეხზე წამოიჭრა და უთხრა: ბატონო ჩემო, თუ ღმერთი გწამთ, ცოტა ხანს დამელოდეთ, ახლავე სტამბაში გავიქცევი და რაღაცას მოვახერხებო!.. დიდხანს ლოდინი კონსტანტინეს არ დასჭირვებია: მალე კაბინეტში აქოშინებული იორამაშვილი შემოვარდა და მწერალს ორი ახალაკინძული ტომი გაუწოდა: აი, ინებეთო! გამსახურდიამ უხმოდ გამოართვა წიგნები, არც გაუღიმია, არც მადლობა უთქვამს, მხოლოდ ჰკითხა: ეს მეორე წიგნი რისთვის მოგიტანიაო? „ეს, ბატონო... - აღელვებული სოსო ენას ძლივს აბრუნებდა, - ეს ჩემთვის წამოვიღე. ბოდიში, მაგრამ იქნებ წამიწეროთ?" კონსტანტინემ წიგნის ყდას თავისი ნატიფი საჩვენებელი თითი დაადო და თვალებთან მიუტანა მოხუცს: „შენ რა, ბრმა ხარ? ჩემი გვარი არ იცი? აი, წაიკითხე: აქ წერია კონ-სტან-ტინე გამსა-ხურ-დია..." მერე ორივე წიგნი იღლიაში ამოიჩარა და კაბინეტიდან გავიდა.

გამსახურდიაზე რაკი ჩამოვარდა სიტყვა, ჩვენი ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდიც მინდა გავიხსენო...

სანამ მოსკოვში წავიდოდი, მწერალთა კავშირში ბევრჯერ შევხვედრივარ ბატონ კონსტანტინეს. ჩემში იგი სიმპათიას არ იწვევდა. არასდროს არც მომსალმებია, არც დამლაპარაკებია. რუსეთში ჩემი წასვლის შემდეგ კი, საერთოდ ამომშალა თავისი ნაცნობების სიიდან და მე მგონი, „კრემლის აგენტების" (მისი ტერმინია) რიცხვს მიმაკუთვნა... ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ მოსკოვში სამსახური არ დავიწყე და მას არ დავჭირდი, როგორც ქართველი მწერლების წარმომადგენელი... პირველი ნაბიჯი ისევ მე გადავდგი, როცა მისი ყოვლად უსუსური „იდეური" რომანის „ვაზის ყვავილობის" ბწკარედი თარგმანი გავაკეთე (ბინას ვაშენებდი და ფული მჭირდებოდა) და მოსკოვის გამომცემლობას წარვუდგინე გამოსაცემად. მახსოვს, ამის თაობაზე დამირეკა და წერილიც მომწერა, მერმე კი როცა დედაქალაქში ჩამობრძანდა... მაგრამ ამაზე დაწვრილებით მოვყვები... ჩემს გულში ბატონ კონსტანტინეს „ხუთკაპიკიანი საიდუმლოებების" კაცს ვუწოდებდი. ხალხში, საჯაროდ, არასდროს არაფერს გეტყოდათ, აუცილებლად განზე გაგიყვანდათ (ისე, რომ თქვენი საუბარი არავის გაეგონა) და რაღაცას, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ამბავს შეგატყობინებდათ. იმჯერადაც ასე მოიქცა, ჩემი კაბინეტიდან დერეფანში გამიხმო და მითხრა: „მე და შენ, ყმაწვილო, ხვალ რესტორან „არბატში" წავალთ, „ფრანკფურტსკი სუპი" უნდა გაჭამო, ძალიან გემრიელია! სტუდენტობის დროს, გერმანიაში, სულ ამ სუპით ვიკვებებოდი!" წავედით, ვისადილეთ. „ფრანკფურტსკი სუპი" წყალწყალა ბულიონი აღმოჩნდა, სადაც ერთადერთი გაუფცქვნელი (!) ხახვის თავი ცურავდა და მე მივხვდი, რომ ბატონ კონსტანტინეს ჩემი გაკვირვება უფრო უნდოდა უცხოური კერძის სახელწოდებით, ვიდრე გამასპინძლება...

მეორე შემთხვევაში გამსახურდია ამაზე შორს წავიდა. „შორს წავიდა" იმ მხრივაც, რომ ცარიელ ოთახში შემიყვანა, კარი ჩაკეტა და მითხრა: „ყველა დიდ მწერალს თავისი კაცი უნდა ჰყავდეს. მე მინდა, აქ, მოსკოვში, შენ იყო ჩემი კაცი! რეგულარულად შემატყობინებ ხოლმე, რას ამბობენ ჩემზე, როგორ მიდის ჩემი საქმეები... და საერთოდ... ჩემი ინფორმატორი იქნები. ამისთვის ხელფასსაც დაგინიშნავ". სისხლი ამივარდა თავში, აღარ მოვერიდე მის ასაკს, ავტორიტეტს და პირდაპირ მივახალე: „როგორ გეკადრებათ, ბატონო? მე აქ ჩემი სამსახურისთვის ხელფასსაც მიხდიან და პატივსაც მცემენ... რაც შეეხება თქვენს მომსახურებას, ამისთვის ვერ გამოვდგები, სხვა მონახეთ!" მოვტრიალდი და ოთახიდან გავედი. ამის შემდეგ კონსტანტინეს კიდევ ერთხელ შევხვდი თბილისში, მის „კოლხურ კოშკში". ეს ეპიზოდი იმდენად კურიოზულია, დღემდე არ დამვიწყებია!..

რუსი მწერლებისა და გამომცემლობის მუშაკების დელეგაციას ჩამოვყევი თბილისში და ბატონმა კონსტანტინემ თავის სახლში დაგვპატიჟა. მე სპეციალურად გამაფრთხილა (ისევ განზე გაყვანით!): ყმაწვილო, ხვალ, ზუსტად 19 საათსა და 00 წუთზე (სწორედ ასე ბრძანა), ჩემთან, „კოლხურ კოშკში" გე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლოდები, არ დაიგვიანოო!..

მაინცდამაინც არ მეპიტნავებოდა არც მისი მასპინძლობა, არც რუს „ამხანაგებთან“ ქეიფი, ამიტომ ჩვეულებისამებრ, ჩემი ბავშვობის მეგობრებს გავუარე, მერე, როგორც იტყვიან „ხელს გადავყევი“ და რესტორნიდან რომ გამოვედი, კარგა დაღამებულიყო. სასტუმროში მისვლა დამეზარა, თან, გამოგიტყდებით, ღვინოც მწყუროდა და ანგარიშმიუცემლად „კოლხური კოშკისაკენ“ მიმავალ პეტრიაშვილის აღმართს დავადექი. გვიანი კი იყო, მაგრამ ვიფიქრე: მოქეიფენი, ალბათ, ისევ სუფრას უსხედან, ბოდიშს მოვიხდი დაგვიანებისთვის და ცოტასაც მოვილხენ-მეთქი!..

ქუჩაში საშინლად ბნელოდა. ნასვამს ნაბიჯიც მერეოდა, მაგრამ მაინც შეუპოვრად წინ მივიწევდი და არაფრად ვაგდებდი არც სიბნელეს, არც იმას, რომ ხმები დადიოდა, თითქოს თბილისში ბანდიტები თარეშობდნენ და მოსახლეობას ძარცვავდნენ...

„კოლხური კოშკის“ რკინის ალაყაფი, ცეცხლგამძლე სეიფის კარივით, დაკეტილი დამხვდა. გალავნის იქით, ეზოშიც ბნელოდა და სახლიც ჩაბნელებული იყო. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა. მაგრამ ნასვამ პოეტს რა გააჩერებს? არა მარტო მუშტები და წიხლები, ქვებიც დავუშინე ალაყაფს და ისეთი აურზაური ავტეხე, მკვდარს გააცოცხლებდა! ხმაურზე ჯერ ძაღლები აყეფდნენ, მერე ეზო განათდა და კონსტანტინეს ხმა გავიგონე: რომელი ხარო? ქვლივიძე ვარ-მეთქი, მიხეილი! აჩხარუნდა ჯაჭვები, ურდულები ბოქლომები, კარი ჭრიალით გაიღო და ჩემს წინ ბატონი კონსტანტინე წარსდგა მთელი თავისი ბრწყინვალებით: ჩინური აბრეშუმის საშინაო ხალათი ეცვა ურჩხულებით მოხატული, თავზე ფოჩიანი, ალბანური ფესკა ეხურა და ტიტველი ტერფები ფლოსტებში ჰქონდა გაყრილი... უცებ მივხვდი ყველაფერს: წვეულება დამთავრებულიყო და მასპინძელი დასაძინებლად ემზადებოდა. მივუახლოვდი, მხარზე ვემთხვიე და ბოდიში მოვიხადე დაგვიანებისთვის, მაგრამ წასვლა რომ დავაპირე, არ გამიშვა, ხელი მომკიდა და სახლისკენ წამიძღვა. თან ლაპარაკობდა (შევეცდები, ზუსტად აღვადგინო მისი სიტყვები და ისიც, რაც შემდეგ მოხდა). „ჩემი მოწვევა რომ არაფრად ჩააგდე, ყმაწვილო, ეგ მიპატიებია, მაგრამ რუსი „ბოსიაკივით“ რატომ მოიქეცი, ასე გვიან და ნასვამი რომ გამომეცხადე?! ჩემი სტუმრები უკვე დაიშალნენ, მაგრამ რადგან მოხვედი, უპატივცემლოდ ვერ გაგიშვებ... მობრძანდი აქეთ...“ და მან კოშკის ჰოლში შემიყვანა, სადაც ჯერ აულაგებელი მაგიდა იდგა. – „ჩემი სადღეგრძელო უნდა დაგალევინო. ჭაპატიე, ჩვენებს უკვე ძინავთ და სუფრასთან არ მიგიწვევ...“

მასპინძელმა უზარმაზარი ბროლის „ვაზა“ გადმოიღო ბუფეტიდან და პირამდე გაავსო. იხტიბარი არ გავიტეხე: სადღეგრძელო ვუთხარი, ცალ მუხლზეც დავიჩოქე და ისე დავცალე სასმისი. ერთი სიტყვა არ წამოსცდენია, მოწკურული თვალებით მიყურებდა და ისიც კი არ უთქვამს, ლუკმა დააყოლეო! მერმე კუთხეში მიდგმულ პატარა სეიფთან მივიდა და რევოლვერი ამოიღო: „მოიცა, ისე არ წახვიდე, გაგაცილებ. ქალაქში მძარცველები დადიან და ტანისამოსი არ გაგხადონ... მართალია, რუსი „ბოსიაკივით“ მოიქეცი, მაგრამ მასპინძელი ვარ და...“ (რაღაც განსაკუთრებული სიამოვნებით წარმოთქვამდა სიტყვა „ბოსიაკს“!)... ეზოში გავედით. მე დავწინაურდი, კონსტანტინე კი ჩემკენ მიშვერილი ბრაუნინგით ხელში უკან გამომყვა ბადრაგივით (ვინმეს რომ დავენახეთ, იფიქრებდა, პატიმარი ციხეში ან დასახვრეტად მიჰყავთო!)...

ასე და ამგვარად, ბატონმა კონსტანტინემ ალაყაფამდე მიმაცილა, კარი გამიღო და ქუჩაში გამიშვა. ისევ გაისმა ჯაჭვების, ურდულების და ბოქლომების ჩხარუნი, ალაყაფის თავზე ანთებული ნათურაც ჩაქრა და მე პირველსავე თხრილში ზღართანი მოვადინე!..

## მღვდელთან საუბარი

ეს ამბავი ბუდაპეშტში მოხდა. იქაურმა გაზეთმა ჩემი ლექსების თარგმანები დაბეჭდა, მათ შორის „იუდას მონოლოგიც“. იმავე დღეს ღვინის სარდაფში დამპატიჟეს უცხოელმა მეგობრებმა. შუა სმაში ვიყავით, ანაფორიანი მღვდელი მოვიდა და ჩემი გვარი იკითხა: ჩვენი ეკლესიის მოძღვარს თქვენი გაცნობა სურს და თუ ინებებთო? კი-მეთქი. შევთანხმდით, როდის და სად უნდა მივსულიყავი. მეორე დღეს მე და ჩემი თარჯიმანი ეკლესიის შენობას მივადექით. ეზოში ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ. სპორტულ მაისურში გამოწყობილი შუახნის კაცი, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელსაც სასტვენი ეჭირა, მათთან ერთად დარბოდა. ჩვენს დანახვაზე სასტვენი ბიჭს გადასცა და ჩვენკენ წამოვიდა... ასე გავიცანი იმრე შიმონი - ბუდაპეშტის ყველაზე დიდი პროტესტანტული ეკლესიის მთავარი მოძღვარი...

ჩვენი საუბარი მის ოჯახში გაგრძელდა. ღმერთზე ვლაპარაკობდით.

- ვინ ან რამ დაგაწერინათ „იუდას მონოლოგი"-ო? - მკითხა იმრემ.

- აბა, რა ვიცი... მე მგონი, ბუნებაში ყველაფერი იმთავითვე არსებობს და ადრე თუ გვიან გამჟღავნდება ხოლმე. ასევეა ლექსიც. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქო ჩემი ლექსები, მათ შორის „იუდას მონოლოგიც", მე კი არ დავწერე, უფრო სწორად, მე კი არ მოვიგონე, ისინი უკვე არსებობდნენ ჩემს გარეშე და მე მხოლოდ ამოვიცანი მათი ტექსტი... გესმით, რა მინდა ვთქვა? ლექსები „საიდუმლო კუნძულებს" ჰგავანან, რომლებიც, დამოუკიდებლად იმისგან, ვიცით თუ არ ვიცით მათი არსებობა, სადღაც არიან და ჩვენი საქმე მხოლოდ მათი აღმოჩენაა... მე რომ არ დამეწერა „იუდას მონოლოგი", ალბათ, სხვა დაწერდა!

- მაშ, ლექსის ავტორი, ანუ შემქმნელი...

- პოეტი არ არი, პოეტმა მხოლოდ მიაგნო ლექსს, რომელიც უკვე არსებობდა.

- მეგზური ვიღაა? ვინ მიასწავლა პოეტს ლექსის ადგილსამყოფელი?

- რა ვიცი? ინტუიციამ, შთაგონებამ... - იმრეს ჩაეცინა.

- ქადაგებას რომ დავწერ ხოლმე, - ამას ზოგჯერ მთელ ღამეს ვანდომებ, დილით თვითონვე მიკვირს, როგორ დავწერე. ასე მგონია, ვიღაც მკარნახობდა.

- ღმერთი?

მღვდელმა არაფერი მიპასუხა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ვკითხე:

- ვის შეიძლება ეწოდოს „მორწმუნე" ადამიანი?

- თქვენ თუ გწამთ, რომ ამქვეყნად თქვენზე უფრო სრულყოფილი ძალა არსებობს, მორწმუნე ბრძანდებით.

- სრულყოფილი ხომ ადამიანიც შეიძლება იყოს?

- დიახ, იდეალური... მაგრამ იმაზე სრულყოფილი - ღმერთია.

რატომღაც გული მომივიდა:

- ღმერთი, ღმერთი... სად არის ეგ ღმერთი? ერთი ამბავი გამახსენდა, მაინტერესებს, ამაზე რას იტყვით... დედაჩემი ძალიან ღვთისნიერი ქალი იყო. მორწმუნეაო, ვერ ვიტყოდი, რადგან არც ეკლესიაში დადიოდა, არც პირჯვარს იწერდა, მაგრამ ღმერთის სახელს ყოველთვის მოწიწებით ახსენებდა. მე მგონი, სწამდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, მის სათნოებასა და სიკეთეს ქრისტიანული საფუძველი ჰქონდა... ერთხელ, ომიანობის დროს, მახსოვს, ნავთის რიგში ვიდექით. მე მაშინ თექვსმეტი წლისა ვიყავი. დიდხანს მოგვიწია დგომა და ერთმანეთს ვენაცვლებოდით. ჩვენი ჯერი რომ მოვიდა, სარდაფში მე ჩაველი. კუთვნილი ულუფა მივიღე, ფული გადავიხადე და სახლში მოსულმა შევამჩნიე, რომ მენავთეს სასურსათო ბარათზე ტალონის მოხევა დავიწყებოდა: ესე იგი, დღევანდელი ტალონით ხვალაც შეგვეძლო მიგვეღო ნავთი. გახარებულმა ეს ამბავი დედას ვუთხარი. ფერი წაუვიდა: არა გრცხვენია, ეს ხომ თაღლითობაა?! ახლავე წადი და ტალონი მოახევინეო! რა გაეწყობოდა, უკან დავბრუნდი. სარდაფის შესასვლელთან ისევ უამრავი ხალხი ტრიალებდა და შიგნით არ შემიშვეს, ურიგოდ მიძვრებიო! ყვირილი ავტეხე. ხმაურზე მენავთემ გამოიხედა: რა გაჩხუბებთო? სასურსათო ბარათი გავუწოდე: ტალონის მოხევა დაგვიწყებია-მეთქი. იმ კაცს გაკვირვებისგან თვალები გადმოსცვივდა. ირგვლივ ყველანი გაისუსნენ. „ვინ გამოგგზავნა?" - მკითხა მენავთემ. დედაჩემმა-მეთქი. მან ჩამჩა ძირს დაახეთქა და ისტერიკული ხმით იყვირა: „დედაშენი რა, ქრისტეა?" ხალხიც აყაყანდა, ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას... „წადი, ახლავე ჭურჭელი მომიტანე!" - თქვა მენავთემ... როცა ჭურჭელი მოვურბენინე, კიდევ ერთი ულუფა ნავთი ჩამისხა, ტალონიც მოხია და... ერთი სიტყვით, ასე იყო ეს.

- მერე? - იკითხა მღვდელმა.

- მერე არაფერი... თქვენ ისეთი რწმენით ლაპარაკობთ ღმერთზე, ლამის არი, მეც ვირწმუნო... ვხუმრობ, რასაკვირველია: ჩვენს ქვეყანაში ღმერთი არ სწამთ. თუმცა ქრისტიანული მორალის ზოგიერთ მცნებას ჩვენც ვიზიარებთ. პატიოსნებას, მაგალითად, კაცთმოყვარეობას, სიკეთეს... იმიტომ მოვყევი ეს ამბავი.

- მაინც, რატომ? - გამომცდელად ჩამეკითხა იმრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- იმიტომ, რომ თუ ღმერთი არსებობს, იმ სახით, როგორც მე წარმომიდგენია, იმ წუთას ის ჩემს გვერდით იყო!

- ღმერთი ახლაა თქვენთან რაკი თქვენ ეს ამბავი გახსოვთ. - წყნარად მომიგო იმრემ. - დედათქვენი ცოცხალია?

- გარდაიცვალა... ამაზეც მინდა გკითხოთ, ორმოცი წლის ასაკში მოკვდა დედაჩემი. განა ეს სამართლიანია? რად უნდა მომკვდარიყო ასე ადრე, სად იყო თქვენი ღმერთი?

- სიკვდილი ღმერთის კომპეტენციაში არ შედის, ეს ბუნების კანონია. ღმერთი თვითონ მოკლეს!

- მაშ, რა შედის ღმერთის კომპეტენციაში? ამიხსენით.

- ალბათ, თითოეული ჩვენგანის ცხოვრების წესი... როდისმე ამას მიხვდებით...

მისმა მშვიდმა კილომ გამაღიზიანა, ისევ დედა გამახსენდა.

- იცით, რა წამებით მოკვდა დედაჩემი? კიბო ჰქონდა. ვერც ოპერაციამ უშველა, ვერც წამლებმა. თვეზე მეტი იზოლატორში იწვა, რადგან საერთო პალატაში მისი გაჩერება არ შეიძლებოდა. მეც იმასთან ვიყავი... ბოლოს, როცა ექიმებმა ხელი ჩაიქნიეს და ბედის ანაბარა მიგვატოვეს, ყოველდღე ეკლესიაში დავრბოდი, სანთლებს ვანთებდი და ღმერთს ვთხოვდი, გადაერჩინა დედაჩემი... მაინც არაფერი ეშველა, ჩემს ხელში დალია სული... იმ ღამით უკანასკნელად წავედი ეკლესიაში. სანთელი აღარამინთია, არც შიგნით შევსულვარ. მივაფურთხე კარებს და გამოვბრუნდი!..

იმრემ თავი ასწია და თვალებში შემხედა:

- ნუ გეშინია, იმას არ ეწყინა!

მე გავშრი. ყველაფერს მოველოდი, მაგრამ ამ სიტყვებს - არა. მღვდელმა კი ნაღვლიანი ღიმილით განაგრძო:

- დამიჯერე, რასაც გეუბნები: ღმერთმა დიდი ხანია გაპატია, ტყუილად კი არ ეძახიან „გულთამხილავს“... შენ კი ისეთივე შეცდომა მოგდის, როგორც ბევრს მოსვლია: საკუთარ თავს ღმერთს უთანაბრებ! მე შენ გიწამებ: ეკლესიაში ვივლი, ვილოცებ, შენ კი მომიარე და მიპატრონეო! ასე ფიქრობ, არა? ცდები, ჩემო კარგო! ჯერ ერთი, საკითხის ასე დაყენება უზნეობაა: რა ფასი აქვს კეთილ საქციელს, თუ მის საპასუხოდ გასამრჯელოს მოელი? ალებ-მიცემობაა? მერმე კიდევ, თვითონ ღმერთის ცნება სწორად არ გესმის. გარდაცვალება, გიმეორებ, ბუნების კანონია და ჩვენი დაბადებაც და სიკვდილიც ღმერთს არ ეხება! უფალს სხვა დანიშნულება აქვს - უფრო დიდი და მნიშვნელოვანი... ბიბლია თუ წაგიკითხავს?

- გული ვერ დავუდე.

- საქმეც ისაა, რომ გული ვერ დაუდე. გაქვს კი?

- არცა მაქვს.

იმრემ ბოდიში მოიხადა და ოთახიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ღვინო შემოიტანა და სახელდახელო სუფრა გააწყო. თითო ჭიქა რომ დავლიეთ, ისევ ვკითხე:

- მაინც რაშია თქვენი საქმიანობის არსი? მე, მაგალითად, მწერალი ვარ, ჩემს ნაწარმოებებს ვიღაც კითხულობს. ცუდია თუ კარგია, ჩემი წიგნები რაღაცნაირად მოქმედებს მკითხველზე, ესე იგი, მე შეძლებისდაგვარად ვემსახურები საზოგადოებას, ისევე, როგორც, ვთქვათ, გლეხი, ვისაც პური მოჰყავს, ან ექიმი, ადამიანს რომ კურნავს... თქვენ კი ახალგაზრდა კაცი, მღვდელი ბრძანდებით. დამეთანხმეთ, ეს პროფესია ჩვენს საუკუნეში, ცოტა არ იყოს ანაქრონიზმად გამოიყურება... რას აკეთებთ თქვენ?

იმრემ მხრები აიჩეჩა:

- სიკეთეს ვქადაგებ.

- ესაა სულ? ამის გაკეთება ხომ ყველას შეუძლია?

- თუ ჩემი სამოქალაქო პროფესია გაინტერესებს, ისტორიკოსი ვარ.

- და ამ დარგში...

- კი, რამდენიმე წიგნი გამოვაქვეყნე. ხედავ ჩემს ბიბლიოთეკას? ნახევარზე მეტი ისტორიული გამოკვლევაა... რაც შეეხება ჩემს საეკლესიო მოღვაწეობას, ამის შესახებ მოკლედ ვერ გეტყვი. ეს სხვაა.

- მაშ, სიკეთეს ქადაგებთ? მწერლებიც ხომ ამასვე აკეთებენ?

- მართალია. თქვენს ლექსში სწორედ ეს ამოვიკითხე.

- მაგრამ ღმერთი რომ არ მწამს?

- რა იცით?

ახლა მე ავიჩეჩე მხრები. გამეცინა. იმრე სერიოზული სახით მომჩერებოდა.

- ამას წინათ, ჩვენს უბანში უბედურება მოხდა: ერთ ქალს ბავშვი დაეღუპა. რვა წლის გოგო მანქანამ გაიტანა... ეს ამბავი საღამოს შემატყობინეს და იმავე წუთს მათთან გავვარდი. საცოდავ დედას სულზე მივუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწარი, ცოტა რომ დამეგვიანა, თავს მოიკლავდა, ფანჯრიდან ხტებოდა. ჭკუაზე არ იყო და აღარ ვიცოდი, რა მექნა... მოკლედ, მთელი ღამე ველაპარაკე! რას ვეუბნებოდი, არც მახსოვს: ალბათ, ღმერთი მკარნახობდა, თორემ მე რა შემიძლია! დილით, სახლში რომ წამოვედი, დარწმუნებული ვიყავი, ის ქალი გადარჩებოდა – შვილსაც ქრისტიანულად დამარხავდა და თავის თავსაც არაფერს დაუშავებდა... ალბათ, ესაა ჩემი პროფესია...

– მაშ, თქვენ იცით...

– არაფერიც არ ვიცი! მე ღმერთი მწამს და ეს ცოდნაზე მეტია.

ასე დამთავრდა ჩვენი დიალოგი. ამის შემდეგ, იმრემ თავისი მანქანით სასტუმროში მიმიყვანა და დამემშვიდობა...

მეგონა, აღარ შევხვდებოდი. მაგრამ მოსკოვში გამგზავრების წინ თარჯიმანმა დამირეკა: იმრემ გთხოვა, წასვლის წინ აუცილებლად მნახოსო, შენთან საუბარი არ დაუმთავრებიაო...

ქუჩაში შევხვდით. მღვდელს იღლიაში რაღაც შეფუთული ამოედო. ეს წიგნი ამ ქართველს ჩემგან სახსოვრად ჰქონდესო, – უთხრა თარჯიმანს და რუსული „ბიბლია“ გადმომცა – ძველისძველი, დაფლეთილი, ეტყობა, თავისი ბიბლიოთეკიდან წამოეღო... მერმე გატრიალდა და წავიდა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ სირბილით დაბრუნდა, პირჯვარი გადამწერა, შუბლზე მაკოცა და რაღაც მითხრა უნგრულად. გაოცებულმა თვალი გავაყოლე. თარჯიმანს ვკითხე, რა თქვამეთქი?

– გადაეცი ამ კაცს, ტყუილად ჰგონია, თითქოს ღმერთი არ სწამს: მორწმუნეა და ამიერიდან მე მისთვის ვილოცებო...

ვინ იცის, იქნებ მართლა ლოცულობს ჩემზე, დღემდე ცოცხალი რომ ვარ?

## „მიხეილ ქვლივიძის დღეები თბილისში“

ერთ ფოტოსურათზე ოთხნი ვართ გადაღებული: მე, ირაკლი ზაზანაშვილი, ზურაბ კვიჟინაძე და სანდრო მათიაშვილი. ესენი არიან, უფრო სწორად, იყვნენ ჩემი უსაყვარლესი მეგობრები...

ყოველივე, რაც ჩემშია, მათ მიწყალობეს: პოეტადაც გამხადეს, სამშობლოც შემაყვარეს, ზნეობაც მასწავლეს და ბოლოს, ღირსეული სიკვდილის გაკვეთილიც მომცეს... თითოეულ მათგანთან ინდივიდუალური ურთიერთობა მქონდა, რადგან განსხვავებული იყვნენ, ყველასთან ერთად კი მაკავშირებდა იმის შეგნება, რომ ისინი ჩემთვის საქართველოს წარმოადგენდნენ!

სხვა მეგობრებიც მყავდა: გული მატაბელი, ბიძინა ქუმსიაშვილი, თამაზ გამცემლიძე, მიშა ბერიაშვილი, ჟორა ქარუმიძე... (მანამდე კი, სულ პირველი და, ალბათ, ყველაზე ახლობელი, ბავშვობის მეგობრები – ზურაბ კაპანაძე და თენგიზ სუხიშვილი იყვნენ. თენგიზი ადრე გარდაიცვალა, ზურაბი მოგვიანებით, მაგრამ ორივეს აერთიანებდა ის, რომ მათ მეგობრობის **ანბანი** შემასწავლეს!). ყველა ესენი, ვინც ახლა ჩამოვთვალე, ჩემთან ოჯახებითა და ცხოვრების წესით იყვნენ დაკავშირებული, ხოლო ირაკლი, ზურა და სანდრო ჩემი სულის მოზიარენი იყვნენ: ახალ ლექსებს მათ ვუკითხავდი, მათთან ღვინოს ვსვამდი, პურს ვჭამდი და დროს ვატარებდი, სხვებზე უფრო მეტად ისინი მენატრებოდნენ. ამ ჩემს „ბიჭებში“ მხოლოდ სანდრო წერდა ლექსებს, თუმცა რეალურ ცხოვრებაში ექიმ-ფსიქიატრის როლს ასრულებდა და საგიჟეთში მსახურობდა. მე მგონი ირაკლიც და ზურაც ბუნებით პოეტები იყვნენ, თუმცა ლექსებს არ წერდნენ და სხვა საქმიანობას ეწეოდნენ: მეთუნეები ანუ კერამიკოსები იყვნენ, თიხასთან, თაბაშირთან, ელექტროღუმლებთან ჰქონდათ საქმე და ძველი თბილისელი ხელოსნების ყაიდაზე ცხოვრობდნენ. თავით ფეხამდე ტალახში და საღებავებში ამოგანგლულებს, სახელოსნოში ან დუქანში პურის ჭამა უყვარდათ. მეც, როცა თბილისში ჩამოვდიოდი, სულ მათთან ვიყავი. ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, თბილისში ჩამოსულიყავი და სამივე ძმაკაცი – ირაკლიც, ზურაც და სანდროც – რკინიგზის ვაგზალში ან აეროპორტში არ დამხვედროდა, როგორც ვინმე საპატიო უცხოელ სტუმარს! ქალაქში ბინა არ მქონდა (სასტუმროში ან ჩემს დასთან ვჩერდებოდი) და ხშირად, პირდაპირ ჩემი ბარგი-ბარხანით დუქანში ან რესტორანში მიმაქანებდნენ და შუაღამემდე მაქეიფებდნენ... მახსოვს, ერთხელ, ამგვარი „დახვედრის“ შემდეგ (მეგობრები ქალაქში ჩემს ხანმოკლე ყოფნას „თბილისში მიხეილ ქვლივიძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეებს“ უწოდებდნენ, მსგავსად იმისა, როგორც მოსკოვში „ქართული კულტურის დღეები“ ტარდებოდა), რაც პურ-მარილით დამთავრდა, მე და ირაკლი შინ აღარ წავედით. შეზარხოშებულმა ირაკლის ვუთხარი: ვერაფრით ვერ დავიძინებ, თუ ჩემი საწოლის ქვეშ მატარებლის ბორბლების რახრახი არ გავიგონე-მეთქი. ირაკლიმ ხათრი არ გამიტეხა და ორივემ ვაგზლისკენ გავწიეთ, იმ იმედით, რომ რომელიმე მატარებელს მივუსწრებდით. შუაღამე გადასული იყო და ერთადერთი მატარებელი როსტოვში მიდიოდა. გათენებისას ოჩამჩირეში აღმოვჩნდით. ცოტა გაგვიკვირდა, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხეთ: ვაგზლის სასაუზმეში ხაში ვჭამეთ და უახლოესი ავტობუსით თბილისში დავბრუნდით...

ა, ასეთი მეგობრები მყავდა, ასეთი ძმობა გვქონდა: უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით და ვერც წარმოგვედგინა უერთმანეთოდ ცხოვრება!

ირაკლი, ზურა, სანდრო... თვალზე ცრემლი მადგება, როცა მათ სახელებს ვიხსენებ. ძალიან მინდა ახლაც, ამ ჩემს „მთავარ წიგნში“, თითოეული მათგანი ცალკე დაგიხასიათოთ, მაგრამ წინასწარ ვიცი, არაფერი გამოვა: ჩვენს ურთიერთობაში **ცოდნის** ადგილი რწმენას ეჭირა, რწმენა კი მოგეხსენებათ, მარტო ლოცვით გადმოიცემა. ამიტომ ისევ მათდამი მიძღვნილ სონეტებს მოვიშველიებ:

### სონეტი №1

ირაკლი ზაზანაშვილს

ყანწს ავსებ ღვინით თუ ყალიბში ასხამ
 თაბაშირს,
თუ ერთი მუჭა ტალახიდან ამოგყავს სურა,-
მე შენ მაგონებ საწყალ ნიკო
 ფიროსმანაშვილს,
როცა სარდაფში „მეეზოვის“ ხატავდა
 სურათს...
აფერუმ, ძმაო, შენს კაცობას, შნოსა და
 უნარს,
არ გამომაკლო შენს ამქარში, შენს ამალაში.
სატევარივით, შოთი პურის გაგიწვდი ყუას
და, ვით მეტოქეს, გამოგიწვევ პურის ჭამაში!..
დოინჯშემოყრილ მედუქნეებს გვანან
 დოქები.
ამობურცულა აზარფეშა, როგორც ბოქვენი.
ნისკარტა ჭურჭელს გაფრენაზე უჭირავს
 თვალი.
ელავს ჭიქური - ძველებური და მიამიტი,
ცეცხლს ეფიცხება ალასტული მუცლით
 კრამიტი
და გდია ქვევრი - დედამიწის ბურთივით
 მრგვალი.

### სონეტი №2

სანდრო მათიაშვილს

თბილისი შენთვის - პარიზია, ბაღდადი,
 რომი,
მის ძველ ქუჩებში გაბმული ხარ როგორც
 კალმახი.
დამშვენებული შილაფლავით, ბასტურმით,
 ტოლმით,
სუფრაა შენი სახელოსნო, შენი ყაბახი!
შენთვის ერთია - იელოვა, ქრისტე, ალაჰი, -
ციურ მნათობებს, ვით წარმართი, უცქერი
 ნდომით,
მაგრამ მაშინ ხარ ჭეშმარიტად ვაჟკაცი,
 ლომი,
როცა კახეთი გაგონდება და კარდანახი!
სანდრო, სადაა სამართალი, არ ვიყოთ
 ერთად?!
ამ არაბული ცხენის გული შენ მოგცა
 ღმერთმა, -
მუდამ მზადა ხარ სანადიმოდ და საამიკოდ...

მოდი, ჩვენს ბიჭებს გავუაროთ, ჩავიხრჩვეთ
 სმაში,
გათენებისას სოღანლუღში მივირთვათ ხაში
და ეს სონეტი იმ სუფრაზე დავაჭაშნიკოთ!

### სონეტი №3

ზურა კვიჟინაძეს

გვარით ქართველო, ეროვნებით ადამიანო,
შენი ხელობა - მეგობრების სიყვარულია!
ეგ სულერთია, სად დადიხარ ან სად
 ბინადრობ, -
შენი მუდმივი მისამართი ჩემი გულია...
შენ მაგრძნობინე სულ პირველად ყადრი
 ლექსისა,
შენ გამიხადე საქართველო დასაფიცარი
და ბედნიერად თავს ჩავთვლიდი, თუკი
 მელირსა,
შენ დამახურო შენი ხელით კუბოს ფიცარი!..
ზურაბ, ძვირფასო, ერთგულებას არ
 გეფიცები!
ქვეყნად იცვლება ყველაფერი, ჩვენ არ
 ვიცვლებით:

მე - შენთან ყოფნას, შენ ჩემს ნახვას
მონატრებული...
ისევ გაისმის ტკბილი ჰანგი მეგობრობისა
და ურყევია ციხე-კოშკი ჩვენი ძმობისა,
რადგან შენა ხარ მის კედელში ჩატანებული!

ჩემი „ბიჭები“ ათეული წლების მანძილზე (სანამ მოსკოვში ვცხოვრობდი), არა მარტო მხვდებოდნენ თბილისში, არამედ მაცილებდნენ კიდეც.

ერთი ასეთი „გაცილება“ განსაკუთრებით დავიმახსოვრე... მოსკოვის მატარებლის გასვლამდე, კარგა ხნით ადრე, ვაგზლის რესტორანში შევიკრიბეთ. გაიშალა სუფრა და... მაგრამ იმ ამბავს მოსაწყენი პროზით ვერ გადმოგცემთ:

სვამდნენ და მღეროდნენ... და როცა
შეხურდნენ,
ის გადამთიელი
ადგა და წავიდა და სკამი მეხუთე
დარჩა ცარიელი.
და მაშინ სანდრომ თქვა: „ესაა ფინიში!-
და მერე განმარტა:
„მიხეილ ქვლივიძის დღეები თბილისში“
ამ სუფრით დამთავრდა!“
მან დიდი სასმისი გაავსო ხელახლა,
ირაკლის გადასცა
და უთხრა: „ამ სუფრის თამადა შენა
ხარ,
გვითხარი რაღაცა...“
- არაო, - ირაკლიმ, - როგორ დავიჩემო
მე სხვისი ხელობა?
მოდით, ნუ გამოვცვლით თამადას,
ბიჭებო:
მიშას დღეგრძელობა!
ჩვენთან თუ არ არი, აქვს ამის მიზეზი -
ლეინისგან ისვენებს...
სანამ ჩვენ დავთვრებით და
გამოვფხიზლდებით,
აქ მოვა ისევე!“
„სად დაიკარგება?“ აღარ დააცალა
ზურა კვიჟინაძემ
და ჭიქა თავისი პირველმა დაცალა
სუყველას ჯინაზე.
„ეგაა მთავარი! - თქვა ბერიაშვილმა
და ხელი აღმართა, -
ამ ვაგზლის დუქანში, - არი თუ არ არი,-
მიშაა თამადა!“
- მე რა ვთქვი მერეო? -
გაცეცხლდა სანდრო და იმანაც დალია,
მერე კი ზურას სწვდა: - „ჰაჲ, შე
იმერელო,
სულ შენი ბრალია!“
„- მოიცათ, მოიცათ... დინჯი და მაღალი
წამოდგა თამაზი, -
რად გინდათ ყვირილი და აყალმაყალი,
არაა ლამაზი...“

რით დამთავრდებოდა ის სუფრა,
სათქმელად
ნამდვილად ძნელია...
ალბათ, იქვე სხედან ბიჭები, სვამენ და
თამადას ელიან.

მეგობრები, როგორც ძვირფასი, ახლობელი ადამიანები, არ კვდებიან. არც „სახეს იცვლიან“, როგორც ამას სიტყვა „გარდაცვალება“ გულისხმობს. ისინი გზაში დაცემულ მგზავრებსა ჰგვანან: ჩვენ ერთად მოვდიოდით, ისინი წაიქცნენ, ჩვენ კი გზა განვაგრძეთ და ვილით, სანამ ჩვენც არ დავეცემით და ასე იქნება ყოველთვის...

ჩემი პირველი „მეგობრობის ანბანის“ მასწავლებლებიც - ზურაბ კაპანაძე და თენგიზ სუხიშვილი - გზაში დაეცნენ. მაგრამ აქ ისევ ლექსი უნდა მოვიშველიო.

მე ველარ გეტყვით, ძმებო, „ნახვამდის“,-
გამწარდა ჩვენი ძმობის სასმური:
ასე შორს ჩემგან სად გადასახლდით,
რად აირჩიეთ ბინად წარსული?

ვერ დაგადევნებთ წარსულში მღევარს,
ვერც დაგეწევით ჩემი ფიქრებით:
რაც თქვენ იყავით, ის ახლა მე ვარ,
რაც თქვენ ხართ ახლა, ის მე ვიქნები!
და ვერ შევხვდებით ვერსად პირისპირ, -
დავრჩით დროის და სივრცის გარეშე
და სანატრელი ჩვენი თბილისის
ქუჩებს ერთად ვერ მოვითარეშებთ;
ველარ ვეწვევით „ჰაიკას“ დუქანს,
სად ბევრი ჭიქა გამოგვიცლია...
მე დაბრუნება არ ძალმიძს უკან,
თქვენ წინ წამოსვლა არ შეგიძლიათ!

## ჩემი ლექსების მთარგმნელები

ისევ და ისევ ჩემი ცხოვრების „მოსკოვურ პერიოდს“ მინდა დავუბრუნდე, რადგან იქ,

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუსეთის დედაქალაქში, ჩამოვყალიბდი ქართველ პოეტად და საქართველოს მოქალაქედ. ამაში კი დიდი წვლილი ჩემს რუს მთარგმნელებსაც მიუძღვით...

ჟურნალ „ნოვი მირის" დევნა მაშინ დაიწყო, როცა მას სათავეში ტვარდოვსკი ჩაუდგა და თავის გარშემო თანამოაზრეთა მძლავრი ჯგუფი (ალ. დემენტიევი, ვლ. ლაკშინი, ალ. ბეკი და სხვ.) შემოიკრიბა. დადგა საკითხი პასტერნაკის რომანის „დოქტორ ჟივაგოს" გამოქვეყნებისა. დაიბეჭდა სოლჟენიცინის მოთხრობები. დასაბეჭდად მზადდებოდა ა. რიბაკოვის „არბატის შვილები" და ვ. გროსმანის „ცხოვრება და ბედისწერა" - ეს ცნობილი „ანტისაბჭოური" ნაწარმოებები, რომელთა ხსენებაზე სსრკ-ს მთავარ ცენზორს, სკლეროზით დაავადებულ ამხ. სუსლოვს პირდაპირ აკანკალებდა!.. მეამაყება, რომ ამ წლების „ნოვი მირის" ერთ-ერთი ავტორი მეც ვიყავი. ჟურნალის პირველ გვერდზე (მაშინ ეს ბევრ რამეს ნიშნავდა!) გამოქვეყნდა ჩემი ლექსი „აეროპორტი". მახსოვს, რედაქციაში მივიტანე ამ ლექსის რუსული ბწკარედი. განყოფილების გამგემ შემატყობინა, რედაქტორს მოეწონა და, თუ მხატვრული თარგმანიც ივარგებს, აუცილებლად დავბეჭდავთო. იური ლევიტანსკიმ შესანიშნავად თარგმნა და ლექსის დაბეჭდვას არაფერი აკლდა, როცა რედაქტორთან დამიბარეს. მივედი. კაბინეტში შესვლისთანავე ტვარდოვსკიმ მკითხა: ამ ლექსს სხვა სათაური არ აქვსო? როგორ არა, მანდ ასეთი სტრიქონია: „უამინდობის გამო ფრენა აკრძალულია", იქნებ ამან ივარგოს-მეთქი? „Чтоже вы мне голову морочаете?!" გაბრაზდა რედაქტორი, - რასაკვირველია, ეს ჯობიაო! და დაუმატა: ამნაირი ლექსის სათაური გაწნულ სილას უნდა გავდესო!.. ამ სათაურითაც დაიბეჭდა სიტყვის თავისუფლების დასაცავად და საბჭოთა ცენზურის წინააღმდეგ მიმართული ეს ჩემი ლექსი, თანაც ჟურნალის პირველ გვერდზე!..

ტვარდოვსკის დევნა დიდხანს გრძელდებოდა. რედაქტორის თანამდებობიდან მოხსნას ვერ უბედავდნენ, - „ვასილი ტიორკინის" ავტორი ჩვენშიც და საზღვარგარეთაც ცნობილი იყო და მის მოღვაწეობას „ნოვი მირში" მთელი მსოფლიო თვალს ადევნებდა, როგორც ხრუშჩოვის მიერ დეკლარირებული ქვეყნის ლიბერალიზაციის საიმედო ნიშანს. ამიტომ ცეკამ ვერაგულ ხერხს მიმართა: ტვარდოვსკი შვებულებაში გაუშვეს და, როცა რედაქციაში დაბრუნდა, თავისი არც ერთი თანამშრომელი ადგილზე არ დახვდა! რედკოლეგიის ყველა წევრიც უკლებლივ პარტიული ფუნქციონერებით შეცვალეს! ამან საბოლოოდ გატეხა მძიმედ დაავადებული ტვარდოვსკი. მსმელმა კაცმა ლოთობას უმატა, რედაქციაში იშვიათად დადიოდა, არც მწერალთა კავშირში ჩანდა... უკანასკნელი ჩვენი შეხვედრა სამუდამოდ დამამახსოვრდა. მოსკოვის მწერალთა პარტბიუროში ვმორიგეობდი, საწევროებს ვაგროვებდი. ოთახში მარტო ვიჯექი, როცა ტვარდოვსკი შემოვიდა. მაგრა მთვრალი იყო. მის დანახვაზე ფეხზე წამოვიჭერი, მაგრამ ალექსანდრე ტრიფონის ძემ მხარზე ხელი დამადო და ისე, როგორც უფროსები პატარებს ექცევიან, ძალით დამსვა სკამზე. საწევროები გადაიხადა, მერმე უცებ მომაჩერდა თავისი მოჭუტული, შეშუპებული თვალებით და მკითხა: თქვენ ქვლივიძე არ ხართ, ჩემი ჟურნალის ავტორიო? მე თავი დავუქნიე. „კარგი ქვეყანაა საქართველო", - ჩაილაპარაკა თავისთვის, ლოყაზე ხელი მომითათუნა და გავიდა. ეს იყო და ეს, მეტი არ მინახავს...

ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში პოეზიისადმი ასეთივე დამოკიდებულება ჩემი სათაყვანო ანა ახმატოვასგანაც მახსოვს... მე უკვე გიამბეთ ჩვენი შეხვედრის შესახებ: მოსკოვში ჩამოსულს სტუმრად რომ ვეახელი და სათარგმნელად ჩემი ლექსები შევთავაზე... იმ ლექსებს შორის „შემოდგომის სიმღერაც" იყო. ანა ანდრეევნამ თვალი გადაავლო ბწკარედს და მკითხა: ამ ლექსს სხვა სათაური არ აქვსო? (ეს ის ლექსი იყო, განსვენებულ დედაზე რომ დავწერე და ავბედითი 30-იანი წლები გავიხსენე, როცა მამაჩემი, როგორც „ხალხის მტერი", შინსახკომის ციხეში იჯდა, დედას კი მისთვის „პერედაჩები" დაჰქონდა)... „რამ დაგაწერინათ ეს ლექსი?" - დაინტერესდა ახმატოვა. მე ვუამბე. აბა, მაშინ, მას „1937" უნდა დავარქვათო, - თქვა ქალმა და თავისი ხელით ჩაასწორა ლექსის სათაური...

კიდევ ერთი მოსკოველი პოეტი მაგონდება, ჩემი მთარგმნელი დავით სამოილოვი, ვინც რუსულ პოეზიაში, პასტერნაკთან და ახმატოვასთან ერთად, ჩემს მასწავლებლად მიმაჩნია...

სამოილოვმა თარგმნა ჩემი ყველაზე საყვარელი ლექსები, მათ შორის, „ყვავები“ და „ბარათაშვილის მონოლოგი“. „ყვავები“ - ნოსტალგიით გამოწვეული ლექსია, „ბარათაშვილის მონოლოგი“ კი ჩემი ლირიკული გმირის, ჩვენი თანამედროვე საბჭოთა მოქალაქის ტრაგიკული ღაღადია იმის გამო, რომ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ის სულ „ცხოვრების დაწყებას“ აპირებს და ვერაფრით ვერ დაუწყია... (ბარათაშვილი, ცხადია, აქ არაფერ შუაშია, მე მისი სახელი იმისთვის მოვიშველიე, რომ ცენზურა მომეტყუებინა, რადგან მე-19 საუკუნის ტატოს პესიმისტური და მკრეხელური აზრები ეპატიებოდა, საბჭოთა მოქალაქეს კი - არა!)...

ჯერ „ყვავებზე“ შევჩერდები, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ რუსეთში თოვლისა და ყვავების მეტი თითქმის არაფერია და რუსები რატომღაც „ფრინველს“ ეძახიან ყვავს, რომელიც „ყიამყრალია, შავია და მჭლეა“ და კი არ გალობს, „ყრანტალებს!“ ლექსი ასე თავდება: „ამბობენ, ყვავი სამას წელს ცოცხლობს, /აბა, საქმეა ეს: /გარდასულ დროთა ყვავების ქორო/ თავს დაგვჩხაოდეს დღეს!“ თუ გავითვალისწინებთ, რომ იმდროინდელი საბჭოთა მთავრობა და პარტიის ცენტრალური კომიტეტი სულ გადაღრძოებული ბებრებით იყო სავსე, გასაგები გახდება ლექსის გამიზნულება... სამოილოვმა პატარა ცვლილება შეიტანა თარგმანში და კიდევ უფრო გაამძაფრა ლექსის პოლიტიკური ჟღერადობა:

...Живут они лет триста и над парками
Устраивают шумные пиры...
А надо ли, чтобы над нами каркали
Вороны аракчеевской поры?!

ამ „არაკჩეევის ხანის“ ხსენებამ ლამის პროკლამაციად აქცია ჩემი ლექსის თარგმანი და მრავალი წლის მანძილზე მე მას ხმამაღლა ვკითხულობდი სხვადასხვა აუდიტორიებში საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე - ბრესტიდან კამჩატკამდე და ვორკუტიდან ბუხარამდე!.. რაც შეეხება „ბარათაშვილის მონოლოგს“, აქაც, რუსულად თარგმნის შემდეგ, სამოილოვმა მირჩია, ალმედგინა ლექსის ბუნებრივი სახელწოდება „ვაპირებ ცხოვრებას!“, რაც დაუყოვნებლივ გავაკეთე...

რა მინდა ვთქვა ამით? ის, რომ საბჭოთა სინამდვილეში, ჩვენთან, ქართველ პოეტებთან ერთად, რუსი პოეტებიც იბრძოდნენ სულის შემხუთველი ცენზურის წინააღმდეგ და ამისთვის მხატვრულ თარგმანსაც იყენებდნენ. ამგვარი მაგალითები ბევრია: ბელა ახმადულინას, ევგენი ევტუშენკოს, ვლ. სოკოლოვის, ბულატ ოკუჯავას, ალ. მეჟიროვის, იუნა მორიცის და სხვა პროგრესულად მოაზროვნე ნიჭიერი პოეტების მიერ რუსულად თარგმნილ პაოლოს, ტიციანის, ჩიქოვანის, ლეონიძის, ო. ჭილაძის, ა. კალანდაძის ლექსებში, რომელთა მიმართ რუსი ცენზორები უფრო მეტ ლოიალობას იჩენდნენ და ხშირად ორაზროვან გამოთქმასა თუ ქვეტექსტით დამუხტულ მეტაფორას „ქართული ნაციონალური ტრადიციითა და სპეციფიკით“ ხსნიდნენ.

მაშინდელ საბჭოთა რესპუბლიკებში, კერძოდ, საქართველოში, უფრო ძნელი იყო გაბედული, მართალი ლექსის დაბეჭდვა, რადგან ჩვენში, მოსკოვს დამორჩილებული სიტყვის სატრაპები, განსაკუთრებულ გულმოდგინებას და სიფხიზლეს იჩენდნენ „იდეოლოგიური სიწმინდის“ დაცვის საქმეში... ამიტომ მე, ერთგვარად, თითქოს გამიღიმა კიდეც ბედმა, როცა ემიგრაციაში აღმოვჩნდი, რადგან მხოლოდ იქ, უცხო ხალხის გარემოცვაში თუ გავბედავდი რუსებისთვის გაუგებარ ენაზე დამეწერა ისეთი ლექსი, როგორიცაა, მაგალითად „პრაღა. 1968 წლის აგვისტო“, სადაც ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ტანკების შეჭრა და იან პალახის გმირული თვითმკვლელობაა აღწერილი:

...მერმე აგვისტოს მზემ გადაწვა ლორთქო
ბალახი,
მერმე ვაცლავის მოედანზე ხალხი
მოგროვდა...
ჩირაღდანივით აბრიალდა იან პალახი
და ყველასათვის ცხადი გახდა - რაა
„სვობოდა“!

სამწუხაროდ, ამ ლექსის დაბეჭდვა კი არა, თარგმნაც ვერავინ გაბედა, იგი, ბევრ სხვა ლექსთან ერთად, „უჯრის პატიმრების“ რიცხვში აღმოჩნდა და მხოლოდ ახლა, - ოცდაათი წლის შემდეგ! - გამოვაქვეყნე ჩემს „ერთტომეულში“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაკარგული საფლავი

1942-ში, სამამულო ომის, ალბათ, ყველაზე უფრო ტრაგიკულ წელს, როცა გერმანელები მოსკოვს მიუახლოვდნენ, თბილისში, სუნდუკიანის № 10-ში (იმ პატარა ბინაში, საიდანაც ათი წლის შემდეგ მოსკოვში წავედი) ფოსტალიონმა ჩემი ძმის, სანდროს, დაღუპვის ცნობა მოიტანა. ცნობაში ეწერა, რომ რიგითი ალექსანდრე ქვლივიძე „გმირულად დაეცა“ სამშობლოსთვის ბრძოლაში და დამარხულია ქ. ლუგანსკის მახლობლად, სოფელ უსპენკის „ბალკა კრუგლიკში“... ეს ცნობა წარმოადგენდა სტანდარტული ფორმის მოყვითალო ქაღალდს. მასზე ტიპოგრაფიული შრიფტით დაბეჭდილი იყო ტექსტი „გმირულად დაცემის“ შესახებ, ბოლოს კი ქაღალდის კიდეზე წვრილი პეტიტით ტირაჟიც და „ფორმა №4“-ც იყო აღნიშნული...

ერთი სიტყვით ეს იყო უსახელო კანცელარისტის მიერ დაწერილი ტრაგიკული მოთხრობა გამოცემული 100 000 -იანი ტირაჟით!..

ცნობა ფოსტალიონმა ხელიდან ხელში გადმომცა. სახლში მარტო ვიყავი და საწოლზე დამხობილი დიდხანს ვტიროდი... მერმე, იმ ქაღალდს გიმნასტურის ჯიბეში დაატარებდა ქერჩიდან დაბრუნებული მამაჩემი, რომელიც ჩემსავით პოეტი რომ ყოფილიყო, ალბათ, იტყოდა:

ჯიბით ყვითელი ქაღალდი დამაქვს,
მას ფოთოლივით დაეტყო ჭკნობა.
მე მისი ფასი რა მქონდა, რა მაქვს, –
ეს არი შენი დაღუპვის ცნობა!
აქ ყველაფერი წერია. ბოლოს,
პეტიტით: „ფორმა №4“...
გავშლი ამ ქაღალდს, დავხედავ მხოლოდ,
ისევ ჯიბეში ჩავიდებ ოხვრით.
მოვხუცდი, შვილო, გავცვდი კევრივით,
ცხოვრების აღმართს მივყვები ჩოქვით.
ვაგლახ, შორს არი ის დაწყევლილი
„ლუგანსკის ოლქი“!
მე სხვას არაფერს ვინატრი ქვეყნად:
იქ ჩამიყვანა, სადაც მეგულვი,
დავადგებოდი მთელს მხარეს ძეგლად
კაცი – დარდისგან გაქვავებული!..

დედაჩემმა შვილის დაღუპვა მამაზე უფრო მტკივნეულად განიცადა: იმ „შავი ქაღალდის“ მიღების შემდეგ მხოლოდ ხუთი წელიდა იცოცხლა (უფრო სწორად, იავადმყოფა). ყოველ ღამით საბანს თავზე წაიხურავდა, რომ ჩვენ არ გაგვეგონა და ისე ქვითინებდა...

მერმე, მოსკოვში რომ გადავსახლდი, სანდროს დაღუპვის ცნობა თან წავიღე (ფაქტობრივად, ამ ქაღალდის გარდა, თბილისიდან არაფერი გამყოლია) და ერთხელაც, 50-იან წლებში, უკვე დედის გარდაცვალების შემდეგ, უკრაინაში გავემგზავრე ძმის საფლავის საძებნელად...

ლუგანსკში მატარებელმა საღამო ხანს ჩამიყვანა. იქიდან სოფელ უსპენკამდე ავტობუსით ვიმგზავრე. ბნელდებოდა, როცა სოფელში მოვხვდი. კირით შეღებილ ქოხთან ვიღაც თეთრწვერა მოხუცი იჯდა. მოვუჯექი და ვკითხე: „ბალკა კრუგლიკი“ სად არისმეთქი? ვინ ხარ და იქ რა გინდაო? ცნობა ვაჩვენე და ავუხსენი, რისთვისაც ჩამოვედი, მოხუცი გაოგნდა: იმ სიშორიდან მარტო იმისთვის ჩამოხვედი, რომ ეს ადგილი ნახოო?!. ჩემმა ნაამბობმა საშინლად ააღელვა: აყვირდა, მთელი ოჯახი ფეხზე დააყენა და თავის სიძეს, ახალგაზრდა ბიჭს უბრძანა, მოტოციკლეტით „ბალკა კრუგლიკში“ წავეყვანე. ბიჭი ჯერ უარზე იყო, დაღლილი ვარო, მაგრამ სიმამრი არ მოეშვა, ორიოდე მუჯლუგუნიც უთავაზა და ბიჭმა ბუზღუნბუზღუნით მოტოციკლეტი გამოიყვანა. უკან მივუჯექი და „ბალკა კრუგლიკში“ გავქანდით... გზაში, ფედიამ (ასე ერქვა ბიჭს), ამიხსნა, რომ „ბალკა“ ხევს ნიშნავს, „კრუგლიკი“ კი ადგილის სახელწოდებაა და იქ, ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ომის დროს დიდი ბრძოლები ყოფილა... „ალბათ, საფლავებიც იქნება?“ – ვკითხე ფედიას. არაფერიც იქ არ არისო, – მიპასუხა, – აი, მივალთ და თვითონ ნახავო!..

ხმა აღარ ამომიღია, ისევ ჩემს ძმაზე ამეშალა ფიქრები. გამახსენდა ის დღე, როცა ომის დაწყებისთანავე, სანდრო ჯარში გაიწვიეს და რკინიგზის ვაგზალში მე და დედამ გავაცილეთ. დედა ყოველთვის დედაა და რა ხნის შვილიც უნდა ჰყავდეს, მაინც ბავშვი ჰგონია, ვისაც თავის დროზე ძუძუს აწოვებდა და კოვზით ფაფას აჭმევდა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ სანდრო უკვე ჯარისკაცი იყო და საომრად მიდიოდა, დედამ სახლიდან მისთვის თბილი ტანსაცმელი და კალოშებიც კი წამოიღო: ემანდ ფეხები არ დაუსველდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა


და არ გაცივდესო!.. ვაგზლის რკინის გისოსებიან ალაყაფთან (ბაქანზე გამცილებლები არ გაგვიშვეს) გამომშვიდობებისას, საწყალი ქალი სულ კალოშებს აჩეჩებდა ხელში ჩემს ძმას: წაიღე, დაგჭირდებაო... სანდრო ჯერ ხმას არ იღებდა, მერმე ამხანაგების შერცხვა, განერვიულდა და უხეში ხელის კვრით დედა მოიცილა... მაგონდებოდა ის დაწყევლილი წუთები და თვალწინ ატირებული დედაჩემი მედგა, ახალ, წითელსარჩულიან კალოშებს მკერდში რომ იხუტებდა და ეშელონისკენ გაქცეულ შვილს მზერით აცილებდა...

არავითარი ხევი იმ „კრუგლიკში" არ აღმოჩნდა. ფედიამ მოტოციკლეტი ტრიალ მინდორში გააჩერა და მითხრა: „ბალკა კრუგლიკი" ამას ჰქვიაო: მამაჩემისგან გამიგია, ომის შემდეგ, რაც ამ არემარეში ძვლები და ჩონჩხები ეყარა, მოკრიფეს, რაიცენტრში წაიღეს და იქ დამარხეს... ახლა კი აქ, კოლმეურნეობის მიწაზე ჭარხალი მოჰყავთო... ამის გაგონებაზე მოცელილივით ძირს დავეცი და ავტირდი. სახით ნახნავებში ჩარგული ბელტებს ტუჩებით ვეხებოდი და „სანდრო, სანდროს..." ვჩურჩულებდი...

კარგა ბნელოდა, როცა სოფელში დავბრუნდით. მოხუცმა უკრაინელმა დილამდე არ გამიშვა: შინ შემიყვანა, პურიც მაჭამა, „სამაგონიც" დამალევინა და გათენებისას, წასვლის წინ, პირჯვარიც გადამსახა...

ამ ამბავმა კარგა ხნის შემდეგ გამოძახილი ლექსში ჰპოვა, რომლის ბოლო სტრიქონებიც მინდა გავიხსენო:

...ნუთუ იმისთვის გაგზარდა დედამ,
რომ დაგსეოდა თავზე ჭილყვავი,
რომ უცხო ცის ქვეშ, ნაკელთან ერთად
ყამირის საზრდო გამხდარიყავი?

რომ ვერ გეთავა ნანატრი საქმე
და ვერც სიმღერა გეთქვა ახალი,
რომ ნაცვლად ამის, შენს ლამაზ ნაკვთებს
გამოეკვებათ კარგი ჭარხალი?!

მშვიდობით, ძმაო! თუმც შენს საფლავზე
საცაა უნდა დაიწყონ თოხნა, -
მე მაინც მინდა ადგილს გადავცე
ჩემი სალამი და მამის ოხვრა!

## „უშიშროების" საშიშროება

მე ახლაც მიკვირს, როგორ გადავრჩი
ან როგორ შემრჩა საღი გონება,
როცა ყოველი ფეხის ნაბიჯზე
მელოდებოდა ჩასაფრებული
„უშიშროების" საშიშროება...

საბჭოთა კავშირის ყოველ მოქალაქეს, თუ იგი თავისი ნიჭის, განათლებისა და სხვა ღირსებების გამო საზოგადოებაში გამორჩეული პიროვნება გახდებოდა, ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე აუცილებლად „უშიშროების" საშიშროება ელოდა... ცნობილმა საბჭოთა ფუნქციონერმა, სომეხმა ამხ. მიქოიანმა თავის დროზე ტრიბუნიდან განაცხადა, რომ „ყოველი საბჭოთა მოქალაქე, გარკვეული გაგებით, შინსახკომის თანამშრომელია!.. („შინსახკომი", იმ დროს, „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს" ერქვა და ჩვენს ქვეყანაში ისეთივე საქმიანობას ეწეოდა, როგორც ჰიტლერულ გერმანიაში - „გესტაპო", რუმინეთში - „სიგურანცა", გდრ-ში - „შტაზი", პოლონეთში - „უბე" და სხვ.).

მამაჩემის, ჩემი და ჩემი მომდევნო თაობის წარმომადგენლებიდან ნურც ერთი ნუ დაიკვეხნის, თითქოს მას „შინსახკომთან", ანუ შემდეგში წოდებულ „სუკ"-თან საქმე არ ჰქონია...

ჩემი ურთიერთობა ამ იდუმალ და საშიშ ორგანიზაციასთან დაიწყო მაშინ, როცა სამხატვრო აკადემიას ვამთავრებდი და ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება მინდოდა. მანამდე კი პირველ „გამაფრთხილებელ ზარად" შეიძლება ჩაითვალოს ჩემი ამხანაგების - პოეტების პ. გრუზინსკის, ვ. კეკელიძის, შ. მჭედლიშვილის, მ. აბრამიშვილის და სხვათა დაპატიმრება. მეც მათ წრეში ვიყავი, მაგრამ, საბედნიეროდ, ხელნაწერ ჟურნალ „ანათემის" იმ ერთადერთ ნომერში, რომლის გამოცემა ახალგაზრდებმა მოასწრეს (რის საფუძველზეც ისინი დაიჭირეს), ჩემი გვარი არ ფიგურირებდა. თავქარიანი ბიჭი ვიყავი, სევდიან ლექსებს ვწერდი სიკვდილზე, თვითმკვლელობაზე, ისინი კი უფრო ეროვნული და პოლიტიკური საკითხებით იყვნენ დაინტერესებული, მათი ლექსები სოციალურ პროტესტს გამოხატავდა და არ აპატიეს: შალვა მჭედლიშვილს და მარიამ აბრამიშვილს დიდი ხნით გადასახლება მიუსაჯეს. ვახტანგ კეკელიძემ საეჭვოდ „თავი ჩამოიხრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩო“, პეტრე გრუზინსკი კი ერთხანს საგიჟეთში ამყოფეს, მაგრამ მალე გამოუშვეს... ჯგუფის დანარჩენ წევრებსაც ციხე ან გადასახლება არ ასცდენია...

ყოველივე ეს ორმოციანი წლების ბოლოს მოხდა... სამამულო ომში გამარჯვების დღესასწაულები სულ ცოტა ხანს გაგრძელდა და, 30-იანი წლების მსგავსად, მასობრივი რეპრესიების ახალი ეტაპი დაიწყო. მაშინ არ მესმოდა, რატომ მოხდა ასე, ახლა კი ვიცი: სტალინი ახალი მსოფლიო ომისთვის ემზადებოდა და „ზურგის“ გამაგრებაზე ზრუნავდა. საბჭოთა ხალხი, რომელმაც იარაღით ხელში მთელი ევროპა გაიარა, ბევრი რამ ნახა და გადააფასა, აუცილებლად უნდა „განწმენდილიყო“ არასასურველი ელემენტებისგან. მორიგი „ტყის გამოხშირვა“ არანაკლები სისასტიკით მიმდინარეობდა, „ნაფოტები“ აქეთ-იქით ცვიოდა... „სუკის“ ხილული და უხილავი აგენტები მეძებარი ძაღლებივით დაძრწოდნენ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, საწარმოებში და უმაღლეს სასწავლებლებში. ცხადია, სამხატვრო აკადემიაც (სადაც მე ვსწავლობდი), თავისი „ელიტარული“ პროფესორ-მასწავლებლებითა და „აპოლიტიკური“ სტუდენტობით, გამონაკლისი არ იყო...

უკვე მოგახსენეთ, წარმატებით დავამთავრე გრაფიკის ფაკულტეტი და ასპირანტურაში ვაპირებდი სწავლას. ამისთვის კი პარტიაშიც უნდა შევსულიყავი. მაშინ პარტიის წევრობა ჩემთვის დიდ არაფერს წარმოადგენდა: ყველას, ვისაც ვიცნობდი და პატივს ვცემდი, ეს აუცილებელი პროცედურა ყვავილის აცრასავით გავლილი ჰქონდა და მეც, ყოველგვარი წინასწარი მოფიქრებისა და ყოყმანის გარეშე, აკადემიის პარტორგთან ამხ. ცეცხლაძესთან მივედი და მაგიდაზე განცხადება დავუდე... კარგად ვიცოდი, რომ ამხ. ცეცხლაძე ჩეკისტი იყო და სამოქალაქო პიჯაკის ქვეშ, შიშველ მხრებზე ვარსკვლავების საშიში გამონაყარი ემჩნეოდა; ისიც არავისთვის საიდუმლო არ იყო, რომ აკადემიის პარტორგს ბევრი ჩვენი სტუდენტი ჰყავდა „აყვანილი“ და მათი „ინფორმაციით“ სარგებლობდა...

გ. ცეცხლაძემ ჩემი განცხადება წაიკითხა, ჩაიცინა და მითხრა: პარტიაში შესვლას აპირებ და თუ იცი, რომ „ერთ ორგანიზაციაში“ შენზე ცუდი აზრისა არიანო? მივხვდი, რასაც გულისხმობდა, მაგრამ მიამიტი ვიყავი და გულახდილად „ვიცი-მეთქი“, ვუპასუხე. თან ისიც შევატყობინე (რაც მან ნამდვილად არ იცოდა), რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ პოლიტიკური ბრალდებით დაპატიმრებულ ახალგაზრდებს შორის ჩემი ამხანაგებიც იყვნენ... დიდი ინტერესით მომისმინა და ჩვენ შევთანხმდით, რომ იმავე საღამოს პარტიის საერთო კრებაზე ჩემს განცხადებას განიხილავდნენ... ჩვენი საუბრის შემდეგ ერთი საათიც არ გასულა, აკადემიის კანცელარიაში დამიძახეს: მილიციის რაიონული განყოფილებიდან გირეკავენ, რაღაც საპასპორტო საკითხია გასარკვევი და სასწრაფოდ მოვიდესო. გამიკვირდა, იმ რაიონში არ ვცხოვრობდი და რა საქმე უნდა ჰქონოდათ ჩემთან? მილიციის უფროსის კაბინეტში სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი კაცი მელოდებოდა. ჩემი გვარი რომ ვუთხარი, წითელი წიგნაკი დამანახა და მიბრძანა გავყოლოდი. მეც დავემორჩილე. მან წინ გამიშვა, თვითონ კი ბადრაგივით გამომყვა (იარაღიც რომ სჭეროდა ხელში, ნამდვილად პატიმარს დავემსგავსებოდი!)... ბესიკის ქუჩაზე მივედით. ჩეკისტმა ცარიელ ოთახში დამტოვა და სადღაც წავიდა... არ შემშინებია-მეთქი, ვერ ვიტყვი, გული აჩქარებით მიცემდა, ოფლმაც დამასხა, მაგრამ სრულიად უდანაშაულო ვიყავი, თან იმ საღამოს დარწმუნებული ვიყავი, პარტიის წევრი გავხდებოდი და, როგორც იტყვიან, „თავი ქუდში მქონდა“! აზრადაც არ მომსვლია, რომ აქ მოყვანას ამხ. გ. ცეცხლაძეს უნდა ვუმადლოდე. თან იმასაც ვფიქრობდი, რომ ეს, ალბათ, აუცილებელი პროცედურაა პარტიაში მიღების წინ და თითოეულმა მოქალაქემ იგი უნდა გაიაროს. ჩეკისტი მოულოდნელად შემოვიდა, ხელში ქაღალდი ეჭირა. იატაკზე დამაგრებულ სკამზე მიმითითა, თვითონ წინ დამიჯდა და მითხრა: „მაშ, ასე - ჩათვალე, რომ დაპატიმრებული ხარ! ეს შენი პირველი დაკითხვაა. ყველა კითხვაზე სწორ პასუხს ველოდები, თუ მოიტყუებ, შენ თავს დააბრალე... შენი ადრე დაპატიმრებული ძმაკაცების სახელები ჩვენთვის ცნობილია, დაასახელე სხვები, ვისთანაც ახლა მეგობრობ...“ ჩეკისტმა კალამი მოიმარჯვა და ჩემს პასუხს დაელოდა. რისთვის მაპატიმრებთ-მეთქი? „ამას მერე გაიგებ, ახლა კი დაფქვი, რაც იცი! სწრაფად! გვარები დამისახელე!“ -

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხმას აუწია ჩეკისტმა და ამ შეყვირებამ დამამშვიდა: მივხვდი, ჩემი შეშინება უნდოდა, რაღაცას მაიძულებდა, მე კი ძალადობას ბავშვობიდან ვერ ვიტანდი, ამიტომ წყნარად ვუპასუხე: „ჩემი ახლანდელი მეგობრები საქვეყნოდ ცნობილი ხალხია: სიმონ ჩიქოვანი, შალვა ამირანაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ვახტანგ ტაბლიაშვილი... კიდევ რომელი დაგისახელოთ?“ ჩეკისტი ამ გვარებს ჯერ ანგარიშმიუცემლად იწერდა, მერე გაბრაზდა, ქაღალდი დაჭმუჭნა და გადააგდო. „მე არ გემასხრები, ბიჭო! რა შენი მეგობრებია ესენი?“ „მართალსა ბრძანებთ, უბრალოდ მეგობრები კი არა, უფროსი მეგობრები არიან, ასეც ჩაწერეთ... რაც შეეხება ჩემს ტოლებს, ვისთანაც ვსწავლობ, ვქეიფობ და დროს ვატარებ, ისინი იმდენი არიან, ძალიანაც რომ მოვინდომო, ვერ გავიხსენებ!“

...ასე გრძელდებოდა ჩემი „დაკითხვა“ დაახლოებით ერთი საათი. ამასობაში ჩეკისტმა რამდენიმე ფურცელი დახია და გადააგდო. ბოლოს, როცა დარწმუნდა, ამ მეთოდით ვერაფერს გახდებოდა, მუქარაზე გადავიდა. „ამაღამ შენ აქ დარჩები და საერთოდ გახვალ თუ არა აქედან, ესეც საკითხავია! სამწუხაროდ, ბუფეტი დაიკეტა და მშიერი დარჩები. დაკითხვას ხვალ გავაგრძელებთ“! მე უკვე შევურიგდი ბედს, თან ძალიან დავიღალე და მხოლოდ ესღა ვუთხარი: თუ შეიძლება, მამაჩემს შეატყობინეთ, რომ ამაღამ შინ არ მივალ: ომის ინვალიდია, გულით ავადმყოფი და უკვალოდ რომ გავქრე, ვერ გადაიტანს-მეთქი. „გირჩევნია, საკუთარ თავზე იფიქრო!“ – მიპასუხა ჩეკისტმა. „ჩემს თავზე რა უნდა ვიფიქრო? მე ის მაღარდებს, რომ საღამოს აკადემიაში მისასვლელი ვარ, პარტიაში მიღებენ და...“ „პარტიაში გიღებენ?!“ – ისე გაიკვირვა ჩეკისტმა, თითქოს არაფერი იცოდა. – შენისთანებს რა უნდა პარტიაში? „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო“, სწორედ შენზეა ნათქვამი, შე ტროცკისტო!“ მერმე უცებ კილო შეიცვალა, მოლბა და დაყვავებით მითხრა: „მოდი, ასე მოვიქცეთ: შენ ერთ ქაღალდს დამიწერ და წადი, საცა გინდა! კარგი?“ რა უნდა დავწერო-მეთქი? მე გიკარნახებო. ქაღალდი და ავტოკალამი მომაწოდა და დაიწყო: „ვალდებულება. მე ქელივიძე მიხეილ გიორგის-ძე, ვალდებული ვარ...“ ამ სტანდარტული, „ჩეკისტური“ დოკუმენტის ტექსტი საყოველთაოდ ცნობილია: მოქალაქე ნებაყოფლობით ვალდებულებას იღებს ითანამშრომლოს უშიშროების კომიტეტთან, თვალყური ადევნოს მოსახლეობას, რეგულარულად შეატყობინოს უშიშროების კომიტეტს ანტისახელმწიფოებრივი, ანტიპარტიული გამოხდომების შესახებ... და ა. შ. და ა. შ. ერთი სიტყვით, მოქალაქე ამიერიდან დამსმენი, ანუ სუკის „აგენტი“ ხდება, რომელსაც ანონიმურობის დასაცავად ფსევდონიმსაც (ანუ „კლიჩკას“) ანიჭებენ, ზოგჯერ ფულსაც უხდიან, მაგრამ უფრო ხშირად არანაკლებ სასურველ მფარველობასაც უწევენ... ჩეკისტი კარნახს განაგრძობდა, მე კი უკვე კარგა ხანია არაფერს ვწერდი და მხოლოდ ვუსმენდი...

ჩემი „აყვანის“ პროცედურაც ჩაიშალა! ამისთანა ქაღალდს არავითარ შემთხვევაში არ დაგიწერთ-მეთქი, გადაჭრით განვუცხადე ჩემს მტანჯველს. რატომო? – გაუკვირდა. – განა შენ ჩვენი ქვეყნის მოქალაქე არ ხარ? ეს ხომ ყოველი საბჭოთა პატრიოტის წმინდათა-წმინდა მოვალეობააო?! „ჰოდა, მეც პარტიაში იმიტომ შევდივარ, რომ მესმის ჩემი პატრიოტული მოვალეობა-მეთქი! – დემაგოგიურად ვუპასუხე, – თანაც დასმენა არ მეხერხება, მე ლექსებს ვწერ. ამასთან ერთად, დაბნეული, უყურადღებო კაციც ვარ: რასაც გავიგონებ, ხელათვე მავიწყდება... დამიჯერეთ, მაგ საპატიო საქმისთვის ნამდვილად ვერ გამოვდგები!“ არ ვიცი, დამიჯერა თუ არა, მაგრამ ამოიოხრა (ალბათ, მის პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა პირველი არ იყო) და სუფთა ფურცელი მომაწოდა. „დამიწერე, რომ ამა და ამ წელს, ამა და ამ რიცხვში გამოძახებული იყავი უშიშროების კომიტეტში გასაუბრებაზე და ამის შესახება არასდროს, არსად და არავის ეტყვი! ხოლო თუ ამ პირობას დაარღვევ, პასუხს აგებ კანონის წინაშე, როგორც სახელმწიფო საიდუმლოების გამცემი და სამშობლოს მოღალატე... დამიტოვე ეს დოკუმენტი და მიბრძანდი. კისერიც გიტეხია!..“

იმ დღეს პარტიაში მიმიღეს. ჭკუა რომ მქონოდა, „სუკში“ მიღებული გაკვეთილის შემდეგ, კრებაზე არც უნდა მისულიყავი, მაგრამ ნათქვამია: „ჩხუბის შემდეგ მუშტებს არ იქნევენო“, და რაღა დროს სინანულია...

ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და ჩემი ჩეკისტი ისევ გამოჩნდა, ისევ მირეკავდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნენ აკადემიაში და „პასპორტის შესამოწმებლად“ მილიციაში მიბარებდნენ, სახლშიც მაკითხავდნენ გვიან ღამით: ერთ კაცს შენი ნახვა უნდა და გარეთ გამოდიო... ერთხელ საჯარო ბიბლიოთეკაშიც მომნახა ამხ. №-მა (სახელის ღირსიც არ არის) განზე გამიყვანა და მითხრა: ჩვენი ცნობით, ამასწინათ სტუმრად ერთ ოჯახში ყოფილხარ და გვაინტერესებს, ესა და ეს კაცი (გვარიც დამისახელა!) რას ლაპარაკობდაო?.. კინაღამ გავგიჟდი, ლამის მართლა ავად გავხდი. სახლიდან აღარ გავდიოდი, ნაცნობებსა და მეგობრებს ვემალებოდი იმის შიშით, არაფერი გამეგონა და არაფერი მცოდნოდა, რადგან, რაც უფრო პოპულარული ვხდებოდი, მით უფრო ინტერესდებოდნენ ჩემით „სუკის“ თანამშრომლები, რომელთა შორის (ჩემი დაეჭვებული წარმოდგენით) არა მარტო ამხ. №-ი, სხვებიც უნდა ყოფილიყვნენ, ერთი შეხედვით, სავსებით სანდო ადამიანები. ჩემი თავი მონადირეთა ალყაში მომწყვდეულ მგლად წარმომედგინა და აღარ ვიცოდი, სად გავქცეულიყავი! ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, ერთხელ, დედაჩემის საფლავზეც წავედი, კუკიაზე, მიწაზე დავემხე და მშობელს შევფიცე, რომ მის ანდერძს არ ვუღალატებდი და პატიოსანი კაცის სახელს შევინარჩუნებდი... ასეთი კოშმარი დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და ერთხელაც გათავდა...

გვიან ღამით ჩვენს ფანჯარაზე დააკაკუნეს და მამაჩემს უთხრეს: თქვენს შვილს მილიციაში იბარებენო. მივხვდი, რაშიც იყო საქმე და, თუმცა ავადმყოფი მამა ძალიან მეცოდებოდა (მისთვის არაფერი გამიმხელია), თავი ვერ შევიკავე და ყველაფერი ვუამბე. უნდა გენახათ, რა დაემართა! აწრიალდა, დაფაცურდა, სასწრაფოდ გადაიცვა ფრონტიდან ჩამოყოლილი ძველი სამხრეებმორღვეული მაიორის კიტელი, მეც წამოგყვებიო - მითხრა და ხელჩაკიდებული მამა-შვილი მილიციას მივადექით. მამამ დერეფანში დამტოვა (სახეზე ფერი არ ედო, სულ კანკალებდა), ფეხისკვრით კაბინეტის კარი გააღო და შიგნით შევარდა. კარი მოღიავებული დარჩა და ყველაფერი მესმოდა. „ვის უნდა ჩემი შვილის ნახვა? ვის? თქვენ? - ყვიროდა მოხუცი, - რაში დაგჭირდათ ჩემი ბიჭი?“ „არა, ბატონო, დაწყნარდით... ჩვენ არ გამოგვიძახებია. „ორგანოების“ თანამშრომელია ერთი, იმან მოაკითხა... ამ წუთას აქ იყო, სად წავიდა?“ „აჰ, მაშ, „ორგანოებიდან“ მოაკითხეს? რა უნდათ მისგან, რას გადაეკიდნენ? არ ეყოთ რაც თავის დროზე ჩემი სისხლი ღალიეს, მაგათი დედა ვატირე! გამოდის, ფრონტზე ტყუილად მიბრძოლია, ეგენი რომ ვირთხებივით ზურგში იმალებოდნენ? დამანახეთ ერთი ის კაცი, დამანახეთ, მე ვიცი, რასაც ვეტყვი! ეგ თქვენი ჩეკისტური გაკვეთილები მე უკვე გამომივლია!“ - ყვიროდა მამა, მაგრამ ამხ. №-ი აღარსად ჩანდა, გაპარულიყო...

და მე მივხვდი მაშინ, რომ, მიუხედავად ქვეყანაში გამეფებული განუკითხაობისა, „სუკის“ თანამშრომლებს საჯაროობისა მაინც ეშინოდათ!..

ამის შემდეგ სულ მალე მოსკოვში გადავსახლდი და „უშიშროების საშიშროება“ კარგა ხნით თავიდან ავიცილე, არსად არავის გამოვუძახებივარ და ჩემგან არავითარი ხელწერილი არ მოუთხოვიათ... მაგრამ ბოლოს „სუკის“ გრძელი საცეცები იქაც მომწვდა (ეტყობა, საქართველოს „ორგანოების“ მუშაკებმა თავის მოსკოველ კოლეგებს შეატყობინეს ჩემს შესახებ და ურჩიეს, ჩემი პიროვნებით დაინტერესებულიყვნენ). ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა სამსახურის მიტოვებასა და სამშობლოში დაბრუნებას ვაპირებდი...

ერთ დღეს სამსახურში ორმა რუსმა ჩეკისტმა მომაკითხა. სასტუმრო „მოსკოვში“ წამიყვანეს და ერთ ნომერში შედგა ჩვენი საუბარი. მათ მითხრეს, რომ „ქვეყანაში ამჟამად მდგომარეობა დაძაბულია“ (ნეტა, როდის არ იყო „დაძაბული“?) რომ მთავარი, რაც მოეთხოვება საბჭოთა მოქალაქეს, „სიფხიზლე, სიფხიზლე და კიდევ სიფხიზლეა“, რომ „ცენტრმა აუცილებლად უნდა იცოდეს, რა ხდება პერიფერიებში, მით უმეტეს, საქართველოში, სადაც ნაციონალიზმი ჯერ კიდევ მთლად აღმოფხვრილი არ არის“, რომ დედაქალაქი და კერძოდ ისინი, მოსკოველი ჩეკისტები, მიცნობენ, „როგორც გამოჩენილ ქართველ პოეტს“ და ამიტომ... ამიტომ მე ვალდებული ვარ, შევატყობინო მათ ყველაფერი, რაც რესპუბლიკაში ხდება, რასაც ფიქრობენ და ლაპარაკობენ ქართველი მწერლები! მოკლედ, ამხ. №-სა არ იყოს, მათთან თანამშრომლობა შემთავაზეს! გამეღიმა და ვუთხარი: წავალ, მოვიფიქრებ-მე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თქი... იმავე დღეს სამსახურში განცხადება დავწერე, გავთავისუფლდი, ფეხი დავკარი და თბილისში აღმოვჩნდი...

ამჯერადაც, რუსული ზღაპრის „კოლობოკივით“, ხელიდან დავუსხლტი „უშიშროების საშიშროებას“!..

თბილისში ჩემმა სულმნათმა მეგობარმა ოთარ ნოდიამ თავის „მთავარ სარედაქციო კოლეგიაში“ შემიკედლა, მაცხოვრებდა და მიცავდა ყოველგვარი განსაცდელისგან, მერმე, დროთა ვითარებაში, საბჭოთა იმპერიაც დაინგრა და დღეს თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში იმის იმედით ვცოცხლობ, რომ ჩემს შვილს, პატარა გიორგის, „უშიშროების საშიშროება“ აღარასდროს დაემუქრება!

## ესეც მახსოვს...

ჩემს ლექსებში ერთი განსაკუთრებით მიყვარს:

აღარ გვიხმობს სახლებიდან
საყმაწვილო რომანი.
საოცნებო ნაკლები გვაქვს,
მეტი - მოსაგონარი;
სიხარული კანტი-კუნტი,
ასპარეზის სიმცირე
და სიბერის არქტიკული
ახლოვდება სიცივე...

ამ „სიცივის“ სუსხი დიდი ხანია ვიგრძენი. მეოცნებე არასდროს ვყოფილვარ, ახლა კი, როცა მოგონებების წერა დავიწყე, თითქმის მთლიანად წარსულში გადავსახლდი. რა აღარ გავიხსენე? მე მგონი, მნიშვნელოვანი არაფერი გამომრჩა, თუმცა... თავისქალა რომ ამხადონ, ალბათ, აქა-იქ, ტვინის ხვეულებში, რაღაც გაიელვებს, გამონარეცხ ქვიშაში ჩარჩენილი ოქროს ნამცეცებივით და დამენანება გადაგდება... მოდით, ამოვკრიფოთ ეს მარცვლები.

..........................................................................

სამხატვრო აკადემიაში მე და ზურა კაპანაძე ერთად ვსწავლობდით. მეორე კურსზე გადავედით, ომი რომ დამთავრდა. ორივეს გვიჭირდა. ზურას დედა „ტიოტია სიმა“ (ებრაელი ქალი იყო და ქართულადაც ასე ვეძახდით) მარჯანიშვილის თეატრში მეგარდერობედ მუშაობდა და მისი წყალობით ჯიბეგამოფხეკილი სტუდენტები ყოველ საღამოს უბილეთოდ თეატრში შევდიოდით. იქ შუქიც იყო, სითბოც, ნაცნობი ხალხიც იკრიბებოდა და, რაც მთავარია, სცენაზე ჩვენი საყვარელი მსახიობები, ვასო გოძიაშვილი და ქორა შავგულიძე თამაშობდნენ, რაც ყველაფერს, შიმშილსაც კი გვავიწყებდა!

მეც, ზურაც, შეძლებისდაგვარად, ჩვენს ოჯახებს ვეხმარებოდით. სტიპენდიებს უკლებლივ შინ ვტოვებდით, ჩაცმა-დახურვას ყურადღებას არ ვაქცევდით (მე, მაგალითად, ჯარისკაცური „შინელი“ მეცვა, ზურას - „ტელოგრეიკა“) და, ასე განსაჯეთ, „კუჭის პრობლემასაც“ თვითონ ვაგვარებდით: დღესასწაულებს (საქართველოში მათ რა გამოლევს?) შეძლებული ნაცნობ-ნათესავების ოჯახებში ვატარებდით, სადაც გვაჭმევდნენ და გვასმევდნენ კიდეც! ჩვენთან დროსტარება ყველას უხაროდა: მე ლექსებს ვკითხულობდი, ზურა... ზურა უბრალოდ ლამაზი, ხუჭუჭა ბიჭი იყო, რომლის დანახვაზე თბილისელი გოგოები „ქვეშ იფსამდნენ“?! იმ დროს ქალაქში ხუმრობაც კი იყო ასეთი: თურმე, ერთი გოგო მეორეს ეუბნება: შენთან დაბადების დღეზე ზურა კაპანაძე და მიშა ქელიძე ყოფილან, რა გაჩუქეს?“ ზურამ - არაფერი, მიშამ კი ზურა კაპანაძე მოიყვანაო!..

მაგრამ ჩვენ არამარტო ვქეიფობდით, არანაირ სამუშაოს არ ვთაკილობდით, ოღონდ ის ორიოდე გროში მიგვეტანა ოჯახში, რაც ბაზარში სახელდახელოდ გადაკრული ჭიქა არყის შემდეგ მოგვერჩებოდა!..

ბაზარი რაკი ვახსენე, იმასაც გიამბობთ, რაც მე და ზურას ერთხელ გადაგვხდა... ნოემბერი ახლოვდებოდა. პრესა იტყობინებოდა, რომ „მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად ემზადება დიდი ოქტომბრის ზეიმის აღსანიშნავად“. რაში გამოიხატებოდა ეს „მზადება“? საჩქაროდ წერდნენ ლოზუნგებსა და პლაკატებს, ბელადების პორტრეტებით შენობებს რთავდნენ, სპეციალურ კედლის გაზეთებსაც უშვებდნენ... ვინც იმ დღეებს არ მოსწრებია, ვერ წარმოიდგენს, რა ხდებოდა ქალაქში: საბავშვო ბაღით დაწყებული ლამის სასაფლაოთი დამთავრებული - ყველგან სადღესასწაულო ციებ-ცხელება იდგა! ჩვენც ეს გვინდოდა. მე და ზურას ხატვაც გვემარჯვებოდა, ლამაზად წერაც და სამუშაოს ძებნაში დილიდან საღამომდე თბილისის ქუჩებს ვტკეპნიდით...

რამდენიმე უნაყოფო ცდის შემდეგ ბედმა გაგვიღიმა: ერთ-ერთი ბაზრის დირექტორმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედლის გაზეთის გაფორმება დაგვავალა, გასამრჯელოდ ათ კილო კარტოფილს და ხუთ-ხუთ მანეთს დაგვპირდა.

მთელი ღამე ვშრომობდით. ჯერ ვატმანის ფურცელს მსხვილი, ფერადი ასოებით გაზეთის სახელწოდება „წითელი კოლმეურნე" დავაწერეთ; მერე, მუხინას ცნობილი ქანდაკების მიხედვით, ვითომდა კომუნიზმისკენ მიმავალი ქალ-ვაჟი დავხატეთ ჩაქუჩ-ნამგლიანი დროშით ხელში... მართლა კარგი რამ გამოვიდა! ლამაზიც იყო და იდეურიც! განსაკუთრებით შთამბეჭდავი ქალის ფიგურა გამოგვივიდა, რომლის ძუძუებისა და ბარძაყების დამუშავებას მე და ზურა ლამის გადავყევით!

მეორე დღეს ზურამ გაზეთი ბაზარში წაიღო...

გავიდა დრო. ამასობაში, ცხადია, ის კარტოფილიც შეიჭამა, ის ხუთი მანეთიც დაიხარჯა, უკვე საახალწლო დღესასწაულები ახლოვდებოდა და მე და ზურა მორიგი დაკვეთის მოლოდინში საღებავებს, ფუნჯებს და ქაღალდს ვიმარაგებდით. და აი, ერთხელ, გვიან ღამით ჩემი მეგობარი მოულოდნელად შინ გამომეცხადა. სახეზე ფერი არ ედო, ძალიან შეშინებული ჩანდა. ერთხანს ოთახში უაზროდ წრიალებდა, ხან დაჯდებოდა, ხან ადგებოდა, წამდაუწუმ კარისკენ იხედებოდა, ბოლოს, როგორც იქნა, სული მოითქვა და დაიწყო: „არ დაიჯერებ და... ბესიკის ქუჩაზე ვიყავი! ჰო, ჰო, „კაგებეში"! ქუჩაში დამიჭირეს და წამიყვანეს!" „მოიცა, მოიცა... - გავაწყვეტინე. - ვინ დაგიჭირა? რისთვის? დალაგებით მითხარი?" „რისთვის და... ამ წუთას გეტყვი, მიხო-ჯან! აკადემიაში მივდიოდი, ხატვაზე. შესასვლელთან ვიღაც კაცმა გამაჩერა და მკითხა: კაპანაძე ხარო? კიმეთქი. აბა, მამ წამომყევიო და წითელი წიგნაკი დამანახა. მივხვდი, ვინც იყო და გავყევი. ბესიკის ქუჩაზე მივედით. საშვი ჩემს სახელზე წინასწარ იყო გამოწერილი. იმ კაცმა ცარიელ ოთახში შემიყვანა, აქ მომიცადეო და გასაღებით ჩამკეტა. „მოიცა, როგორ თუ ჩაგკეტა? არაფერი უთქვამს?" „არაფერი, გზაში ხმა არ ამოუღია... მერე მითხრა ყველაფერი, როცა დაკითხვა დამიწყო... იმ ოთახში ფანჯრებზე რეშოტკები იყო, როგორც ციხეშია, ამან სულ გული გამიხეთქა!.. ერთ საათზე მეტი მაყურყუტეს იქ, კინაღამ გავგიჟდი! რა აღარ ვიფიქრე?.. მერე ის კაცი ისევ მოვიდა. ხელში ქაღალდის რულონი ეჭირა, გაშალა და თვალებს არ დავუჯერე... იცი, რა დამანახა? ჩვენი კედლის გაზეთი, ჩვენ რომ საშვიდნოემბროდ ბაზრისთვის გავაკეთეთ! გახსოვს? ათი კილო კარტოფილი მოგვცეს! დამანახა ის გაზეთი და მეკითხება: შენი დახატულიაო? მე და ჩემმა ამხანაგმა გავაკეთეთ-მეთქი. ამხანაგია თუ ვინცაა, იმასთან არაფერი მესაქმება, ბაზრის დირექტორმა მარტო შენ დაგასახელაო! კარგი-მეთქი, მაინც რაშია საქმე, რისთვის დამიჭირეთ? „რისთვის და იმისთვის, შე ჩათლახო და მავნებელო, რომ აქ, ამ დროშაზე ფაშისტური „ნიშანი" დაგიხატია! თვალი გაახილე, ვერ ხედავ?" და დროშის კუთხეში, პატარა წრეში ჩახატული ერთი ციცქნა ჩაქუჩ-ნამგალი დამანახა... შეშინებული კი ვიყავი, მაგრამ გამეღიმა. როგორ გეკადრებათ-მეთქი, ბატონო, ეს ხომ ჩაქუჩ-ნამგალია, ჩვენი მუშურ-გლეხური ქვეყნის ნიშანი! პატარა ზომისაა, სწრაფი ჩანახატია ფანქრით და ამიტომ გარკვევით არ ჩანს! გამადიდებელი შუშით რომ შეხედოთ, გამოჩნდება! „ჩანახატი არ ვიცი მე! - დამიღრიალა ჩეკისტმა - ციხეში ამოგალპობ, შე ლაწირაკო! ფაშიზმის პროპაგანდას ეწევი?!" - და ისეთი სილა გამაწნა, სკამიდან გადმოვვარდი... მერე, თვითონ რომ ვერაფერს გახდა და ვერ მათქმევინა, თითქოს მართლა სვასტიკა დამეხატოს, სხვა ჩეკისტი მოიყვანა და ორივემ განაგრძეს ჩემი დაკითხვა. მოითხოვდნენ, მეღიარებინა ჩემი „დანაშაული" და ეს წერილობითაც დამედასტურებინა... მთელი ღამე მაწვალეს. ხან მემუქრებოდნენ, ხან მირტყამდნენ, შენ წარმოიდგინე მეხვეწებოდნენ კიდეც, დამეწერა, რომ იქ სვასტიკაა დახატული და არა ჩაქუჩ-ნამგალი, მაგრამ როგორ დავიბრალებდი იმას, რაც არ ჩამიდენია?! რაღა დაგიმალო, ჩემო მიხო, და ისე გამაფუჭეს კაცი, ბავშვივით ვტიროდი და ვემუდარებოდი; აქედან გამიშვით, დედაჩემს სუსტი გული აქვს და ამაღამ შინ რომ არ მივიდე, მოკვდება... მოკლედ, უკვე თენდებოდა, როცა მომეშვნენ. „კი, მაგრამ ის გაზეთი საიდან ჩაუვარდათ ხელში?" „როგორ თუ საიდან? გიჟი ხარ, შე ჩემა, „კაგებეს" რამე დაემალება? თურმე ბაზარში მისულა ვიღაც იდიოტი, კედელზე გაკრული გაზეთი დაუნახავს (მე მგონი, მისი ყურადღება ჩვენი დახატული ქალის ბაყვებმა მიიპყრო!), ჩეკისტის თვალით

დაუთვალიერებია და ჩაქუჩ-ნამგალში ფაშისტური სვასტიკა აღმოუჩენია! ადამიანი ხომ ყოველთვის იმას ხედავს, რისი დანახვაც უნდა?! დარწმუნებული ვარ, „დანაშაული“ რომ მეღიარებინა, იმ ტიპს აუცილებლად დააწინაურებდნენ: მაიორი თუ იყო, პოლკოვნიკის ჩინს მისცემდნენ!“

.....................................................................................

„უშიშროების“ საკითხთან დაკავშირებით ახლახან გარდაცვლილი თამაზ გამცემლიძის ნაამბობიც მაგონდება...

სამამულო ომის დაწყების დღიდან თამაზი მოწინავე ხაზზე იბრძოდა. არტილერისტი იყო. ბევრჯერ დაიჭრა. ფრონტიდან ცოცხალი სხეული და დაჭრილი სული ჩამოიტანა. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და ბოლოს მოინელა კიდეც...

„უშიშროება“ საბჭოთა ჯარშიც არსებობდა, "Смерш" ("Смерть шпионам") ერქვა.მათი შტაბი ომიანობის დროს თბილისში პლეხანოვის პროსპექტზე მდებარეობდა: პირქუში, კარ-ფანჯრებ-დაგმანული შენობა, რომელსაც თბილისელები შიშით უვლიდნენ გვერდს.

თამაზმა მიამბო: „ბელორუსიაში გერმანელებმა ძლიერი შეტევა წამოიწყეს. ჩემი საარტილერიო ასეული მათ ტანკებს იგერიებდა. უკანასკნელ წუთამდე (უფრო სწორად, უკანასკნელ ჯარისკაცამდე!) ვიბრძოდით. ბოლოს ქვემეხები წინა ხაზზე გამოვაგორეთ და პირდაპირი დამიზნებით ვესროდით იერიშზე გადმოსულ გერმანელებს. ბევრი ჩვენი მებრძოლი დაიღუპა. მეც დავიჭერი. მაგრამ ქვემეხს არ მოვცილებივარ და მოკლული მეთაურის მაგივრად ბრძოლას ვხელმძღვანელობდი... ამ დროს ჩემთან შიკრიკმა მოირბინა და მითხრა: სასწრაფოდ ბლინდაჟში გიბარებენ, შტაბიდან კაცი მოსულა და შენი ნახვა უნდაო. მივედი. მაიორის ახალთახალ ფორმაში გამოწყობილმა ლოყებღაჟღაჟა ახალგაზრდამ „სმერშის“ თანამშრომლად წარმომიდგინა თავი და ჩემი ასეულის სია მომთხოვა. ზეპირად ჩამოვუთვალე ისინი, ვინც ცოცხალი დარჩა, თან დავინტერესდი: „რაშია საქმე-მეთქი? „თითოეულმა მებრძოლმა ხელწერილი უნდა დადოს ჩვენთან თანამშრომლობის შესახებ. ასეთია შტაბის განკარგულება“. კი, მაგრამ, რა დროს ეგ არის, ვერა ხედავთ, რა ხდება?!“ „მერე რა, ფრონტზე ყველგან იბრძვიან! ჯარისკაცს თავისი მოვალეობა აქვს, ჩვენ კი - ჩვენი. ოფიცერი ხართ, ალბათ პარტიის წევრიც და უნდა გესმოდეთ: ომის დროს სიფხიზლეა მთავარი! დიახ, სიფხიზლე! - მან სათუთად მოვლილი ხელი ბელადის სურათისკენ გაიშვირა, - გერმანელი ფაშისტები გააფთრებულ პროპაგანდას ეწევიან, პროკლამაციებს ავრცელებენ და მტერი ჩვენს რიგებშიც შეიძლება ამოჩნდეს! მისი გამოაშკარავება ყველა ჩვენგანის ვალია!“ კინაღამ გადავირიე. „გარეთ გაიხედეთ, ქეყანა ინგრევა, სადა აქვთ ჯარისკაცებს ქაღალდების წერის თავი?!“ „მე შტაბის ბრძანებას ვასრულებ, - მშვიდად მომიგო, პრიალა საველე ჩანთიდან სუფთა ფურცელი ამოიღო და წინ დამიდო. - რაკი აქ ხართ, თქვენით დავიწყოთ... დაწერეთ, მე გიკარნახებთ“. „ჰოდა, ჩემო მიშა, - განაგრძობდა თამაზი, - ზუსტად ისეთი ტექსტი დამაწერინა, თბილისში შენგან რომ მოითხოვეს ჩეკისტებმა. პაროლი, ანუ „კლიჩკაც“ თვითონ შემირჩია, აღარ მახსოვს რა შემარქვა...“ „მერე? - ჩავეკითხე, - რით გათავდა ეს ამბავი?“ „რითა და სათითაოდ ყველა მებრძოლი გამოიძახა სანგრებიდან და ხელწერილი დაადებინა. მერე თავისი ქაღალდები აკრიფა, მანქანაში ჩაჯდა და წაბრძანდა... ჩვენი კი ბრძოლა განვაგრძეთ... მახსოვს, ბლინდაჟიდან გამოსული ბიჭები, რუსები, ქართველები, სომხები, უკრაინელები, ვინ აღარ იყო ჩემთან, სულ დედას აგინებდნენ იმ პიჟონს და სიცილ-ხითხითით ერთმანეთს თავიანთ „კლიჩკებს“ ატყობინებდნენ!“

.....................................................................................

კიდევ ერთი, სკოლის მეგობარი ბიძინა ქუმსიაშვილი მინდა გაგაცნოთ, რომელიც, მადლობა ღმერთს, ჯერ ცოცხალია და ჩემი ბავშვობის ძმაკაცებიდან, მგონი, ისღა შემრჩა...

ბიძინამ იარაღით ხელში გაიარა მთელი ევროპა. პირველი კლასიდან ერთად ვსწავლობდით და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ერთ მერხზეც ვისხედით. სკოლის დამთავრებისთანავე, ბიძინა ჯარში გაიწვიეს. უმალ ფრონტზე მოხვდა და მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა თბილისში. მერმე მე მოსკოვში გადავსახლდი და ბიძინას დიდხანს არ შევხვედრივარ, თუმცა ყოველთვის მახსოვდა, და ახლაც არ დამავიწყდება ის საოცარი გულისხმიერება, რაც ამ კახელმა ბიჭმა ჩემდამი გამოიჩინა... მესამე თუ მეოთხე

ეროვნული ბიბლიოთეკა



კლასში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ფეხები წამერთვა და ვეღარ დავდიოდი. ერთხანს სკოლაში ფაეტონით (მაშინ მანქანა სად იყო!) მატარებდნენ, მაგრამ იმ ხანებში 30-იანი წლების საყოველთაო „დაჭერობანა" დაიწყო, მამაჩემიც დააპატიმრეს, გაგვიჭირდა და ამის საშუალებაც მოისპო. სხვა გზა არ გვქონდა: სასწავლო წელი უნდა გამეცდინა... და აი, მაშინ ბიბლიური „კეთილი სამარიტელის" მსგავსად, ბიძინა ქუმსიაშვილი მომევლინა: ყოველ დილით დაბარებულივით მოდიოდა ჩვენთან, ზურგზე ამიკიდებდა და სკოლაში მივყავდი. სკოლა კი, ჩვენი სახლიდან საკმაოდ შორს იყო... გაკვეთილების დამთავრების შემდეგ იგივე მეორდებოდა... ასე, თითქმის ერთი თვის მანძილზე, ჩემი მეგობარი სკოლაში ზურგით დამატარებდა!

შეიძლება ამის დავიწყება?!

ბიძინას, როგორც მისმა თანამებრძოლებმა მითხრეს, ომშიც არაერთხელ გამოუჩენია თავი ვაჟკაცობითა და კეთილშობილებით. მისი რანგის ოფიცრები. გერმანელებისგან „განთავისუფლებულ" (უფრო სწორად კი ჩვენი ჯარის მიერ ოკუპირებულ) ევროპის ქვეყნებში, ყოველთვის ღირსეულად როდი იქცეოდნენ, - აწიოკებდნენ და ძარცვავდნენ მოსახლეობას. ამის შესახებ არა მარტო სოლჟენიცინი, სხვებიც წერდნენ და დღეს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს. რაც შეეხება ჩემს მეგობარს... მას უცხოეთიდან თავისი გახუნებული გიმნასტურისა და ლანჩგაცვეთილი ჩექმების მეტი არაფერი ჩამოუტანია. სამაგიეროდ, ერთი მოგონება გამოჰყვა, რასაც ახლავე გიამბობთ...

ბიძინას სამხედრო ნაწილს თურმე, სოფელ კონსტანტინოვკასთან გაუვლია. ცივი, თოვლჭყაპიანი ზამთარი იდგა. ისლით დახურული ქოხები ჯერ გერმანელ ოკუპანტებს, შემდეგ კი ჩვენს ჯარისკაცებს გადაეწვათ. მოსახლეობაც არსად ჩანდა, ნასახლარების ირგვლივ მხოლოდ მშიერი ძაღლები დაძრწოდნენ... ერთ-ერთი გადარჩენილი სახლის კედელზე აბრა შემორჩენილიყო, სადაც ეწერა: „აქ დაიბადა დიდი რუსი პოეტი სერგეი ესენინი..." ბიძინას თავისი ნაწილი დანიშნულ ადგილზე დროზე უნდა მიეყვანა, ეჩქარებოდა, მაგრამ მაინც გაჩერდა და კარზე დაარახუნა. ქოხიდან ძონძებში გახვეულმა დედაბერმა გამოიხედა, საბჭოთა ოფიცერი რომ დაინახა, ატირდა და წუწუნი მორთო: დამეხმარე, შვილო, ვიყინები, ორი დღეა, არაფერი მიჭამია, არც შეშა მაქვს, არც საჭმელი... აგერ იქ, ღობის ძირში, კუნძი გდია და იქნებ დამიჩეხოო... „ვინა ხარ, დედი?" ჰკითხა ბიძინამ. „დედა ვარ, შვილო, სერიოჟას დედა, ესენინის... ომამდე აქ სახლმუზეუმი იყო, ხალხიც დადიოდა. ახლა კი აღარაფერი დარჩა... იქნებ შეშა დამიჩეხო, ცულს გამოგიტან..."

ბიძინამ კუნძიც დაუპო, მეომრებს ტყიდან მანქანით შეშაც მოატანინა და მხოლოდ ამის შემდეგ თავის ბიჭებთან ერთად გზა განაგრძო... მოხუცმა ქალმა ჯარისკაცები სოფლის ბოლომდე მიაცილა, გამოთხოვებისას, ჩემს მეგობარს პირჯვარი გადაწერა და... ვინ იცის, იქნებ მისმა დალოცვამ გადაარჩინა ბიძინა ყველა ხიფათს და საღ-სალამათი შინ დააბრუნა?!

..................................................................................

გული მატაბელი!.. ეს კაცი ისევე გამორჩეულად მიყვარდა, როგორც თენგიზ სუხიშვილი - უპირველესი მეგობართა შორის!

გულის არაჩვეულებრივ, განუზომელ სიკეთეზე ძნელია ლაპარაკი, იგი თვით სიკეთის განსახიერება იყო... ჩემს ლექსებს პირველად მას, პროფესიით ექიმს, თანაც პარაზიტოლოგს (ამაზე პროზაული ხელობა რა უნდა იყოს?!) ვუკითხავდი, რადგან ყველა პროფესიონალზე უკეთესად გრძნობდა და აღიქვამდა პოეზიას... სასიკვდილოდ განწირულს (სისხლის გათეთრება სჭირდა), თვითონ, როგორც ექიმს, კარგად ესმოდა თავისი მდგომარეობა, იცოდა, რომ ყოველ წუთს შეიძლება გათავებულიყო, მაგრამ მხოლოდ იმას ნატრობდა: საჭესთან არაფერი მომივიდეს, რომ ვინმეს არაფერი დავუშავოო...

აკი ასეც მოხდა: მანქანა მიჰყავდა პროსპექტზე, გვერდით ყმაწვილი ეჯდა და სწორედ ამ დროს გული გაუჩერდა. მაინც იმდენი მოახერხა, რომ ავტომობილი ტროტუართან მიაყენა და მხოლოდ ამის შემდეგ ხელი ჯიბისკენ წაიღო წამლის ამოსაღებად, მაგრამ უკვე გვიანი იყო...

ღვთისნიერ კაცს, მას ყოველთვის უხაროდა სხვისი წარმატება, კარგი საქციელი და მე დარწმუნებული ვარ, თავისი ვაჟკაცური აღსასრულის ამბავი რომ გაეგო, გაუხარდებოდა!..

მთელი ჩემი ცხოვრება - სიყმაწვილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღემდე, მოსკოვშიც და თბილისშიც, მატაბელების ოჯახთანაა დაკავშირებული და მაინც, ვერ გამიხსენებია ვერაფერი ისეთი, გულის პიროვნებას რომ სრულად წარმოაჩენდეს! ამიტომ ისევ ლექსს მოვიშველიებ, რომელიც ვერ წავუკითხე მეგობარს და მხოლოდ ისღა მოვახერხე, რომ საფლავში ჩავატანე...

რა ვქნა ძმაო, რა გიშველო ან ჩემს თავს რა ვუშველო,

როცა ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა უშენოდ,

შეიცვალა, გაუცხოვდა და არც მინდა ვახსენო

საქართველო - სადაც არ ხარ, სადაც აღარ არსებობ!

აღარ არის შენი თვალით დანახული მთაბარი,

ჯუგაანის კარ-მიდამო შენი სუნთქვით გამთბარი

და ვაკეში სახლი, სადაც ხშირად თუ არ ვხვდებოდით,

ყოველ წუთში, ყოველ წამში მაინც მეგულებოდი

და შემეძლო, როცა მსურდა, შენი სიყრმის მეგობარს

ტელეფონით დამერეკა, შენი ხმა გამეგონა...

რა ვქნა, გული, რა გიშველო, ან ჩემს თავს რა ვუშველო:

ამ „მშობლიურ უცხოეთში“ როგორ გავძლო უშენოდ?!

## ივან ვასილევიჩი,
## ანუ
## ზვიადი - გაზვიადების გარეშე

„ზვიადი საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო...“
(თავის დროზე პოპულარული სიმღერა)

საქართველოს ექს-პრეზიდენტს ჩემს ცხოვრებაში იმდენად უმნიშვნელო ადგილი უკავია, არც გავიხსენებდი, თუ არა ერთი გარემოება. იმის შესახებ რასაც ახლა მოგიყვებით, მარტო მე ვიცი და არ მინდა, ეს საიდუმლოება საფლავში ჩამყვეს...

ამ რამდენიმე წლის წინათ (ზვიადი უკვე პრეზიდენტობდა) ჩემს მშენებარე სახლში ხელოსნები მუშაობდნენ: უკარფანჯრო და უიატაკო ბინა წესრიგში მოყავდათ. სამნი იყვნენ - ორი ახალგაზრდა სომეხი და ერთი მოხუცებული რუსი, რომელსაც ივან ვასილიევიჩი ერქვა. ივან ვასილიევიჩი ძველი თბილისელი გახლდათ. მთელი თავისი ცხოვრება ამ ქალაქში გაატარა, ქართული იცოდა, ჩვენი ზნე-ჩვეულებაც... ასეთი ხელოსნები თბილისში ბევრია, ისინი ქართულ სიტყვებს რუსული აქცენტით წარმოთქვამენ: „გათენდას“ მაგივრად „გატენდას“ იძახიან, „წავიდას“ ნაცვლად „ცავიდას“ და ა. შ. ჩემს მუშებს შეძლებისდაგვარად მეც ვეხმარებოდი: ცემენტსა და ქვიშას ვუზიდავდი, წებოს ვხარშავდი, საჭმელი და სასმელი მომქონდა... ქესატად ვიყავი და ყოველნაირად ვცდილობდი მათი გულის მოგებას, რომ წესიერად ემუშავათ. ავლაბრელი სომხების ამბავი მოგეხსენებათ: თავხედები არიან. გამითამამდნენ, გამიშინაურდნენ და თუმცა მათზე უფროსი ვიყავი, არაფრად მაგდებდნენ. ივან ვასილიევიჩი კი დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით მექცეოდა, როგორც მწერალსა და მორუსულე ქართველს და აი, ერთხელ, ჩვენს შორის ასეთი საუბარი გაიმართა.

- Скажите, Михаил Георгевич... გაუბედავად დაიწყო ხელოსანმა, - Этот наш президент, он что... нормальный? Я, конечно, неученный человек, мало понимаю, но... может быть, вы мне обьясните?

- Псих он, Николай Васильевич, самый настоящий псих! - არც დავფიქრებულვარ, ისე ვუპასუხე, რადგან ამ დროისათვის მეც, სხვებივით, ყელში ამოსული მქონდა პრეზიდენტის თავგასულობა. ივან ვასილიევიჩი ჩაფიქრდა. ეტყობა, ჩემმა პასუხმა გააკვირვა, მერმე დინჯად და სვენებ-სვენებით მიამბო ის, რასაც ახლა გადმოგცემთ (რუსულ-ქართულად ლაპარაკობდა და შევეცდები ზუსტად დავიცვა მისი სტილი)...

- Вы знаете, я тоже так подумал... сейчас вам расскажу, что видел своими глазами... ამას ცინატ, ხელოსნები მაგატტან სახლში ვმუშაობდიტ, აი იქ, „კოლხური კოშკი“ რომ ჰქვია... სარაიას ვაშენებდით. მაგისი ცოლი, ну, эта президентская жена, ძალიან კაპრიზნი კალია, სულ გვეჩხუბებოდა, ცუდად მუშაობტო... იციტ, Она даже своих детей не останавливала, когда они в нас камнями бросали, а однажды сказала домработнице: აჩამეტ ამ ძაგლებსო... Это она нас

ეროვნული ბიბლიოთეკა



собаками назвала! მაგას ეგონა, მე კართული არ ვიცი! В общем... плохая эта женщина! ერთხელაც გვითხრა: აქედან არსად ცახვალთ, აკ დაიძინებთ და დილის ექვსი საათიდან მუშაობას დაიცკებთო... ჩვენც დავრჩით... Ночь была теплая, мне не спалось, уселся под деревом, и закурил свою "приму"... Кругом было темно и тихо. В доме спали... და უცებ, ღამის ორი საათი იქნებოდა, მთელ სახლში შუკი აინთო! გამიკვირდა და ხეს მოვეპარე... და იცით, რა მოხდა? სახლიდან ეგ გამოვიდა, ჩვენი პრეზიდენტი! ჩერკესკა ეცვა, ხანჯალი ეკიდა და თავზეც პაპახი ეხურა! Я своим глазам не поверил! Вышел он и направился прямо к могиле отца... თქვენ, ალბათ, იცით, მიხაილ გეორგიევიჩ, იკვე, ეზოში, მამამისი მარხია... Подашол он, значит, к могиле, и, знаете, что сделал? ციხლი ჩაარტკა საპლავს! Да, да, საპლავს ციხლი ჩაარტკა და დაიკვირა: „მამა, შე მტერო, სულ რომ მიდქავრდებოდი, შენ იცი, მე ახლა ვინ ვარ? საკარტველოს პრეზიდენტი ვარ!.. У меня от страха душа в пятки ушла, я получше спрятался за деревом и смотрел на него, а он прыгал на могиле, топтал землю и выкрикивал: „საკართველოს პრეზიდენტი ვარ..."

ივან ვასილიევიჩი გაჩუმდა და გამომცდელად მომაჩერდა, ჩემი რეაქცია აინტერესებდა, მე კი იმდენად გამაოგნა მისმა ნაამბობმა, ამის თქმაღა მოვახერხე: მერე-მეთქი?

- А потом, что? он домой ушол, а я остался на своем месте... Знаете, Михаил Георгиевич... меня только одно удивляет... Обьясните, пожалуйста: Он ведь христианин, наш президент? как же он осмелился... როგორ გაბედა და ტავის მამის საპლავს ციხლი ჩაარტკა?

- А вас не удивляет, что он при этом кричал?

- бог с ним, может он и правда сумашедший, но топтать могилу родителя?..

## მიხაილ პორფირევიჩი

ჩემი „მთავარი წიგნი" დასასრულს უახლოვდება...

მოსაგონარი ბევრი აღარაფერი დამრჩა. რაც გავიხსენე, გიამბეთ. მართალი გითხრათ, წარსულში ხეტიალმა დამღალა, თანაც უსიამოვნო მოგონებებმა გუნება წამიხდინა და ახლა თავშესაქცევი ამბების მოყოლით მინდა გაგართოთ...

მაშ, ასე... „მიხაილ პორფირევიჩის" ჯერი დადგა.

ვინ არ იცნობდა მას?! თბილისიდან მოსკოვში ჩამოსული ქართველები თავს ვალდებულად თვლიდნენ, პირველ რიგში, მიხაილ პორფირევიჩისთვის დაერეკათ ან პირადად მას ხლებოდნენ, რომ თავიანთი პატივისცემა გამოეხატათ! რა დასამალია და ჩემი თანამემამულეებისთვის (განსაკუთრებით, „ნომენკლატურული ამხანაგებისთვის") ამხ. გიორგაძე მეტად საჭირო პიროვნება იყო! ქართველი კაცი - საკავშირო მთავრობაში! ეს რაღაცას ნიშნავდა! „რაღაცას" კი არა, ამ კაცზე იყო დამოკიდებული ყველაფერი: სამსახურიც, კარიერაც, დაჯილდოებაც, მატერიალური კეთილდღეობაც... გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, „მიხაილ პორფირევიჩი" ქართველებისთვის ბიბლიური ქერონივით იყო, ვისაც შეეძლო, ადამიანი მის სიცოცხლეშივე ცოდვილი ქვეყნიდან პირდაპირ სამოთხეში გადაეყვანა!..

თქვენი მონა-მორჩილი, როგორც იცით, მოსკოვში დიდხანს ვცხოვრობდი. იქ ავტორიტეტიც მქონდა, თანამდებობაც, ხელისუფლების წარმომადგენლებსაც შევხვედრივარ, არაერთხელ მიქეიფია მათთან, მაგრამ მიხაილ პორფირიჩს არ ვიცნობდი. ეს გარემოება ჩემს თანამემამულეებს მეტად აკვირვებდათ! როგორ? ქართველი კაცი მოსკოვში ცხოვრობდეს და ამხ. გიორგაძეს არ იცნობდეს?! არ სარგებლობდეს, მისი ავტორიტეტით? მფარველობით? ეს ხომ სიბრიყვეა?!

და აი, ერთხელაც მიხაილ პორფირიჩმა თვითონ მოისურვა ჩემი გაცნობა! დიახ, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ასე მოხდა... ერთ მშვენიერ დღეს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოდან დამირეკეს და ჩემს ცოლს დაუბარეს: ამხანაგ გიორგაძეს ქძლივიძის ნახვა უნდა და ხვალ, ამა და ამ საათზე თავის ბინაში ელოდებაო!

ეს ზარი იმდენად მოულოდნელი იყო, დავიბენი. ვერაფრით ვერ მოვისაზრე, რა საქმე უნდა ჰქონოდა ჩემთან ამხ. გიორგაძეს?... პოეტები მეოცნებე ხალხი ვართ, სინამდვილეს ისე კი არ აღვიქვამთ, როგორც არის, არამედ ისე, როგორც ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



გვინდა; ამიტომ პირველი ჩემი რეაქცია ასეთი იყო: ალბათ საქართველოში სამუშაოდ გადავყავარ და ამისთვის მიბარებენ... მაგრამ ამხ. გიორგაძე რა შუაშია? ჩემისთანა უმნიშვნელო მოხელის ბედი მთავრობის თავმჯდომარეს რაში უნდა აინტერესებდეს? თუმცა... ხომ შეიძლება, ამხ. გიორგაძეს, როგორც ქართველს, თავისიანებისთვის გული შესტკიოდეს? ამ აზრმა დამამშვიდა და ჩემს თავს ვუსაყვედურე კიდეც, რომ ასეთ გულისხმიერ მამულიშვილს აქამდე არ ვიცნობდი... ლამაზად გამოვეწყვე, პირი სუფთად გავიპარსე (რაც იშვიათად ხდებოდა: კვირაში ერთხელ თუ ვიპარსავდი!) და დანიშნულ დროზე ამხ. გიორგაძის სახლს მივადექი...

გული აჩქარებით მიცემდა, როცა ძვირფასი ავეჯის მსგავსად, წითელი ხით მოპირკეთებულ კართან ზარის ღილაკს თითი დავაჭირე... კარი მოსამსახურე ქალმა გამიღო, უხმოდ გატრიალდა და წავიდა. დერეფნის სიბნელეში ძლივს გავარჩიე კედლის გასწვრივ, როგორც ექიმის მოსაცდელში, ჩამწკრივებული სკამები და, რაკი არ ვიცოდი, საით უნდა წავსულიყავი, იქვე ჩამოვჯექი. სწორედ ამ დროს შემოსასვლელ[illegible] კარი გაიღო და ამხ. გიორგაძე გამოჩნდა. [illegible]ანამდე ეს კაცი მარტო ტელევიზორში მენახა, მაგრამ ხელათ ვიცანი და სწრაფად წამოვხტი. მიხაილ პორფირიჩი არც მომსალმებია, არც რამ უთქვამს, ფაფუკი ხელი მოწყალებასავით გამომიწოდა და პირდაპირ თავის კაბინეტისკენ გაემართა. მეც გავყევი. ჭაღით განათებულ, ვეებერთელა კაბინეტში, მასპინძელმა ჯერ გამომცდელად შემათვალიერა, მერე საწერ მაგიდას მიუჯდა, თითის ქნევით მიმიხმო და მითხრა (რუსულად ლაპარაკობდა, საშინელი აქცენტით): Мне далажили, что ви стихи пишитэ, да? (თავი დავუქნიე). У мэне к вам такоэ паручениэ будет... (გიორგაძემ უჯრა გამოაღო და ქაღალდების დასტა ამოალაგა). Ви, канэчно, знаэтэ, кто я такой? (ისევ თავი დავიქნიე). Но ви нэ знаете, что я поэт и я стихи пишу! Вот это (მან ქაღალდებზე მიმითითა) – все я написал! Но тут коэ-что что надо исправит, рифму-брифму замэнить, точку-запитую поставит. По грузински я хорошо знаю, но врэмени нэт, государственными дэлами занят, а то я вас, поэтов, всэх бы за пояс заткнул! (ამ სიტყვებთან ერთად მის სახეზე რაღაც ღიმილის მაგვარი გამოიხატა). А мое поручэние такоэ: у менэ есть общая тэтрад, куда я свои стихи пэрэписиваю. когда ви это исправитэ, я их тожэ пэрэпишу. Обично, эту работу ваши известниэ поэти дэлают, Григол Абашидзе, Нонэшвили, но сичас их здес нэт и это дэло я вам поручаю... забэритэ стихи и поправтэ... Когда кончитэ, позвонитэ, за ними придут...

მიხაილ პორფირიჩმა ხელნაწერები აკრიფა და ხელში მომაჩეჩა. დაბნეულმა, კონვერტი ხომ არ გექნებათ-მეთქი? ვკითხე. მთავრობის გრიფიანი კონვერტი მომაწოდა. მაგრამ, სანამ ფურცლებს შიგ ჩავაწყობდი, ლექსებს გადავხედე. პირველ ყოვლისა, თვალში სათაურები მეცა: „წითელ არმიას", „ამხ. კლიმ ვოროშილოვს!", „პარტიის ცენტრალურ კომიტეტს!" „დიდება პარტიას!" და ა. შ. ხელწერა ბატიფეხური იყო, დაწყებითი სკოლის მოსწავლის დონეზე. ქაღალდები ავტორს, ეტყობა, თავისი სამთავრობო ბლოკნოტიდან ამოეხია (უმაღლესი საბჭოს გრიფი მათზეც იყო), მაგრამ მთავარი ისაა, რომ ზოგიერთ ფურცელს კარაქის ლაქა, ზოგს კი ზედ გადაღვრილი ყავის ნაკვალევი ემჩნეოდა... ხელში აღება შემეზარა, მაგრამ რას ვიზამდი? ლექსები კონვერტში ჩავდე და წამოვედი...

მთელი კვირა ორჭოფულ ყოყმანში გავატარე. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ისე შევწუხდი, ცოლმაც შემამჩნია და მკითხა: რა მოგივიდაო? როცა ავუხსენი, გაეცინა და აგდებულად თქვა: რა გენაღვლება, ჩაუსწორე და მოიმადლიერე: ორდენს თუ არ მოგცემს, ციხიდან მაინც გამოგიშვებს, როცა დაგიჭერენო!.. ადვილი სათქმელია: „ჩავასწორო"! მიხაილ პორფირიჩის გრაფომანული ლექსების „ჩასწორება" შეუძლებელი იყო. ისინი ხელახლა, თავიდან უნდა დამეწერა, რაც ჩემს შესაძლებლობას აღემატებოდა! მერჩივნა, ქუჩები მეხვეტა, ჭუჭყიანი საცვლები გამერეცხა, ვიდრე ამხ. გიორგაძის გრაფომანულ ნაჯღაბნს მივკარებოდი! არ ვიცი, გამიგებს თუ არა ვინმე, ჩემთვის ეს პროფესიული სინდისის, თუ გნებავთ, ზნეობრივი სისუფთავის საკითხი იყო!...ამიტომ მრავალჯერ გადაკითხული, თითქმის ზეპირად დასწავლილი ხელნაწერები ხელუხლებლად ისევ გრიფიან კონვერტში ჩავდე, შიგ პატარა ბარათი ჩავაყოლე და ავტორს დავუბრუნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასთან საუბრის თავი, ცხადია, არ მქონდა და კონვერტი საფოსტო ყუთში ჩავაგდე... ბარათში ვწერდი: „Многоуважаемый Михаил Порфирьевич! Ваши грузинские стихи настолько совершенны, что у меня рука не поднялась что-либо в них исправить! Настоятельно рекомендую Вам переписать их Вашу тетрадь и сохранить для потомства! С глубоким уважением, Михаил Квливидзе“.

ამის შემდეგ მიხაილ პორფირიჩი აღარ მინახავს. მე მგონი, არც იმას გავხსენებივარ, თუმცა, ვინ იცის... ჩემი დაბადების მე-70-ე წლისთავზე, როცა „ხალხთა მეგობრობის“ ორდენზე წარმადგინეს, ჩემმა დაჯილდოვებამ ერთი წლით დაიგვიანა და ორდენი მხოლოდ ამხ. გიორგაძის განთავისუფლების შემდეგ, თენგიზ მენთეშაშვილმა გადმომცა...

საინტერესო ამბავია, არა? მაგრამ სოციალისტური ქვეყნების „ძალაუფლების დერეფნებში“ ამაზე უფრო საკვირველი ამბებიც ხდებოდა: ლექსებს თვითონ სტალინიცა და მაო ძედუნიც წერდნენ და მიხაილ პორფირიჩი მათზე ნაკლები იყო?!

## ამხ. ენვერ ბიკჩენტაევი

კიდევ ერთი თავშესაქცევი ამბავი მაგონდება...

ჩვენს უახლოეს წარსულში, საკავშირო მაშტაბის სხვადასხვა „ღონისძიებები“ ტარდებოდა, რასაც კომუნისტური პარტია დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა... ამ „ღონისძიებათა“ შორის იყო ე. წ. „მწერლების შეხვედრები მშრომელებთან“, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ლიტერატორთა დიდი ჯგუფი (ანუ „დესანტი“, როგორც მას მწერლები ვუწოდებდით), თვითმფრინავით ან მატარებლით (ცხადია, მთავრობის ხარჯზე!) მოსკოვიდან მოძმე რესპუბლიკებში მიემგზავრებოდა და იქ ლიტერატურულ საღამოებს მართავდა... ასეთ საღამოებში მეც მიმიღია მონაწილეობა და ერთი მათგანი განსაკუთრებით დამამახსოვრდა...

შორეულ აღმოსავლეთში მივდიოდით. ჩვენს „დესანტში“ უმრავლესობა რუსები იყვნენ, აგრეთვე უკრაინელებიც, უზბეკებიც, სომხებიც, მოლდაველებიც, ბალტიისპირელებიც და ა. შ. მათ შორის ერთი ბაშკირელიც ერია, ვინმე ენვერ ბიკჩენტაევი. მწერალი გახლდათ, მაგრამ თავისი მედიდური იერითა და მეტყველებით „ხელმძღვანელ ამხანაგს“ უფრო ჰგავდა და ხელად მიიქცია ჩემი ყურადღება. საქმე ისაა, რომ ამხანაგი ენვერი ყოველ გამოსვლაში ერთსა და იმავეს ლაპარაკობდა. ჩანს, წინასწარ ჰქონდა დაზეპირებული ტექსტი (შესაძლოა, „შეთანხმებული“ კიდეც!) და ცდილობდა, ზუსტად დაეცვა თითოეული ასო და ნიშანი, რომ, ღმერთმა დაიფაროს, პოლიტიკური შეცდომა არ მოსვლოდა!.. ენვერი ამბობდა:

„Дорогие товарищи! Когда я уезжал из моего славного города Уфа, собрались наши аксакалы и сказали мне: "Энвер, ты едешь к великому русскому народу, нашему старшему брату..." - აქ ორატორი ხმას აათრთოლებდა და მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდა აუდიტორიას... - Держись достойно и когда будешь выступать, подожми одну ногу, все равно, за трибуной не видно, и, стоя на одной ноге, говори. А когда почувствуешь, что ты устал, кончай говорить, потому что слушатели, наверное, тоже устанут и нельзя их долго мучить..."

აი, რას ამბობდა ენვერი ყოველ შეხვედრაზე და ჩვენ, მისი კოლეგები, პრეზიდიუმში რომ ვისხედით, ვიტანჯებოდით, რადგან საღამოები ხშირად იმართებოდა (დღეში ორჯერ-სამჯერ) და ყველამ თითქმის ზეპირად ვიცოდით ენვერის გამოსვლის ტექსტი!

ერთხელ, ციმბირში, „Бам“ - ის მშენებლობის კულტურის სახლში გაიმართა საღამო. დარბაზი ხალხით გაიჭედა. ჩვენ, მწერლები, უკვე პრეზიდიუმის მაგიდას ვუსხედით, ენვერი კი ბუფეტში შეყოვნდა და თავის ვეგეტარიანულ საუზმეს - კეფირსა და ფუნთუშას - მიირთმევდა. თავმჯდომარემ პირველი სიტყვა ლატვიელ მწერალს, გუნარ ცირულისს მისცა... უნდა მოგახსენოთ, რომ ბატონი ცირულისი მეტად თავისებური კაცი გახლდათ. გარეგნობითაც და ქცევითაც საბჭოთა მოქალაქეს მაინცდამაინც არ გავდა. ყოფილ გემის კაპიტანს, კუბოკრული პიჯაკი ეცვა, ყელზე ჭრელი ბაფთა ეკეთა და პირიდან ჩიბუხს არ იშორებდა. (ამბობდნენ, რამდენიმე უცხოური ენაც იცოდა)... ჰოდა, ეს ცირულისი, (ვისგანაც არც ერთ ჩვენგანს მთელი მოგზაურობის მანძილზე, სიტყვა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუგონია, ტრიბუნაზე ავიდა და თავისი განუმეორებელი ბალტიისპირული აქცენტით, ჩვენთვის მოულოდნელად დაიწყო: „Дорогие товарищи! Когда я уезжал из моего славного города Рига, собрались наши аксакалы (!) и сказали: ”Гуннар, ты едешь к великому русскому народу, нашему старшему брату… Когда будешь выступать, подажми одну ногу и, стоя на одной ноге, говори… а когда устанешь, кончай… “ და ა. შ. და ა. შ. ენვერის ტექსტიდან არც ერთი სიტყვა არ გამოუტოვებია!

დაამთავრა თუ არა ცირულისმა, სცენაზე ენვერი შემოვიდა და პრეზიდიუმისკენ გაემართა, მაგრამ დაჯდომა არ აცალეს, თავმჯდომარემ ხელათ გამოაცხადა. ბაშკირელი ტრიბუნაზე შედგა, დარბაისლურად ჩაახველა (საუზმის შემდეგ ყელი ჩაიწმინდა) და ხალხს მიმართა: „Дорогие товарищи! Когда я уезжал из моего славного города Уфа, собрались наши аксакалы и сказали мне: ”Энвер, ты едешь к великому русскому народу, нашему старшему брату…“

დარბაზი გამოცოცხლდა. აქა-იქ შეკავებული ფრუტუნი და ხმამაღალი სიცილი გაისმა. ორატორს ლაპარაკს არ აცლიდნენ, მაგრამ იგი მაინც განაგრძობდა, თუმცა მსმენელები უკვე ხარხარებდნენ და ტაშიც ისმოდა, რადგან, ეტყობა, ბაშკირელის გამოსვლა ყველას საესტრადო იუმორისტული ნომერი ეგონა!... ენვერმა თანდათან ხმას დაუწია, ბოლოს სულ გაჩუმდა და პრეზიდიუმისკენ მოიხედა. იქ წარმოუდგენელი რამ ხდებოდა: მწერლები სიცილით იგუდებოდნენ, ზოგი მათგანი ცრემლს იწმენდდა, პირადად მე მაგიდის ქვეშ ვეგდე... ენვერმა მხოლოდ ხელები გაასავსავა და ჩაილაპარაკა: გაგიჟდა -ეს ხალხიო?.. მეტი არაფერი უთქვამს, ტრიბუნა დატოვა და კულისებისკენ გაიქცა...

მთელი კვირის განმავლობაში ლატვიელი ენვერს ემალებოდა, ბაშკირელი ამხანაგი კი განრისხებული გაიძახოდა: „Это безобразие! Это издательство над национальным достоинством моего народа! Я в Цека буду жаловаться!“

როგორც მითხრეს, ენვერმა მართლა ცეკაში უჩივლა ლატვიელს. რა მოჰყვა ამას, არ ვიცი. ის კი გავიგე, რომ მგზავრობიდან დაბრუნების შემდეგ, ბაშკირელი მწერალი დააწინაურეს და ადგილობრივი ცეკას მდივნად დანიშნეს იდეოლოგიის დარგში... აბა!

## „ერთჯერადი ქალები“

ამბობენ, პუშკინს 300 საყვარელი ჰყოლიაო! არ მჯერა. ალბათ, „საყვარლებში“, პოეტის საყოველთაოდ ცნობილ შეყვარებულებთან ერთად, „ერთჯერად ქალებსაც“ გულისხმობენ, რადგან 37 წლის მამაკაცს ამდენი „საყვარელი“ არ შეიძლება ჰყავდეს! თითოეულ ქალს ხომ ჯერ გაცნობა უნდა, მერე „დაბმა“, მერე „დამუშავება“, მერე თავიდან მოცილება... ამას კი დრო სჭირდება! ერთი კაცის სიცოცხლე 300 ქალს არ ეყოფა! ასე რომ, პუშკინის ვარიანტში აჯობებს სიტყვა „საყვარლის“ მაგივრად „ერთჯერადი ქალი“ ვიხმაროთ (მკითხველი მიხვდება, რასაც ვგულისხმობ). თქვენი მონა-მორჩილი, ცხადია, პუშკინს ვერ შეეედრები, ვერც ნიჭით, ვერც მამაკაცური პოტენციით (ის მაინც აფრიკელი იყო!) მაგრამ „ერთჯერად ქალბატონებთან“ მეც მქონია ურთიერთობა და ისინი რომ არა, სამშობლოდან უცხოეთში გადახვეწილს, ალბათ, ნოსტალგია მომინელებდა!..

ღმერთი-რჯული, მუსუსი არ ვყოფილვარ! რუსეთში გავატარე ცხოვრების ნახევარი და არც ერთ რუსს, არასოდეს, ჩემთვის „ბაბნიკი“ არ უწოდებია!

დოსტოევსკის უთქვამს: „რაკი ღმერთი არ არის, მაშასადამე ყველაფერი ნებადართულიაო“... მეც დაახლოებით ასე დამემართა: რაკი საკუთარ სახლში არ ვცხოვრობდი, ბევრი რამ „დასაშვებად“ მიმაჩნდა. ჩემი თავი სადღაც აფრიკის ჯუნგლებში მეგონა და არამარტო მოსკოვში, ყველგან, სადაც ჩემი ხვედრი გადამისროდა, მშვენიერი სქესის მომხიბლავ წარმომადგენლებზე „ვნადირობდი!“ამაზე უკეთესი გართობა არ არსებობს! სად აღარ ვყოფილვარ: უკრაინაში, ციმბირში, შუა აზიაში, კამჩატკაზე, კურილის კუნძულებზე, ბალტიისპირეთში... მთელი საბჭოთა კავშირი მოვიარე, პოლონეთსაც და უნგრეთსაც ვესტუმრე და ყველგან „საფარი“ ანუ „ეგზოტიკურ ცხოველებზე ნადირობა“ მქონდა გამართული! „ნადავლის“ გარეშე შინ არ დავბრუნებულვარ! მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, გაბედული, არც „შიდსის“ მეშინოდა, არც გაწბილებულ მეტოქეთა შურისძიების, არც იმის, რომ ქალი, ვისთანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამეს გავათევდი, ხურჯინივით ამეკიდებოდა და სიცოცხლეს გამიმწარებდა... ყველაფერი ნებაყოფლობით ხდებოდა. თანაც მე, ზოგიერთი უცხოეთში მოხვედრილი ქართველივით, სხეულით მოვაჭრე ქალებთან კი არ მქონდა ურთიერთობა: ჩემი „მოხმარების კონტინგენტი“ ძირითადად ნომენკლატურული „ამხანაგების“ მოწყენილი ცოლებისა და ცნობისმოყვარე სტუდენტი გოგონებისგან შედგებოდა...

მახსოვს, ბაქოში, ერთ ნომერში ვცხოვრობდით მე და ევგენი ხრამოვი, ჩემსავით ქალების მოყვარული პოეტი. შუაღამისას ხმაურმა გამომაღვიძა: ჟენია საწოლზე წამომჯდარიყო და რაღაცას წერდა. ლექსს წერმეთქი? არაო, ჩემს საყვარლებს ვიხსენებ, მათი სია უნდა შევადგინოო. „რა პრინციპით ადგენ?“ ალფაბეტის მიხედვითო. „გირჩევნია, ადგილმდებარეობის მიხედვით გააკეთო, თორემ ყველას ვერ გაიხსენებ-მეთქი“... არ ვიცი, რამდენი ქალი დაითვალა ჟენიამ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საერთო ჯამში, ჩემი „ნადავლი“ ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, რადგან ჟენიაზე უფრო წარმოსადეგი ახალგაზრდა ვიყავი!..

ჩემი ინტიმური კავშირი „ერთჯერად ქალებთან“, როგორც წესია, დიდხანს არ გრძელდებოდა: როგორც კი ორივეს ახალი ინტერესი გაგვიჩნდებოდა, ხელათ ვშორდებოდით: წყნარად, ექსცესებისა და სინანულის გარეშე და, მეგობრობას თუ არა, ამხანაგურ ურთიერთობას მაინც ვინარჩუნებდით (ამ მხრივ, რუსი ქალები უბადლონი არიან!)...

ყველას ვერ გავიხსენებ, საინტერესო არც არის, მაგრამ მკითხველი ალბათ ჩემგან სრულ გულწრფელობას მოითხოვს, ამიტომ გავკადნიერდები და რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ.

მაშ, ასე... ქალაქი ოდესა თავისი განუმეორებელი მოსახლეობით. ხმაურიანი, მოსეირნე ხალხით სავსე ქუჩები, სადაც ახალჩამოსულ კაცს თავი ბაზარში ეგონება. მწერალთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში მეც ვარ, სასტუმროში ცხოვრობს. ცალ-ცალკე ნომრები გვაქვს, ჭამა-სმა არ გვაკლია და არც მასპინძელთა ყურადღება. ჩვენი „საქმიანობა“ იმაში გამოიხატება, რომ ყოველდღე სადმე ბიბლიოთეკაში, დაწესებულებაში ან საწარმოში მივდივართ და მშრომელებს ჩვენს ნაწარმოებებს ვუკითხავთ. ამიტომ თაყვანისმცემელთა რიცხვი თანდათან მატულობს... იმ დღეს, ადგილობრივ ტელევიზიასაც ვეწვიეთ. მე, ჩვეულებისამებრ, მიმოვიხედე, ერთ ქალბატონს თვალი დავადგი და ვაგრძნობინე, რომ მომეწონა... იშვიათია ქალი, თუ იგი უკვე ასაკშია, თან გაუთხოვარიც, მამაკაცის ასეთ გამოხედვას რომ არ გამოეხმაუროს! ჩემი „საკბილოც“ ანკესს წამოეგო და იმავე საღამოს სასტუმროში გამომეცხადა. რიტუალი არ დამირღვევია: რესტორანში დავპატიჟე, მისი დრამატიზმით აღსავსე, მიტოვებული ქალის „აღსარება“ მოვისმინე, ნომერში ავიყვანე და... მე მეგონა, აღარ შევხვდებოდი, მაგრამ, ნურას უკაცრავად: დღისითაც მომაკითხა, ღამითაც დამირეკა, ერთი სიტყვით... ოდესიდან ძლივს გამოვასწარი!..

ამის შემდეგ დიდი ხანი გავიდა. მე უკვე დავიწყებული მქონდა ოდესაც, ის ქალიც, მისი გარეგნობაც და აი, ერთხელ, მოსკოვში ჩემს სახელზე გამოგზავნილი წერილი გადმომცეს. ძალიან ვნანობ, რომ ეპისტოლარული ჟანრის ეს „შედევრი“ ამჟამად ხელთ არ მაქვს, მაგრამ ტექსტი თითქმის ზეპირად მახსოვს... „ერთჯერადი ქალბატონი“ ჯერ თავის სულიერ მდგომარეობას აღწერდა - იმ ტანჯვას, რაც მან განიცადა ოდესიდან ჩემი წასვლის შემდეგ, მერმე ბელეტრისტიკაზე გადავიდა (იცოდა, მწერალი ვარ და, ეტყობა, თავს მაწონებდა). წერილის ყველაზე საინტერესო ნაწილი სწორედ ეს აღმოჩნდა. „ჩემო ძვირფასო და მარად სანატრელო, - მწერდა ქალი, - ამას წინათ უცნაური რამ დამემართა: მე და ჩემს პატარას მშვიდად გვეძინა ოთახში. ოდესაში ახლა გაზაფხულია, დათბა და ფანჯრები ღია გვქონდა და უცებ, შუაღამისას, ძლიერმა გრიალმა გამომაღვიძა! გულგახეთქილი წამოვვარდი და ბავშვს გადავეფარე: მომეჩვენა, თითქოს ომი დაიწყო - ის საშინელი ატომური ომი, რითაც ამერიკა რა ხანია ემუქრება საბჭოთა კავშირს! მერე ფანჯრებს ვეცი, რომ დამეხურა, მაგრამ ამ დროს ოთახი ელვამ გაანათა და მივხვდი: ეს ჩვეულებრივი გაზაფხულის ელჭექი იყო!.. გულზე მომეშვა, დავწექი, მაგრამ ველარ დავიძინე, სულ შენზე ვფიქრობდი...“ წერილი ასეთი სასოწარკვეთილი შეძახილით თავდებოდა: „О, Миша, неужели США встанут между нами?!“

„დიდება შენდა, ღმერთო! - გავიფიქრე, -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუთუ ამ დამთხვეულს მართლა ჰგონია, თითქოს მარტო ატომურ ომს (და სხვას არაფერს! შეუძლია ხელი შეუშალოს ჩვენს ხელმეორედ შეხვედრას?!.“ ამ წერილმა მაშ-ინ ბევრი მაცინა და დღემდე არ დამვიწ-ყებია...

-----------------------------

კიდევ ერთი კურიოზული ამბავი მაგონდ-ება... ჩემი „ერთჯერადი ქალბატონების“ რიც-ხვში პარტიული მუშაკიც ერია, ყოფილი რა-იკომის მდივანი, ვინმე „ტატიანა სერგეევნა“. ორმოცის თუ იქნებოდა (თუმცა ასაკს უკვე იკლებდა), სახითაც არა უშავდა, ტან-ფეხიც უვარგოდა, ადვილად მისაწვდომიც ჩანდა და ამან მომხიბლა... ყველაფერი ნაცნობი სცენარის მიხედვით გათამაშდა: გავიცანი, გამეცნო, სასტუმროს რესტორანში დავპა-ტიჟე და ბოლოს ჩემს ნომერში აღმოჩნდა... მაგრამ ჩემი ჭკუის ქალი არ გამოდგა: „ნო-მენკლატურული“ სენი სჭირდა – სულ პარ-ტიულ საქმეებზე მელაპარაკებოდა და თავს იმით იწონებდა, რომ, თავის დროზე, როცა მოსკოვში ერთ-ერთი პარტიული რაიკომის მდივნად მუშაობდა, თორმეტი (!) კაცი პარ-ტიიდან გარიცხა და სუყველასთან მეგობრ-ული ურთიერთობა შეინარჩუნა! ამით თით-ქოს იმის თქმა სურდა: ხედავ, რა სამართ-ლიანი ვარ, თან პარტიული ეთიკაც არასდ-როს დამირღვევიაო (საინტერესოა, ჩემს საწ-ოლში თუ ახსოვდა ის „პარტიული ეთიკა?!“ ჩვენი „რომანი“ დიდხანს არ გაგრძელებულა, სულ მალე მომბეზრდა ტატიანას პარტიული რეჩიტატივები და გადავწყვიტე, დავშორებ-ოდი, მაგრამ კულტურულად, ზრდილობი-ანად, ისე, რომ ჩემი „ქართული ეთიკაც“ არ დამერღვია და ერთ დღეს მწერალთა კლუბში ვახშამზე დავპატიჟე...

მაგიდას მოვუსხედით თუ არა, კონიაკი მოვითხოვე და სულმოუთქმელად თითქმის მთელი ბოთლი გამოვცალე, თან გაუთავებლ-ად ვლაპარაკობდი, რომ ქალისთვის საშუ-ალება არ მიმეცა თავისი პარტიული „სიმ-ღერა“ წამოეწყო!... ტატიანა სერგეევნას ქალური ღირსებების შექებას რომ მოვრჩი, მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე გადავ-ედი, აღვნიშნე მისი ღვაწლი კომუნისტების აღზრდის საქმეში, როცა იგი რაიკომში მუშაობდა, მისი პრინციპულობა, მორალური სიმტკიცე და ა. შ. თანდათან, სიმთვრა-ლესთან ერთად, ბრაზიც მომერია, ხმას ავუ-წიე და ჩვენს ირგვლივ მსხდომთა ყურადღ-ება მივიპყარი, რამაც ჩემი ქალბატონი ძლი-ერ შეაშფოთა... აღარ იკითხავთ, რას ვეუ-ბნებოდი? რასა და ვთხოვდი, ვემუდარებოდი: პარტიიდან გამრიცხე მეთქი! გამრიცხე, თუ გინდა კარგი ურთიერთობა შევინარჩუნოთ, თორემ ისე არაფერი გამოვა: პარტია არ გვაპატიებს იმას, რასაც ჩავდივართ! პარტია ხომ ჩვენი გულის მესაიდუმლეა, თანაც „ყვე-ლა ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორიც?!“ განა ამას გვასწავლ-იან ჩვენი ბელადები: ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, ჩერნენკო?.. ჩემი დაუფარავი სარკაზმით აღსავსე მონოლოგი თანდათან პოლიტიკურ ხასიათს იღებდა. ტატიანა მოუსვენრად წრი-ალებდა, შეშინებული აქეთ-იქით იხედებოდა, ბოლოს ხელი მომკიდა და დარბაზიდან გამა-თრია... ძალიან მთვრალი ვიყავი, მაგრამ მაინც მოვახერხე მანქანის გაჩერება და ქალი ჩემს ბინაში მივიყვანე...

საწოლში ვიწექით და მე გადამწყვეტი შეტევისთვის ვემზადებოდი. ტატიანა რაღაც-ას ფიქრობდა. გუმანით მივხვდი, იმედის გაცრუებას წუხდა: მე მას მართლმორწმუნე საბჭოთა მოქალაქე ვეგონე და თურმე გარ-ეწარი „დისიდენტი“ ვყოფილვარ, საბჭოური არაფერი მწამს, ყველაფერს დავცინი, თვით კომუნისტურ პარტიასაც! საწყალი ქალი გო-ნებაში ისევ იქ იყო, რესტორანში, ჩემს „მო-ნოლოგს“ იხსენებდა და ნანობდა, რომ „ურ-წმუნო თომას“ მაშინვე საკადრისი პასუხი არ გამცა...

მაგრამ ჩვენი ფიზიკური მდგომარეობა სადისკუსიოდ არ განგვაწყობდა არც მე, არც იმას და მე უკვე მზად ვიყავი ჩემი მამაკაცური მოვალეობა შემესრულებინა, როცა ქალმა უცებ ხელისკვრით მომიშორა და უცნაურად შეცვლილი ხმით ამოიხრიალა: „Но в Ленина ты веришь?“ „Верю, конечно верю!“ სასწრაფოდ მივაძახე, მერე ქართუ-ლად დავაყოლე: ძაღლი მიაკვდა სულში მაგ შენს ლენინს-მეთქი და ჩემს საქმიანობას შევუდექი!..

ნათქვამია, „ღმერთს სამება უყვარსო“, ამიტომ მესამე ამბავსაც მოგიყვებით, რომ არავინ იფიქროს, თითქოს მარტო ასეთ დამ-თხვეულ დიაცებთან მქონდა ურთიერთობა... ეს ამბავი უფრო ადრე მოხდა, თანაც თბი-ლისში...

ის გოგო ტრამვაის გაჩერებაზე იდგა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიღაც ვაჟს ესაუბრებოდა. ერთხანს მიყურა, მერე ვაჟის ხელი ისე მოიცილა, არც შეუხედავს მისთვის და ნელა, მთვარეულივით ჩემკენ წამოვიდა. ამ დროს ტრამვაიც ჩამოდგა. ავედი და მოვიხედე. ისიც ამოსულიყო. ვაჟი გაჩერებაზე დარჩა და, სანამ ვაგონი დაიძრებოდა, თვალი არ მოუცილებია უკანა ბაქნისთვის, სადაც ჩვენ ვიდექით...

დიდხანს მიდიოდა ტრამვაი. ჩერდებოდა და მიდიოდა. ჩვენ ხმას არ ვიღებდით, მე ჩემთვის ვიყავი, ის თავისთვის, ბოლო გაჩერებაზე ჩამოვედით. უსიტყვოდ გავყევით ჩაბნელებულ ქუჩას. მივადექით ბარაკის ტიპის ფიცრულ შენობას. საერთო დერეფანი გავიარეთ და ოთახში შევედით. მან რკინის გისოსებიანი ფანჯარა გამოაღო. გამოჩნდა ფართო, მოტიტვლებული ეზო და ალაგ-ალაგ გარღვეული ქვის გალავანი. გალავნის იქით რკინიგზის ლიანდაგი იყო, იმის იქით კი - დიდი სასაფლაო, სადაც ძალიან ბნელოდა... არც ქალს, არც მე, ხმა არ ამოგვიღია, ისე მივეკარით ერთმანეთს, სიტყვა არ გვითქვამს. უცებ გაქრა ყველაფერი, მხოლოდ მისი ტანის სიმკვრივეს ვგრძნობდი და შორეული მოგონების გაურკვეველი ნაღველი მავსებდა... ფანჯრის მიღმა, დროდადრო, მატარებლები მიჰქროდნენ და მაშინ ჩუმად წკრიალებდნენ ჭიქები კედლის განჯინაში...

ოთახში სიჩუმე სუფევდა, ივლისის დახუთული ღამის სიჩუმე. ისევ და ისევ გრიალით, რახრახით მიჰქროდნენ მატარებლები და მე არაჩვეულებრივი სიცხადით ვგრძნობდი, როგორ იზნიქებოდა ლიანდაგი მათი უხაშველო სიმძიმის ქვეშ... ჩემს გვერდით უცნობი ქალი იწვა, ის ქალიშვილი კი არა, სამი წლის წინათ უგონოდ შეყვარებულმა რომ დავტოვე თბილისში, არამედ სულ სხვა, უცხო და ლამაზი დედაკაცი, რომელიც ყველა ქალს ჰგავდა ამ ქვეყანაზე...

ვცდილობდი, გამხსენებოდა რა ერქვა, მაგრამ ვერ მოვიგონე.

- ნანა... - წამომცდა ანგარიშმიუცემლად.

- ნანა?

- აბა?

- მე ნანა არ მქვია, თუმცა... სულ ერთი არ არის შენთვის? - მიპასუხა და კედლისკენ მიბრუნდა.

გულაღმა ვიწექი და ფანჯარას გავცქეროდი. ვარსკვლავებით მოკენჭილი ცა მავთულებს გადაეხაზა. ეზოში ონკანი მოშლილიყო და ქვაფენილზე შიშინით წყალი იღვრებოდა... როდის ჩამეძინა, ვერ გავიგე. უცნაური რამ დამესიზმრა: ბზუოდა რაღაც, მომაბეზრებლად და გაუთავებლად ბზუოდა ზედ ჩემს ყურთან და მოსვენებას არ მაძლევდა. ყველაზე მეტად ის მაწვალებდა, რომ ვერ გამეგო, საიდან მოდიოდა ეს ბზუილი. მერე ამ ხმას უცნაური სანახაობაც მოჰყვა: მტრის თვითმფრინავებს დაეჩრდილათ ცა. დაბლა, სულ დაბლა, მიწიდან ათიოდე მეტრის სიმაღლეზე მიფრინავდნენ თვითმფრინავები, ფრთა ფრთაზე გადაეწნათ და მათი ქროლვისგან ამტყდარი ქარი შავად გადატრუსულ ბალახს მიწასთან ასწორებდა... მე სანგარში ვეგდე პირქვედამხობილი, სახე მიწაში ჩამერგო და სუნთქვა მიჭირდა. წამიდან წამზე ველოდი ნაცნობ, გულისგამყინავ წივილს, რასაც აფეთქების გრიალიც მოჰყვებოდა და მაშინ... უცებ დაიქუხა რაღაცამ და შეშინებულმა თვალი გავახილე... გათენებულიყო. კარადაში ჭიქები წკრიალებდნენ. ოთახში ჩაიდნით ხელში ჩემი მასპინძელი იდგა.

- ჩაის დალევ თუ ყავას?

- სულ ერთია ჩემთვის. - ვუპასუხე და ჩაცმას შევუდექი... სამსახურის საქმეებზე თბილისში ჩამოსულს მივლინება გამითავდა და ამაღამ ისევ მოსკოვში უნდა დავბრუნებულიყავი.

. . . . . . . . . . . . . . . . . .

კიდევ ერთი ჩემი რომანტიკული თავგადასავალი მაგონდება. რომლის გახსენება, განსხვავებით სხვა შემთხვევებისგან, დღესაც სიამოვნებას მგვრის... დიდი ხნის წინათ, მხატვართა კავშირმა მოლდავეთის ქალაქ კიშინიოვში გამგზავნა (მე ხომ მხატვარიც ვარ). სასტუმროში თავისუფალი ოთახი არ აღმოჩნდა და ვიღაც შუახნის ებრაელთან, სერაფიმ იაკოვლევიჩთან შემასახლეს... ოდესღაც ესტრადის მსახიობი ყოფილა, ახლა კი დედაქალაქში საესტრადო ბიუროში მსახურობდა და კურორტებზე კონცერტების მოწყობა ევალებოდა. საოცრად გონებამახვილი და ენერგიული კაცი აღმოჩნდა. მასზე ბევრად უმცროსი ვიყავი, მაგრამ, აბა, რას შეცედრებოდი ან სიტყვა-პასუხში, ან მიხრა-მოხრაში, ან კიდევ იმ ახალგაზრდულ აღტაცებაში, ყოველი ლამაზი ქალის დანახვაზე რომ იჩენდა ეს კარგად შენახული, შავთვალწარბა, დაბალი ტანის, ოდნავ ღიპწამოზრდილი კაცი. პირველ დღესვე დავამხან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგდით. ინიციატივა, რასაკვირველია, იმან გამოიჩინა, რამდენიმე ანეკდოტი მიამბო, გამაცინა, გაიცინა, რესტორანში დამპატიჟა, ქალებზე და პოლიტიკაზე მესაუბრა, მერე, როცა ფული არ გადავახდევინე, ქართველური ზნე-ჩვეულებაც მომიწონა და აღმითქვა საუკუნო მეგობრობა და მხარდაჭერა...

უცნაური თვისება გვჭირს ადამიანებს: სენივით გადავედებით ერთმანეთს. რატომ ხდება ასე, არ ვიცი, იქნებ სხვისი მიბაძვით ცხოვრება უფრო გვეადვილება და ამით შესვენებას ვაძლევთ ჩვენს თავს გაბეზრებულს შეჩვეული განცდა-ფიქრებით?!

ერთი კვირა უნდა დავრჩენილიყავი მივლინებაში. ამ ხნის განმავლობაში, ისე შევიცვალე, ჩემს თავს ვეღარ ვცნობდი ადრე, სანამ მოლდავეთში წავიდოდი, გადაწყვეტილი მქონდა გულმოდგინედ მემუშავა, ესკიზები მომემზადებინა მომავალი სურათისთვის. სერაფიმ იაკოვლევიჩის გაცნობის შემდეგ კი, დილიდან საღამომდე დავრბოდი ათასგვარ დაწესებულებასა და ორგანიზაციებში, ადგილობრივ მხატვართა კავშირში, სამხატვრო ფონდში, გაზეთის რედაქციებში, რომ როგორმე სახელდახელო დაკვეთა მიმეღო, ფული მეშოვნა და ჩემს ახალ ნაცნობთან ერთად დრო გამეტარებინა. ხასიათიც შემეცვალა: ყოველთვის თავშეკავებული და სიტყვაძვირი მოურიდებელი და ჭირვეული გავხდი. აქეთ-იქით ვაბნევდი ღიმილსა და ქათიანაურებს, არ ვერიდებოდი საკუთარ ღირსებაზე ლაპარაკსაც, თუ ეს საჭირო იყო მიზნის მისაღწევად. საღამოობით კი, რის ვაი-ვაგლახით ნაშოვნი ფულის წყალობით, მე და სერაფიმ იაკოვლევიჩი რესტორანში ვისხედით და ხმაშეწყობილად ვჭუკჭუკებდით...

ჩემი წამოსვლის წინადღე იყო. ყოვლისშემძლე სერაფიმ იაკოვლევიჩის დახმარებით, როგორც იქნა, ერთ-ერთმა გამომცემლობამ საკმაოდ დიდი თანხა მომცა ავანსად და მე და ჩემი მეგობარი, პირველად ამ ხნის განმავლობაში, სასტუმროდან გავედით არა საშოვარზე, არამედ ქალაქის დასათვალიერებლად.

მახსოვს, ნაადრევი გაზაფხულის შესანიშნავი დარი იდგა, ზღვაზე იცის ხოლმე ასეთი ამინდი: ჯერ ისევ ცივა, მაგრამ მზე უკვე მაგრა იგბინება, ცა მუქი ლურჯია და ახლად გარეცხილი ფანჯრის მინასავით კრიალებს. ჩრდილში გაიყინება კაცი, მზეზე კი - ოფლში იწურება... ალბათ, იმ გოგონასაც ცხელოდა, მზით განათებულ ტროტუარზე რომ მიდიოდა. ზამთრის პალტო უკან წელამდე ჩაეწია და ზანტი ნაბიჯით აღმართს მიჰყვებოდა. პრიალა შესაკრავიანი ჩანთა ეჭირა და უდარდელად მიაქნევდა, ახალგაზრდა იყო, გრძელ-ფეხა და წელწერილი, შუბლზე ჩამოშლილი თმა ოქროს მუზარადივით ეხურა თავზე.

სერაფიმ იკოვლევიჩმა მონადირე ძაღლივით ნაბული გააკეთა, თვალი ჩამიკრა და ქალიშვილს დავედევნეთ.

რაღა დაგიმალოთ, ძალიან მომეწონა ის გოგო, მაგრამ არც ჩემი გარეგნობისა და არც მჭევრმეტყველების იმედი არ მქონდა. საერთოდ, არაფრის იმედი არ მქონდა! ადრე ვერც გავბედავდი ქუჩაში უცნობი ქალიშვილის გაცნობას, მაგრამ ამჟამად სერაფიმ იაკოვლევიჩი მახლდა, გარდა ამისა, ათმანეთიანების დასტა სასიამოვნოდ ამძიმებდა ჩემს ჯიბეს და ეს იყო, რომ მაიმედებდა... ჰმ, ფული! წინათ არასდროს მიცდია მისი საშუალებით ვინმეს მოხიბლვა ან თავის გამოჩენა, მაგრამ უკვე გითხარით, ძლიერი ყოფილა მიბაძვის ნიჭი, ადვილად ემორჩილება ადამიანი სხვის გავლენას და იშვიათად მოაკითხავს მას ის ბედნიერი წუთი, რომლის წყალობით უცებ გამოფხიზლდება, გონს მოვა და კვლავ დაუბრუნდება საკუთარ თავს, თავის ნამდვილ მეობას...

სერაფიმ იაკოვლევიჩმა მოუბოდიშა გოგონას და თავაზიანად ჰკითხა რომელიღაც დაწესებულების მისამართი, მერე მოხერხებულად საუბარი გაუბა, ლაპარაკში ჩაითრია და რამდენიმე წუთში გამაცნო ეს არსება, როგორც თავის საუკეთესო ნაცნობი და მეგობარი. ირინა ერქვა, ბიოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი აღმოჩნდა, სასწავლებლად ჩამოსული შორეული აღმოსავლეთიდან... სერაფიმ იაკოვლევიჩმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინა თანამედროვე ბიოლოგიის აქტუალური პრობლემების მიმართ და სეტყვასავით მიაყარა კითხვები. გოგონა ჯერ მორცხვობდა, მოკლედ, უხალისოდ პასუხობდა, მაგრამ, როცა დაუღალავმა სერაფიმ იაკოვლევიჩმა რამდენიმე ანეკდოტიც მოაყოლა თავის მეცნიერულ პროგნოზებს და გულიანად გვაცინა, ირინა გამხიარულდა და ხალისიანად დაგვთანხმდა მეგზურობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაეწია ჩვენთვის.

როცა ქუჩებში ხეტიალით დავიღალეთ, რესტორანში შევიპატიჟეთ და ვთხოვეთ, ჩვენთან ერთად ესადილა. ჯერ უარზე იყო, მაგრამ, რაკი აღარ მოვეშვით, დათანხმდა.

რესტორნის შენობა ქალაქის შუაგულში, შემაღლებულ ადგილზე კულტურისა და დასვენების პარკში მდებარეობდა და იქიდან ხელისგულივით მოჩანდა ზღვა. თუმცა გრილოდა, დახუთულ დარბაზში ჯდომას ჰაერზე ყოფნა ვამჯობინეთ და ვთხოვეთ მიმტანს, ღია აივანზე გაეშალა სუფრა. საღამო ახლოვდებოდა. მზე ნელ-ნელა ეშვებოდა ზღვაში, ახლად შეფოთლილ, გამჭვირვალე ხეებს ოდნავ არხევდა ზღვიდან მონაბერი ნიავი, ბაღი დამსვენებლებით იყო სავსე. ჩვენი აივნის ქვემოთ, ცელოფანში შეფუთვნილი წითელი და ყვითელი ტიტების ყვავილნარის გასწვრივ, მერხებზე მოხუცები ისხდნენ და ჩამავალი მზის სხივებს ეფიცხებოდნენ. მიმტანმა, რომელმაც თავისი დაგეშილი ყნოსვით ხელად იგრძნო, რომელი იყო ჩვენში ფულის გადამხდელი, შეკვეთა ჩემგან მიიღო და, თითქოს ფრთები გამოისხაო, ისე დატრიალდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოისმოდა შეძახილები : „ორი შამპანური“, „სამი ღვინო“, „ სამი მწვადი“ და ა. შ.

სერაფიმ იაკოვლევიჩმა მოხერხებულად ააწყო საუბარი, ჯერ ამინდზე ილაპარაკა, მერე კვლავ ბიოლოგიას გადაწვდა, აქედან სიყვარულის საკითხზე გადავიდა, ზნეობაზე ჩამოაგდო სიტყვა და თქვა, რომ სილამაზე და სიყვარული განუყოფელნი არიან, რომ თავშეკავება და კდემამოსილება უაზრო ანაქრონიზმია ჩვენ საუკუნეში, რომ შეუბრალებელი დრო ყველაფერს ანადგურებს და რომ ადამიანმა, სანამ უნარი შესწევს და ახალგაზრდაა, უნდა ისარგებლოს თავისი უპირატესობით და დატკბეს ცხოვრების სიამით! წუთით არ გაუჩერებია ენა! რა არ თქვა, ვინ არ ახსენა, ჰემინგუეი და რემარკიც მოიშველია, თუმცა, როგორც შევატყე, მათი წიგნები წაკითხული არ ჰქონდა. აშკარა უგვანობას ლაპარაკობდა, მაგრამ რატომღაც სულ არ მეჩოთირებოდა მისი ყბედობა, მომწონდა კიდეც... ბოლოს სერაფიმ იაკოვლევიჩმა ქალიშვილის ყურადღება ჩემზე გადაიტანა, მაქო და ცამდე ამიყვანა! ასეთიაო, ისეთიაო, უნიჭიერესი კაციაო, მაგისი დახატული პორტრეტები საზღვარგარეთ გააქვთო (თავის დღეში პორტრეტი არ დამეხატა, პეიზაჟისტი ვიყავი), ქალები მაგისთვის გიჟდებიანო, მთელი ევროპა მოვლილი აქვსო (სოხუმს არ გავცილებივარ)... მე კი ვატყობდი, რა ალაპარაკებდა: თავს აწონებდა ქალს, აქაო და, მიყურე, რა კაცი ვარო, ჩემი მეგობარი თუ ასეთია, მე რაღა ვიქნებიო?! მაგრამ მაინც მსიამოვნებდა მისი ქება, რადგან, რაც დრო გადიოდა და ღვინო ჯანში მიჯდებოდა, მით უფრო ვიხიბლებოდი ჩემს ახლო მჯდარი ქალიშვილის მოღიავებული მკერდით, თლილი თითებითა და ჭროლა თუთასავით გაურკვეველი ფერის, ირიბად გაჭრილი თვალებით.

არ ვიცი, როგორ მოხდა, ღვინომ იმოქმედა თუ სერაფიმ იაკოვლევიჩის ქადაგებამ, ირინასაც გადაედო ჩვენი აღტკინება: ის უკვე აღარ მორცხვობდა, ხმამაღლა იცინოდა, ოხუნჯობაზე ოხუნჯობითვე გვპასუხობდა, თან დროდადრო ისეთ მზერას გამოაპარებდა ჩემკენ, გული საგულეში არ მიჩერდებოდა. მაშინ ვერაფერს ვგრძნობდი, ახლა კი, როცა იმ ჩვენ ღრეობას ვიგონებ, ასე მგონია, მეცა და ის გოგონაც უხეირო ორკესტრანტებს ვგავდით, რომლებსაც სერაფიმ იაკოვლევიჩი, როგორც გამოცდილი დირიჟორი, თავის ნებაზე გვაკვრევინებდა რაღაც ახირებულ, ჩვენთვის უცხო მელოდიას...

სიტყვამ მოიტანა და მშობლები ვახსენეთ.

– მამაჩემი თქვენი ხნისაა, – უთხრა ირინამ სერაფიმ იაკოვლევიჩს და უცებ მოიწყინა, – ორი წელია, სახლში არ ვყოფილვარ...

ქალიშვილს გუნება შეეცვალა და ჩვენც მალე ავიშალეთ სუფრიდან.

რესტორნიდან რომ გამოვედით, სერაფიმ იაკოვლევიჩმა განზე გამიყვანა და ჩუმად მითხრა:

– არაფერი გამოვა მაგასთან, პატიოსანი გოგოა... დროს ნუ ვკარგავთ, სხვა ვინმე მოვნახოთ!

აუჩქარებლად ვსეირნობდით ბაღში. მე და სერაფიმ იაკოვლევიჩი საკმაოდ შეზარხოშებულები ვიყავით, ირინასაც მოჰკიდებოდა ღვინო, ხელკავით მიმყავდა, სერაფიმ იაკოვლევიჩს კი უკვე გაქცევაზე ეჭირა თვალი, გვერდით მოგვყვებოდა და ისე ხარბად ათვალიერებდა გამვლელ-გამომვლელებს, თითქოს ვიღაცას ეძებდა. უცებ მოწყდა ადგილს, ბოლიში მოიხადა და ხალხში გაუჩინარდა, ცოტა ხნის შემდეგ აჩქარებით მოირ-

ბინა და გვითხრა:

– მაპატიეთ, უნდა დაგტოვოთ, თეატრის დირექტორი შემხვდა, ამ საღამოს თათბირია და უნდა დავესწრო. აბა, თქვენ იცით... ირინა, ჩემს მეგობარს არ აწყენინოთ! – თვალი ნიშნისმოგებით ჩამიკრა და წავიდა.

– მხიარული კაცია, – თქვა ირინამ – მართლა თქვენი მეგობარია?

პასუხი არ გამიცია, ახლო მივიზიდე მისი მკლავი და გაუბედავად ვთხოვე სასტუმროში წამომყოლოდა, საუბარი იქ განვაგრძოთ-მეთქი, ტელევიზორი მაქვს, ყავასაც მოვატანინებ, გარეთ ცივა, ნესტიანი ამინდია, რა აზრი აქვს ქუჩაში ხეტიალს?

– გვიანია, – თქვა ირინამ და მაჯის საათს დახედა, – საერთო საცხოვრებელში აღარ შემიშვებენ. თანაც თავი ამტკივდა...

არც ამაზე მითქვამს არაფერი, მხოლოდ ბაღიდან გასვლისას, შეუმჩნევლად გეზი სასტუმროსკენ ავიღე. იქ ერთი კაფე მეგულებოდა, სადაც შეიძლებოდა კონიაკი ან ლიქიორი დაგველია. ცალი ხელი გოგონას იღლიაში მქონდა გაყრილი, მეორე ხელი კი ფულით გატენილ ჯიბეში მედო და ეს მათამამებდა.

როცა კაფეს მივუახლოვდით, ირინას თავისტკივილი გავახსენე და ვურჩიე ყავა დაელია. ბევრი ვარწმუნე და ბოლოს დავითანხმე.

კაფეში მუსიკა უკრავდა. ირინამ ყავა მოსვა და თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა:

– რაღაც უნდა მეწყინოს დღეს... სასმელს ნუ დამაძალებთ, კარგი?!

– სასტუმროში ავიდეთ ჩემთან... სოფლიდან ჩამოტანილი ხილით გაგიმასპინძლდებით.

– უხერხულია, დღე რომ ყოფილიყო...

– ხილი თუ არ გინდათ, სურათებს გაჩვენებთ. ჩემი ნამუშევრები არ გაინტერესებთ?

სული კბილებით მეჭირა, მეშინოდა უარი არ ეთქვა.

– სხვა დროს.

– რატომ, არ მენდობით?

– როგორ არა, მაგრამ...

– რა მაგრამ? ავიდეთ ცოტა ხნით.

– კარგი. – დამთანხმდა ირინა და ადგა.

ხელკავი გამოვდე და სასტუმროს ვესტიბიულში შევედით. ვიდრე მეხუთე სართულამდე მივაღწევდით, სადაც ჩემი და სერაფიმ იაკოვლევიჩის „ლუქსი“ იყო, ხმა არ ამოგვიღია. ჭირის ოფლი მასხავდა, ასე მეგონა, ყველა, ვინც ამ დროს სასტუმროში იმყოფებოდა, ჩვენ გვიყურებდა და ყველამ იცოდა, სად და რისთვის მიმყავდა ეს ქალიშვილი. მეხუთე სართულზე რომ ავედით, სართულის მორიგეს გვერდი ავუქციე და პირდაპირ ოთახისკენ გავემართე. კართან გამახსენდა, რომ გასაღების აღება დამავიწყდა. დაბრუნება დავაპირე, მაგრამ ამ დროს კლიტეში გაყრილი გასაღები შევამჩნიე. გამიკვირდა, ანგარიშმიუცემლად კარს ხელი ვკარი და გაიღო. ჩვენ შევედით: წინ – ირინა, უკან მე...

კარის ხმაურზე საძილე ოთახიდან ნახევრად შიშველი სერაფიმ იაკოვლევიჩი გამოვარდა. გაოცებისგან პირი დააღო, რაღაც წამოიძახა, ხელები გაასავსავა და სწრაფად მიიმალა. მერე ოთახიდან ქალის ჩურჩული მომესმა, ხმაურით წაიქცა სკამი, წამით დუმილი ჩამოვარდა და ცოტა ხნის შემდეგ სერაფიმ იაკოვლევიჩი ისევ წარსდგა ჩვენს წინაშე, ამჟამად შარვლითა და მაისურით. სასაცილო იყო: პრიალა მეჩხერი თმა აბურძგნოდა და კეფაზე მელოტი უჩანდა. მკერდი და მკლავები შავი ჯაგრით ჰქონდა დაფარული. ოდნავ დაბნეული, ცალი ყბით იღიმებოდა და ამიტომ მის სახეზე ვერაფერს ვამჩნევდი ოქროს კბილის გარდა, რომელიც თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა.

რაღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ არ გამიგონია, ირინას ვუყურებდი, ის გაშტერებული იდგა და საძილე ოთახის კართან სკამზე გადაკიდებულ ქალის საცვლებს მისჩერებოდა, მერე მოტრიალდა, ხელი მკრა და ოთახიდან გავარდა.

მე დავედევნე.

ქუჩაში ბნელოდა. ირინა სწრაფად მიდიოდა, ვცდილობდი, არ ჩამოვრჩენილიყავი, სირცხვილი მწვავდა, არ ვიცოდი, რა მეთქვა, რით დამეწყო. იმასაც ვგრძნობდი, ირინა უკვე ის აღარ იყო, რაც ორიოდე წუთის წინ, როცა სასტუმროში შემომყვა. ასე დუმილით გავიარეთ რამდენიმე ქუჩა. უკვე კარგა დაღამებულიყო. ცინცხლავდა და ქვაფენილზე გუბეები იდგა.

– რატომ მაცილებთ? – უცებ მკითხა ირინამ და ნაბიჯი შეანელა. მერე წაიჩურჩულა – ნუთუ არავის უნდა ენდოს ადამიანი... ღმერთო ჩემო, რა სისაძაგლეა!

ვერ იქნა და ვერ მივაღწიეთ საერთო საცხოვრებლამდე!

უცებ ირინას გაეცინა:

- სულელები ხართ მამაკაცები! თქვენ გგონიათ... - იგი გაჩუმდა და განაგრძო უფრო შემრიგებლური ხმით: საერთო საცხოვრებელში ჩემთან ერთი გოგონა, ამას წინათ მითხრა: კაცმა თუნდაც ერთი ყვავილი რომ მაჩუქოს, თავს ვანაცვალებდიო!

- გიყვართ ყვავილები? - თავაუღებლად ვკითხე.

სიბნელეში შევამჩნიე, როგორ აიჩეჩა მხრები:

- რომელ ქალს არ უყვარს ყვავილები?

- ერთ წუთს დამიცადეთ. - მიმოვიხედე და ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა დავაპირე, სადაც ქალს იასამნის კონები ეჭირა.

- იასამანი არ მინდა. - გამაჩერა ირინამ.

- მაშ რა?

- არაფერი, თუმცა... - მის ხმაში ისევ დაცინვა გამოკრთა: - მე ტიტები მიყვარს. გაგონილი გექნებათ, ყვავილია ასეთი.

ახლავე მოგიტანთ! - დაუფიქრებლად ვუთხარი და ისევ წასასვლელად მოვემზადე.

- ტიტებს ახლა ვერ იშოვნით, გვიანია. ყველაფერი კი არ შეუძლია ფულს!

- თქვენ რა გინდათ, ვიშოვნი!

- ნუ იკვეხნით, თორემ ისევ ტყუილი გამოგივათ. ერთხელ ხომ მომატყუეთ, კმარა.

- ვიშოვნი! - დაბეჯითებით ვუთხარი. ჩვენ უკვე საერთო საცხოვრებლის შესასვლელთან ვიდექით. - თქვენ აქ მომიცადეთ. თუ გინდათ, საათი დანიშნეთ, - ჩემს საათს დავხედე. - ახლა თორმეტის ნახევარია. თხუთმეტ წუთში მოგართმევთ, მხოლოდ არსად წახვიდეთ, აქ დამიცადეთ!

- საიდან, როგორ?

- ეს მე ვიცი!

რა ვიცოდი, რისი იმედი მქონდა? სად უნდა მეშოვნა უცხო ქალაქში ყვავილები, რომლებიც ჯერ იქნებ შემოსულიც არ იყო? ამაზე არ მიფიქრია, იმ წუთს ისეთი გრძნობა დამეუფლა, მთელ ქვეყანას გადავაბრუნებდი და ტიტებს ვიშოვნიდი! სხვანაირად არ შემეძლო. აუცილებლად უნდა მეშოვნა! მისთვის კი არა, ჩემთვის, ასე იყო საჭირო!

- გირჩევნიათ წახვიდეთ, დაიძინოთ, - თქვა ირინამ. - მეც დაღლილი ვარ. დილით ლექცია მაქვს.

- ძალიან გთხოვთ, მომიცადეთ. აი, აქ, შესავლელთან... ათ წუთში დავბრუნდები, მხოლოდ არსად წახვიდეთ, ძალიან გთხოვთ!

პასუხს აღარ დაველოდე და სწრაფად დავეშვი ქალაქის ცენტრისკენ. კი არ მივდიოდი, მივფრინავდი, თან აქეთ-იქით თვალს ვაცეცებდი, მანქანას ვეძებდი. ბნელში ვიღაცას დავეჯახე, შემომიკურთხა, მერე შუა ქუჩაში გადავედი და განვაგრძე სირბილი. საუბედუროდ, არც ერთი მანქანა არ ჩანდა. რამდენიმე ტაქსიმ ჩამიქროლა. დაკავებული იყო, მაინც ხელი დავუქნიე, არ გამიჩერეს. ბოლოს, როგორც იქნა, თავისუფალი მანქანა გამოჩნდა. გზა გადავუღობე და ორივე ხელი ავწიე. მანქანა ღრჭიალით გაჩერდა. შოფერმა თავი გამოყო, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ, არც ვაციე, არც ვაცხელე, მანქანაში შევხტი.

- ვაჰ, რა ამბავია! - თქვა შოფერმა და დაკვირვებით შემათვალიერა.

- ძალიან მეჩქარება! - სირბილისა და აღელვებისგან ენას ძლივს ვაბრუნებდი. - თუ ძმა ხარ, ჩქარა! ათ წუთში ყვავილები უნდა ვიშოვნოთ!

- რაო? - პირი დააღო შოფერმა.

- ყვავილები, - მოუთმენლად გავიმეორე, - ტიტები ჰქვია... აუცილებლად უნდა მაშოვნინო, თორემ დავიღუპე! - შოფერმა მიყურა ერთხანს, მერე გულიანად გადაიხარხარა:

- მოიცა, კაცო, დალაგებით მითხარი, რაში გჭირდება ეგ ტიტებია თუ რაღაცაა? ამ შუაღამისას სად გაგიჩინო, მიჩურინი ვარ?

როგორც იქნა ავუხსენი საქმის ვითარება, მოვიგონე, ვითომ ქორწილიდან გამოვიქეცი, სადაც სიმთვრალით მომივიდა თუ რა იყო, ნეფე-დედოფალს დავპირდი: ამ წუთში ტიტების თაიგულს მოგართმევთ-მეთქი, და ახლა რომ მოვკვდე, ყვავილები უნდა მივიტანო!

შოფერი კაცური-კაცი აღმოჩნდა. ქორწილისა და ნეფე-დედოფლის ხსენებაზე ღიმილი გაუქრა, მანქანის საათს შეხედა და კეფა მოიფხანა.

- მაშ, ეგეთი საქმეა? თავიდან გეთქვა, შე დალოცვილო, გიჟი მეგონე!.. სად ვნახოთ ახლა ეგ შენი ტიტები? იასამანი ქალაქში ბევრია, ტიტებისთვის კი, მართალი გითხრა, თვალი არ მომიკრავს.

- წავიდეთ, ვიშოვნით!

მანქანა დაიძრა. გაქანდა, მაგრამ რას გაქანდა, სულ ასი კილომეტრის სიჩქარით მიდიოდა. ჯერ სადგურის მოედანზე გავედით, იქ ყვავილების ბაზარი იყო და შოფერს იმის იმედი ჰქონდა. მანქანიდან გადმოვხტით,

ეროვნული ბიბლიოთეკა



სირბილით ჩავუარეთ ყვავილების გამყიდველთა შეთხელებულ რიგს, მაგრამ არც ერთ გამყიდველს ტიტები არ ჰქონდა, გვთავაზობნენ იასამნებს, გვირილებს, ვარდებს, ათასნაირი სხვა ჯიშის ყვავილს, მაგრამ ჩვენ არც შეგვიხედავს მათთვის, ისევ მანქანაში ჩავსხედით და გავწიეთ, ახლა უკვე აღარ ვჩქარობდით, რადგან გულის სიღრმეში, მეცა და შოფერმაც, ორივემ დავკარგეთ ტიტების შოვნის იმედი.

უცებ შოფერმა შუბლზე ხელი იტკიცა.

- ვაჰ, როგორ არ გამახსენდა?! - წამოიძახა, - იქ ნაღდად იქნება!

- სად? - ჩავაფრინდი სახელოში.

- „არანჟერეაში“, ქალაქგარეთ!

მოვაბრუნეთ მანქანა და ქალაქის გარეუბნისკენ გავწიეთ, საათს შევხედე, ხუთი წუთი გასულიყო. უკან ვიჯექი, მაგრამ შოფერმა თითქოს იგრძნო ჩემი მოძრაობა, სიჩქარეს უმატა. სამ წუთში ქალაქგარეთ ვიყავით და აგურის მაღალი გალავნით შემოღობილ მთავარ სანერგეს მივადექით. რკინის ალაყაფი დაკეტილი დაგვხვდა, ბოქლომი გარედან ედო, ამიტომ ზედმეტი იყო დარაჯის დაძახება და ძებნა, არც ამის დრო გვრჩებოდა. შოფერი ისევ ალაყაფთან ტრიალებდა, როცა მე გალავანს მივადექი და აძრომა ვცადე, კედელი სველი იყო და ფეხი მისხლტებოდა, მაშინ შოფერი უსიტყვოდ მოვიდა ჩემთან და მხარი შემაშველა... როგორც იქნა, ორივენი გადავძვერით. სანერგის უზარმაზარ ტერიტორიას ჭვარტლივით შავი უკუნი ეფინა, წელში მოხრილები, ხელის ფათურით, გავყევით კედელს. ასანთს ვანთებდით და მის მკრთალ შუქზე ვათვალიერებდით მიწაზე გრძლად გაჭიმულ სათბურებს, წამლაუწუმ ტალახში ფეხი გვისხლტებოდა, ტიტები მაინც არ ჩანდა. სათბურებში სულ სხვა მცენარეებს ვხედავდით, ისინი საერთოდ არ ჰგავდნენ ყვავილებს, სიბნელეში შოფერმა სათბურის შუშას ფეხი დააბიჯა და ჩალეწა, ხმაურზე სადღაც ახლო ძაღლები აყეფდნენ, ჩვენ გავინაბეთ.

- წამო, თუ ძმა ხარ, - ჩურჩულით თქვა შოფერმა, - ძაღლებს თავი არ დავაგლეჯინოთ!

ჩვენ ისევ გადმოვძვერით კედელზე და მანქანასთან მივედით. ხმას არ ვიღებდით. დაღლილი ვიყავი და საოცრად გამოფიტული, ლაპარაკის თავი არ მქონდა. შოფერმა ნელა დაძრა მანქანა...

ქალაქში რომ შევედით, ისევ საათს შევხედე. ერთი წუთიღა მრჩებოდა დათქმულ დრომდე. რა მექნა? ხელცარიელი დავბრუნებულიყავი? ამაზე ფიქრიც არ მინდოდა... უღონოდ ვეგდე მანქანაში და დღევანდელი დღის ამბებს ვიხსენებდი: ირინას გაცნობას, სერაფიმ იაკოვლევიჩის გაუთავებელ ყბედობას, რესტორნიდან გამოსვლისას, მოულოდნელად რომ დაგვტოვა... და უცებ არაჩვეულებრივი სიცხადით თვალწინ დამიდგა რესტორნის აივნის ქვეშ პატარა ყვავილნარი, სადაც ცელოფანში გახვეული წითელ-ყვითელი ტიტები იყო დარგული...

- ვიცი, სადაც არი! - წამოვიყვირე ისეთი ხმით, რომ შოფერი ადგილზე შეხტა. - ქალაქის ბაღისკენ, ჩქარა!

შოფერს არც მოუხედავს, ისე ჩააგდო მანქანა სიჩქარეში, ბაღთან გავჩერდით. - ნუ აჩქარდები, ჭკუით მოიქეცი, - მითხრა შოფერმა, მანქანის კარი დაკეტა და დაუმატა, - მოიცა, მეც წამოვალ, ორი კაცი მაინც სხვაა...

ბაღში ბლომად ხალხი ირეოდა. გაზონი პროჟექტორების შუქით გაენათებინათ და ყველაზე ბევრი დამსვენებელი აქ ტრიალებდა. ჩვენ ჩამოვსხედით მერხზე და თვალი ყვავილებისკენ გავაპარეთ, თავი ისე გვეჭირა, ვითომ დასასვენებლად ჩამოვჯექით და ვსაუბრობთ, თან მოსეირნეებისგან შეუმჩნევლად, შოფერსაც და მეც მერხის თამასებს შორის ხელი გვქონდა გაყრილი და ტიტების მოწყვეტას ვცდილობდით. ვერაფერი გამოგვდიოდა, ვერ იქნა და ვერ მივაწვდინეთ ხელი! ერთხანს ვეწვალეთ, მერე შოფერმა უიმედოდ თავი გაიქნია, პაპიროსი გააბოლა და ადგა.

- არაფერი გამოვა, წავიდეთ.

მეც ავდექი, მონუსხულივით მივჩერებოდი ტიტებს და წასვლა მიჭირდა.

- აი, რა... - ხმადაბლა ვუთხარი შოფერს, - შენ წადი. მე ყვავილნარში გადავალ და ვითომც არაფერია, ყვავილებს დავკრეფ... მანქანაში დამელოდე.

ჩემი გეგმა მარტივი იყო: გადავიდოდი გაზონში და მშვიდად დავკრეფდი ტიტებს! წინასწარ დარწმუნებული ვიყავი, არავის აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ამის უფლება არ მაქვს! რაც უფრო აშკარად და თავხედურად ვიმოქმედებდი, მით უფრო ადვილად

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოტყუვდებოდნენ და ბაღის თანამშრომლად ჩამთვლიდნენ, ვისაც ნარგავების მოვლა აქვს დავალებული.

ყვავილნარში გადავაბიჯე და ტიტების კრეფას შევუდექი. ხელები მიკანკალებდა. აღელვებისგან ფესვებიანად ვგლეჯდი ცელოფანში გახვეულ უფოთლო ყლორტებს, თავზე გვირგვინებივით რომ ადგათ წითელი და ყვითელი ფერის, ჯერ კიდევ გაუშლელი ნაზი კოკრები. წელში მოხრილი, მოსეირნეთა ცნობისმოყვარე მზერას ვგრძნობდი ზურგით. წამიდან წამზე ველოდი გაოცებულ შეძახილს, მერე ყვირილს, მილიციელის სტვენას და მერე... ასეც მოხდა: ჩემს ზურგს უკან ვიღაცამ ისტერიული ხმით იკივლა:

– რას შვრებით, რას?

გაზონიდან ვისკუპე და გასასვლელისკენ გავიქეცი. მივრბოდი და უკნიდან მესმოდა:

– დაიჭირეთ!

– არ გაუშვათ!

– მილიცია! სად არის მილიცია!

მე უკვე მანქანაში ვიჯექი. შოფერი მზად იყო, ადგილიდან მოწყვიტა „ვოლგა" და გაქანდა. ბაღის შესასვლელთან კი სტვენით იჭაჭებოდა დაგვიანებით მოსული მილიციელი.

... საერთო საცხოვრებლის კარი ღია იყო. სინათლის მკრთალი ზოლი ქვაფენილს ეცემოდა. ქუჩაში არავინ ჩანდა. მანქანიდან გადმოვედი და შოფერს ფული გავუწოდე. არაფერი უთქვამს, ჩაიცინა და ძრავა ჩართო. მადლობის თქმა დავაპირე, მაგრამ ვერ მოვასწარი, მანქანა წავიდა...

საათს დავხედე, ათიოდე წუთით გადამეცილებინა დათქმული დროისთვის. მიმოვიხედე და, რადგან ირინა ვერსად შევნიშნე, საერთო საცხოვრებლის ვესტიბიულში შევედი. სვეტებიან დარბაზში ოდნავ ბჟუტავდა ერთადერთი ნათურა. ბნელ კუთხეში, სავარძელში ირინა იჯდა.

მივედი და კალთაში ტიტები ჩავუყარე. საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი, მერე მოვტრიალდი და, ვიდრე ქალიშვილი რაღაცას მეტყოდა, ქუჩაში გავვარდი...

„კიდევ კარგი, – ვფიქრობდი სასტუმროსკენ აჩქარებით მიმავალი, – ჩემი ჩემოდანი გარდერობშია, ანგარიშს გავასწორებ და სადგურში გავალ, იქნებ უკანასკნელ მატარებელს მივუსწრო"!

## ჩემი ტიმარები

ბუდაპეშტში, არც მახსოვს, რამდენჯერ ვიყავი: ეს ზღაპრული ქალაქი მუდამ ჩემშია და მეც ყოველთვის ოცნებით ბუდაპეშტში ვიმყოფები, უფრო სწორად, მის ერთ გარეუბანში, „შოროკშარს" რომ ეძახიან. დუნაის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. მარშრუტი ზეპირად მახსოვს: ხმაურიანი პეშტიდან ავტობუსით (№ 66!) ორ „ტემპლომს" უნდა ჩაუქროლო (ერჟიბეტისა და შოროკშარის ეკლესიებს), მერე იქიდან, სადაც უნივერმაღი „დომინოა", ფეხით დაადგე აკაციებით გადაჩრდილულ ვიწრო ქუჩებს... მიდიხარ და თავი თბილისში გგონია, სადმე მეფუთუბანში ან ორთაჭალის რაიონში. ათიოდე წუთის სავალია: რკინიგზის ლიანდაგს გადააბიჯებ და ჩემი მეგობრის, დიური ტიმარის სახლს მიადგები...

მწვანე კოინდრიანი ეზო, კოხტად დაკვალული ბოსტანი, ალუბლის, ნუშისა და ჭერმის ხეები და ყვავილები, ყვავილები, განსაკუთრებით ვარდია ბევრი... ეზოს სიღრმეში პატარა სახლია, კრამიტით გადახურული. სათიამაშო „კუბიკებით" აგებულს ჰგავს... იქვე, ეზოში, დიურის მშობლებიც ცხოვრობენ, ცალკე სახლში, რომელიც უკვე დაძველდა და თავის პატრონებს დამსგავსებია – მოხუც დიურისა და მის ცოლს ერჟიბეტს. მე მათ „მამასა" და „დედას" ვეძახი. ამის უფლებას არა მარტო დიურისთან მეგობრობა, არამედ ჩემი მდგომარეობაც მაძლევს – ობოლი ვარ...

ჯერ მოხუც ტიმარზე მოგიყვებით. „დიური-ბაჩი" („ძია დიური") ხელობით დურგალია, მაგრამ სოფლელი კაცის კვალობაზე ყველაფერი ეხერხება: კალატოზობაც, ვენახის მოვლაც, ღვინის დაყენებაც, არაყის გამოხდაც, საქონლის პატრონობაც და კიდევ ბევრი რამ... გარეგნობითაც ქართველ გლეხს ჰგავს, ისეთივე მზით გარუჯული სახე აქვს, ჭაღარა თმა, სუფთა, ბავშვური თვალები და ნიჩაბივით ხელები – დაკოჟრილი და ძარღვიანი. 75 წლისაა, მაგრამ შრომა-გარჯაში ტოლს არავის უდებს. ქართველ გლეხთან მისი მსგავსება კიდევ უფრო საცნაური ხდება მაშინ, როცა ვენახში დაფუსფუსებს და ვაზის ლერწებს შაბიამანს ასხამს... სოფლელია, ერთი სიტყვით – პატიოსანი, გამრჯე და გონიერი ადამიანი! თან სიტყვაძვირიც არის, ლაყბობა არ უყვარს. ეზოში თავისი ჭაჲა

ბიბლიოთეკა

აქვს (თუმცა წყალსადენი არსებობს), სა-ღორეც, საქათმეც. წინულ ღობესთან ბარი, ნიჩაბი და ცელი აყუდია. კუნძში ნაჯახია ჩარჭობილი. ეზოში ბოთვერა ძაღლი დარბის (რომელსაც დიური რატომღაც „ბაკუნინს" - რუსი ანარქისტის სახელს ეძახის!). დილა-ობით ეზოში მამალი ყივის და შინაურსა და გარეულს აღვიძებს...

ასეთია „დიური-ბაჩი", ჩემი უნგრელი მეგობრის მშობელი.

გათენებისას (შოროკშარის მოსახლეობა ადრე იღვიძებს), სახლიდან რომ გავდივარ, დიური-ბაჩი უკვე გარეთაა. „სერვუს, პაპა!" (გამარჯობა, მამა!) ვესალმები და ისიც „სე-რვუს, მიშკა!" - მიპასუხებს. მერე თავისი დამტვრეული რუსულით რაღაცნაირად მაგე-ბინებს, რისი თქმაც უნდა... უმმოზე ერთი თლაშო „პალინკა" (ხილის არაყი) ან პატარა ჭიქა „ბორი" (ღვინო) თუ არ გადაკრა, არ შეუძლია! სწორედ ამისთვის შემოდის ხოლ-მე დილაადრიან შვილის სახლში, ვითომ საქმეზე თუ სხვა მიზეზით და რძალი იულიაც ხალისიანად უმასპინძლდება. მოხუცი დალ-ევს, ულვაშზე ხელს გადაისვამს, თვალს ჩამ-იკრავს, ვახტანგ გორგასლის ძეგლივით მარჯვენას აღმართავს და მეტყვის: „ აბოტ-აიტ ნადო, მიშკა!" რაც იმას ნიშნავს ახლა სამუშაოდ უნდა წავიდეო... ამ ყოველდღიურ პროცედურას დიური-ბაჩი თავის ცოლს უმალავს, თუმცა მოხუცი ერჟიბეტი კი არ უკრძალავს ღვინის სმას, უბრალოდ, მის ჯანმრთელობას (უფრო სწორად კი, შრომი-სუნარიანობას) უფრთხილდება... პრაქტიკული ქალია!

ჩემი მეგობარი დიური თანამედროვე უნგრულ ლიტერატურაში „ქომბოკ ტიმარ დიორდის" სახელით არის ცნობილი. როგ-ორც ამბობენ, კარგი ბელეტრისტია. მოთხრ-ობებთან ერთად, სცენარებსაც წერს და უნგრელ მკითხველებში პოპულარობით სარ-გებლობს. წარმოსადეგი, ახოვანი ვაჟკაცია, ნამდვილი მადიარი - შავგვრემანი, თვალებ-ბრიალა და თორ-აბჯარი რომ ჩააცვათ, შუასაუკუნეების მეციხოვნეს დაემსგავსება... ჩვენი გაცნობის შემდეგ, საქართველოში არაერთხელ ყოფილა და ძალიან უყვარს ჩვენი ქვეყანა. ეამაყება, როცა ეუბნებიან: გიორგი სააკაძეს გავხარო, რაც არც თუ ისე შორს არის სინამდვილისგან - გიორგი სააკაძის ძველ პორტრეტსაც ჰგავს და აკაკი ხორავასაც...

დიურიმ მწერლობა გვიან დაიწყო. ახალ-გაზრდობაში ჯარში გაიწვიეს, საფრენოსნო სკოლა დაამთავრა და სამხედრო მფრინავი გახდა. სწორედ ამ დროს კომუნისტურ უნგრეთში სახალხო აჯანყება მოხდა და საბჭოთა არმია მის ჩასაქრობად გაეშურა. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა ბუდაპეშტთან. დიურის დიდხანს არ უფიქრია: ჩაჯდა თავის თვითმფრინავში და რუსებს ბომბები დაუში-ნა! ყმაწვილი დააპატიმრეს. კარგა ხანს ცი-ხეში აყურყუტეს და, როცა განთავისუფლდა, ჩეპელის ქარხანაში მოეწყო მოტორისტად... მწერლობასაც მაშინ მიჰყო ხელი... ეს ის პერიოდია, როცა გავიცანი, უფრო სწორედ, დიურიმ თვითონ გამიცნო... იმ დღეებში, მარ-ჯანიშვილის თეატრის გასტროლები ტარდე-ბოდა უნგრეთში. ბუდაპეშტის ერთ ღვინის სარდაფში ადგილობრივ ჟურნალისტებთან ღვინოს ვსვამდი. ჩვენს მაგიდას ვიღაც ულვაშებიანი ახმახი მოუახლოვდა და თქვა: გავიგე, აქ თურმე ერთი ქართველია და სად შეიძლება მისი ნახვაო? ასე გავიცანით ერთმანეთი. ხელი ჩამომართვა თუ არა, დიუ-რიმ გასასვლელისკენ წამათრია. თან გზად-აგზა მეუბნებოდა: ჩემთან სახლში უნდა წაგ-იყვანო, ღორი დავკალი და კარგი პურ-მარილი მაქვსო! შენი ამხანაგებიც თან წამ-ოიყვანე, თეატრის ხალხი. მე და ჩემმა ცო-ლმა წუხელ თქვენი სპექტაკლი ვნახეთ და ძალიან მოგვეწონაო... საერთოდ, ქართველ-ებს დიდ პატივს ვცემო, ბევრი რამ წამიკით-ხავს თქვენს შესახებ - ვაჟკაცები ხართ, მადიარებივით სამშობლო გიყვართო... რუს-ებს კი ვერ ვიტან, გერმანელებივით ოკუპა-ნტები არიან!.. ჩემთან სახლში რომ მივალთ, ალბათ, რუსულად მოგვიხდება ლაპარაკი, მაგრამ, არა უშავს, ჩემმა ცოლმა ცოტა რუსული იცის და დაგვეხმარებაო...

ის ღამე ტიმარების ოჯახში გავატარე და იმ დღიდან დიურიც და იულიაც ჩემი მეგობრები გახდნენ... "ლექსი არ იწერება, ლექსი ამოითქმება", - თქვა პოლონელმა პოეტმა ივაშკევიჩმა და, რადგან ძვირფას ხალხზე ვლაპარაკობ, ლექსი მინდა მოვი-შველიო:

„SARMA NOPRI"

ასე დაარქვა დიურიმ თავის მოთხრობის გმირს,

თვითნასწავლ მოქანდაკეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც ოსტატობისთვის
მეფემ კიდურები დააჭრა
და ოქროს ხელ-ფეხი უბოძა...
ბოლოს კი, საცოდავს,
ენაც ამოჰგლიჯა
და ოქროს ზოდი ჩასჩარა პირში,
რომ მხატვარს არსად ეთქვა,
რის გაკეთებას აპირებდა მომავალში..
და მაინც,
მეფის შეკითხვაზე:
„რას შვრები ახლა?“,
ოქროს კუტმა
ხუთჯერ მიუკაკუნა ოქროს მარჯვენა
მეფის ტახტის საფეხურს:
მეხუთე ქანდაკებაზე ვფიქრობო!
..............................................
დილაობით,
ბელურების ჟრიამული იკლებს
აკაციებით დაჩრდილულ ვიწრო ქუჩას,
ამწვანებულ ეზოსა და ბოსტანს
და სახლის მიღმა გაშლილ მინდორს.
„იურეგედ!“ -
დილა მშვიდობისაო, -
მესმის შინიდან გამოსულს
და მოხუცმა ტიმარმა
ამასწინათ მითხრა:
მეზობლები შენზე ამბობენ,
ტიმარებს უცხოეთიდან
უფროსი შვილი დაუბრუნდათო!..

დიური ჩემი მეგობარია,
ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი,
ჩვენ არ შეგვიძლია უერთმანეთოდ
(„უ-ერთ-მანეთოდ“
კიდევ გავძლებდით როგორმე!)
და განა უსამართლობა არ არის,
ერთმანეთისთვის გაჩენილებს,
ერთმანეთისგან გვიცავდნენ
მესაზღვრეები?!
რად არის პლანეტა ქვეყნებად დაყოფილი?
განა, ჩვენ - მის მუდმივ პატიმრებს, -
მერიდიანებისა და პარალელების
გისოსები არ გვეყოფოდა
ან ის ჯაჭვის საბმელი,
დედამიწის „მიზიდულობის კანონს“ რომ
ეძახიან?!
როგორ დავაღწიოთ თავი ამ მარადიულ
ტყვეობას?
როგორ ავმაღლდეთ ისე,
რომ ჩვენი საერთო სახლი
მიჯნებისა და საზღვრების გარეშე
დავინახოთ,
როგორც ეს კოსმონავტებმა შესძლეს?!

ჩემი მეგობრის მეუღლე, მშვენიერი იულია - ჩემი ცხოვრების განუყრელი ნაწილია. რატომ მიყვარს და რანაირად მიყვარს, მხოლოდ ჩვენ ვიცით და ამასთან არავის ესაქმება! იგი შუამავალია ჩემსა და დიურის შორის, მაგრამ მარტო იმისთვის კი არ ისწავლა რუსული ენა, რომ ჩვენი თარჯიმანი გამხდარიყო, იმისთვისაც, რომ ჩემი წერილები წაეკითხა და ჩემი გულისთქმა გაეზიარებინა... რა ვთქვა კიდევ? მეშინია, არ შევბღალო ის გრძნობა, რისი გამოხატვა ენას არ ძალუძს, ამიტომ ისევ პოეზიას მივმართავ:

რა ვქნა, რა გითხრა? შვების მომფენი
ვით მოვიპოვო შენზე უფლება,
როგორ გავბედო ხელუყოფელი
შენი სტიქიის დასაკუთრება?
ან როგორ გავხსნა ასე ვაგლახად
გადახლართული ბედის ქარაგმა,
როცა ნამდვილად ჩემი არა ხარ
და მეშინია შენი დაკარგვა?!

## ვაპირებ ცხოვრებას
(ბოლოთქმა)

„ინტერვიუ“ ჩემისთანა ზარმაცი პოეტისთვის ყველაზე ხელსაყრელი ჟანრია: ჟურნალისტი გეკითხება და შენ პასუხობ. მთავარია, რომ შენ მხოლოდ ლაპარაკობ, ის კი წერს...

ბოლოს, ალბათ, „ჟურნალისტის“ როლში თვით მამაზეციერიც მომევლინება, როცა უკანასკნელ სამსჯავროზე გამოვცხადდები. დარწმუნებული ვარ, მკითხავს: ამბობენ, ბევრი საყვარელი გყოლია და იქნებ ერთი მაინც დამისახელო, ვინც ნამდვილად გიყვარდაო? მეც პასუხს არ დავაყოვნებ: მხოლოდ სამი ქალი მიყვარდა, უფალო: ჩემი გარდაცვლილი უკრაინელი მეუღლე, ერთი უცხოელი ქალი და ჩემი ვაჟიშვილის ქართველი დედა... მათ ხელში ვიყავი (თუ ვყოფილვარ ოდესმე?) ბედნიერი და მათ ეკუთვნით ეს სტრიქონები:

რა მინდა? არ ვარ მსურველი მეტის:
ვიფიქრო შენზე, ვიცხოვრო შენთვის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გავიყო შენი ჭირი და ლხენა
და, კი არ მოვკვდე, მოგიკვდე შენა!

ჩემი ცხოვრების სპექტაკლის მთავარი მოქმედი პირი ქალები - ესენი არიან, დანარჩენი მონაწილენი - სტატისტებია და მნიშვნელობა არ აქვს, „ერთჯერად" თუ „მრავალჯერად" როლებს ასრულებდნენ (თუმცა ისიც უნდა ითქვას: სტატისტების გარეშე ვერც ერთი რეჟისორი წარმოდგენას ვერ დადგამს)!

მაშ, ასე... სპექტაკლი „პოეტის" ცხოვრება" დასასრულს უახლოვდება! ამიტომაც ვჩქარობ, მინდა მოსალოდნელ შეკითხვებს პასუხი გავცე, რომ უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა თავიდან ავიცილო...

ჩემი „უჯრის პატიმრების" ციკლში ერთი ლექსია, 60-იან წლებში დაწერილი. საშიში ლექსია: იმდროინდელი საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით, სასჯელის უმაღლეს ზომას იმსახურებდა, მაგრამ შემეცოდა და სასტიკი განაჩენი ხანგრძლივი პატიმრობით შევუცვალე.

ფიქრი უიმედოდ აწყდება
დილეგის მდუმარე კედლებს,
სადაც მე ცხოვრების დაწყებას
ვაპირებ სიკვდილის შემდეგ.

მაინც გულს არ ვიტეხ ამაზე,
რამეთუ ჩემთან არს ღმერთი
და მჯერა: ქართველი ლაზარე
სიტყვაში აღვდგები მკვდრეთით!

თავი რომ დავანებოთ „დილეგად" წოდებულ ქვეყანას, სადაც „ფიქრი მდუმარე კედლებს" აწყდება და პოეტი „ცხოვრების დაწყებას სიკვდილის შემდეგ აპირებს", ამ სტრიქონებში საინტერესოა ისიც, რომ ზეპირ მეტყველებაში ხშირად ერთნაირი მნიშვნელობით ხმარებული სიტყვები „სიცოცხლე" და „ცხოვრება" ერთმანეთს დავაშორე და დავუპირისპირე...

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩემს მოგონებებს. მგონი, ყველაფერი ვთქვი, რაც ათეული წლების განმავლობაში ჩემში და ჩემს გარშემო ხდებოდა. კარგიც გავიხსენე, ცუდიც, ვეცადე, რაც შეიძლება სამართლიანი ვყოფილიყავი საკუთარი თავისა და სხვების მიმართაც, მაგრამ... აი, გადავიკითხე ჩანაწერები და უკმაყოფილო დავრჩი! მე ხომ იმისთვის გამაჩინა ღმერთმა, რომ ჩემთვის ნაბოძები „სიცოცხლე" „ცხოვრებად" გადამექცია?! მე კი „სიცოცხლეს" როგორ მოვექეცი? „ცხოვრება" კი არა, „აჯაფსანდალი" გამომივიდა - ყოვლად უპასუხისმგებლო, არასერიოზული ქართველი კაცის დროსტარება (უფრო სწორად, „დროსა და სივრცეში გადაადგილება!), რაც მას თვითონ შინაარსიან ცხოვრებად მიაჩნია... და მაინც... მაინც... მაინც... მიუხედავად ამ დომხალისა, სადაც ბავშვური გულუბრყვილობით ჩავყარე ყველაფერი - მნიშვნელოვანიცა და უმნიშვნელოც, სატირალიცა და სასაცილოც - ჯერ კიდევ გვიან არ არის! ისევ და ისევ ჯიუტად და შეუპოვრად ვაპირებ ცხოვრებას:

ვაპირებ ცხოვრებას... სანამ ცოცხალი ვარ,
ვაზროვნებ სანამ და მკლავშიაც ღონე
მაქვს, -
რამდენი ხანია, რამდენი ხანია,
ყოველდღე, ყოველ წამს ვაპირებ
ცხოვრებას!

ვაპირებ ცხოვრებას და აღარ დამადგა
საშველი - თადარიგს თავი ვერ
გავართვი,
მაქარყინულივით თითებში ჩამადნა
ბავშვობის სიტკბო და სიმწიფის ლაზათი!

ვეღარ გავიხარე, ვეღარ გავიოცე,
ვერ გავამაისე ხანმოკლე აპრილი,
ვერ გადავაქციე ცხოვრებად სიცოცხლე
და ცის ქვეშ ვერ ვნახე საჩემო ადგილი!

ო ღმერთო! როდემდე, როდემდე,
როდემდე...
გადიან დღენი და, მგონია, ვბერდები,
გაუხარებელი ყიჟინით მომდევენ
აუცხადებელი ჩემი იმედები.

და ისევ ლოდინი... და ისევ მზადება...
და გული ცივდება - ჩამქრალი საკირე...
სიცოცხლე თავდება! სიცოცხლე თავდება,
მე კი სულ ცხოვრების დაწყებას ვაპირებ!

1999 წელი, ივნისი

(პირველი წიგნის დასასრული)

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, გასრულდა პირველი ნაწილი ცხოვრების წიგნისა, რომელსაც სიმბოლური და მრავლისმთქმელი სახელი აქვს – „ვაპირებ ცხოვრებას!“ მიხეილ ქვლივიძე, ჩვენი ასოციაციის წევრი, უფროსი მეგობარი და, ამავე დროს, ჩვენი ტოლსწორი – სამოცდათხუთმეტისაა. ზოგისთვის ეს ასაკი დიდია, აგერ კარს სიბერეც მომდგარაო, მაგრამ ის, ვინც ბატონ მიშას იცნობს, ვინც მასთან მეგობრობს, დამერწმუნება, რომ მას საკუთარი ასაკი დაუმარცხებია, ისევ ისეთი წარმოსადეგი, მომხიბლავი მამაკაცია, სიცოცხლის ხალისით აღსავსე, შინაგანად მგზნებარე, პოეტურ სარბიელზე საპაექროდ მზადმყოფი... „ვაპირებ ცხოვრებას!“ – ეს იმის განაცხადია, რომ პოეტის შემოქმედებითი მახვილი ჯერაც მჭრელია, მაგრამ ამავე დროს ეს სიტყვები იმასაც ნიშნავს, რომ პოეტის სიცოცხლე მის ნაწერებში მაშინაც გაგრძელდება, როცა ჩვენ ყველას ამათ შორის ჩვენი სამმოს წევრებს ჭიქა ღვინით მოგვიხსენიებენ... ამ გააზრებაში თავისთავად დევს სიცოცხლის დიდი სიყვარული, დევს ის აზრიც, რომ პოეზია სიცოცხლეა, ჭეშმარიტი პოეტი კი ვერასოდეს შეელევა იმას, რისთვისაც არსებობს – პოეზიას.

ბატონი მიშა ცისკრელია! ეს არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ იგი „ცისკარში“ ხშირად იბეჭდება. ზოგიერთი პოეტი სამუდამოდ ჩაჭედილა თავისი თაობის პოეტურ სივრცეში, როგორც შუშის ყუთში, რომლის უკანა კედელს გამჭვირვალება აკლია. ამიტომ ისინი ვერ ამჩნევენ მომდევნო თაობების ნაღვაწს. ბატონი მიშა თავისუფალია ამგვარი შეზღუდულობისაგან. იგი თავს კარგად გრძნობს უფრო ახალგაზრდულ გარემოცვაში და, თუ სადმე ჭეშმარიტ ტალანტს წააწყდება, სოლიდარობასა და სიყვარულს უცხადებს მას. საკუთარი ნაღვაწიც ამ პოეტური სივრცის ნაწილად მიაჩნია და, ბუნებრივია, მირითადად იგი ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე წარმოჩნდება.

ბატონო მიშა! გილოცავთ კაცური 75-ის შესრულებას. დაე, არ განელებოდეთ სტრიქონთან ჭიდილის, მეგობრობისა და ურთიერთთანალმობის მაღალი გრძნობა... დიდხანს იყავით, ბატონო მიშა, ჩვენთან ერთად, ჩვენს „ცისკარში“!







ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნუნუკა გურალია



* * *

ძვირფასო, იცი, რომ შემოდგომას
გაასვენებენ მალე ქარები,
დადგება ისევ ცივი ზამთარი,
უიმედობის რეკენ ზარები?!

გაძარცულ ხეებს როცა ვუყურებ,
ცრემლით მევსება უმალ თვალები,
ძვირფასო, იცი, რომ შემოდგომას
გაასვენებენ მალე ქარები?!

* * *

სიჩუმეს ვერ უძლებს გული,
ფიქრებს მიაქროლებს ღამე,
ვიცი, სიმარტოვე მომკლავს,
ისევ დამიმონა ღამემ.

ჩუმ[illegible] გაპარულან გზები,
ჩუმად გაპარულა მთვარე.
ვიცი, სიმარტოვე მომკლავს,
ვიცი, კვლავაც მოვა ღამე...

## ბაბუაწვერები

ბაბუაწვერები,
ბაბუაწვერები
ქათქათა ფრთებით და
ქათქათა წვერებით,
რაც უნდა ვეფერო
და ვკრიფო ფერები –
ზეცისკენ მიქრიან
ბაბუაწვერები
ქათქათა ფრთებით და
ქათქათა წვერებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკო სამადაშვილი

## გაყრა

იცოდეს ღმერთმა, იცოდეს ზეცამ,
სულ არ ვნატრობდი ხალხის ფერებას.
მჯერა და ვიცი, კუბოს ფიცრამდე,
მე შორს დავრჩები ბედნიერებას.

და, როცა სადმე ჩაფიქრდე ჩუმად,
იქ, სადაც ხშირად ვისხედით ორნი,
მწამს, რომ ფანჯრებთან იელვებს უცბად
ჩემი ოცნება, ვით ბახტრიონი.

ეს ბედი ჰგავდა გზად მოკლულ ქედანს,
გზა გულის ქოხში მითენებია,
მე წავალ, მხოლოდ, ო, ვუთხრათ დედას,
მიკითხოს, სადაც ფრინველებია.

## ლეოს * წერილი

სიფრიფანა ქაღალდის ნაგლეჯს ეწერა: ბიჭო,
როგორა ცხოვრობ, ხმა გამეცი, გამაგებინე?
ვინ იცის, კიდევ წუთისოფლის გაღმა ჭორაობ,
და ბნელ სარდაფში იხსნი ხოლმე საკინძის ღილებს.

ძმაო, ეგ დარდი ჩაგიწყალებს თვალების გუგებს,
ნულარ იხრუკავ ისეც დამწვარ სახის ზედაპირს,
თორემ იცოდე, ხალხს დარჩები გაუგებარი,
ჩამორჩენილი საუკუნის თვალუწვდენ ნახირს.

საყდრის ნანგრევთან იბლავლებენ შენი ლოცვები,
შენ შესანდობარს მათხოვრები ღრეჭით დალევენ,
ჩაგაძაღლებენ ალბათ, სადმე, ხრიოკ ბორცვებთან,
ლექსის ფარაონს ჯიბგირობას დაგაბრალებენ.

რა ღვთის წყრომაა, ბალდახინებს წინ რომ მიუძღვი,
სულ წირპლიანი დიაცივით რო იცრემლები.
ხმა ჩაიწყვიტე, ნუთუ დარდით ველარ გაძეხი,
თორემ იცოდე, საცოდავად დაიფერფლები.

---

იოჰბროცცნ ძიბოცწცბბ ძიტცონ – იცეცნიტბოძ ოცე *

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გამიშვით



გამიშვი, ქარო, იწამე ღმერთი,
მე შუაღამის მძევალი მქვია,
ხედავ, მკვდარ პოეტს რა დამემართა
და შუაღამემ სად დამითრია.
დღეს ჩემს სხეულში სუნთქვა გაქვავდა...
ძვლებზე ლექსების სარეცხი მოჩანს,
თან აფრიალებს ჩემ ლექსებს ქარი,
განთიადამდე, ნეტავ, ვინ მომკლავს.
გუნდის ხეები მომდევენ უკან,
ანთებულ სანთლებს აქრობენ გზებზე.
ბინაში კარებს აკაკუნებენ,
ღმერთო, სიცოცხლე რად მომაბეზრე.
რად დავიღუპე საქართველოში,
წყეული იყავ, დედავ ცოდვილო,
რად გამაჩინე ამ სამრეველოში,
რა მქონდა ქვეყნად სამოციქულო.
მეყასბედ სჯობდა, რომ ვგდებულიყავ,
ანდა მეარღნედ ოჩას დუქანში.
მე გრიგალების მძევლად ვიყავი
და ლექსს მაჭრიდნენ ტანზე დუქარდით.
კარს ნუ აწვები, ქარო ტიალო.
გამიშვი გარეთ, ნუ დამატყვევებ,
ქარიშხალია, გზებზე ტრიალებს
და ღრიანცელი გაუდით ტყეებს.

## წიწამური

მინდა, დავეცე შენს საფლავთან საკინძგახსნილი,
ტუჩებით ვწოვო შენი ლექსის ფესვი და ძირი.
წიწამურს წავალ სალოცავად, ჩემო ილია,
და დავბრუნდები შეშლილივით, ვით შენი მწირი.

შენი სიმღერა ჩვენი მთების სალამურია,
შენი ფიქრები საქართველოს ჩუქურთმებია,
ჩვენი გოლგოთა ეგ ტიალი წიწამურია,
ჩემო სამშობლოვ, რა ბაჯაღლო წაურთმევიათ!

უმანკო სისხლი მაღალ ხეებს აუწოვიათ
და მყის შეყრიათ შენი სევდა, ჩემო ილია,
რო შეგსწრებოდი, ო, პოეტო ალბათ, ჩემ საწერს
დამიბეჭდავდი და მეტყოდი, - ბიჭო, მადლია.

ახლა კი მარტო მომაქვს შენთან ჩემი ცრემლები,
შენმა სამარემ შემიფაროს, ახლა მწყურიან.
ჩემო მგოსანო, რომ ცოცხლობდე, შეგებრალები,
ჩემი ცხოვრებაც წამებული წიწამურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თებერვალი და მოგონება

ერეკლე ტატიშვილს

გავაღებ ფანჯარას - ქარი ზუზუნებს,
ღავხურავ ფანჯარას - გული მიკვდება.
მოგონებების გაუვალ ზვინებს
თვალების მზერა რას მოაკლდება

ჩემი ლექსები ჩამოვლენ შენთან
და შენს კუბოში იფართხალებენ.
ხან ერთს ლაიჭერ და ხან მეორეს
იცნობ დაღუპულ პოეტის ალერსს,
გარეთ დარჩენილ კეთილ მეგობრებს
და კვლავ მილულავ საყვარელ თვალებს,

ო, რა ულრანი გზებით იარე,
ვეებერთელა შარა გამოვლე.
ქამმა წაიღო შენი სიმღერა,
შენ საუკუნის კინცხზედ ითოვლე.
ცა იყო თეთრი და უხილავი,
ო, ისე, როგორც სტირის ქარბუქი.
ლაქვარდი, ლურჯი, ჯერ მოუხნავი,
და გრიგალებში ოთახის შუქი.
იქ წმინდანები ღლესაც მოდიან,
სადაც წირვებში ცრემლი ილევენთე
შენ რომ წახვედი, ასე მგონია,
მთელი ქვეყანა თან გაიხვეტე.
შეხედე, როგორ დაცარიელდა
ქუჩა, მინდორი, სივრცეთა კიდე
და შენი ბინა - ნაცემი ელდა -
ხალხს ემალება და ხავსს იკიდებს.

## ლე... და სიმ...*

სიყრმის კარგ დღეებს როგორ დავშორდით,
რა ყვავილნარი დარჩათ რიჟრაჟებს!
ხან მოგონებით დავშოშმინდები,
ხან კი ზედარუ გამაჟრიალებს.

ხან ზარის ხმაზე ვეძებ გვირილებს,
როგორც დაფანტულ სიმღერებს ველად,
ხან ჩემი ბედი - მწუხრის დილეგი,
თვალის გუგებში ჩუმად მიელავს.

გახსოვთ, სისხამზე სიზმრებს რო ვრგავდით,
ძუძუს რო ვწოვდით ცისფერ აისებს?..
ჩვენ ხომ გაფრენილ ბეღურებს ვგავდით
და ტოროლებით დახუნძლულ ნისლებს.

* ლეო ხარატიშვილი, სიმონ გონგლიაშვილი: ბავშვობის მეგობრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიქრებს იქით

ვიცი, სულ მალე დავილუპები,
ღმერთი ამ ამბავს რას გაიკვირვებს,
კუბოში ავდრით გავიწუწები
და სულ არავინ არ დამიტირებს.

მიწას ნიჩბებით გადმომაყრიან,
ხალხი წუწუნით წავა შინისკენ,
ქრისტე ჩემს ახლო დაიწყებს ყიალს
და ზარს დარეკენ სივრცეებისკენ.

ზეცა ზედიზედ ჩამობნელდება
და დაანთებენ სანთლებს საყდართან.
ყურებს სიმღერა გამონელდება,
გულიც ჩაქრება ქარში თანდათან.

ლოდზედ იხარებს ავდრების წუმპე,
ჩემი წარწერა ბილწი, უგონო,
მგზავრო, თუ გწამდეს ღმერთი მეუფე,
წადი, შენდობა არ გამაგონო.

* * *

ეკალი ირწევა,
ეხება ყვავილნარს,
საღამო იწყება,
უკრავენ დაირას.
დაისი მთებს იქით
მერცხლებით ივსება.
ჩუმი ქვითინი
დაიწყეს იებმა.
ღობეში ციმციმებს
ციცინათელა,
თან ალი ლოცულობს -
წისქვილის პეპელა.
ზმუიან ბაგაში
მოზვრები ჭრელ-ჭრელი
და იავნანაში
მშვიდდება ტყე-ველი.
ღამურებს საბძელთან
ძაღლები აფრთხობენ.
დიდების სარეცელთან
ბევრ ზღაპრებს ამბობენ.
იძინებს სოფელი,
ძაღლები ყეფავენ
ხან სახლს, ხან ბოსელს
ურდულით კეტავენ
და მოსულ ვარსკვლავებს
ქარები კრეფავენ.



# მაქს ჟაკობი

## აბსტრაქტული სამოთხე

ხეებს ჩრდილები დაუკარგავთ, ისე ვითომდაც ტოტებქვეშ იყოს მზე შეყუჟული, აღარ სჭირდებათ ფოთლებიც კი, სრულყოფილები ყოფილან ისე... და ცხოველებიც სრულქმნილები გახლავთ იმდენად, რომ აღარა აქვთ ბეწვი და ბრჭყალი. აქ ეს ვიხილე და გავიგონე. კაცთა შორის უპირველესნი დავინახე, მიამიტებად გადაქცეულნი, როგორ ბაძავენ ვიღაც უჩინარს, რადგან საქმე აქ არაფერია. ახლა ისინი თამაშობენ მკერაობანას, მოლარეებს, ტორეადორებს, ლომბარდობანას. დედაკაცები ხეირნობენ დედიშობილა.

„ჩემო ძვირფასო, ძაფი მსურს გავჭრა, გადმომაწოდე ეგ მაკრატელი" - წარმოთქვამს ქალი ქერა თუ თეთრი, მთლად ტიტლიკანა... და იცინიან ჩვილის სიცილით ეს ასწლოვანი, ყოვლისმცოდნე ქალბატონები.

„თქვენი პატარა ვინ გამოვა, როცა გახდება ასი წლისა?

– ო, ითამაშებს პრეფექტის მრჩეველს, ვიდრე მიაღწევს სრულწლოვანებას, მოგვიანებით კი უკვე შეძლებს სახელმწიფოს მრჩევლის თამაშსაც".

# პოლ ელუარი

## აგურის ქალი

ჯერაც ყმაწვილმა ღია მკლავებით ჩავიხუტე უმანკოება. ეს ძლიერ ჰგავდა ფრთების გაშლას, მარადისობის ცამდე აფრენას, შეყვარებული გულის ძგერას დაპყრობილ მკერდში. ძირს დაშვება კი აღარ შემეძლო.

ვეტრფი სიყვარულს. დიდმა სინათლემ თვალები მომჭრა. მას ვუფრთხილდები, რომ შემეძლოს ვუცქირო ღამეს, მთელ ღამეს, უამრავ ღამეს.

ყველა ქალწული სხვადასხვა არის, მე კი ყოველთვის ვოცნებობ ერთზე.

სკოლაში იგი შავი წინსაფრით ზის წინა მერხზე და როცა ჩემსკენ შემობრუნდება, რომ ამოცანის პასუხი მკითხოს, მისი თვალების უბიწოება მაკრთობს იმდენად, რომ თანაგრძნობის ნიშნად უცილოდ, ის მკლავებს გაშლის და ყელზე მომხვევს.

სხვაგან კი... მტოვებს. ის ადის გემზე. თითქმის უცხო ვართ ერთმანეთისთვის, მაგრამ სინორჩე ყოვლის შემძლეა და არ მაცბუნებს მისი ამბორი.

ან კიდევ: იგი შეუძლოდ არის. მის ხელს ჩემს ხელში უპოვია თავშესაფარი თვით სიკვდილამდე... მანამდე, ვიდრე გამეღვიძება.

მით უფრო ვჩქარობ მასთან შეხვედრას, რაოდენ ვშიშობ, რომ სანამ მივალ, სხვა ფიქრებმა არ მომტაცონ იგი.

ერთხელ, სამყარო ლამის დამთავრდა. ჩვენ არ ვუწყოდით, რადგან გვიყვარდა...

მან თავის ნელი მოძრაობით მოძებნა ჩემი ტუჩები. მივხვდი, ეს ღამე სინათლით სჯობდა შუადღის მზესაც.

მუდამ ასეა ეს ჰარმონია, ისევ ისეთი სიყმაწვილე, სიწმინდე თვალთა, უმანკო, ნაზი მოძრაობა, მკლავების ჩუმი მოხვევა ყელზე, იგივ ალერსი, იგივ ზმანება...

მაგრამ ქალწული არასოდეს არის იგივე. ბანქოში მითხრეს, მას ისევ ვნახავ და ვერც კი ვიცნობ.

ვეტრფი სიყვარულს...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვერ დავიჯერებ
შენზე უკეთ მიცნობდეს ვინმე.

შენმა თვალებმა, რომლის სიღრმეში
გვძინავს ორთავეს,
ჩემს არსებაში ქვეყნად გაჩენილ
მამაკაცთაგან
საუკეთესო გამოანათა.

შენმა თვალებმა, რომლის სივრცეთა ვარ
მოგზაური,
მასწავლეს, ქვეყნად როგორ ვიარო,
შენმა თვალებმა მომწყვიტეს მიწას.

ხოლო ისინი, ვინც ჩაგვძახოდა
- ჩვენს მარტოობას არა აქვს ბოლლო,
უკვე გამქრალან შენს თვალებიდან.

ნუ დაიჯერებ,
ჩემზე ეტად გიცნობდეს ვინმე.

# რობერ დესნოსი

## იმდენჯერ გინატრე

იმდენჯერ გინატრე, შემოგეცალა საბურველი ხელშესახები, თუმცა ჯერ კიდევ შემიძლია, მივწვდე შენს სხეულს სიცოცხლით მღუანს და დავეწაფო მაგ ტუჩებზე უძვირფასესი ხმის ლაბადებას.

იმდენჯერ გინატრე, რომ ეს აჩრდილი, მკერდზე ჯვარცმული, შენს ჩახუტებას დაჩვეული ჩემი მკლავებით, კარგავს კონტურებს შენი ტანისას.

ო, ხორცშესხმული ხატის წინაშე, ვისი აჩრდილიც მრავალი დღე და მრავალი წელი დამატარებს თავის ნებაზე, უეჭველია, მეც აჩრდილად გადავიქცევი.

ჰოი, გრძნობების აწონ-დაწონავ!

იმდენჯერ გინატრე, რომ უდაოა, დრო აღარ დამრჩა გამოფხიზლების. ფეხზე მდგომსაც კი მძინავს უგონოდ. ო, სხეულს შენსას, სიცოცხლისა და სიყვარულის ამ სრულყოფილ გამოვლინებას, შენ, ვინც ამჟამად ერთადერთი ხარ საჩემოდ ქმნილი, შენს შუბლს და ბაგეს შევეხებოდი უფრო ნაკლებად, ვიდრე ბაგეებს ცხოვრებაში პირველად განცდილს.

იმდენჯერ გინატრე, შენს აჩრდილთან ვიხეტიალე, ვიჩურჩულე და გავათენე, რომ იგი, ალბათ, აღარც შემომრჩა, თუმცა დარჩება მაინც ფანტომად ფანტომთა შორის, ათასჯერ უფრო ბუნდოვანი ყველა აჩრდილზე, ვინც მხიარულად დასეირნობს და ისეირნებს შენი ცხოვრების მზიან საათზე.

# ფრანსის კარკო

## წვიმს

წვიმს გამეტებით... საუცხოოდ... მე შენ მიყვარხარ,
დავრჩებით სახლში ორთავენი, ვიქნებით ერთად,
ქვეყნად არავინ მოგვწონს ახლა ერთურთის გარდა,
როცა დამთავრდა შემოდგომა და დრო გაჩერდა.

წვიმს გამეტებით... და ტაქსები მიდი-მოდიან.
და სველ ასფალტზე ტრიალებენ ავტობუსები,
ხოლო სენაზე ბუქსირები, თითქოს ომია,
ისე ღმუიან, დააყრუონ ღამის ყურები.

წვიმს გამეტებით... საუცხოოდ... ვუსმენ ამ გამას,
წვეთი წვეთს მოსდევს, გაუმართავი თითქოს დავლური,
შენ იღიმები, გეფერები ნაზსა და თამამს,
ახლა შვებაა ორივესთვის წვიმის ხმაური.

როგორ მიყვარხარ! წვიმა თითქოს ოხრავს და კვნესის,
გამოთხოვებას დაემსგავსა მოთქმა წვეთების,
შენ მალე წახვალ - საყვედური უთქმელად გესმის,
წვიმს შენს თვალებში საოცარი თავგამეტებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ანრი მიშო

## მხოლოდ ქმედება, შენსკენ მოვდივარ

ვუბიძგე შენში შესასვლელ კარებს და შემოვედი...
მხოლოდ ქმედება, შენსკენ მოვდივარ.
მე აქ ვარ უკვე,
რომ მოგიფრთხილდე.
აღარ ხარ მარტო,
თავს გასაჭირშიც უკვე აღარ გრძნობ...
და წყდება ჯაჭვი, ძირს ცვივა შენი ყველა ბორკილი,
იგი კოშმარი, ასე ნაგვემმა რომ დატოვე,
აღარ არსებობს.
შენ მე მეყრდნობი
და ჩემთან ერთად დგამ პირველ ნაბიჯს საფეხურებზე
უსასრულოდ აღმავალ კიბის,
რაიც გატარებს,
რასაც აჰყავხარ სულ უფრო მაღლა,
რითაც თანდათან ხდები სრულქმნილი.

მე შენ გამშვიდებ,
შენს სულს ბალავრად ვუგებ სიმტკიცეს.
შენში რომ ჩაქრა ოცნება ბავშვის, მასაც გიბრუნებ.
ზღვის მოქცევა!
ზღვის მოქცევა გადაუვლის პალმებს ასვეტილს,
შეშინებულ ლანდების რკალზე,
ზღვის მოქცევა გადაუვლის თოვლის სიფითრეს,
ზღვის მოქცევა გადაუვლის მზქუტავ კერიას...
...და ძველი ცეცხლიც ისევ გიგიზებს.
მხოლოდ ქმედება! შენსკენ მოვდივარ.
და სანეტარო შენთვის ფიქრები უკვე ცხადდება,
ავი ფიქრი კი, ადრე რომ გძლევდა, უძლური გახდა.
ჩემმა ძალღონემ შენს სხეულში დაისადგურა
ფრთხილად, თანდათან...
და შენს სახეზე წაიშალა სევდის ნაოჭი,
გაჩნდა სიცოცხლე.
ავადმყოფობამ გზა დაკარგა შენსკენ მავალი,
ციებ-ცხელებამ გადაიარა.
სიმშვიდე ციურ სივრცეთა,
სიმშვიდე ველთა აყვავებულთა,
სიმშვიდე ისევ ივანებს შენში.

მრავალთა ნაცვლად, ვინც ჩაგიარა ასე გულგრილად,
მე გეშველები.
რაც გაწუხებდა, კვამლივით ქრება ტვირთით
დაღლილი შენი მხრებიდან.
შემოსეული ირგვლივ ავგულნი - შენი სისუსტის
გესლიანი მოთვალთვალენი,
ველარ გხედავენ,
აღარ არიან.

მზად ვარ გიშველო
და დავაჩინო შენს სულს ღრმა კვალი,
ისეთი მკვეთრი და იდუმალი,
როგორსაც ტოვებს წყალქვეშა ნავი,
კიდევ სიმღერა მრავლისმეტყველი.
მოვდივარ!
სიმღერა იგი აღგაფრთოვანებს,
სიმღერით ამით შენ წამოდგები,
ამ სიმღერისთვის სული ჩაუდგამს მრავალ ნაკადულს,
სიმღერა იგი გაქღენთილია უკვე დამცხრალი ნიაგარათი,
სიმღერა იგი შენია მხოლოდ...
ამიერიდან გაქრება ტანჯვა,
გაქრება ყველა შავი აჩრდილი,
გაქრება შიში -
აქ არ იქნება მათი კვალი,
აქ არ იქნება მათი ნიშანიც.
რაც იყო მძიმე, გახდა იოლი,
რაც გზას გიბნევდა, ახლა გვაერთებს,
სად მოწამლული დიოდა სისხლი,
ახლა საღი ჩქეფს,
სად ჩაკეტილი იყო სამყარო,
ახლა უსაზღვრო ოკეანემ გაგილო გული,
შენი სიმძიმის უთვალავი მებარგულეც
ახლა გამოჩნდა...
შენ მთლიანი ხარ და უვნებელი,
ვითარცა კვერცხი გამოთლილი სპილოს ძვლისაგან.

ფრანგულიდან თარგმნა:
*მარინე მითაიშვილმა*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ხუან რულფო

## ყური მიუგდე, არ ყეფენ ძაღლები?

### წინათქმა

*უცნაურია სახელგანთქმული მექსიკელი მწერლის, ხუან რულფოს (1918-1986 წ.წ.) ლიტერატურული ბედი. 1953 წელს მოთხრობების კრებული - „ცეცხლში გახვეული ველი“ გამოსცა, ორი წლის შემდეგ - მოკლე, მაგრამ გაუგონარი ოსტატობით დაწერილი რომანი - „პედრო პარამო“ (რომელიც ქართულადაც თარგმნა ელზა ახვლედიანმა) ეს იყო და ეს, თუმცა ამ ორ წიგნზე შექმნილმა ლიტერატურულ-კრიტიკულმა წერილებმა და გამოკვლევებმა გაცილებით გადააჭარბა ამ წიგნების ზომებს. ორივე მათგანი ავტორის სამშობლოში და მთელ სამხრეთ ამერიკაში გამოცემას გამოცემაზე უძლებს, თარგმნილია მრავალ ენაზე და საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა.*

*აქ წარმოდგენილი მოთხრობა თავისი შესრულების ოსტატობით ლამის ქრესტომათიულია. ავტორი სულ რამდენიმე მონასმით ხატავს მთვარიან ღამეს და მთის ბილიკს, რომელზეც წელში გადრეკილი მოხუცი საათობით მიაბიჯებს, ზურგზე დაჭრილი შვილი ჰკიდია, ხან ხმამაღლა ელაპარაკება, ხანაც ფიქრში და ისიც მოკლედ ეპასუხება, სანამ სულ არ მიჩუმდება. მამის მონოლოგიდან შევიტყობთ, რომ იგნასიო ავაზაკად ქცეულა და ბევრი ადამიანი დაუღუპავს. ამ ვაგლახ ამბავს მამის ხასიათიც გაუორებია - თავისი პირმშო თითქოს ვერ აუტანია, მაგრამ არცა იმის ძალა შესწევს, რომ მიატოვოს; ამიტომაც დასახლება ტონაიამდე უნდა მიაღწიოს როგორმე, სადაც დაჭრილს გადაუდებელ დახმარებას აღმოუჩენენ. მოხუცი გლეხის თავს იგნასიოს დაკრუნჩხული ხელები შემოჭდობია. მხოლოდ იმას ხედავს, რაც მის თვალწინ არის და არც არაფერი ესმის. და ბოლოს, ტონაიაში რომ შევა და თავის მძიმე ტვირთს მიწაზე დაუშვებს, ყოველი მხრიდან შ[illegible]ესმება ძაღლების ყეფა, რომელზეც დაწვრილებით გამოჰკითხავდა ხოლმე შვილს გზაში...*

*აქ მთავრდება მოთხრობა და სახტად დარჩენილ მკითხველს ვეღარ გაუგია: რა ეცემოდა მოხუცს თავზე - სისხლის წვეთები თუ სინანულის ცრემლები? მართლა არ ესმოდა შვილს ძაღლების ყეფა თუ სიჯიუტით დუმდა? ბოლოს და ბოლოს, რა მიასვენა ტონაიაში მამამ - ჯერ კიდევ ცოცხალი იგნასიო თუ მისი უსულო გვამი?*

*ავტორი შეგნებულად გამოტოვებს ამ ცნობისმოყვარეობით აწრიალებული კითხვების პასუხებს, იმიტომ კი არა, რომ უფრო დააინტერესოს მკითხველი ან შეაშინოს, არამედ იმიტომ, რომ მისი ყურადღება იქით წარმართოს, რისთვისაც დაიწერა ეს მოთხრობა - უფროსი და უმცროსი თაობის ადამიანების შინაგანი კონფლიქტისკენ, სისხლით რომ არიან დაკავშირებულნი ერთიმეორესთან და ცხოვრების წაღმართ-უკუღმართი ჩარხის ტრიალს განსხვავებული როლების შესრულება დაუკისრებია მათთვის.*

*ამ კონფლიქტის არსი კი, როგორც უნდა უპასუხოს მწერალმა ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებს, არ შეიცვლება.*

* * *

– იგნასიო, მანდედან ადვილად შენიშნავ, იქნებ საიდანმე სინათლე მოჩანს ან ხალხი ხომ არ არის ახლოს?

– არა, არაფერი ჩანს.

– უკვე უნდა მივსულიყავით.

– ჰო, მაგრამ არაფერი მესმის.

– გაიხედ-გამოიხედე! არა, სახლები არ ჩანს.

– ჭაკად არის შენი საქმე, იგნასიო.

ორი ადამიანის გრძელი, შავი ჩრდილი ღელის ნაპირზე მიღოღავდა, მაღლა იწევდა, დაბლა ჩადიოდა, კლდეებზე მიცოცავდა, ხან მოკლდებოდა, ხანაც გრძელდებოდა. ორი კაცი იყო. ჩრდილი კი ერთი – მობორძიკე და აბარბაცებული.

ქვეყნიერების დასალიერიდან ცეცხლის ენა გამოყო მთვარემ.

– უკვე განაპირა სახლებამდე უნდა მივეღწია. იგნასიო, შენ თავისუფლად გაიგონებ, ყური მიუგდე, არ ყეფენ ძაღლები? თუ გახსოვს, გვითხრეს, ტონაია იქვე, ტყესთან არისო.

არადა, რა ხანია, ტყე დამთავრდა. ხომ მართალს ვამბობ, იგნასიო?

- ჰო, მაგრამ სახლები არ ჩანს.

- ცოტა დავიღალე კიდეც.

- ჩამომსვი.

მოხუცმა უკან დაიხია და ტვირთის მხრებიდან მოუხსნელად მაღალ ქვას მიეყრდნო. ისეთი ქანცგაწყვეტილი იყო, ფეხები ეკეცებოდა, მაგრამ ჩამოჯდომისა ეშინოდა, იცოდა, სხვის დაუხმარებლად ვეღარ ასწევდა შვილს. გზას რომ დაადგნენ რამდენიმე საათის წინ, იგნასიოს მისუსტებული სხეულის ზურგზე მოკიდება ხალხმა უშველა. იქიდან მოყოლებული ასე მოჰყავდა.

- როგორა ხარ?

- ცუდად.

იგი ძუნწად, რამდენიმე სიტყვით პასუხობდა კითხვებზე. მამას ეჩვენებოდა: იგნასიო დროდადრო იძინებს; მაგრამ მერე ისევ დაეწყო ციებ-ცხელება და მოხუცი ყოველი კუნთით გრძნობდა ახალგაზრდა სხეულის ამათრთოლებელ კანკალს. იგნასიოს ქუსლები მუცელზე დეზებივით ურტყამდა ორთავე მხრიდან, კისერზე შემოსალტული ხელები სიარულისას ადი-ჩადიოდა და მამის თავი ისე იგრიხებოდა და ცახცახებდა, როგორც დაირა მოცეკვავის ხელში.

მოხუცმა კბილს კბილი დააჭირა, ენაზე რომ არ ეკბინა უნებლიეთ და, როცა შეტევამ გაუარა, კვლავ ჰკითხა:

- ძალიან გტკივა?

- ცოტათი, - დაუდასტურა იგნასიომ.

თავიდან სულ ემუდარებოდა: „ჩამომსვი... აქ დამტოვე... უჩემოდ წადი. მომეშვება და დაგეწევი. ხვალ. ან ზეგ". ერთი ასჯერ მაინც გაიმეორა ეს თხოვნა. ახლა ამასაც თავი დაანება.

მთვარე ყველგან ანათებდა. პირდაპირ იმისკენ მიდიოდნენ. ვეება, მეწამული ღამის დიდმანათობელი დამაბრმავებლად უკაშკაშებდათ თვალებში, ხოლო ზურგსუკან კვლავაც გრძელი და შავი ჩრდილი იწელებოდა.

- საით მივდივარ, ვერა ვხედავ, - წარმოთქვა მოხუცმა.

შვილმა არ უპასუხა.

მამის ზურგზე ეკიდა, ერთიანად განათებული მთვარის შუქით, და, როცა მოხუცი ზევით იხედებოდა, იმის მზერაში იგნასიოს მკრთალი, ფერწასული სახე რაღაც მღვრიე, მოთეთრო ლაქად ილანდებოდა. მეტს ვერაფერს ხედავდა მოხუცი ქვემოდან.

- იგნასიო, არ გესმის? გეუბნები, ცუდად გხედავ-მეთქი.

შვილი დუმდა.

მამა მიაბიჯებდა, ფეხი ერეოდა. ლამის წაქცეულიყო. ძლივს იდგა, იმართებოდა, რამდენადაც შეეძლო; რამდენიმე ნაბიჯის მერე ისევ ბორძიკობდა.

- უეჭველად გზას ავცდით, აქ სულ ღრანტეა. გაიძახოდნენ, ტონაია იქვეა, მთაზე რომ გადახვალო. რა ხანია, მთა გადმოვიარეთ, რა ტონაია, რის ტონაია. არც არაფერი ეტყობა, სადმე ახლოს რომ იყოს - ძაღლის ყეფასაც ვერ გაიგებ. იქნებ მანდედან ხედავ რამეს, ჰა? იგნასიო, ხმა ამოიღე.

- ჩამომსვი, მამა.

- ცუდადა ხარ?

- კი.

- მოითმინე, როგორმე მიგიყვან ტონაიამდე. იქ მოგარჩენენ. იმათ, როგორც ამბობდნენ, ექიმი ჰყოლიათ. იმასთან მიგიყვან. ამდენი გატარო, გატარო და ახლა მიგატოვო? რომ მოგივარდნენ და გაგათავონ?

შებორძიკდა, გვერდზე გადაქანდა, მაგრამ ორი-სამი ნაბიჯის შემდეგ გაიმართა და გზა განაგრძო.

მაინც მიგიყვან ტონაიამდე.

- ჩამომსვი-მეთქი, - შვილს ხმა მიუსუსტდა, თითქოს დაიჩურჩულა, - ცოტა მაინც დამასვენა, ნეტავი დამაწვინა.

- მანდ დაიძინე. ნუ გეშინია, მაგრად დაგიჭერ.

გაცისფრებული მთვარე მაღლა-მაღლა მიიწევდა მოწმენდილ ცაზე. მოხუცს მისი ნათელი ელვრებოდა და თვალებს ახუჭვინებდა, წინ ვეღარ იცქირებოდა. თავს ვერ ხრიდა ქვემოთ - ნიკაპზე შემოჭდობილი შვილის ხელები ამის საშუალებას არ აძლევდა.

„ამას შენი გულისთვის არ ვაკეთებ, შვილო, არამედ განსვენებული დედაშენისთვის. იმიტომ, რომ მისი შვილიც იყავი. აი, ამიტომ. იქ რომ დამეტოვებინე, სადაც გიპოვე, ის ჩათვლიდა, რომ დამნაშავე ვარ მის წინაშე. ჰოდა, აგიყვანე უმწეოდ მიწაზე მიგდებული, ზურგზე მოგიკიდე და ტონაიაში მიგათრევ, სადაც გიმველიან. შენ კი არა, დედაშენი მაძლევს ძალას. შენგან მარტო სიმწარე ვნახე, მხოლოდ სირცხვილი და თავის მოჭრა".

ლაპარაკობდა და ოფლის მსხვილი წვეთები ასხდებოდა სახეზე. ღამის ნიავი უშრობდა, თუმცა უმალ ახალი წვეთები მოჟონავდა.

„... წელში გავწყდები და მაინც მიგათრევ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტონაიამდე, იქ კი ჭრილობებს მოგიშუშებენ. გამოჯანმრთელდები და, დარწმუნებული ვარ, ძველ საქმეს დაუბრუნდები. რა მნიშვნელობა აქვს. ჩემთვის სულ ერთია. ოღონდ კი სამუდამოდ გადაიკარგო აქედან, რომ არაფერი გავიგო შენი უკეთურების შესახებ... ოღონდ არაფერი გამაგონა შენზე... იმიტომ, რომ შენ ჩემთვის შვილი აღარა ხარ. მე დავწყევლე ჩემი სისხლის ყოველი წვეთი, შენს ძარღვებში რომ ჩქეფს. ყველაფერი შევაჩვენე, რაც კი მემკვიდრეობით მიიღე ჩემგან. საუკუნოდ გაშრეს მის სხეულში სისხლი, სიცოცხლესთან ერთად რომ მიმიცია! - აი, ეს ვთქვი მაშინ, როცა შევიტყე, რომ დაძრწი ავაზაკების ხროვასთან ერთად, გზებზე ხალხს ძარცვავ და მერე ხოცავ... წესიერ და პატიოსან ადამიანებს. მაგალითისთვის შორს კი არ წავალ. ნათლია ტრანკლინო. კაცი, რომელმაც სახელი დაგარქვა. არც იმას ასცდა ბოროტი ბედი - შენთან შესახვედრად მოიყვანა. მაშინ საკუთარ თავს ვუთხარი: „მორჩა, ჩემი შვილი აღარ არის..."

-აბა, ერთი, გაიხედე, სახლები ხომ არ გამოჩნდა? რაიმე ხომ არ ისმის; ჩემი ზურგიდან ადვილად დაინახავ და გაიგონებ, მე ყურები დახშული მაქვს.

- ვერა, ვერაფერს ვხედავ.

- უბედურებაში ვარ, იგნასიო, უბედურებაში... შენთან ერთად.

- მწყურია.

- მოითმინე. ახლოს ვართ. ეს ღამეც უბედურებაა. შუქი არსად ბჟუტავს, მაგრამ ძაღლები ხომ უნდა ყეფდნენ. აბა, ყური მიუგდე.

- წყალი...

- წყალი! საიდან მოგიტანო? აქ მხოლოდ ქვები ყრია. გაუძელი. გინდაც იყოს, როგორ უნდა ავილო? მერე ვინღა მომაგდებინებს შენს თავს ზურგზე? მარტო ვერ შევძლებ.

- ძილი მითრევს, ძალა გამომელია... მწყურია...

- მახსოვს, რომ დაიბადე, მაშინაც ასე იყო. გაიღვიძებდი თუ არა, რძეს წოვდი, მოწოვდი და ისევ იძინებდი; სანამ დედაშენი არ მიხვდა და წყლის სმა არ დაგაწყებინა, თორემ მთელ რძეს გამოწოვდი. არ დაგანაყრებდა და ბღაოდი! ხარბი იყავი! ბოროტეული! რას ვიფიქრებდი, რომ დრო დადგებოდა და ეგ ბოროტება თავში შეგიჯდებოდა... ეგრე კი გამოვიდა. დედაშენს, ღმერთმა აცხონოს მისი სული, უნდოდა, მაგარი, ძლიერი გაზრდილიყავი. იმედოვნებდა, სიბერეში მოგვხედავსო. შენღა გვყავდი. მეორე შვილმა მისი სიცოცხლე შეიწირა. მშობიარობისას რომ არ მომკვდარიყო და აქამდე ეცოცხლა, შენ მაინც მოკლავდი.

მუხლები, ფერდებზე რომ უჭერდნენ, უცებ დასუსტდნენ, ფეხები ძონძებივით ჩამოეკიდა. და მოხუცს მოეჩვენა, თავი, რომელიც მის თავს ეყრდნობოდა, თითქოსდა შეირხა, ალბათ, ქვითინისაგან მძიმე და თბილი წვეთები, ცრემლებს რომ ჰგავდნენ, თმას უსველებდა.

- ტირი, იგნასიო?

„ეგ იმიტომ, რომ დედა გაგახსენდა, არა? კარგი რა გაგიკეთებია იმისთვის? ბრიყვულად გვიხდიდი შვილის ვალს. შეიძლება კაცმა იფიქრო, რომ ჩემი და დედაშენის სიყვარულით კი არ ჩაისახე, არამედ შეგქმნა და შენშივე განაყოფიერდა ბოროტება. აბა, ნახე, რას მიაღწიე. მძიმედ ხარ დაჭრილი. სად არიან შენი ძმაბიჭები? ყველა დახოცეს. მაგრამ იმათ არავინ ჰყავდათ. ჰოდა, შეეძლოთ ეტრაბახათ: „ჩვენთვის არავინ დაღვრის ცრემლს!" შენთვის, იგნასიო?"

მან დაინახა ტონაიას განაპირა სახლები. როგორც იქნა! მთვარის ნათელში ბრჭყვიალებდნენ სახურავები.

ნაბიჯებს უკანასკნელი ძალ-ღონის მოკრებით ადგამდა, მუხლები უკანკალებდა; გრძნობდა: კიდევ ორი-სამი ნაბიჯი და თავისი ტვირთის სიმძიმისაგან ჩაიკეცებოდა. პირველ სახლთან რომ მიაღწია, ტროტუარის კიდეს დაეყრდნო და ზურგიდან ჩამოუშვა შვილის მისუსტებული სხეული. იგი ტომარასავით დაეცა მიწაზე.

წვალებით მოიცილა ნიკაპზე შემოჭერილი იგნასიოს თითები, თავი გაითავისუფლა და იმ წუთს ყოველი მხრიდან შეეჯახა მის სმენას ძაღლების ყეფა.

- მაშ, არ გესმოდა, როგორ იყეფებიან, იგნასიო? - ჩაილაპარაკა, - ამ იმედითაც კი არ დამეხმარე.

თარგმნა

*დათო კიკოლაშვილმა*

# გიორგი კანკავა

## „კაცია-ადამიანის?!“ „წინასიტყვაობის“ ტექსტების მხატვრულ ხატთა სისტემა. იდეოლოგია. დათარიღება

როგორც ცნობილია, „კაცია-ადამიანის?!“ „წინასიტყვაობის“ სულ ოთხი ტექსტი არსებობს. ავტორმა „წინასიტყვაობის“ ბოლო ტექსტი აღარ დაურთო მოთხრობას და მოკლე „შესავლით“ შემოიფარგლა. მიუხედავად ამისა, პავლე ინგოროყვა ამ ტექსტებს ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის ინტერესმოკლებულად არ თვლის. მისი აზრით, ისინი ვარიანტებს წარმოადგენენ, ანუ არაარსებითი ცვლილებით არიან ერთმანეთისგან ნაწარმოებნი. „ეს ვარიანტები ეკუთვნიან დროს არა უადრეს 1859 წლისა და არა უგვიანეს 1863 წლის, მაგრამ სახელდობრ რომელ წელს - ეს არა სჩანს. პირველი ორი ვარიანტი დამწერლობისა და ქაღალდის მიხედვით - ერთდროულია; ასევე მესამე და მეოთხე ვარიანტები აგრეთვე ერთ დროს ეკუთვნიან“ (იხ. ილია ჭავჭავაძე, ტომი II, პ. ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქცია, 1926 წელი, გვ. 349). გ. შარაძეს მიხედვით „წინასიტყვა“ „წარმოადგენს რედაქციას (და არა ვარიანტებს, როგორც ეს პ. ინგოროყვას აქვს წარმოდგენილი, იხ. ტომი II 1950 წელი, გვ. 563-74) თავისი 4 ვარიანტით“ (იხ. გ. შარაძე, „შენიშვნები ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზის ქრონოლოგიაზე“, „მნათობი“, 1982 წელი, №11, გვ. 158). გ. შარაძის აზრი ჩვენთვის მთლად გასაგები არ არის, რადგან, ჯერ ერთი, არ არის მითითებული თუ რა ტექსტის რედაქციაა „წინასიტყვაობა“ და თუნდაც იგი რედაქცია იყოს რაიმე ტექსტისა, შემდეგი ნაწილი ფრაზისა „... თავისი 4 ვარიანტით“ აჩვენებს, რომ გ. შარაძეც თვლის, ეს ოთხი ტექსტი ერთმანეთის ვარიანტებია. ამიტომ ჩვენ ჩავთვლით, რომ სადღეისოდ ქართულ მეცნიერებას მიაჩნია, რომ „წინასიტყვაობის“ ტექსტები ვარიანტებია.

ოთხივე ტექსტს ერთი და იგივე, მგზავრის მგზავრობის სიუჟეტი უძევს საფუძვლად. მგზავრი გონების გახსნის მიზნით იწყებს მგზავრობას და „ხავსმოკიდებულ გუბეს“ „ზედ-წააწყდება“. ამ „საძაგელს“, „ერთ ალაგას გაჩერებულ გუბეს“ „ქართველები სამასხარაოდ ცხოვრებას“ ეძახიან. მგზავრი „გუბის“ შეცნობის მიზნით „შიგ შეტოპავს“. აქ მას „გუბის“ ბინადარნი დაეხვევიან. „გუბის“ „ცუდი ოხშივარისგან“ მას დახრჩობის საფრთხე დაემუქრება. იგი საკუთარ თავს მოუწოდებს „განაპირებისკენ“ და ჩვენი „გუბის“ „ნაპირიდან“ „იქაური“ მხარის „დიდებულ“, მაცოცხლებელ ბუნების სურათების ჭვრეტისკენ. ასეთია ოთხივე ტექსტის სიუჟეტის საერთო, ერთნაირი მოტივები. მაგრამ მათ შორის არის თვალშისაცემი განსხვავებანიც და მათზე უფრო წვრილად გაჩერება გვმართ-ებს. ამიტომ გავეცნოთ ჯერ I ტექსტს და მასთან მი-მართებაში განვიხილოთ ის განსხვავებანი, რომ-ლებიც დანარჩენ ტექსტებს ამჩნევია: „სახელი ღვთისა ვახსენე, ავიკიდე ჩემი გუდა ნაბადი და შევუდექი მგზავრობასა. ამბობენ მგზავრობა გონებას უხსნისო. ერთს კარგად მოზრდილს, ხავსმოკიდებულს გუბეს ზედ-წავაწყდი. იმ გუბეს გარშემო მშვენიერად აუყ-დებულიყვნენ დიდებულნი მთანი, მაგრამ ამ მთების დიდებულება არ ისახებოდა იმ გუბეშია: მღვრიე ზე-დაპირი გუბისა ვერ გარდა მოიცემს დიდებულის სა-ხეს, მაგას ანკარა წყალი უნდა. იმ გუბის ახლო-მა-ხლო მეტად ცუდი ოხშივარი იყო მოდებული: კაცს სული შეუგუბდებოდა, გონებას და გულს ობი მოეკიდ-ებოდა, მუხლი წინ წასადგმელად მოცემული, მოეჭრ-ოდა და დაეხუთებოდა“. მგზავრი გუბეში დაინახავს მრავალ ცხოველს, მათ შორის „ორფეხიან მხეცებს“. ამათში „კაცის სახის“ მქონენიც იყვნენ, მაგრამ „ძალ-იან ცოტა“. შემდეგ მგზავრი იგებს, რომ „ქართვე-ლები“ ამ „გუბეს“ „ქვეყნის სამასხარაოდ ცხოვრებას ეძახიან“. მგზავრი „გუბის“ თვისებების შესწავლის მიზნით შიგნით „შეტოპავს“. იქ „პირველშივე საფლ-ობი ლექი“ შეხვდება; დაეხვევიან „ათასნაირი ქვემ-ძრომნი“, „ჭია-ჭუანი“, „ნამეტნავად წურბელა“, და ცდილობენ „უკბინონ“. მაგრამ ტყუილად ირჯებიან, რადგან ამისთვის შესაფერი „კბილი“ არ გააჩნიათ და, მგზავრის სიტყვებით, მათ ყურიც არ ვათხოვეო. „გუბიდან“ ამოსული „სუნი“ მგზავრს სულს შეუგუბებს და დახრჩობის საფრთხე დაემუქრება. თავის გადარჩენისთვის მგზავრი საკუთარ თავს გუბის „ნაპირზე“ გასვლისკენ მოუწოდებს: „გაინაპირე, გაინაპირე, - ვუთხარი ჩემს თავსა, თუმცა - ნაპირზედაც ფრთა ვერ გაიშლება, როგორც რიგია, თუმცა იქაც დამპალს ჰაერში უნდა სული ვიბრუნო, მაგრამ მაინც იქა სჯობია. იქიდამა სჩანს ის დიდებული მთანი, დაუდგრომელის ბუნების ცხოვრების ძალით ღედამიწის გულიდამ აღმოზრდილნი. იქიდამა ჰსჩანს მწვანე მინდვრები და ზედ კვალი კაცური კაცის დაუდგრომელის შრომისა; იქიდამა ჰსჩანს ცხოვრება, სიცოცხლე, აქ არის გახრწნილება და სიკვდილი; აქ მზე ალპობს და აობებს, იქ მზე ათბობს და აცხოვრებს, აქ წყალი ხავსს უკიდებს, იქ აგრილებს და ზრდას ახალისებს. გაინაპირე, გაინაპირე, ჩემო თავო, აქ ყოველივე დგას, იქ ყოველივე, ჩანს, რომ დაუდგრომლად წინ მიიწევს. გაინაპირე, გაინაპირე, ჩემო თავო! თუ იმ დაუდგრომელს წინ ლტოლვაში ჩვენ არ გავერევით, შორიდამ ხილვით მაინც დავსტკბეთ, თვალს წყალი დავალევინოთ, გლეხისა არ იყოს“. თავიდანვე ჩანს, რომ ჩვენი ტექსტი აგებულია მხატვრული ხატების მკვეთრი დაპირისპირების გზით, რომლებიც ღირებულებრივად დაპირისპირებულ განსხვავებულ შინაარსებს აღნიშნავენ და განასახიერებენ. მაგალითად, „ანკარა წყალი“ „გარდამოიცემს“ მთების „დიდებულის სახეს“, ხოლო „მღვრიე“, ცუდოხშივარიანი „გუბე“ კი ვერა“. უძრავი, მღვრიე, მომაკვდინებელი გუბე უკვე დასაწყისშივე ანტითეზურად დაპირისპირებულია „ანკარა წყალთან“ და „დიდებულ მთებთან“. „განაპირების“ ეპიზოდში „გუბე“ კვლავ დაპირისპირებულია „დიდებულ მთებთან“, ოღონდ ამ დაპირის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირებისთვის დამატებულია ახალი ნიშანი: ხაზგასმულია, რომ „გუბე", თავისი მომაკვდინებელი „სიცოცხლის" „ცხოვრების" „დამალპობელი" თვისებებით, „აქაურია", ხოლო „დიდებული მთანი" თავისი „სიცოცხლის", „ზრდის სიხალისის", „დაუდგრომლად წინ ლტოლვის"... ნიშნებით „იქაურია", ჩვენებური არ არის. „განაპირების" ეპიზოდში „გუბის" და „დიდებული მთანის" ხატების დაპირისპირება წარმოდგენილია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშნით: „გუბე" უძრავია, ხოლო „დიდებული მთანის" ხატთან დაკავშირებულია „დაუდგრომლად წინ წაწევის", „დაუდგრომლად წინ ლტოლვის" თვისებები. მკაფიოდ ჩანს, რომ მგზავრს „გუბე" თავისი ბინადრებით (გარდა იმ „ძალიან ცოტა" „ორფეხა მხეცებისა", რომლებსაც „კაცის სახე" ჰქონდათ) არ უყვარს; ხოლო „იქაური" „დიდებული მთანი", „მწვანე მინდვრები", რომლებიც ადამიანის შრომის კვალს ატარებენ, მზე, რომელიც აცოცხლებს, ათბობს... და ა. შ. უყვარს. ამით აშკარავდება, რომ „იქაური" მხარის ბუნების „დიდებული" სურათებით წარმოდგენილი, განსახიერებული შინაარსები, მოვლენები, იდეები ძვირფასია მთხრობელისთვის, ხოლო „გუბითა" და მისი თვისებებით, ბინადრებით წარმოდგენილი „ცხოვრება", სოციალური ჯგუფი, იდეები, მოვლენები კი არა; ისინი, პირიქით, მთხრობელის შეფასებით, დაბალღირებულნი არიან. ამგვარად, ამ ტექსტის მხატვრულ ხატთა სისტემის თავისებურებაა ის, რომ იგი შესდგება ხატებისგან, რომლებიც აღნიშნავენ ღირებულებრივად დაპირისპირებულ შინაარსებს, მოვლენებს, იდეებს, რომელთაგან მთხრობელისთვის ერთნი მაღალღირებულნია, მეორენი - პირიქით, დავაკვირდეთ, ჩვენებური „გუბის" ძირითადი თვისება უძრაობაა. მისგან მომდინარეობს „გუბის" დამღუპველი გავლენა ადამიანზე. ადამიანი აქ წარმოდგენილია ისეთ არსებად, რომლისთვისაც საკუთრივ ადამიანური ნიშნების, გონების, გულის (ემოციური სამყაროს) განვითარება ისეთივე ბუნებრივი მოთხოვნილებაა, როგორც მუხლისთვის „წინ წადგა". „გუბე", ანუ ჩვენი საზოგადოებრივი ყოფიერება, თავისი უძრაობით, „ერთ ადგილას დგომით" „ხუთავს", ამთობს საკუთრივ ადამიანურ მოთხოვნილებებს, „გონებასა და გულს" ობს უკიდებს. ეს დასტყობიათ მის წევრებს. ისინი წარმოდგენილნი არიან, როგორც „ორფეხა მხეცები", „ჭია-ჭუები", „წურბელები" და სხვა, ანუ როგორც მტაცებლური და პარაზიტული თვისებების მქონე არსებები. საპირისპიროდ ამისა, „იქაურ" მწვანე მინდვრებს ადამიანის ნაყოფიერი შრომის კვალი ამჩნევია. მაღალღირებული „დიდებული მთანის" ხატით განსახიერებული შინაარსის, მოვლენების დამახასიათებელი ძირითადი ნიშანი არის „დაუდგრომლად წინ ლტოლვა", „მუხლის წინ წადგმა", „დაუდგრომლად წინ წაწევა", „ზრდის სიხალისე", ანუ განვითარება, მოძრაობა. თუ მოვიძევთ იმ ეპითეტებს, სხვა ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ჩვენი ტექსტის ძირითადი მხატვრული ხატების ნიშან-თვისებებს გვისურათებენ, ვნახავთ, რომ ისინი მკაცრად შერჩეულნი არიან შინაარსობრივი დაპირისპირების პრინციპით: მღვრიე - ანკარა, დახრჩობა - განაპირება, სულისშემხუთველი სუნი - წმინდა, ციაგი ჰაერი, ცხოვრება - გახრწნილება, სიცოცხლე - სიკვდილი, აობებს - აცხოვრებს, ალპობს - ათბობს, ხავსს უკიდებს - ზრდას ახალისებს, - დგას - დაუდგრომლად წინ მიიწევს...

ამგვარად ტექსტის მხატვრულ ხატთა სისტემა აერთიანებს შინაარსობრივად მკვეთრად დაპირისპირებულ ხატებს, რომლებიც განასახიერებენ ღირებულებრივად დაპირისპირებულ შინაარსებს, მოვლენებს. მაშ, მხატვრულ ხატთა სისტემის აგების ძირითადი პრინციპი კონტრასტულობის პრინციპია. იგი მომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ მთხრობელი ღირებულებრივად საპირისპიროდ აფასებს I ტექსტის მნიშვნელოვან შინაარსებს, ტექსტში აღწერილ მოვლენებს, იდეებს; ხოლო ამ ღირებულებრივ კონტრასტულობას ტექსტი მხატვრულად ითვისებს შინაარსობრივი დაპირისპირების პრინციპით შერჩეული მხატვრული ხატებით... ვიდრე შევუდგებოდეთ ძირითადი შინაარსების კვლევას, მივმართოთ ტექსტის ფორმალურ ანალიზს. მხატვრულ ხატთა სისტემის კონტრასტულობის პრინციპი ქმნის ტექსტის ესთეტიკური ზეგავლენის თავისებურებას. ეს განსაზღვრავს, მაგალითად, იმ ფაქტს, რომ „მღვრიე" „გუბეს" ტექსტში უპირისპირდება „ანკარა წყალი". ამას ითხოვს ტექსტის მხატვრულ სრულყოფილებაზე მიმართული ზრუნვა, რათა მკაფიოდ და მეტი სისრულით იყოს ათვისებული მხატვრულ ხატთა სისტემის კონტრასტულობის პრინციპი. სხვა შემთხვევაში მისი ესთეტიკური ზეგავლენის თავისებურება იქნებოდა გამოუკვეთელი, ბუნდოვანი. მეორე წყალი რომ „ანკარაა", ამიტომ „გარდა მოიცემს" მთების „დიდებულ სახეს". ამგვარად, ამ ხატის ფუნქციას I ტექსტში მისი ძირითადი მაღალღირებული შინაარსების აღმნიშვნელი „დიდებული მთანის" ხატის „გარდა მოცემის", არეკვლის ფუნქცია შეადგენს.

შევუდგეთ მხატვრულ ხატთა სისტემის მიერ განსახიერებული შინაარსების, მოვლენების, იდეების კვლევას. ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ „განაპირების" ეპიზოდში ადგილი აქვს თხრობის ტონის სიმაღლის რიტორიკულ ზრდას, თხრობაში დრამატული ელემენტის შემოსვლას. ეს მიიღწევა ისეთი რიტორიკული ფიგურების მოშველიებით, როგორებიც არის, პირველ რიგში, ანტითეზა, ასევე ზუსტი და არაზუსტი განმეორებანი, ტავტოლოგია. თავად ეს დრამატიზაცია თხრობისა გვაჩვენებს, რომ ამ ეპიზოდის შინაარსებს უაღრესი მნიშვნელობა ენიჭებათ ტექსტში. გასაგები ხდება, რომ ბუნების სურათები გველაპარაკებიან მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემატიკაზე. ჩვენი საზოგადოებრივი, პოლიტიკური „ცხოვრება" ჩამორჩენილია, მავნეა, მომაკვდინებელია; პირიქით, „იქაური" მხარის ბუნების „დიდებული" სურათები, რომლებიც ჩვენი „გუბის" „ნაპირიდან" სჩანან, „გვიხატავენ ცხოვრებას", რომელიც დაწინაურებულია, წარმატებულია, „დაუდგრომლად" ვითარდება. „იქაური" „დიდებული მთანის", „მწვანე მინდვრების" ძირითადი ნიშნები - „დაუდგრომლად წინ წაწევა", „დაუდგრომლად წინ ლტოლვა" - ჩვენი აზრით, განასახიერებენ იმჟამინდელი სოციოლოგიური ლიტერატურის ძირითად კანონს - ისტორიის პროგრესის კანონს. „იქაური" მხარე ის მხარეა, რომელიც ექვემდებარება, ითვალისწინებს თავის „ცხოვრებაში" ისტორიის პროგრესის კანონს; ამიტომ მისი „მზე" „ათბობს და აცხოვრებს", ხოლო „წყალი" „აგრილებს და ზრდას ახალისებს". „აქაური" „გუბე" კი უძრავია, „ერთ ალაგას გაჩერებული წუმპეა"; „გუბის" „უძრაობიდან მომდინარეობს მისი სხვა მავნე თვისებანი, მისი ბინადრების მძიმე, არასახარბიელო მდგომარეობა. კონკრეტულად რა მხარე იგულისხმება ჩვენთვის მისაბაძ, სანატრელ „იქაურ" მხარეში, ამის დადგენას შემდგომ შევეცდებით. ახლა შევნიშნოთ შემდეგი: „დიდებულ მთებზე" ნათქვამია, რომ ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დაუდგრომელის ბუნების ცხოვრების ძალით დედამიწის გულიდან ამოზრდილან“; ანუ „დიდებული მთანი“ ბუნების „დაუდგრომელი“, „შეუჩერებელი“ კანონების მოქმედებასაც განასახიერებენ. აქედან ჩანს, რომ, მთხრობელის მსოფლმხედველობის მიხედვით, ისტორია ბუნების „ცხოვრების“ გაგრძელებაა, ხოლო ისტორიის კანონებს ბუნების კანონთა აუცილებლობა და გარდაუვალობა ახასიათებთ. ეს თვალსაზრისი იმდროინდელი ნატურალისტური სოციოლოგიის შეხედულებასა და სულისკვეთებას შეესაბამება. მის გავლენაზე ისიც მეტყველებს, რომ I ტექსტის ერთი მთავარი მხატვრული პრინციპი ისტორიული და საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნების სურათებით აღნიშვნაში მდგომარეობს. მაშ, გასაგები ხდება ისიც, რომ, რაც ისტორიის პროგრესს არ ითვალისწინებს, წინ აღუდგება, თავის „ცხოვრებაში“ ის უთუოდ დაიღუპება. ამიტომაც არის, ჩვენი „უძრავი გუბე“ მომაკვდინებელი; ამიტომ არის, რომ „ალპობს“ იგი „ყოველს მას, რასაც ცხოვრება აქვს მინიჭებული“; მისი „მზე ალპობს და აობებს“, ხოლო „წყალი“ „ხავსს უკიდებს“. როგორც ვხედავთ, „გუბის“ ძირითადი უძრაობის თვისება განასახიერებს იმ საზოგადოებრივ და ისტორიულ ფაქტს, რომ ქართული საზოგადოება იგნორირებას უკეთებს ისტორიის გარდუვალი პროგრესის სვლას, რომელსაც ბუნების კანონთა აუცილებლობა არ გააჩნია; აქედან მომდინარეობენ გუბის მავნე თვისებანი, რომლებიც დამღუპველნი, მომაკვდინებელნი არიან ჩვენთვის. ისტორიის პროგრესის კანონით აქვს შეფასებული მგზავრს (მთხრობელს) ყველა საზოგადოებრივი თანადროული პრობლემა, რომელსაც იგი I ტექსტში ეხება. პირველ რიგში, ჩვენი აზრით, ეს არის ბატონყმობა; უფრო ზუსტად, ჩვენი თავადაზნაურობის დამოკიდებულება ბატონყმობის გაუქმების პროექტისადმი, რომელიც თვის მთავრობამ დაუშვა „ზემოდან“. ცნობილია, რომ ამ კლასის დიდი ნაწილის დამოკიდებულება საგლეხო რეფორმისადმი რადიკალურად უარყოფითი იყო. ამ ვითარებას ასახავს, ჩვენი აზრით, „ორფეხა მხეცების“ ხატი, რომლითაც, ერთი მხრივ, გათვალისწინებულია ადამიანის ბიოლოგიური ნიშანი, მაგრამ ამავე დროს გამახვილებულია ყურადღება მისი ცხოველური საწყისის მტაცებლურ თვისებებზე; შემდეგ მგზავრი გვიყვება, რომ „გუბის“ მაცხოვრებელთა შორის „ნამეტნავად წურბელები“ მოიპოვებოდნენ. ეს კომპინაცია მტაცებლური და პარაზიტული, „სისხლისმწოველური“ თვისებებისა და ახალი დროის რადიკალურ-პოლიტიკურ ლიტერატურაში გავრცელებულ შეფასებას წარმოადგენდა ყმის მესაკუთრე ბატონისა. ამავე საზოგადოებრივ ვითარებას ასახავს ტექსტის ის რეალიაც, რომ ამ „ორფეხა მხეცებში“ „კაცის სახის მქონენი“, ანუ რეფორმის მომხრენი „ძალიან ცოტანი“ იყვნენ. როგორც ცნობილია, პოზიტივისტური ისტორიის ფილოსოფიის მიხედვით, ისტორიული პროგრესის ერთი ძირითადი ნიშანი (სოციალური და პოლიტიკური მოწყობის სფეროში) ხალხის, III წოდების უფლებრივ გათანაბრებაში იერარქიული სახელმწიფოს გაუქმებაში მდგომარეობდა. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ „იქაური“ ისტორიულად დაწინაურებული ცხოვრებით „ტკბობის“ სურვილს მგზავრი „გლეხის“ ხალხური ფრთიანი ფრაზით გამოთქვამს: „თუ იმ დაუდგრომლად წინ ლტოლვაში ჩვენ არ გავერევით, შორიდამ ხილვით მაინც დავსტკბეთ, თვალს წყალი დავალევინოთ, გლეხისა არ იყოს“. „გლეხი“, ანუ ხალხის ფართე ფენები, პირობითად რომ ვთქვათ, პირველ რიგში, დაინტერესებულნი არიან. ახალი დროის ახალი სოციალური და პოლიტიკური რეალიებით. გარდა ამისა, ხალხი, III წოდება მთავარი პერსონაჟია ისტორიული პროგრესისა, ახალი ისტორიული პერსპექტივებისა. ამიტომაც ბუნებრივია, რომ ჩვენს ტექსტში ისტორიის პროგრესით აღბეჭდილ „იქაური“ „ცხოვრებით“ „ტკბობის“ სურვილს მგზავრი „გლეხის“ ფრთიანი ფრაზით გამოთქვამს. მაგრამ ხალხის ფართე ფენების განსახიერებისას ავტორი „გლეხის“ ეპიზოდური პერსონაჟით რომ შემოიფარგლა, ეს იმაზეც მიგვითითებს, რომ „წინასიტყვაობის“ I ტექსტში ნატურალისტური სოციოლოგიის გავლენის გარდა სხვა სოციოლოგიური შეხედულებების კვალიც უნდა ვეძიოთ პოზიტივისტური სოციოლოგიის შეხედულებების მიხედვით III წოდებაში მის მოწინავე ფენად ბურჟუაზია, ქალაქის მაცხოვრებელი იგულისხმება. ეს ბუნებრივია იმ „მხარისთვის“ რომელსაც ქალაქის განვითარებული „ცხოვრება“ ახასიათებს. აქ კი პირველ პლანზე „გლეხია“, ხოლო ბურჟუაზია ნახსენები საერთოდ არ არის. პრობლემაში გარკვევისთვის ყურადღება მივაქციოთ შემდეგს: ჩვენ განვიხილავთ „კაცია-ადამიანის?!“ „წინასიტყვაობის“ ტექსტებს, რომელნიც გათვალისწინებული იყვნენ ამ მოთხრობის „წინასიტყვაობად“; ამიტომ ცხადია, რომ ეს ტექსტები „კაცია-ადამიანის?!“ იდეურ-მხატვრული კონტექსტის ნაწილად უნდა მოვიაზროთ. აქედან გამომდინარე, ამ ტექსტების მხატვრულ ხატებსა და შეხედულებათა სისტემას ჩვენს კვლევაში „კაცია-ადამიანის?!“ მხატვრული ხატებისა და შეხედულებათა სისტემის კონტექსტში განვიხილავთ; მით უმეტეს, რომ „წინასიტყვაობის“ III-IV ტექსტებს დამატებული აქვთ მგზავრის მიერ ლუარსაბ თათქარიძის, ბინადრების, „კარგი ნიმუშის“ „გუბიდან“ „სინათლეზე“ ამოყვანის ეპიზოდი. „კაცია-ადამიანში?!“ პირველ პლანზეა “საძაგელი წუმპის“, „საძაგელი მიწის“ პატრონის, თავად ლუარსაბ თათქარიძის „ცხოვრების“ მხატვრული აღწერა. მაგრამ აქაც გვაქვს ყმა-გლეხების დასამახსოვრებელი ეპიზოდური სახეები. ერთ ეპიზოდში ვხედავთ „თავმოწონებულ“ ყმაწვილ გლეხის „ბიჭს“, რომელსაც „მკლავი ხანჯალზე ებჯინა“. ეს პერსონაჟი „შემთხვევითი“ რომ არ არის მოთხრობაში, ამაზე მიუთითებს შემდეგი გარემოება: ამავე ეპიზოდში ახალგაზრდა, თავმოწონებული გლეხის ბიჭისადმი დაპირისპირებულია „ხნიერი, გამოცდილი გლეხკაცი“, რომელსაც მთხრობელი „ცბიერ მონას“ უწოდებს. იგი პირმოთნეობისკენ უბიძგებს ახალგაზრდა გლეხს - ისე უთხარით, როგორც „ბატონს უხარია“ და თავადვე აძლევს ამის მაგალითს. ამ ეპიზოდში „ძველისა“ და „ახლის“ დაპირისპირება თვით გლეხობის წიაღშია გადატანილი: პირმოთნე „ცბიერი“ მონისგან განსხვავებით „თავმოწონებულ“ გლეხის „ბიჭს“ არ სურს ბატონის „გახარება“ და მის მაამებლად ყოფნა. ეს სავსებით შეესაბამება მოთხრობის ახალი ისტორიული დროის რეალიების, ისტორიული პროგრესის თემებს (იხ. ჩვენი „კაცია-ადამიანი?!“ გუშინ, „კაცია-ადამიანი?!“ დღეს?!“, „ცისკარი“, 1997 წელი, №1). მაგრამ I ტექსტის ნატურალისტური სოციოლოგიის ევოლუციონისტურ, რეფორმისტულ შეხედულებებს „ხანჯლის“ მოტივი უმატებს სოციალური რევოლუციის თემას. ამგვარად, როგორც ვხედავთ, „კაცია-ადამიანის?!“ „წინასიტყვაობის“ I ტექსტის შეხედულებათა სისტემა არ ამოიწურება ნატურალისტური სოციოლოგიის იდეებით. მას ემატება სოციალური რევოლუციის თემა, ხოლო ისტორიის პროგრესის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითად საყრდენ ჯგუფად წარმოდგენილია არა ბურჟუაზია, არამედ გლეხობა. ეს გვაფიქრებინებს, რომ „წინასიტყვაობის" შეხედულებათა სისტემაზე გავლენა იქონია რუსეთის 1859-61 წლის „რევოლუციური სიტუაციის" იდეოლოგთა (მაგ. ჩერნიშევსკი) სოციოლოგიურმა ნააზრევმა და რევოლუციურმა სულისკვეთებამ. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ილია იმჟამად (1857-61 წლებში) პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტია და, როგორც გარკვეულია, იგი „ახლო ურთიერთობით ყოფილა დაკავშირებული ნ. ჩერნიშევსკისთან" და „...გამოურიცხავთ უნივერსიტეტიდან" იმ სტუდენტებთან ერთად, რომელნიც 1861 წლის სტუდენტურ მღელვარებებში „მთავარ მონაწილეებად" იყვნენ მიჩნეულნი მთავრობის მიერ. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ილია ამ მოვლენების უშუალო მონაწილე არ იყო, რადგან ჯანმრთელობის გაუარესების გამო იძულებული გამხდარა, 1861 წლის მაისში სამკურნალოდ საქართველოში დაბრუნებულიყო, ხსენებული მიზეზის გამო ილიას პეტერბურგის უნივერსიტეტში დაბრუნება აღარ მოუწია (იხ. პ. ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე, 1957 წელი, გვ. 55 და 65). I ტექსტის შეხედულებათა სისტემის თავისებურების გარკვევისთვის შევნიშნოთ, რომ იგი წარმოადგენს ეკლექტურ ნაზავს ნატურალისტური სოციოლოგიის სულისკვეთებისა და რუსეთის „რევოლუციური სიტუაციის" იდეოლოგთა ნააზრევისა.

ამგვარად „წინასიტყვაობის" I ტექსტში ჩვენი კვლევის შედეგების ფონზე ასეთი ვითარება იკვეთება: მგზავრის ქვეყანა საჭირბოროტო ვითარებაშია, მისი საზოგადოებრივი „ცხოვრება" ჩამორჩენილია და მომაკვდინებელია. პასუხისმგებლობა ასეთი ვითარებისთვის მის ისტორიულად წინამძღოლ წოდებაზეა დაკისრებული. „აქაური" „გუბე" და მისი ბინადარი „ორფეხა მხეცები", „წურბელები", „ჭია-ჭუები", „ქვეშემძრომები" XIX საუკუნის II ნახევრის, ბატონყმობის ბოლო ხანის თავადაზნაურობის „ძველების" ნაწილს განასახიერებს. ამ სოციალურ ჯგუფს ახასიათებს ისტორიის პროგრესის, ახალი ისტორიული დროის რეალიების უგულებელყოფა; ამიტომაც მთხრობელის პროგნოზით ამ სოციალური ფენის „ბედნიერება" აუცილებლად „დაირღვევა", როგორც „დაირღვა" ლუარსაბ თათქარიძის „ბედნიერება". მთხრობელი ლუარსაბს უშვილოდ ტოვებს, რაც სერიოზული გაფრთხილებაა კლასისთვის - თუ ამგვარად გააგრძელებთ „ცხოვრებას", მომავალი არ გექნებათ. ეს, ასე ვთქვათ, ერთი, თუმცა ისტორიულად წინამძღოლი კლასის პრობლემაა; მაგრამ უმთავრესი მცნება ტექსტისა მგზავრის ქვეყნის კეთილდღეობის მოთხოვნის მცნებაა; ხოლო საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობას, საჭირბოროტო ვითარების გასწორებას მგზავრი უკავშირებს „იქაურ" ისტორიის პროგრესით აღბეჭდილ მხარეს. „განაპირების" ეპიზოდიდან ნათლად ჩანს, რომ მისი ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემების მოგვარებას მგზავრი ხედავს მისი ქვეყნის „ცხოვრების" „იქაურ", დაწინაურებული მხარის „ცხოვრებისთვის" დამსგავსებით, მისთვის მიბაძვით. მთავარ საყრდენ ძალად იგი ქართველ ხალხს, კერძოდ, ქართველ გლეხობას მიიჩნევს, ხოლო ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად სოციალურ რევოლუციას. ამგვარად, ახალი ისტორიული დროის რეალიების მიხედვით მოწყობილი „ცხოვრება", ისტორიული პროგრესის გათვალისწინება ქვეყნის „ცხოვრებაში" მთავარი საფუძველი ყოფილა მგზავრის ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ცხადია, აქ ძნელია იმაზე საუბარი, თუ რამდენად შორს მიდის მთხრობელი სოციალური რევოლუციისკენ მიმავალ გზაზე, რადგან, ჯერ ერთი, აშკარაა, რომ „კაცია-ადამიანში?!" ჟღერენ „ძველებისადმი" თანაგრძნობით განწყობილი ნოტებიც. ამას პირდაპირ გამოხატავს კიდეც მოთხრობის ავტორი, მაგალითად, ასეთ მიმართვაში „...ჩემო ძველის მოყვარევ, მაგრამ მაინც კიდევ საყვარელო ქართველო!.." მეორეც, არც არის ამის დადგენა აუცილებელი ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზისთვის. საკმარისია იმის მითითება, რომ რევოლუციის თემის არსებობა „კაცია-ადამიანისა?!" და მის „წინასიტყვაობაში" აშკარაა. აქ შეიძლება შევჩერდეთ ფორმულირებაზე, რომ ქვეყანა, ერი მთხრობელისთვის ყველაზე მაღალი კატეგორიაა და იგი უპირისპირდება ყველაფერს, რაც მის კეთილდღეობას ხელყოფს, მათ შორის ერთ დროს მის წინამძღოლ წოდებასაც. რაც შეეხება იმას, რომ რევოლუციის თემა, ასე ვთქვათ, მოთხრობის ეპიზოდურ სათქმელს წარმოადგენს, ეს მისი მნიშვნელობის უგულებელყოფაზე როდი მიუთითებს. საქმე ის არის, რომ „კაცია-ადამიანისა?!" და შესაბამისად მისი „წინასიტყვაობის" წინაშე დასმული ძირითადი გადასაჭრელი ამოცანა „ძველების" „ცხოვრების", „სამაგელი წუმპის", "სამაგელი მიწის" მხატვრულ გათვალსაჩინოებაში მდგომარეობდა. ამიტომ აქ მათი „კარგი ნიმუშის", ლუარსაბის (ლუარსაბი 40 წლის „ძველი ქართველია") „ცხოვრებაა" მოქცეული მოთხრობის ცენტრში, ხოლო მგზავრის ქვეყნის კეთილდღეობის თემასთან უშუალოდ დაკავშირებული „გლეხი" ოდენ ეპიზოდური პერსონაჟია. შესაბამისად, ოდენ ეპიზოდურად არიან წარმოდგენილი ამ პერსონაჟთან დაკავშირებული მაღალღირებული თემები, მათ შორის რევოლუციის მაღალღირებული თემაც. თუ რაოდენ ფართო ფრონტით არის დაპირისპირებული „ძველების" „ცხოვრებასთან" მთხრობელი, ამაზე მეტყველებს არა მარტო სოციალური რევოლუციის მოთხოვნის თემა, არამედ თვით „კაცია-ადამიანის?!" შეთხზვის ლიტერატურული პრინციპები. „კაცია-ადამიანი?!" ანტონ I-ის ლიტერატურული თეორიის, „შტილის" თეორიის ცოცხალი ლიტერატურული პროცესით დასაბუთებული საპირისპირო პრინციპებით თხზვის მაგალითს წარმოადგენს. როგორც ვიცით, ანტონ კათალიკოსი თავის ლიტერატურულ თეორიაში ანტიკური რიტორიკის ჩვენს ნიადაგზე სისტემატიზატორია; ეს მისი ღრამატიკითა და ლიტერატურული თეორიით უპირისპირდებოდნენ „ძველები" „სტუდენტ" ილიას პროგრესისტულ და დემოკრატიულ მისწრაფებებს 1861 წელს თაობათა ცნობილ კამათში. გავიხსენოთ, როგორ იწყება „კაცია-ადამიანი?!". - „რიტორიკაში სწერია: ყველაფერი შესავალით უნდა დაიწყოს კაცმაო. ჭეშმარიტია. ჩვენც ისე დავიწყოთ". ამგვარად, ამ ფრაზის მიხედვით, მთხრობელი გვაგებინებს, რომ რიტორიკის რეცეპტებით აპირებს თხრობის აგებას. მაგრამ მწარედ მოტყუვდება, ვინც ბრმად მიენდობა მთხრობელის ამ განცხადებას. ეს მისი მხრიდან ოდენ ვერაგი ირონიაა (ანტიკურობაში კარგად ცნობილი ხერხი, რომელიც ახალ ლიტერატურაში ბოკაჩომ აღადგინა). რიტორიკის მითითებების მიხედვით ორატორმა (მთხრობელმა) შესავალში მსმენელის გული, კეთილგანწყობა უნდა მოიპოვოს. ხოლო რას ვხედავთ მოთხრობაში?! შემდეგივე ფრაზაში იგი პირდაპირ აცხადებს: ვინც ლუარსაბში თავის თავს იცნობს „ლაფის სროლასა" და „გიჟიას" ძახილს დამიწყებენო, ოღონდ ეს სულ არ აწუხებს ავტორს და ამას არც მალავს. როგორც ვხედავთ, რიტორიკის მითითებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთხრობელს გამოუყენებია, „შესავალი“ გაუკეთებია თავისი მოთხრობისთვის, მაგრამ მაშინვე ეს მითითება თავდაყირა დაუყენებია, როცა „შესავლის“ გულის მოგების ფუნქცია მსმენელთან (მკითხველთან) აშკარა დაპირისპირებაზე შეუცვლია. კიდევ უფრო ღიად და პრინციპულად უპირისპირდება ანტონ კათალიკოსის ლიტერატურულ თეორიას მოთხრობის შემდეგი გარემოება: ანტონ კათალიკოსის მიხედვით მაღალ მატერიებზე უნდა წერონ მაღალი სტილით. აქ კი ისეთი მაღალი მატერია, როგორიც არის არისტოკრატიის „ცხოვრება“, გროტესკის, კარიკატურის საგანი გამხდარა. ხოლო გროტესკი, კლასიცისტური ლიტერატურული თეორიის მიხედვით, ოდენ „საყოფაცხოვრებო“ თემებს, მდაბიოთა „ცხოვრების“ სურათების ჩვენებას თუ შეეფერება. მეორე მხრივ, კლასიცისტური ლიტერატურული თეორიის მიხედვით (რომელიც ანტიკური რიტორიკის სამი სტილის თეორიის უფრო მკაცრად გატარება-დაცვას მოითხოვს, ვიდრე ამას თვით ანტიკური რიტორიკა სჩადიოდა) არისტოკრატიის „ცხოვრების“ ჩვენებისთვის გამოდგებოდა არა ყველანაირი თემა, არამედ ოდენ მისი გამორჩეულობის მასურათებელი თემები, როგორებიც არის სიყვარული, საგმირო საქმენი, მაგრამ არანაირად „საყოფაცხოვრებო“ თემები. საკმარისია, გავიხსენოთ ლუარსაბის სადილობის შემდეგ დასვენების, „პერანგის ამხანაგის“ ამარა გამოწყობის ეპიზოდები, რომ ცხადი გახდება, „სამი შტილის“ თეორია, რომელიც „ძველების“ ესთეტიკური გემოვნების ქვაკუთხედი იყო, ისე რადიკალურად არის თავდაყირა დაყენებული, როგორც კი ამის წარმოდგენა შესაძლებელია. არადა, შედეგად მივიღეთ ახალი ქართული ლიტერატურის შედევრი. ამაში ჩანს, თუ რა ღრმა საფუძველი გააჩნდა ავტორის ლიტერატურულ ამბოხს გავრცელებული გემოვნებისა და შეხედულებების წინააღმდეგ ისევე, როგორც „კაცია-ადამიანის?!“ შექმნას. მთლიანობაში ეს ნიშნები ახასიათებდა ახალი დროის ლიტერატურულ პროცესებს, მათ შორის XIX საუკუნის რეალიზმსაც. თვით „წინასიტყვაობის“ III,IV ტექსტებში, რომლებშიც „განაპირების“ ეპიზოდებისთვის დამატებულია ლუარსაბ თათქარიძის „გუბიდან“ ამოყვანის პასაჟი, დეკლარირებულია სინამდვილის აღწერის რეალისტური მეთოდი; მგზავრს იმიტომ სურს მაინცდამაინც ლუარსაბი გამოფინოს „მოთხრობაში“, „პატარა ტილოზე“, რომ იგი დანარჩენ „მეგობურთა“ „კარგი ნიმუშია“, „სხვა ათასს ჰგავს“, ანუ რეალისტური „ტიპია“.

ამგვარად ირკვევა, რომ „კაცია-ადამიანი?!“ და მისი „წინასიტყვაობა“ მთლიანი ფრონტით უპირისპირდება „ძველი“ სამყაროს როგორც პოლიტიკურ, ისე იდეოლოგიურ და ესთეტიკურ ფორმებს. კვლევაში გამოიკვეთა საყურადღებო რამ: „წინასიტყვაობა“ ახალგაზრდა ილიას პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ესთეტიკურ შეხედულებებს წარმოგვიდგენს. იგი ერთგვარი მანიფესტია მისი იმდროინდელი წარმოდგენებისა თავისი ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემატიკაზე, საკაცობრიო-ისტორიულ პროცესზე და ხელოვნების (ლიტერატურის) ფუნქციის თაობაზე. ასევე, იგი წარმოგვიდგენს იმ სოციალურ ძალებს, რომლებიც მისი შეხედულებების მიხედვით ისტორიულ პროგრესს უპირისპირდებიან და, პირიქით, ამ პროგრესის სამსახურში დგანან. ეს უკანასკნელნი თურმე საფუძველს შეადგენენ იმისათვის, რათა ქართველების „ცხოვრება“ „გუბიდან“ „იქაურ“ წარმატებულ, დაწინაურებულ მხარედ იქცეს.

ამჯერად ყურადღება მივაქციოთ შემდეგს: „წინასიტყვაობის“ ყველა ტექსტში მგზავრი თავისი მგზავრობისას „ზედ წააწყდება“, „ერთს კარგად მოზრდილ გუბეს“, რომელიც მისი ქვეყნის „ცხოვრებას“ განასახიერებს. ამიტომაც მგზავრის საკუთარ ქვეყანაზე „ზედ წაწყდომა“ ლიტერატურულ პირობითობად უნდა მივიჩნიოთ. იგი მომდინარეობს ავტორის „წინასიტყვაობაში“ ფოლკლორული ტექსტის სტილის დაცვის სურვილიდან: „გუდა ნაბადი ავიკარი“, „სახელი ღვთისა ვახსენე... და შევუდექი მგზავრობასა“ ჩვენი ზღაპრის მოტივებია, რაც შემდგომ „გლეხის“ ფრთიანი ხალხური ფრაზითაც დასტურდება. ამდენად, ირკვევა, რომ „წინასიტყვაობის“ ყველა ტექსტის ძირითადი სიუჟეტი მგზავრის უცხოეთიდან საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების სიუჟეტია. მაგრამ იმის გასარკვევად, თუ კონკრეტულად საიდან ბრუნდება მგზავრი თავის ქვეყანაში. „წინასიტყვაობის ტექსტების თავისებურებებიდან გამომდინარე აუცილებელია, ეს პრობლემა განცალკევებულად დაისვას და გადაიჭრას I, II და III, IV ტექსტებისთვის. I, II ტექსტებში ჩვენი გუბის მდებარეობა რეალისტურად კონკრეტულად არის აღწერილი: „იმ გუბის გარშემო მშვენივრად აყულებულიყვნენ დიდებული მთანი“, I ტექსტის „განაპირების“ ეპიზოდში (II ტექსტი დაუმთავრებელია და „განაპირების“ ეპიზოდი აკლია). როგორც ვიცით, მგზავრი საკუთარ თავს მოუწოდებს (და ასევე მკითხველსაც) ჩვენი „გუბის“ „ნაპირიდან“ „იქაური“ ბუნების სურათებით ტკბობისკენ. ესენია „იქაური“ „დიდებული მთანი“, „მწვანე მინდვრები“. გარემოს რეალისტურად აღწერის პრინციპის არსებობის გათვალისწინებით „დიდებული მთანი“, რომელთა ჭვრეტისკენ მიგვიწოდებს მგზავრი ჩვენი „ნაპირიდან“, კავკასიონის ქედის მთები უნდა იყვნენ. მაშინ ჩვენი „ნაპირი“, ანუ საზღვარი, რომლიდანაც ჩანან ეს მთები, რუსეთ-საქართველოს საზღვარია, ხოლო „იქაური“ „მწვანე მინდვრები“ რუსეთის „მწვანე მინდვრებია“. „მწვანე მინდორი“ რუსეთის ლანდშაფტის დამახასიათებელი ნიშანია და გარემოს რეალისტურად აღწერის პრინციპის არსებობა ტექსტში მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ აქ სწორედ რუსეთის ბუნების სურათია წარმოდგენილი. გავიხსენოთ, რომ თავის სხვა რეალისტურ მხატვრულ ტექსტში, „მგზავრის წერილების“ II თავში მთხრობელი ასევე ხმარობს „მინდორს“ რუსეთის ბუნების დახასიათებისთვის. ამგვარად, ჩვენი აზრით, მთხრობელს I ტექსტის „განაპირების“ ეპიზოდში მგზავრი თითქოს ჩვენი „ნაპირის“ საზღვრის უმაღლეს წერტილზე დაუყენებია ზურგით ჩვენკენ და პირით რუსეთისკენ, საიდანაც იგი ჭვრეტს რუსეთის ბუნების „დიდებულ“ სურათებს - რუსეთის ტერიტორიაზე მდებარე კავკასიონის მთების ნაწილს, რუსეთის „მწვანე მინდვრებს“ (ეს საინტერესო ლიტერატურული პარალელია „აჩრდილთან“, ოღონდ აჩრდილი პირით ჩვენკენ დგას და ზურგით რუსეთისკენ). თუ ვივარაუდებთ, რომ მგზავრის მგზავრობის სიუჟეტს საფუძვლად უდევს ავტორის რეალური მგზავრობა რუსეთიდან საქართველოში 1861 წელს, მაშინ, „ანკარა წყალი“, რომელშიც ირეკლებიან „დიდებული მთანი“ თერგია. ჩვენს ამგვარ „ეჭვს“ კიდევ უფრო აძლიერებს „წინასიტყვაობის“ II ტექსტის ზოგიერთი რეალია. II ტექსტში „ანკარა წყალი“ „დაუდგრომლად მიმავალ ანკარა წყლად“ ქცეულა, რომელიც „გარდამოიცემს“ მთების „დიდებულ სახეს“. აქ უფრო გამოკვეთილია მთის მდინარის „დაუდგრომლად მიმავლობის“ ნიშანი, რაც მხარს უჭერს ჩვენს მოსაზრებას, რომ მთხრობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელს თერგი აქვს ნაგულისხმევი. გარდა ამისა, II ტექსტში შედარებით უფრო ვრცლად და კონკრეტულად არის აღწერილი მგზავრის მგზავრობის გარემო: „სახელი ღვთისა ვახსენე, ავიკიდე ჩემი გუდა-ნაბადი და შევუდექი მგზავრობასა. ამბობენ მგზავრობა კაცს თვალს უხილებსო, გონებას უხსნისო, ვიარე, ვიარე, გარდავიარე კლდენი და ღრენი და ერთ მშვენიერს მთათა შორის დაცემულს ტრიალს მინდორზედ ერთს კარგა მოზრდილს ხავსმოკიდებულ გუბეს ზედ წავაწყდი“. განსხვავებით I ტექსტის ანალოგიური ეპიზოდისგან, აქ შემოტანილია მგზავრის მგზავრობის გარემოს ახალი ნიშნები „კლდენი“ და „ღრენი“. „კლდენი“, „ქვა-კლდე-ღრე“ კვლავ გვხვდება „მგზავრის წერილების“ II თავში დარიალის ხეობის რელიეფის დამახასიათებელი ნიშნების სახით, რაც აძლიერებს ჩვენს არგუმენტაციას, რომ I, II ტექსტებში რეალისტური პრინციპით აღწერილია მგზავრის მგზავრობა რუსეთიდან საქართველოში; ანუ, რომ ამ ტექსტების ლიტერატურული სიუჟეტისთვის საფუძვლად დადებულია მწერლის ბიოგრაფიის ცნობილი ფაქტი, მისი მგზავრობა რუსეთიდან საქართველოში (მართალია, II ტექსტს „განაპირების“ ეპიზოდი აკლია, მაგრამ დანარჩენში იგი ისე „ერთგულად“ მისდევს I ტექსტს ზოგიერთი მოტივის არაარსებითი ვარირებით, რომ მისი ხატების I ტექსტის ერთიან იდეურ-მხატვრულ კონტექსტში განხილვა სავსებით შესაძლებელია). ჩვენი მოსაზრება საშუალებას იძლევა, დავაზუსტოთ I, II ტექსტების დაწერის თარიღი პავლე ინგოროყვას ფართე თარიღთან შედარებით. ამისთვის დაგვჭირდება დამატებითი არგუმენტების მოძებნა, რასაც შემდგომ გავაკეთებთ. ახლა მივუბრუნდეთ II ტექსტის „დაუდგრომლად მიმავალ“ „ანკარა წყლის“ ხატს. როგორც ვხედავთ, ეს ხატი, I ტექსტის მსგავს „ანკარა წყლის“ ხატთან შედარებით „დაუდგრომელი“ მოძრაობის ნიშნით არის გამდიდრებული. II ტექსტში „დაუდგრომლად მიმავალი“ „ანკარა წყალი“ უძრავ და მღვრიე „გუბეს“ უპირისპირდება არა მარტო ფერით, არამედ მოძრაობის ნიშნითაც. ეს II ტექსტის მხატვრულ მიღწევად უნდა ჩავთვალოთ I ტექსტთან შედარებით. I ტექსტში „გუბის“ უძრაობას უპირისპირდებიან „დაუდგრომლად წინ ლტოლვის“, „დაუდგრომლად წინ წაწევის“ ხატები, ანუ ისეთი მხატვრული ხატები, რომლებიც, მართალია, აღძრავენ წარმოდგენას მოძრაობაზე, მაგრამ უფრო ჩვენს სმენას მიმართავენ, ვიდრე თვალსაჩინოდ წარმოსახვის უნარს, უფრო გვაგებინებენ, ვიდრე გვაჩვენებენ, ამიტომაც უფრო განყენებულნი არიან, ვიდრე კონკრეტულნი. სხვა საქმეა II ტექსტის „დაუდგრომლად მიმავალი“ „ანკარა წყალი“. იგი სწორედაც რომ კონკრეტული, თვალსაჩინო ხატია; ერთია, რომ იგი თავისი მოძრაობის ნიშნით ბუნებრივად ასახიერებს ისტორიის პროგრესის კანონს; არანაკლებ მნიშვნელოვანია მხატვრულ ხატთა სისტემისთვის, რომ იგი თვალსაჩინოდ უპირისპირდება „გუბეს“ მოძრაობისა და გამჭვირვალეობის ნიშნებით. ამით უფრო მკაფიოდ და მკვეთრად ხდება ტექსტის ძირითადი მხატვრული კონტრასტულობის პრინციპის ათვისება მოთხრობაში, რაც აძლიერებს მის მხატვრულ ეფექტსა და ღირებულებას. ამგვარად, II ტექსტში „დაუდგრომლად მიმავალი“ „ანკარა წყლის“ გამოჩენა „ანკარა წყლის“ ნაცვლად მთხრობელის „წინასიტყვაობის“ მხატვრულ სრულყოფაზე მიმართული ზრუნვის გამოვლენად უნდა მივიჩნიოთ. „წინასიტყვაობის“ ტექსტებისთვის, სადაც ძირითადი მხატვრული მეთოდი რეალისტური აღწერაა და სადაც თხრობის ძირითად საშუალებად ბუნების სურათებით წარმოდგენილი ალეგორიებია, ამგვარი თვალსაჩინო და კონკრეტული ხატების ხმარება პრინციპულ და ორგანულ მოვლენას შეადგენს, ეს კარგად ესმის თვით ავტორსაც, რაზეც II ტექსტში „დაუდგრომლად მიმავალი ანკარა წყლის“ ხატის გამოჩენა მეტყველებს. რაც შეეხება „დაუდგრომლად მიმავალი“ „ანკარა წყლის“ ხატის წარმომავლობას, იგი II ტექსტის ხატების – „ანკარა წყლისა“ და „დაუდგრომლად წინ ლტოლვის“ კომბინირებით არის მიღებული. ამგვარად, II ტექსტის ისეთ მნიშვნელოვან შენაძენზე I ტექსტთან შედარებით, როგორიც არის „დაუდგრომლად მიმავალი“ „ანკარა წყალი“, მხოლოდ პირობითად შეიძლება ითქვას, რომ იგი I ტექსტის შესაბამისი მხატვრული ელემენტების რედაქტირებით არის მიღებული. სხვა მხრივ, ყველა ცვლილება ოდენ ვარიანტულ, „რაოდენობრივ“ ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს, რომლებიც თვისობრივად ახალ ტექსტს არაფერს სძენენ. მაშ, შენიშნული შემთხვევა გამონაკლისია, რომელიც წესს ადასტურებს და II ტექსტი I ტექსტის ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ. სხვა საქმეა, როცა I,II ტექსტებიდან გადავდივართ III და IV ტექსტებზე.

პირველ რიგში ყურადღება უნდა მივაქციოთ ორ მნიშვნელოვან ცვლილებას; III, IV ტექსტებში შემოტანილია ახალი მნიშვნელოვანი თემა რუსეთის „ცხოვრების“ ჩამორჩენილობისა და ჩვენთვის მავნეობისა. მას შემდეგ, რაც მგზავრი „გუბის“ მავნე თვისებების შესასწავლად „შიგ შეტოპავს“, I, II ტექსტების მსგავსი ეპიზოდისგან განსხვავებით, „საფლობი ლექის“ ხატთან III, IV ტექტსებში დაკავშირებულია ახალი მნიშვნელოვანი თემა: „პირველშივე საფლობი ლექი დამხვდა, რომელსაც რუსები „ტინა“-ს ეძახიან. აქედამ ხომ არ წარმოდგა ქართული სიტყვა „ტვინი“? იქნება. თუ ხე ნაყოფით იცნობება, ქართული „ტვინი“ რუსული „ტინი“-ს შედეგი უნდა იყოს. ამგვარად, აქ ჩვენი „ტვინის“ მძიმე, ჩამორჩენილი მდგომარეობა რუსეთზე ჩვენი „მიბმულობის“ („ხე“ და „ნაყოფი“) „შედეგი“ ყოფილა. „საფლობი ლექი“ აქ რუსეთის „ცხოვრების“ ალეგორიაა. როგორც ვხედავთ, რადიკალურად საპირისპიროდ არის გააზრებული „რუსეთის ცხოვრების“ როლი ჩვენი „ცხოვრების“ კეთილდღეობისთვის. თუ I ტექსტში იგი ჩვენთვის მისაბაძი და სანატრელია (II ტექსტს „განაპირების“ ეპიზოდი აკლია, ამიტომ მას არ ვიხსენიებთ), III, IV ტექსტებში იგი უკვე ჩამორჩენილი და ჩვენთვის მავნეა. თუ I ტექსტში მის „ცხოვრებას“ განასახიერებენ რუსეთის ბუნების „დიდებული“ სურათები III, IV ტექსტებში მას განასახიერებს „საფლობი“ „ლექი“. ამ რადიკალურ გადააზრებას კარგად შეესაბამება ის ფაქტი, რომ III, IV ტექსტებში აღარ ვხედავთ რუსეთის „დიდებულ მთების“, მწვანე მინდვრების“ ხატებს. I, II ვარიანტების მხატვრული პრინციპი, რომლის მიხედვით რუსეთის „ცხოვრების“ პროგრესულ ტენდენციებს აქ აღნიშნავენ რუსეთის ბუნების „დიდებული“ სურათები, წინააღმდეგობაში მოვიდა რუსეთის თემის რადიკალურად საპირისპირო გააზრებასთან, რასაც III, IV ტექსტებში ვხედავთ ახლად შემოტანილი თემის სახით. ახალი თემა, რომელიც III, IV ტექსტებში ქართველებისთვის ახალ ისტორიულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, ადგილს აღარ ტოვებს რუსეთის ბუნების „დიდებული“ სურათებისთვის. III ტექსტის „განაპირების“ ეპიზოდში მათ ადგილს იკავებს „...ლურჯი, ციაგ-ნარევი, სუბუქი, გრილი, გულისა და გონების

ეროვნული ბიბლიოთეკა



გადამშლელი გუმბათი ცხოვრების მიმნიჭებელი ჰაერისა“. რთული არ არის იმის შემჩნევა, თუ საიდან წარმოიშვა ეს ძირითადი მაღალღირებული შინაარსების განმასახიერებელი ხატი - I ტექსტის „წმინდა, ციაგი ჰაერიდან“, რომელიც იქ „გუბის“ სულისშემხუთველობის ნიშანს უპირისპირდებოდა. III ტექსტში იგი ჩამოთვლილი ნიშნებით უპირისპირდება „გუბის“ „ცუდოხშივარიანობას“, მომაკვდინებლობას, გამხრწნელობას, ამღვრეულობას, გონებისა და გულისთვის ობისმომკიდებლობას. მიუხედავად ამისა, აშკარაა ის წმინდად მხატვრული დანაკლისი, რომელიც ამგვარმა ჩანაცვლებამ გამოიწვია რუსეთის ბუნების „დიდებული“ სურათებისა. ჯერ ერთი, ამ მიზეზით III ტექსტში იგნორირებულია II ტექსტის რეალური მხატვრული მიღწევა - აქ ვერ ვხედავთ „დაუდგრომლად მიმავალ“ „ანკარა წყალს“. თავად III ტექსტის ცის გუმბათის ხატს მოძრაობის თვისება არ ახლავს. შედეგად იგი ორგანული ხატი არ არის ისტორიის პროგრესის განსახიერებისთვის; გარდა ამისა, იგივე მიზეზით იგი მოძრაობის ნიშნით ვერ უპირისპირდება უძრავ „გუბეს“, რაც ადრე შენიშნული მიზეზებით არცთუ სასიკეთო კვალს აჩნევს ტექსტის მხატვრულ ღირებულებას. „გუბის“ უძრაობას აქ I ტექსტის დარად, ისევ უძრაობის ნიშნით აღბეჭდილი, ან „მუხლის წინ წადგმის“ მსგავსი განყენებული ხატები უპირისპირდებიან. ამგვარად, ხსენებული ჩანაცვლება ძირითადი მაღალღირებული შინაარსების განმასახიერებელი ხატებისა ტექსტის მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით წამგებიანია. იგი ხელს უშლის ისტორიის პროგრესის ბუნებრივად და თვალსაჩინოდ მხატვრულ ათვისებას, ასევე ხელს უშლის თხრობაში მხატვრულ ხატთა სისტემის აგების ძირითადი კონტრასტულობის პრინციპის მკაფიოდა და მკვეთრად გამოვლენას, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ამ ჩანაცვლების შედეგად გაკეთდა ნაბიჯი უკან I ტექსტის მიმართულებით იმის შედეგად, რომ იგნორირებული იქნა II ტექსტის მხატვრულ ხატთა სისტემის რეალური მხატვრული მიღწევები. გარდა ამისა, ამ ჩანაცვლების გამო შესუსტებულია, თუ საერთოდ უგულებელყოფილი არ არის, გარემოს აღწერის რეალისტური პრინციპი. მგზავრის მგზავრობის გარემოს კონკრეტულ აღწერას აქ საერთოდ ველარ ვხედავთ; ასევე იგნორირებულია მგზავრის ქვეყნის ლანდშაფტის რეალისტური აღწერა; „განაპირების“ ეპიზოდში ამავე მიზეზით შეუძლებელი ხდება „ნაპირის“ იდენტიფიცირება, რადგან ცა ჩვენი საზღვრების ნებისმიერი ადგილიდან ჩანს. IV ტექსტში III ტექსტის „განაპირების“ ეპიზოდთან შედარებით ცის ხატისთვის დამატებულია ადამიანის „ცხოვრების“ ნათელი კვალით აღბეჭდილი სურათები: ადამიანის მიერ ბუნების რაციონალურად ათვისების განმასახიერებელი „ჯანმრთელი ცხოვრებით აღბეჭდილი მინდვრები, ფუსტუხად აბიბინებულნი“; „ნაყოფიერნი კორდები დიდის და სახელოვანი ცხოვრების ნაფეხურია“; აქვე ვხედავთ ადამიანის ტექნიკური შემოქმედების ნიმუშს - „ხიდებს“. „ის ხიდები ზედგაბმულნი, წინად მცხოვრებსა გაუდვიათ მომდევართა მშვიდობისთვის და წინ წადგომისთვის“. სახელოვანი ისტორიისა და ადამიანის ტექნიკური შემოქმედების, ბუნების ათვისების, ლანდშაფტის ვაკის ნიშნის მოტივები მთლიანობაში ზოგადევროპულ ლანდშაფტსა და „ცხოვრებას“ წარმოგვიდგენენ. ამგვარად, IV ტექსტის „განაპირების“ ეპიზოდში მთხრობელი შეეცადა რეალისტური აღწერის ელემენტის აღდგენას ზოგადევროპული ლანდშაფტისთვის დამახასიათებელი ნიშნების შემოტანით. „წინასიტყვაობის“ მხატვრული პრინციპების მიხედვით, ეს იმას ნიშნავს, რომ IV ტექსტში ისტორიულ პროცესში დაწინაურებულ „იქაურ“ მხარედ მთხრობელი ზოგადევროპულ „ცხოვრებას“ წარმოგვიდგენს. მაგრამ, შევნიშნოთ, რომ ჩვენი „ნაპირიდან“ ევროპული ლანდშაფტის ჭვრეტისკენ მოწოდება მეტად პირობითი ლიტერატურული ხერხია, რეალისტურად რომ მივიჩნიოთ. ამგვარად, III, IV ტექსტებში გარემოს რეალისტური აღწერა საგრძნობლად შესუსტებულია და I, II ვარიანტებთან შედარებით მკრთალად იკითხება. ეს, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს III, IV ტექსტების ლიტერატურულ ღირებულებებზე. ისინი სქემატურ ლიტერატურული პრინციპულობით აღბეჭდილი ტექსტების იერ-სახეს ლებულობენ. ამავე დროს, არ შეიძლება ითქვას, რომ III, IV ტექსქებს არ ატყვიათ მხატვრულ სრულყოფაზე მიმართული ავტორისეული ზრუნვის კვალი. მაგალითად III, IV ტექსტებში შემოტანილია ცის ხატთან დაკავშირებული ახალი ხატი „გულისა და გონების გადაშლისა“. იგი შემოტანილია „გუბესთან“ დაკავშირებული „გონებისა“ და „გულის ობისმოკიდებულობის“ ხატის საპირწონე ხატად; I, II ტექსტებში ეს ხატი არ გვაქვს; მაშ, III, IV ტექსტებზე მუშაობისას მთხრობელი კვლავ ითვალისწინებს მხატვრულ ხატთა სისტემის კონტრასტულობის პრინციპის თხრობაში მკაფიოდ წარმოჩენის აუცილებლობას და, ამგვარად, ამ ტექსტების მხატვრულ სრულყოფისთვის ზრუნვის აუცილებლობასაც. შეიძლებოდა იგივეს დამადასტურებელი სხვა მაგალითების მოყვანაც. მაგრამ ჩვენთვის ერთი რამ ხდება ცხადი: რუსეთის თემის რადიკალურად საპირისპირო გააზრება პრინციპულ წინააღმდეგობაში მოვიდა I, II ტექსტების სიუჟეტთან, უფრო ზუსტად, მგზავრის რუსეთიდან საქართველოში მგზავრობის გარემოს რეალისტურ აღწერასთან. ახლად გააზრებული ისტორიული ჭეშმარიტება და ტექსტების მხატვრული პრინციპი, რომლის მიხედვით ჩვენთვის მისაბაძი „იქაურობის“ „ცხოვრება“ „იქაურივე“ ბუნების დიდებული სურათებით უნდა აღნიშნულიყო, საშუალებას არ აძლევდა მთხრობელს, მგზავრის რუსეთიდან საქართველოში მგზავრობის გარემო რეალისტურად აღეწერა. მთხრობელმა არ დათმო მგზავრის სამშობლოში დაბრუნების სიუჟეტი ისევე, როგორც არისურვა ისტორიული ჭეშმარიტების უგულებელყოფა - III, IV ტექსტები ამ ახლად გააზრებული ჭეშმარიტების გაცხადების გამოა დაწერილი. როგორც ჩანს, ეს სიუჟეტი მისთვის მეტად ახლობელი და მნიშვნელოვანი იყო, ხოლო ისტორიული ჭეშმარიტებისთვის - „ცხოვრებისთვის“ ერთგულება მისი ესთეტიკური თეორიის კრედოს შეადგენდა. არჩევანის წინაშე დამდგარმა ავტორმა უარი თქვა გარემოს რეალისტურ აღწერაზე (თუმცა რეალისტური მეთოდისთვის არ ულალატია, რადგან რეალისტურ აღწერას ისტორიული სიმართლე ანაცვალა), რის გამოც გაუქმდა რუსეთის ბუნების სურათები, მათ შორის II ტექსტის „დაუდგრომლად მიმავალი ანკარა წყალი“ და ხელთ შეგვრჩა უძრავი ცის განყენებული ხატი, რომელსაც IV ტექსტში მთხრობელმა დაუმატა ევროპის ლანდშაფტის სურათი. შედეგად მივიღეთ ტექსტი, რომელშიც სჭარბობს სქემატიზმი და ლიტერატურული პირობითობა. ავტორი ამას თავად კარგად ამჩნევდა და გამოსავალი ის ნახა, რომ მოთხრობას „წინასიტყვაობა“ (IV, ბოლო ტექსტის სახით) აღარ დაურთო.

ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ I, II ვარიანტებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართებაში III, IV ტექსტები რედაქციებად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო III და IV ტექსტებს შორის არსებული განსხვავებანი შედარებით უმნიშვნელოა. შეიძლება ითქვას, რომ ყველა მოტივი და თემა, რაც III ტექსტშია, გადადის IV ტექსტშიც, განსხვავება იმაშია, რომ ზოგიერთი მათგანი ახალი ხატების შემოტანის გზით უფრო მკვეთრად არის წარმოდგენილი IV ტექსტში. ასეთებია ამ ტექსტის „გიჟიას“ ძახილის, „ლაფის სროლის“, „მოთხრობის“, „პატარა ტილოს“ „კიჟინას დაცემის“ მხატვრული ელემენტები. თვით ის ფაქტი, რომ III ტექსტისგან განსხვავებით IV ტექსტში თხრობა ისევ I პირში მიმდინარეობს, არსებითად არაფერს ცვლის ტექსტში. ამიტომ IV ტექსტი III ტექსტის ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ; ხოლო III, IV ვარიანტები I, II ვარიანტის რედაქციად.

ამგვარად, „კაცია-ადამიანის?!“ „წინასიტყვაობის“ ტექსტები გვიმჟღავნებენ რადიკალურად საპირისპირო გააზრებას რუსეთის თემისა, რომელიც ილიას თავის ახალგაზრდობაში განუცდია. მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი ლიტერატურის ისტორიისთვის ამ ტექსტების უფრო ზუსტად დათარიღება, ვიდრე ამას პავლე ინგოროყვა გვთავაზობს თავისი ფართე თარიღით - 1859-63 წლები. ჩვენ შევეცდებით ამ ამოცანის შესრულებას ტექსტში დაცული რეალიების მწერლის ბიოგრაფიულ ფაქტებთან და რუსეთის „ცხოვრების“ ზემოთ აღნიშნულ ხანაში მომხდარ ცნობილ მოვლენებთან შეჯერების გზით. ამისთვის შევეცადოთ და მოვიძიოთ ისეთი ფაქტები რუსეთის პოლიტიკური, საზოგადოებრივი ისტორიიდან, რომლებიც ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს გაამართლებდნენ. ცხადია, ეს ფაქტები უნდა ვეძიოთ არა ჩვენი, არამედ „წინასიტყვაობის“ ტექსტების შეხედულებათა სისტემიდან გამომდინარე. ადრე შევნიშნეთ, რომ „წინასიტყვაობის“ შეხედულებათა სისტემა განიცდის რუსეთის „რევოლუციური სიტუაციის“ (1859-61 წლები) იდეოლოგთა ნააზრევის ზეგავლენას, ხოლო თავად ავტორი, რომელიც იმ ხანებში პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო (1857-61 წლები), პირადად იცნობდა მათ და „ახლო“ ურთიერთობაც ჰქონია. არის სხვა ფაქტებიც, რომლებიც იმაზე მეტყველებენ, რომ ილია იმ ხანად რუსეთის „ცხოვრების“ რეალიების გავლენის ქვეშ იმყოფება. საერთოდ, ეს ხანა რუსეთის XIX საუკუნის ისტორიაში განსაკუთრებულია. ყირიმის ომში დამარცხებით მოტეხილი რუსეთი „ზევიდან“ წამოსული ლიბერალური რეფორმების გზას დაადგა. მთავრობამ „ჩამოუშვა“ საგლეხო რეფორმის პროექტი, განხორციელდა საცენზურო რეფორმა - „გლასტნოსტი“, ჩატარდა სხვა უფრო წვრილი ხასიათის, მაგრამ ადამიანის ღირსების აღმდგენი რეფორმები. არა მხოლოდ მთავრობა, საზოგადოებაც ამოძრავებულია საზოგადო საქმეთა განსჯაში, აქტიურია „ახალი იდეების“, „პროგრესის“, „თავისუფლების“, „რევოლუციის“ ათვისებაში. ეს არის რეფორმის პირველი ნაბიჯებისა და მასთან დაკავშირებული საზოგადოების მოლოდინისა და იმედების ხანა. თუკი იმდროინდელი რეფორმების საყრდენი სოციალური ძალა ლიბერალური თავადაზნაურობა და ინტელიგენციაა, საზოგადოებაში არსებობდა უფრო მემარცხენე, რადიკალურად განწყობილი „რაზნოჩინული“ ინტელიგენციის ჯგუფი, რომელიც უკმაყოფილო იყო რეფორმების შეზღუდული ხასიათით და „მარცხნიდან“ აკრიტიკებდა მათ; და აი, ეს ფენები, ძალები შესაბამისი იდეოლოგიების მიხედვით დაუფარავად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრებს საკუთარი ბეჭდვითი ორგანოების (ჩერნიშევსკის „სოვრემენნიკი“) მეშვეობით „გლასტნოსტის“ ხანმოკლე პერიოდში. ამ წლებში რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას სამოქალაქო საზოგადოების ნიშნები დაემჩნა. ამ ხანმოკლე, მაგრამ ბობოქარ და მღელვარე რუსეთის „ცხოვრების“ ხანასთან (1857-61 წლები) შედარებით საქართველოში ახლად ჩამოსულ ილიას (იგი 1861 წელს ჩამოდის საქართველოში), რომელიც პროგრესის იდეით იყო „შეიარაღებული“, ჩვენი „ცხოვრება“ მართლაც სულისშემხუთველ „გუბედ“ უნდა მოსჩვენებოდა. მოვიყვანოთ ერთი ფაქტი. 1858 წელს „საგლეხო რეფორმის“ მზადების პერიოდში მოსკოვის თავადაზნაურობამ სადილი გამართა, სადაც შეისვა იმპერატორის სადღეგრძელო. იმპერატორმა მადლობა შეუთვალა თავადაზნაურობას „დიად საქმეში“ მხარდაჭერის გამო. შეეძლო მსგავსი მაგალითით დაეკვეხა ჩვენს თავადაზნაურობას? ცნობილია მისი უდიდესი ნაწილის, რბილად რომ ვთქვათ, თავშეკავებული დამოკიდებულება მთავრობის ამ პროექტის მიმართ. ახალგაზრდა ილიას თავად არაერთგზის შეხვედრია უსიამოვნება ამგვარი განწყობილების საწინააღმდეგოდ გალაშქრების გამო. საქმე ის არის, რომ ჩვენში არ არსებობდა ლიბერალური თავადაზნაურობის ფენა, რომელიც საყრდენი იქნებოდა ამ პროექტის განხორციელებისათვის თვით საზოგადოების საკუთარი ძალებით და არა „ზემოდან“ წამოსული ბრძანებისთვის დამორჩილებით. ეს „აქაური“ ვითარება გადმოცემული და მხატვრულად გათვალსაჩინოებული „კაცია-ადამიანისა?!“ და მის „წინასიტყვაობაში „გუბის“ და მის ბინადართა: „ორფეხა მხეცების“, „წურბელების“, „ასომთავრულების“ (III, IV ტექსტები) და მათი კარგი ნიმუშის „ლუარსაბ თათქარიძის ცხოვრების“ სახით. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საქართველოში ახლად ჩამოსულ ილიას რუსეთში ნახული და განცდილი სანატრელად, მისაბაძად ეჩვენება ჩვენი ჩამკვდარი საზოგადოებრივი „ცხოვრებისთვის“. მაშინ, როცა რუსეთში „სოვრემენნიკის“, „კოლოკოლის“ მხილებები ქუხდნენ, ჩვენი საზოგადოება ერთ მშვიდ და თვინიერ „ცისკარს“ გაჭირვებით ჰგუობდა და ინახავდა. საზოგადოების თვითამოძრავება, აი, რა იყო ილიასთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანი ისტორიული პროგრესისა. ილია რომ რუსეთის დემოკრატიულ-რევოლუციური და, ასევე, ლიბერალური აზრის გავლენის ქვეშ იყო, ამას ადასტურებს მისი იმდროინდელი პუბლიცისტიკაც. მისი ცნობილი „პასუხი“ (თბილისი, 1861 წლის 14 მაისი) არგუმენტაციისთვის უხვად იყენებს რუს ავტორებს - პუშკინს, ბელინსკის, მაიაკოვსკის... „პასუხში“ ხელოვნების დარგების დაყოფის პრინციპის განმარტებისას - „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია - ესენი სულ სახეში გამოთქვამენ იდეიასა...“ - სიტყვასიტყვით გადმოსცემს იმხანად ცნობილი რუსი პუბლიცისტის, სოციალური რევოლუციის იდეის გამზიარებლის ბ. ლავროვის 1860 წელს პეტერბურგში საჯაროდ წაკითხული ლექციის შინაარსს (იხილეთ, Е.А.Штакеншна идер. Дневник и записки, 1934 г., გვ. 273). შესაძლოა, ილია თავად ესწრება ამ ლექციას. მისი ზომიერების შემლახავი მიმართვა „ძველებისადმი“ რაზნოჩინული მხილების ნიმუშია - „ყვავებო, ფარშავანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნების ხმებითა...“ თუმცა იგივე „პასუხი“ გვაჩვენებს, რომ რუსეთის დემოკრატიული და ლიბერალური აზრის გავლენა ილიაზე მთლად უპირობო არ არის. ენის დემოკრატიზაციის საკითხთან დაკავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რებით მას ევროპის მაგათილი მოჰყავს და ისევ რუსეთზე გადადის ასეთი სახასიათო განმარტებით: „შორს არ წავალ. აი, თვითონ რუსეთშიც...“ მაშ, ილიას არ ემლება, სად არის პროგრესის, დემოკრატიზაციის აკვანი. იგი, უბრალოდ, „შორს არ მიდის“, რადგან რუსეთშიც პოულობს მსგავს მაგალითებს. ამგვარად, I, II ვარიანტების „დიდებული მთანი“, „მწვანე მინდვრები“ აღნიშნავენ რუსეთის „ცხოვრების“ პროგრესულ ლიბერალურ და დემოკრატიულ ტენდენციებს. ისტორიის პროგრესის კანონთან შესაბამისობაში ილიას ამ საზოგადოებრივი, პოლიტიკური ამოძრავების ნიშნები შეუქცევად, გარდაუვალ („დაუდგრომელ“) პროცესად მიაჩნია. ეს კვებავს მის ოპტიმიზმს ამ მოვლენების მიმართ. ხოლო ყველაზე ძვირფასი შედეგი, რომელსაც იგი ელის ამ პროცესებისგან, მისი სამშობლოს პოლიტიკური სტატუსის (ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები) შეცვლაა. ჩვენი აზრით, I, II ვარიანტები დაწერილი უნდა იყოს არა უადრეს 1861 წლისა. ჯერ ერთი, მთავრობის რეფორმებთან დაკავშირებულმა იმედებმა მაქსიმუმს ყმა-გლეხების გათავისუფლების გამოცხადების წელს - 1861 წელს მიაღწიეს. გარდა ამისა, ნათლად იგრძნობა, რომ „წინასიტყვაობაში“ ჩვენი „გუბე“ შიგნიდან არის დანახული. „წინასიტყვაობის“ ტექსტები რომ საქართველოშია დაწერილი, ამაზე ტექსტების ზოგიერთი რეალიაც მიუთითებს. მაგალითად, I, II ვარიანტებში ნათლად მითითებულია, რომ აქ აღწერილია მგზავრის დაბრუნება რუსეთიდან საქართველოში. ეს ამ ტექსტების ძირითადი სიუჟეტია. მაგრამ მაინც, რადგან მხატვრულ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე, შეიძლება წარმოვიდგინოთ იმგვარად, რომ მგზავრის რუსეთიდან საქართველოში მგზავრობა ოდენ ლიტერატურული პირობითობაა და არაფერი აქვს საერთო ავტორის ცნობილ ბიოგრაფიულ ეპიზოდთან - რუსეთიდან მის დაბრუნებასთან საქართველოში 1861 წელს. ზოგადად, ეს გარემოება ლიტერატურული ნაწარმოების კვლევისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, მაგრამ „წინასიტყვაობის“ ტექსტების ანალიზი აჩვენებს, რომ მგზავრისა და ავტორის გაიგივება, მათ შორის „დისტანციის“ მოშლა ერთი ლიტერატურული მოტივია ამ ტექსტებისა. აშკარად ამას მთხრობელი IV ტექსტში აშიშვლებს, როცა მგზავრი, ლუარსაბის წინააღმდეგობის მიუხედავად, ჰპირდება მას, რომ „მოთხრობაში“, „პატარა ტილოზე“ გამოჰფენს, რათა მისი მანკიერებანი ქვეყანას აჩვენოს. ცხადია, ეს „მოთხრობა“ „კაცია-ადამიანი?!“. მაშ, მგზავრი და „კაცია-ადამიანის?!“ ავტორი ერთი და იგივე პირი ყოფილა. ამგვარად, „წინასიტყვაობის“ ტექსტებში ლიტერატურული პირობითობის გამო გასათვალისწინებელი დისტანცია მგზავრსა და მთხრობელს შორის მინიმუმამდეა დაყვანილი. შესაბამისად, მგზავრის რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების ლიტერატურული სიუჟეტის დაკავშირება ავტორის მსგავს ბიოგრაფიულ ფაქტთან არცთუ თამამ საქციელად გვეჩვენება. გარდა ამისა, „წინასიტყვაობის“ I ტექსტში ვხვდებით კიდევ ერთ რეალიას, რომელიც ილიას სხვა ცნობილი ბიოგრაფიული ეპიზოდის ლიტერატურულ გამოძახილად მიგვაჩნია. „გუბეში“ შესულ მგზავრს აქაური ბინადარნი დაეხვევიან. „სულ ყველამ ვისაც პირი ჰქონდა კბენა დამიწყო. ღმერთმა უშველოთ, არც ერთს კბილი არ უვარგოდა: ზოგს ბევრი მჟავე-მჟუვის ჭამისგან კბილი მოსჭროდა, ზოგიერთისთვის ღმერთს დაბადებიდანვე მჭრელი კბილი არ მიეცა, ზოგს კიდევ კბენის მოხერხების თავიც არა ჰქონდა. კბენასაც, როგორც ვატყობ ჭკვა სდომებია. აბა, რასაკვირველია, იმ ჭია-ჭუებს ყურიც არ ვათხოვე“. ეს ეპიზოდი გვახსენებს ილიას პირველ საჯარო კამათს „ძველებთან“, რომელიც მოჰყვა მისი „ორიოდე სიტყვა კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“ გამოქვეყნებას. კერძოდ, ამ ეპიზოდის სულისკვეთება და მგზავრის საკბენად დახვეული „ჭიაჭუების“ მისეული შეფასებანი ნათლად იმეორებენ „პასუხის“ საერთო სულისკვეთებასა და შეფასებებს. როგორც „წინასიტყვაობის“ I ტექსტის აქ მოტანილი ეპიზოდიდან ჩანს, „გუბის“ ბინადრებს სიმრავლით მოუნდომებიათ მგზავრის დაჯაბნვა, მაგრამ ამისთვის სათანადო ხარისხი - „კბილი“, „ჭკვა“ არ ჰყოფნიათ, მგზავრსაც მათთვის ყური არ უთხოვებია. „პასუხის“ პირველივე აბზაცი „ძველებთან“ კამათის ამგვარ შეფასებას იძლევა: „ბარაქალა, ჩემო სტატიავ, ბარაქალა!“ ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც აალებინე; ვისაც მართალი სიტყვა პირდაპირ ნათქვამი თავის დღეში არ გაუგია, იმას მართლის თქმით გული აუმღვრიე; ვისაც „შინიდამ ფეხი კარში არ გამოუდგამს“ და რაღაც ანბანის თეორეტიკის მეტი არა უკითხავს-რა, ისიც - კი აალაპარაკე თეორეტიკის გარე საგანზედ. ბარაქალა, ბარაქალა! სამი სტატია ერთ სტატიაზე, რა ამბავია? ეს ის ამბავია, ჩემო კეთილო მკითხველო, რომ ამ ჩემ მოპირდაპირეთ რიცხვით ჯობნა სურვებიათ და არა თავის სტატიების ღირსებითა; იმ ზღაპრისა არ იყოს: „ასმა კაცმა ვერ შეჭამაო, ერთი კაცის ლუკმა იყოო“, ეს სიტყვები სწორედ ჩემი აპრილის სტატიას უხდება. ეგ არაფერი კიდევ, სხვა კრიტიკებიც მზადდება თურმე ჩემზედ. სხვანიც რომ ამ სამ კრიტიკას დაჰმატოდნენ, კარგი იქნებოდა, პირველი - რომ პასუხს ერთად გავსცემდი, მეორე - რომ ეს რამდენიმე კრიტიკა ერთ კაი „ზომიერი ლუკმა მაინც გამოვიდოდა, რომ ღირებულიყო ჩასაყლაპად“. როგორც ვხედავთ, „პასუხის“ მიხედვით „მოპირდაპირეთ“ მისთვის რაოდენობით მოუნდომებიათ ჯობნა, ხოლო ილიას ისინი ჩასაყლაპად ღირებულ „ლუკმად“ არ მიაჩნია. ერთი-ერთი მოპაექრე გულუბრყვილო ირონიით მიმართავს „სტუდენტ“ ილიას - ჩვენ, შინიდან ფეხგამოუდგმელებს ესთეტიკა და მისთანა უცხო სიტყვები იქნებ საჭმელი გვეგონოსო. ილია კი არ იზიარებს ამგვარ გულუბრყვილობას და მოპირდაპირეთაგან ითხოვს მეცნიერულ კრიტიკას, მეცნიერულ დასაბუთებას; იგი კამათში ეყრდნობა იმჟამინდელი ფილოლოგიური მეცნიერების მიღწევებს; განუმარტავს მოპირდაპირეთ, რომ „კანონები ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე“, ანუ მომარჯვებული აქვს კვლევის ისტორიული მეთოდი; იგი ითხოვს, რათა მისმა „ძველმა“ ოპონენტებმა თავიანთი თეზისები „ფაქტებით დაამტკიცონ“ და არა „ძველ წიგნებზე“, „ანბანთ თეორიტიკაზე“ მითითებით, რადგან „ენას კანონსა თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა“. მოპირდაპირეთა თეორიული საყრდენი „ანბანის თეორეტიკა“ (ანტონ I-ისა) მისთვის „სქოლასტიკის ნაშთია“. შესაბამისად, ოპონენტების არგუმენტები, ირონია - „კბენა“ ილიაში ოდენ დაცინვას, ბასრ სატირას აღძრავენ. „კბენას“ „კბილი“, „ჭკვა“ - შესაბამისი კვალიფიკაცია „სდომებია“, რომელიც მის „მოპირდაპირეთ“ არ გააჩნიათ. ამიტომაც, „რასაკვირველია“, „ყური არ ათხოვა“ - „ჩასაყლაპად ღირებულ ლუკმად“ არ მიიჩნია. ისინი იგივე „ჩვენი ანბანის გამარტივების გამო ძველებთან“ კამათის კვალს ატარებს III, IV ტექსტებში თავად-აზნაურთა „ძველების“

ნაწილის „ასომთავრულებად" მოხსენიება - „რაც იმ გუბეში ცხოველები იყო, რომ ანბანს შევადარო, გამოვა, რომ საცა სული დამეხუთა, იქ ასომთავრულები ჭყუმპალაობდნენ". ამგვარად, აშკარაა თვალსაჩინო მსგავსება „წინასიტყვაობის" ტექსტებში დაცულ რეალიებსა და ილიას „ძველებთან" ცნობილი კამათის პერიპეტიებს და სულისკვეთებას შორის. მოყვანილი არგუმენტების ფონზე მიგვაჩნია, რომ ამ „წინასიტყვაობისეულ" რეალიებში ასახვას პოულობს ილიას ბიოგრაფიის ეს ცნობილი ეპიზოდი (არჩ. ჯორჯაძე ამ კამათის შესახებ წერს, რომ ეს იყო „სურათი ორ მსოფლმხედველობათა შეტაკებისა" და „რეფორმაციის დროშის აფრიალება ახალ საქართველოს სახის და ვინაობის გამოსარკვევად". იხ. არჩ. ჯორჯაძე, წერილები, „მასალები ქართული ინტელიგენციის ისტორიისთვის", გვ. 153, 1989 წელი). ყველაფერ იმის გათვალისწინებით, რაც ითქვა, შესაძლებლად მიგვაჩნია, ვამტკიცოთ, რომ ეს ტექსტები ვერ დაიწერებოდა 1861 წელზე ადრე; კერძოდ, I ტექსტი ვერ დაიწერებოდა 1861 წლის მაისამდე. ამაზე მიუთითებს ორივე ძირითადი არგუმენტი. ილია საქართველოში პეტერბურგიდან 1861 წლის მაისში ჩამოვიდა; ასევე, მაისში გამოქვეყნდა „მოპირდაპირეთა" „სტატიები". ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ I, II ვარიანტების დაწერის ზედა თარიღი 1861 წლის ოქტომბერ-დეკემბერს არ უნდა სცილდებოდეს. 1861 წლის ოქტომბერში მთავრობამ უწინდელი მძიმე „თათი" გამოაჩინა და გაფიცული სტუდენტები სასტიკად დაარბია. იყო მსხვერპლი. 280 სტუდენტი აიყვანეს. უნივერსიტეტი დახურეს, დეკემბერში 7 სტუდენტს გადასახლება მიუსაჯეს. თუ დავუმატებთ, რომ უფრო ადრე თვით ილიაც გარიცხეს უნივერსიტეტიდან (ოქტომბერში) ძნელად წარმოსადგენია, რომ თავის ამხანაგებზე ამ მძიმე ამბების მოსმენის მერე მას რუსეთის „ცხოვრება" მხატვრულ ტექსტში ჩვენთვის მისაბაძად წარმოედგინა. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ საზოგადოებამ ვერ დაიცვა სტუდენტები. იმჟამინდელი რუსეთის ყურადღებიანი დამკვირვებელი (და გულშემატკივარი) ე. შატკენშნაიდერი (საგულისხმოა, რომ დოსტოევსკი პირადად იცნობდა დღიურის ავტორ ქალს და მისი დღიურის ზოგიერთი შეფასება რუსეთის თანადროული მოვლენებისა რომანებში გამოიყენა), რომლის ძმაც სხვა სტუდენტებთან ერთად იყო დაპატიმრებული, დღიურში წერს, რომ საზოგადოება „....тоже приходит в свое нормальное положение; не грозит не адресами, не демоснтрациями и не говорит почти не очем". ამგვარად I, II ვარიანტები დაწერილი უნდა იყოს 1861 წელს. არ არის გამორიცხული, რომ პეტერბურგიდან მოსულმა მძიმე ამბებმა ილიას II ვარიანტზე მუშაობისას მოუსწრო და იგი დაუმთავრებელი დატოვა.

გადავიდეთ III, IV ვარიანტებზე. სტუდენტების დარბევის შემდგომ რუსეთიდან ცუდი ამბების მოდინება არ წყდებოდა. 1862 წელს დააპატიმრეს ჩერნიშევსკი, დახურეს „სოვრემენნიკი". მთავრობამ ნათლად აჩვენა, რომ რეფორმები მკაცრი ჩარჩოთი იზღუდებოდა, ყველაზე თანაბრად არ ვრცელდებოდა, ხოლო უკმაყოფილოებს ციმბირის გზას უყენებდა. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის საზოგადოების პოზიციას. ე. შტაკენშნაიდერი უკვე 1861 წელს ჩაინიშნავს მისთვის საკვირველ ცვლილებას, რომელიც მის ნაცნობ ლიბერალებს დაეტყოთ. იმის მერე, რაც ყმა-გლეხობის გათავისუფლება რეალობად იქცა, ჩვენი ლიბერალები თავიანთ გამოთქმებში „ვირგინიის პლანტატორებს" დაემსგავსნენო. რუსეთის „ცხოვრების" ლიბერალიზაციის მიმართ ილიამ დამოკიდებულება რომ შეცვალა, თავიდან ეს, გასაგები მიზეზების გამო, პოლონეთის 1863-64 წლების „იანვრის აჯანყების" სისხლში ჩახშობით ავხსენით. მითუმეტეს, რომ ლიბერალურად განწყობილი საზოგადოების ნაწილი პოლონეთის დასჯაში ერთსულოვნად უჭერდა მხარს მთავრობას. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვფიქრობდით, რომ III, IV ვარიანტები დაწერილი უნდა ყოფილიყო 1863 წელს. მაგრამ ილიას 1862 წელს გამოუქვეყნებელმა ლიტერატურულ-პუბლიცისტურმა წერილმა „ცისკარი 1857-62 წლამდინა" აზრი შეგვაცვლევინა. პავლე ინგოროყვას შენიშვნით, ამ წერილის ნაწყვეტების თემები, დებულებები საფუძვლად დაედო ჩვენი საზოგადოებრივი აზრისთვის ილიას ისეთ მნიშვნელოვან წერილებს, როგორებიც არის „საქართველოს მოამბეზედ" (1863), „ზოგიერთი რამ" (1866 წელი), „წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე" (1892 წელი) (იხ. ილია ჭავჭავაძე, ტომი II, 1941 წელი, გვ. 659-60). ეს წერილები საფუძველს უყრის ჩვენში ლიტერატურის, საზოგადოების მეცნიერული კვლევის ტრადიციებს. მართალია, თეორიული ნაწილი აქ ორიგინალური ხასიათისა არ არის, მაგრამ გავიხსენოთ, „ესთეტიკა", „კრიტიკა" სულ ცოტა ხნის წინათ „საჭმელად" შეიძლება მოსჩვენებოდათ. რაც შეეხება აქ განხილულ პრობლემატიკას, იგი დღესაც გვიშლის ხელს ნორმალურ არსებობაში. აი, ამ აქტუალური პრობლემატიკის განმხილავ, მნიშვნელოვანი წერილების პირვანდელ მასალას წარმოადგენს ილიას 1862 წლის დაუმთავრებელი წერილი - „ცისკარი 1857-62 წლამდინა". ძირითადი იდეა აქაც ისტორიის პროგრესის კანონია და ნატურალისტური სოციოლოგიის სულისკვეთება (შემდგომი განხილვა გვაჩვენებს, რომ ამ წერილებში რუს დემოკრატ-რევოლუციონერთა იდეოლოგიის გავლენაც ჩანს.). შემთხვევითი არ არის, რომ ამ წერილის VI ნაწყვეტს ასეთი სახასიათო სათაური აქვს: „ჩვენი საზოგადოების ფიზიოლოგია" (არჩ. ჯორჯაძემ „საქართველოს მოამბეზედ" დაახასიათა, როგორც „პოზიტივისტური ფილოსოფიის ისტორიის შემოტანის პირველი ცდა ქართულს ლიტერატურაში". იხ. არჩ. ჯორჯაძე, წერილები, 1989 წელი "მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის", გვ. 170). ერთია, რომ ამ დაუმთავრებელი წერილების ნაწყვეტებში ვხედავთ ყველა ძირითად თემას, პრობლემას, იდეოლოგიურ მოტივებს, რომლებიც „წინასიტყვაობის" ტექსტებშიც გვხვდება. ჩვენთვის უფრო საინტერესოა, რომ ამ პუბლიცისტურ-ლიტერატურული წერილის ნაწყვეტებში მონაწილეობენ „წინასიტყვაობის" მხატვრული ხატები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ახასიათებს ოდენ მის ბოლო, IV ტექსტს. ასეთია ილიას გამოუქვეყნებელი წერილის II და VI ნაწყვეტები. VI ნაწყვეტი ასე იწყება: „მრავალი, მრავალი წელიწადია, ჩვენო დავრდომილო ქვეყანავ, რაც შენს შვილს ერთი ცოცხალი აზრი, ერთი პატიოსანი გრძნობა არ ჩავარდნია გულში". როგორც ვხედავთ, დასაწყისშივე შემოდის ჩვენ გუბურ „ცხოვრებასთან" დაკავშირებული „გონებისა და გულისთვის ობის მოკიდების" თემა. შემდეგ ილია მიმართავს „დავრდომილ ქვეყანას", „პატიოსან გრძნობასა და ცოცხალ აზრს" გადაჩვეული „ლაფში გასვრი", ვისაც ცოცხალი აზრი და პატიოსანი გრძნობა ამოძრავებსო. „ლაფში გასვრის" ხატი „ლაფის სროლის" მსგავსი ხატია, რომელიც ოდენ „წინასიტყვაობის"

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV ტექსტში გვაქვს. აქაც ლუარსაბის „ნათესავნი“ „ლაფს დაუშენენ“ მგზავრს, რომელსაც „პატიოსანი გრძნობა და ცოცხალი აზრი“ ამოძრავებს, როცა ლუარსაბის, მეგუბურეების „კარგი ნიმუშის“ მოთხრობაში გამოფენა სურს: იქნება შეგრცხვეს ქვეყნისა და გაირეცხოთ. ამგვარად, აქაც და იქაც ერთსა და იგივე თემას მხატვრულად ამუშავებს მსგავსი ხატები - „ლაფში გათხვრისა“ და „ლაფის სროლისა“. აქვე შევნიშნოთ, რომ ამ მსავსებას თან ახლავს განსხვავებაც. ამ თემის დამუშავებაში სხვადასხვა ხასიათის ტექსტებში (ერთი მხატვრული ტექსტია, მეორე პუბლიცისტურ წერილად არის გამიზნული) მახვილები განსხვავებულად არის დასმული. თუკი „წინასიტყვაობის“ IV ტექსტში გვაქვს იმჟამინდელი თავადაზნაურთა „ძველების“ ნაწილის კრიტიკა, პუბლიცისტური წერილების ავტორი „დავრდომილ ქვეყანას“ მიმართავს; ამიტომ პირველ შემთხვევაში მისი კრიტიკა გაცილებით დაუნდობელია, მეორე შემთხვევაში კი გულშემატკივრიანი. აქაც დასტურდება, რომ ერი, კლასისგან განსხვავებით ავტორისთვის უმაღლესი, წარუვალი კატეგორიაა, გამოუქვეყნებელი წერილის IV ნაწყვეტში ვხედავთ, შემდეგ პასაჟს: ავტორი „დავრდომილ ქვეყანას“ „საპყრობილეში დიდხანს დამწყვდეულ კაცს“ ადარებს, რომელიც „როცა მზეზე გამოვა, თვალებზედ ხელს იფარებს, რადგანაც სინათლე თვალებსა სტკენს, - ისე გადაჩვეულია, და რაც ნათელია - იმას თვალებზედა ხელის აფარებით აბნელებს“. „წინასიტყვაობის III ვარიანტის ბოლოს, ლუარსაბის „გუბიდან“ ამოყვანის ეპიზოდში ლუარსაბი არწმუნებს მგზავრს უკან, „გუბეში“ ჩააბრუნოს, რადგან „სინათლეზე დიდხანს დგომა არ შემიძლიან“, „ჩვენ ძმა-კაცსა სინათლე ეჯავრება“ იმიტომ, რომ „თვალებში სწყინს“, „არა ვართ დაჩვეულნი და არც გვინდა დავეჩვიოთ...“

როგორც ვხედავთ, ერთი და იგივე თემას - ჩვენს „დავრდომილ“, „მავნე“ საზოგადო ვითარებას ეს დამოუკიდებელი, განსხვავებული ხასიათის ტექსტები მსგავსი, ზოგჯერ კი ერთი და იგივე მხატვრული ხატებით ითვისებენ. მოვიყვანოთ იგივეს მადასტურებელი სხვა მაგალითები. VI ნაწყვეტში ვხედავთ „კიჟინას“ მხატვრულ ხატს, რომელიც ასევე ოდენ „წინასიტყვაობის“ VI ტექსტში გვხვდება ლუარსაბის ეპიზოდში. I ნაწყვეტში ილიას გამოუქვეყნებელი წერილისა ჩვენი მძიმე საზოგადო ვითარება გადმოცემულია „ჭრიანტელის“ ალეგორიით. ამ შედარების ბოლოს ვკითხულობთ: „ვაი იმ ხალხს, რომელმაც არ იცის, რისთვის ცხოვრობს, რომელიც ხავსს იკიდებს ერთ დამპალ გუბეში და არ იცის, რომ გუბეს გარეთ მინდვრებია ამწვანებული და ჰაერი ცხოვრების მიმნიჭებელი“. აქ პირდაპირ არის მოცემული იგივე დაპირისპირება ხატებისა, რომელსაც „წინასიტყვაობის“ IV ტექსტში ვხვდებით. აქაც „დამყაყებულ“ „გუბეს“ „განაპირების“ ეპიზოდში უპირისპირდება ხატების წყვილი - „...მინდვრები, ფუსტუხად აბიბინებულნი“ და „... გუმბათი ცხოვრების მიმნიჭებელი ჰაერისა.“ დასტურდება, რომ, როცა მთხრობელი „წინასიტყვაობას“ წერდა, მკითხველისთვის („მოძმეთათვის“) იმის გაგებინება სურდა, რომ არსებობს სხვა „იქაური“ დამპალ „გუბისგან“ განსხვავებული „ცხოვრებაც“. მოვიყვანოთ კიდევ სხვა მაგალითიც. გამოუქვეყნებელი წერილის I და IV ნაწყვეტებში ვხედავთ ჩვენი უხეირო, მავნე „ცხოვრების“ დეტალურ აღწერას, რომელიც სახასიათო, გასტრონომიული თემით არის გადმოცემული: „ჩვენი საზოგადოება სწორედ ჭრიანტელია, მერე რუსული ჭრიანტელი, რომელსაც აკრომკას ეძახიან და რომელშიც კიტრიც არის, ისკრიმიც, რუსული კვასიც (ამას ხმარება ჭრიანტელში თანდათან უფრო მოდაში შემოდის, ასე რომ დღესა თუ ხვალე ჩვენი ქართული ისკრი თავის ადგილს დაუთმობს სრულიად), ძმარიც, ხარდალიც, ხორციც, თევზიც, ...“ უკვე შესავალში ილია რიტორიკული ფიგურების ხმარებით წინ წამოწევს დაფარულ სათქმელს (ცენზურასთან ჭიდილში იგი ვირტუოზულად დახელოვნებულია). „ჭრიანტელის“ ორგზის განმეორებით, ლექსიკური ერთეულებით - „მერე“, „სწორედ“, „ქართული ისვრიმისა“ და „რუსული კვასის“ დაპირისპირებით იგი თავიდანვე ხაზს უსვამს, რომ შემთხვევით არ ადარებს „ჩვენს საზოგადოებას“ „რუსულ ჭრიანტელს“. ამ გასტრონომიული თემით შეპირისპირებულია ჩვენი და რუსეთის საზოგადოების ვითარებანი. შესავალი ნაწილის შემდგომ ავტორი აგრძელებს გასტრონომიულ თემას და აჩვენებს, თუ რითი ჰგავს ჩვენი საზოგადოება რუსეთის საზოგადოებას; აღმოჩნდება, რომ თვისებანი, რომლებითაც ეს საზოგადოებები ერთმანეთსა ჰგვანან, ყველანი უარყოფითად არიან შეფასებულნი: ესენია „დაქუცმაცებულობისა“ და „თევზივით პირ-უტყვობის“ თვისებები. რაც შეეხება განსხვავებებს, ისინი ოდენ ჩვენს საწინააღმდეგოდ მეტყველებენ; „ჩვენი საზოგადოება ისე ადვილად შეიხვრიტება, როგორც ჭრიანტელი“, მაგრამ რუსულ „ჭრიანტელთან“ მიმართებაში თურმე მაინც ზომიერება გვმართებს, რადგან „წყენა“ შეუძლია, ჩვენგან განსხვავებით. ანუ, ჩვენ საკუთარი თავის დაცვაში უძლურნი ვართ (I ნაწყვეტში ამასთან დაკავშირებით ნახსენებია ვინმე „მადაზე მოსული“), ხოლო რუსეთი, თუმცა „შეიხვრიტება“, უწყინარი არ არისო. ილია აქ, როგორც ჩანს, გულისხმობს ცოტა ხნის წინათ რუსეთის მიერ წაგებულ ყირიმის ომს, მაგრამ ამ მარცხის შემდეგაც რუსეთი დიდ სახელმწიფოდ დარჩა და კავკასია თავისად დატოვა. ვხედავთ კიდევ ერთ განსხვავებას - „ჭრიანტელს ერთი კაი შნოცა აქვს: სიცხეში კაცს აგრილებს, ჩვენი საზოგადოება-ღა რისთვის არის? ჩვენმა საზოგადოებამ ამ კითხვის პასუხი რომ მოახერხოს, ხომ ჭრიანტელი აღარ იქნებოდა, არამედ იქნებოდა გონიერი მწყობრი, რომელმაც იცის, რისთვის არის...“ ჩვენგან განსხვავებით, რუსეთის საზოგადოებას „სიცხეში“ „გაგრილების“ უნარი ჰქონია. „გრილი“ III და IV ტექსტებში ძირითადი, მაღალღირებული შინაარსების აღმნიშვნელი „გუმბათი ცხოვრების მიმნიჭებელი ჰაერის“ ხატის თვისებას აღნიშნავს. როგორც ვხედავთ, III, IV ვარიანტების მაღალღირებული შინაარსების აღმნიშვნელი ხატის თვისება I და IV ნაწყვეტებში ილიას დაუმთავრებელი წერილისა რუსეთის „კარგი შნოს“ ნიშნადაც არის გამოყენებული. ეს კარგი შნო რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრია; ეს ის „პატიოსანი გრძნობა“ და „ცოცხალი აზრია“, რომელიც ჩვენ არა გვაქვს, ხოლო რუსეთის საზოგადოებრივ „ცხოვრებას“ კი აქვს. აქ ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი: როგორც ვნახეთ, I და IV ნაწყვეტებში ჯერ ანტითეზურ დაპირისპირებაშია მოყვანილი ქართული და რუსული საზოგადოების თემები, შემდეგ ჩვენი საზოგადოების უარყოფითი თვისებები „გამოყვანილია“ „რუსული ჭრიანტელის“, ანუ რუსული საზოგადოების შესაბამისი თვისებებიდან. ეს მიგვანიშნებს, რომ IV ნაწყვეტში (ასევე I ნაწყვეტშიც) შემოტანილია რუსეთის „ცხოვრების“ ჩამორჩენილობისა და ჩვენთვის მავნეობის თემა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც „წინასიტყვაობის“ ტექსტებიდან მხოლოდ III, IV ვარიანტებშია. გასარკვევია მნიშვნელოვანი საკითხი. „წინასიტყვაობის“ III, IV ვარიანტები და ილიას გამოუქვეყნებელი წერილის I და IV ნაწყვეტები ერთი და იმავე თემატიკურ კონტექსტს ამუშავებენ; ეს არის ჩვენი საზოგადოებრივი უხეირობისა და მისი მიზეზების კვლევა. ამისთვის ისინი ერთნაირ ან მსგავს ხატებს იყენებენ. დგება საკითხი: რომელი ტექსტია ამ ხატების შემმუშავებელი დედანი და რომელია მათი „მსესხებელი“ ტექსტი. მხატვრული ტექსტისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს მხატვრულ ხატთა სისტემას; პუბლიცისტური წერილისთვის პრინციპულია დღის საჭირბოროტო პრობლემატიკის გახსნა. მისთვის მხატვრული ხატებით აზროვნება არა პრინციპული, არამედ უფრო შემთხვევითი ხასიათის მოვლენაა (აქ - ცენზურის გაცურების აუცილებლობა). ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ვიდრე ამის გამაბათილებელ ფაქტებს არ წარმოგვიდგენენ, ყველა უფლება გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ამ ხატების შემმუშავებელი ტექსტებია „წინასიტყვაობის“ III, IV ვარიანტები, ხოლო ილიას გამოუქვეყნებელი წერილი კი მათი „მსესხებელი“ ტექსტია. აქედან ის გამომდინარეობს, რომ ჯერ ერთი, IV ტექსტის მაღალღირებული შინაარსების განმასახიერებელი ძირითადი ალეგორიების - „გუმბათი ცხოვრების მიმნიჭებელი ჰაერისა...“ და „...მინდვრები, ფუსტუხად აბიბინებულნი...“ შემუშავების დრო 1862 წელს არ სცილდება. იგივე ითქმის რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების ჩამორჩენილობისა და ჩვენთვის მავნეობის თემის შესახებ. ამ თემის მნიშვნელობაზე III, IV ვარიანტებისთვის ის მეტყველებს, რომ, როგორც თავის ადგილზე ვაჩვენეთ რუსეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მიმართ ილიას დამოკიდებულების რადიკალური ცვლილება იყო უშუალო მიზეზი III, IV ვარიანტების შექმნისა, და ეს ცვლილება ავტორმა სწორედ ამ თემით გააცხადა. I, II ვარიანტებისგან სრულიად საპირისპიროდ, III, IV ვარიანტების მიხედვით ჩვენი „ცხოვრების“ მავნე, მომაკვდინებელი თვისებანი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების „საფლობი ლექობის“ „ნაყოფი“, „შედეგი“ ყოფილა. როგორც ვიცით, ეს ახალი თემა და მაცოცხლებელი „ჰაერის გუმბათის“ ალეგორია განაპირობებენ იმ გარემოებას, რომ „კაცია-ადამიანის?!“ „წინასიტყვაობის“ III, IV ტექსტები მისი I, II ტექსტების ვარიანტებს კი არ წარმოადგენენ, არამედ რედაქციებს (არსებითი ცვლილებით მიღებულ ტექსტებს). ანუ, ის ცენტრალური თემა და ძირითადი ალეგორია III, IV ვარიანტებისა, რომლებიც ამავე დროს I, II ვარიანტებში არ გვაქვს თავისი შექმნის დროით 1862 წელს არ სცილდება. ეს მაღალი ალბათობით გვავარაუდებინებს, რომ III, IV ვარიანტების დაწერის ზედა შესაძლო დროითი ზღვარი 1862 წელს არ სცილდება, მაგრამ დასაშვებია ისეთი შესაძლებლობის არსებობაც, როცა ავტორის მიერ შემუშავებულია ძირითადი ალეგორიები და მთავარი თემა, ხოლო ტექსტის ბოლომდე მიყვანის „ტექნიკური“ მხარე კი შესრულებული არ არის. ამიტომ, მკაცრი აზრით, IV (ბოლო) ტექსტის შექმნის ზედა თარიღად „კაცია ადამიანის?!“ გამოქვეყნების დრო 1863 წელი უნდა ავიღოთ. რაც შეეხება III ტექსტის დაწერის ქვედა შესაძლო დროით ზღვარს, მის გარკვევისთვის კვლავ უნდა გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ამ ტექსტის შეთხზვის უშუალო საბაბს ილიას მხრიდან რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების რადიკალურად საპირისპირო გადაფასება შეადგენდა. ამის განმაპირობებელ ფაქტებად ისინი უნდა მივიჩნიოთ, რომლებსაც 1861 წლის მიწურულიდან ჰქონდათ ადგილი. კერძოდ, 1862 წელს დააპატიმრეს ჩერნიშევსკი და დახურეს ჟურნალი „სოვრემენნიკი“. როგორც ვნახეთ, თავის დაუმთავრებელ პუბლიცისტურ წერილში ილია რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ერთადერთ „კარგ შნოდ“, რომელიც ჩვენთვისაც სახეირო იყო, მის „პატიოსან გრძნობასა და ცოცხალ აზრს“ თვლიდა. მისი გავლენა „კაცია-ადამიანის?!“ „წინსიტყვაობის“ შეხედულებათა სისტემასაც ამჩნევია. ამიტომ სავარაუდოა, რომ რუსეთის „პატიოსანი გრძნობისა და ცოცხალი აზრის“ ამოძირკვა და „დახურვა“ მთავრობის მიერ და საზოგადოების მხრიდან მისი ვერ დაცვა გადამწყვეტი მიზეზი უნდა ყოფილიყო ილიასთვის, რუსეთის „ცხოვრებაში“ მიმდინარე პროცესებისა და მათი პერსპექტივების მიმართ თავისი დამოკიდებულება რადიკალურად რომ შეეცვალა. აქედან გამომდინარე, სადღეისოდ ჩვენ ხელთ არსებული ცნობების გათვალისწინებით დასაშვებად მიგვაჩნია ვამტკიცოთ, რომ III ტექსტი 1862 წლამდე ვერ დაიწერებოდა. შესაბამისად III, IV ვარიანტების დაწერის თარიღად უნდა მივიჩნიოთ 1862-63 წლები.

მაშასადამე „წინასიტყვაობის“ I, II ვარიანტები დაწერილია 1861 წელს, ხოლო III, IV ვარიანტები 1862-63 წლებში. აქვე უნდა მოვიტანოთ ერთი ფაქტი, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება გამოდგეს ჩვენი მოსაზრების საპირისპიროზე მეტყველ არგუმენტად. ილიას 1860 წელს დაწერილ წერილში „ორიოდე სიტყვა კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედ“ ვხედავთ ხატს, რომლის მსგავსი ხატი გვხვდება „წინასიტყვაობის“ ყველა ტექსტში. ეს ხატია „წინ ფეხის ვერ წადგმისა“, რომელიც ხსენებულ წერილში ჩვენი „ცხოვრების“ ჩამორჩენილობის თემას აღნიშნავს. მსგავსი ხატი, რომელიც იგივე თემატურ რკალს ამუშავებს ჩვენს მხატვრულ ტექსტებში, არის „მუხლი წინ წასადგმელად მოცემული, მოეჭროდა და დაეხუთებოდა“. ჩვენი ლოგიკით, რომლითაც III, IV ტექსტები დავათარიღეთ, ეს მსგავსება ამ ხატებისა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ I ტექსტი მაინც 1860 წლის შემდეგ ვერ დაიწერებოდა და ამიტომ მისი დათარიღება 1861 წლით კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ჩვენი მოსაზრების დასაცავად უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ერთადერთი არგუმენტია, რომელიც ჩვენს ჰიპოთეზას უპირისპირდება მაშინ, როცა მას მხარს უჭერს არაერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი. მაგრამ პრობლემის მხოლოდ ამ „რაოდენობრივი“ მხარის გამთვალისწინებელ არგუმენტს ვერ დავჯერდებით ჩვენი მოსაზრების დასაცავად, იგი ოდენ შესავალ ნაწილად თუ გამოდგება ამისთვის, ვიდრე „თვისობრივი“, ხასიათის არგუმენტები არ მოგვიტანია. ასეთად კი ის ფაქტი გამოდგება, რომ „ფეხის წინ ვერ წადგმის ხატი“ განყენებული ხატია; იგი უფრო მიმართავს ჩვენი გაგების უნარს, ვიდრე თვალსაჩინოდ წარმოდგენისა. II ტექსტის „დაუდგრომლად მიმავალი ანკარა წყალის“ მაგალითზე ვნახეთ, რომ „წინასიტყვაობის“ ტექსტებისთვის პრინციპულია კონკრეტული, თვალსაჩინო ხატების ხმარება. შესაბამისად, ჩვენი „ლოგიკა“ პირველ რიგში ითვალისწინებდა „კაცია-ადამიანის?!“ „წინასიტყვაობის“ III, IV ვარიანტებსა და ილიას გამოუქვეყნებელი პუბლიცისტური წერილის ნაწყვეტებში თვალსაჩინო, კონკრეტული მსგავსი ხატების არსებობას, როგორებიც არის „დამყაყებული გუბე“, „მინდვრები ფუსტუხად აბიბინებულნი“, „გუმბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი მაცოცხლებელი ჰაერისა“ (მით უმეტეს, რომ ეს ხატები ამ ვარიანტების ძირითადი დაპირისპირებული ხატებიც არის), მაგრამ არა ისეთი განყენებული ხატებისა, როგორებიც არის იგივე „ფეხის წინ წადგმისა“ და „მუხლი, წინ წასადგმელად მოცემული დაეხუთებოდა და მოეჭროდას“ ხატები. შესაბამისად ეს ხატები უნდა წარმოვიდგინოთ არა ილიას ლიტერატურული ტექსტებისთვის დამახასიათებელ ხატებად, არამედ ზოგად სააზროვნო წარმოდგენებად, რომლებითაც ილია ჩვენი ჩამორჩენილობის თემას მოიაზრებს და გამოიყენებს მათ როგორც ლიტერატურულ, ისე პუბლიცისტურ ტექსტებში. ამგვარად, ზემოთ ხსენებულ განყენებულ ხატებს მეტად სუსტი კავშირი აქვს ჩვენს „ლოგიკასთან“, რათა მათი მსგავსება რაიმე ძალის მქონე არგუმენტად ჩავთვალოთ, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა ჩვენს ჰიპოთეზას, რომ I ტექსტი 1861 წელს დაიწერა. ყველა ჩვენს მიერ მოპოვებული ფაქტის განხილვის შემდგომ დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ I, II ვარიანტები 1861 წელს არის დაწერილი, ხოლო III, IV ვარიანტები კი 1862-63 წლებში. ამას კარგად ესადაგება პავლე ინგოროყვას დასკვნა, რომ „პირველი ორი ვარიანტი დამწერლობისა და ქაღალდის მიხედვით - ერთდროულია; ასევე III, IV ვარიანტები ასევე ერთ დროს ეკუთვნიან“.

ილიას გამოუქვეყნებელი წერილის „ცისკარი 1857-62 წლამდინა“ IV ნაწყვეტი დაგვეხმარება იმის დაზუსტებაში, თუ რა მიზეზებმა შეაცვლევინეს ილიას დამოკიდებულება რუსეთის საზოგადოებრივი „ცხოვრებისადმი“. ილია თუმცა ახსენებს „რუსული ჭრიანტელის“ „კარგ შნოს“ - მისი საზოგადოებრივი „პატიოსანი გრძნობისა და ცოცხალი აზრის“ არსებობას, მაგრამ უპირველესად იგი გვაცნობს რუსეთის „ცხოვრების“ ისეთ უარყოფით თვისებებს, როგორებიც არის რუსეთის საზოგადოების „თევზივით პირუტყვობა“ და „დაქუცმაცებულობა“. ამიტომ რუსეთის საზოგადოებას არ აქვს ამ „პატიოსანი გრძნობისა და ცოცხალი“ აზრის“ დაცვის უნარი, ანუ არ გააჩნია თვით მოძრაობის თვისება, რის გამოც ილიასთვის მისი განუვითარებლობა, ჩამორჩენილობა ცხადი ხდება. როგორც უკვე ვთქვით, ამ მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთებაში ილიას დაეხმარა 1861 წლის ბოლოს და 1862 წლის დასაწყისის მიმდინარე მოვლენები (საინტერესოა, რომ ილიას 1862 წელს გამოუქვეყნებელი წერილის მსგავსად აფასებს რუსეთის საზოგადოების მოქალაქეობრივ სიმწიფეს ე. შტაკენშნაიდერი. დღიურში იგი აღნიშნავს საზოგადოების პასიურობას სტუდენტთა მთავრობისგან დაცვაში, იმ სტუდენტებისა, რომლების გულმხურვალე თანამგრძნობიც იყო იგი, ვიდრე მთავრობა თავის განაჩენს სისრულეში მოიყვანდა - „...не грозит не адресами, ни демонстрациями и не говорит почти не о чем“. რუსეთის საზოგადოების „დაქუცმაცებულობის“, „თევზივით პირუტყვობის“ მიზეზით ცალკეული პატიოსანი, ჭკვიანი პირები ერთი-ერთზე რჩებოდნენ რეჟიმთან, რაც მათ უეჭველ მარცხს განაპირობებდა. ეს კი რუსეთის ლიბერალიზაციის პროცესს მკაცრ ჩარჩოებში აქცევდა. აქედან გამომდინარე, ილიასთვის ნათელი გახდა, რომ რუსეთის ლიბერალურ რეფორმებთან, მის „რევოლუციურ სიტუაციასთან“ დაკავშირებული მისი მთავარი - სამშობლოს პოლიტიკური სტატუსის შეცვლის იმედი ფუჭი ილუზია იყო. ამის გაცნობიერება გახდა, ჩვენი აზრით, რუსეთის „ცხოვრების“ თემის მიმართ მისი დამოკიდებულების რადიკალურად საპირისპიროდ შეცვლის გადამწყვეტი იდეური საფუძველი. ეს იყო იმის მიზეზიც, რომ ილია „კაცია-ადამიანის?!“ „წინასიტყვაობის“ III ტექსტის წერას შეუდგა და მასში ახალი თემა შეიტანა ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო, იგი მისი ლიტერატურული ღირსებებით უკმაყოფილო დარჩა. საქმეს ვერ უშველა III ტექსტის ახალი ვარიანტის შექმნამ; „კაცია-ადამიანის?!“ მხატვრულ ღირსებებზე ზრუნვამ ილიას ის გამოსავალი აპოვნინა, რომ მან ბოლო, IV ტექსტი აღარ დაურთო მოთხრობას. ამასვე ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ „წინასიტყვაობა“ და მოთხრობა არაერთგვაროვანი ტექსტებია: „წინასიტყვაობის“ მხატვრულ ხატთა სისტემა კონტრასტულობის პრინციპზეა აგებული მაშინ, როცა „კაცია-ადამიანში?!“ ეს პრინციპი ესოდენ მკვეთრად არ არის გამოხატული“, რადგან აქ პირველ რიგში „აქაური“, „საძაგელი გუბის“ - „საძაგელი მიწის“ „ცხოვრებაა“ აღწერილი. ამგვარად, მხატვრულ ღირსებებზე ზრუნვამ ავტორს უარი ათქმევინა მოთხრობისთვის „წინასიტყვაობის“ დართვაზე, რის შედეგადაც ახალმა ლიტერატურამ თავისი შედევრი შეიძინა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოთხრობისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია ამ ტექსტების არსებობას. აქ პირველ რიგში გამოვყოფთ შემდეგ ფაქტს. „კაცია-ადამიანის?!“ IV თავის დაუვიწყარი „მშვენიერი კრების“ აღწერა მთავრდება „საძაგელი მიწისა და სამხრეთელი „ციაგი“ ცის „კამარის“, „რომელზედაც ცისარტყელასავით მოიგრიხებოდა ერთ განუწყვეტელ ზოლად მთების ლაჟვარდი გრეხილი“, ხატების დაპირისპირებით. იგი აშკარად ატარებს „წინასიტყვაობის“ „საძაგელი გუბისა“ და „ლიდებული მთანის“ (I, II ვარიანტებში) და „საძაგელი გუბისა“ „ციაგნარევი“ „გუმბათი ცხოვრების მიმნიჭებელის ჰაერისა“ (III, IV ვარიანტებში) ხატების დაპირისპირების კვალს. როგორც ვხედავთ, „საძაგელი მიწის, პასაჟში ავტორმა I, II და III, IV ვარიანტების მაღალღირებული შინაარსების აღმნიშვნელი ძირითადი ხატები ერთ სახედ გადაადნო და ისე დაუპირისპირა „საძაგელი გუბის“ მსგავს „საძაგელი მიწის“ ხატს.

ამგვარად, ჩვენმა კვლევამ, რომელიც მხატვრული ტექსტის ანალიზის შედეგების მწერლის ბიოგრაფიულ ფაქტებთან, ცნობილ ისტორიულ მოვლენებთან იმდამინდელ სოციოლოგიურ შეხედულებებთან შეჯერების გზით წარვმართეთ, დააზუსტა პავლე ინგოროყვას მოსაზრებანი და აჩვენა, რომ I და II ტექსტები ვარიანტებია, ასევე III და IV ტექსტებიც: III, IV ვარიანტები I, II ვარიანტების რედაქციებია. კვლევამ დააზუსტა პავლე ინგოროყვას ფართე თარიღი (1859-63 წლები) და აჩვენა, რომ I, II ვარიანტები დაწერილია 1861 წელს. III, IV ვარიანტები 1862-63 წლებში ჩვენი ნაშრომის მიხედვით „კაცია-ადამიანის?!“ „წინასიტყვაობის“ ისტორიული მნიშვნელობა ისიცაა, რომ მისი ტექსტები გვიმჟღავნებენ ახალგაზრდა ილიას მსოფლმხედველობის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, ესთეტიკურ შეხედულებებს, მათი ჩამოყალიბების იდეოლოგიურ და ისტორიულ საფუძვლებს. ასევე, ეს ტექსტები გვამცნობენ არც თუ უმნიშვნელო ფაქტს, ილიას მხრიდან რუსეთის აქტუალური თემის რადიკალურად საპირისპირო გააზრებისა 1862 წელს. „კაცია-ადამიანის?!“ „წინასიტყვაობის“ III, IV ვარიანტები ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში პირველი ტექსტებია, სადაც პირდაპირაა დეკლარირებული რეალისტური მეთოდის პრინციპები. თუმცა, მომდევნო წერილებში შევეცდებით იმის ჩვენებას, რომ „კაცია-ადამიანის?!“ „წინასიტყვაობის“ ისტორიული მნიშვნელობა ამ, თავისთავად საყურადღებო თემებით არ ამოიწურება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გურამ ოდიშარია

## „რიყრაყის ქაფიდან“ შაოსან ხეებამდე

ამას წინათ ხელთ ჟურნალ „რიწის“ ოცი წლის წინანდელი ნომერი ჩამივარდა. იმ ნომერში ჩემი წერილიც იყო დაბეჭდილი. წერილს „ამბავი ბავშვად გაჩენილი გულისა“ ერქვა და გენო კალანდიას იმჟამად თბილისში გამოცემულ ლექსთა წიგნს ეძღვნება.

სევდიანად ჩამესმის მეგობრის იმდროინდელი სტრიქონები - *„თქვენ აბრეშუმი ნუ გგონიათ ცა ივერიის ან გაზაფხულის ხასხასა ვარდი, ეს ჩვენი სული გადაჭიმეს მთებიდან მთებზე სამი ათასი წლის წინათ, ძმებო!..“ „მაღალ ბალახში წკრიალებს დილა, ბავშვივით ლაღი და მხიარული“, „დღე დაწყებული ვარდისფერი იების შუქით...“ „ჩუ! სალამურის სველი ყელიდან მღერით ამოდის ოქროს ცისკარი“.*

ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, მაგიდაზე გენო კალანდიას სულ ორიოდე თვის წინ დასტამბული ლექსთა კრებული მიდევს. ეს წიგნიც თბილისშია გამოცემული, გენო კალანდიაც თბილისში ცხოვრობს დღეს. სოხუმში კი არა, - თბილისში. მის ახალ წიგნს კი „რეკვიემი“ ჰქვია.

„რეკვიემი“ თითქმის გამქრალა *„ვარდისფერი იების შუქით“* დაწყებული დღე, *„ფუტკრის სკასავით აჭრილი დილა“*, არც *„ცისკრის ზარებით გაბრუებული ირემი“* დახეტიალობს მის ლექსებზე, არც „რიყრაყი-ნუნუაა“ სადმე, არც *„თიბა-რაბო ქონავს წყალივით“*... გადახვეწილა სადღაც დილა - პოეტის ერთგული თანამგზავრი, წინათ მისი ლექსების ერთ-ერთი თანაავტორი. გასრულებულა თითქოს აისის დღესასწაული. *დაჭრილა სამი ათასი წლის წინ მთებიდან მთებზე გადაჭიმული სული - სამშობლოს ცა, დარი გაზაფხულის ხასხასა ვარდისა, დარი აბრეშუმისა...*

„რეკვიემი გულისცემაგახშირებული, ტკივილისაგან სუნთქვაშეკრული, „გრადის“ დაბომბვას, უღელტეხილს, ადამიანთა დაუნდობლობას გადარჩენილი, მეგობრებ და ნათესავებდაღუპული, სახლ-კარ და საფლავებდაკარგული კაცის ხელით არის დაწერილი. ხანდახან როგორ ძალიან ან სულაც არ ჰგავს ის კაცი ომამდელ გენო კალანდიას.

ხუთი წელი ლექსი არ ეწერებოდა, შემდეგ, ჟამგამოშვებით მთიან სამეგრელოში დაიწყო გადახვეწა, სადაც ლამის განდეგილის ცხოვრებით უცხოვრია. მარტოდ დარჩენილმა უფრო ახლოს და უფრო ნათლად იხილა გუშინწინდელი დღე, ომი, რომელიც გიგანტური ნახტომებით შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და - მშვიდობა, რომელიც ბავშვის ნაბიჯებით დის; სხვაგვარად გაისიგრძეგანა ღალატიცა და ერთგულებაც, სიძულვილიცა და სიყვარულიც... იქ, მთებში, სულ სხვანაირი ლექსები წერა, მოგვიანებით წიგნადაც შეკრა ისინი. წიგნიც, რა თქმა უნდა, სხვანაირი გამოუვიდა.

*„მე უკვე ვხვდები: რა მანძილი მაშორებს ქალაქს, მავთულხლართებით გასისხლულ მზეს და ალვების ბუნდოვან ჭალას, მკვდარი მინდვრების ერთფეროვნებას, მგლოვიარე ჩრდილების ბურუსს“. ქალაქი ნახევარქალაქად ქცეულა, თითქმის ნაქალაქარად, აჩეხილია მისი „ალალი შუქი“, „დაღუპულია მისი „გედის ფრთასავით ქათქათა დილა“, „თეთრი ვალსივით განფენილი შუადღის ნისლი“, „თაფლისფერი მელანქოლიაც“. დილა „ზვიგენის დილად“* გარდასახულა *„ყეფს ავტომატი“, „ფრიალებს მწუხარე დროშა გარდასულთა, დამცირებულთა“* და მაინც, რა მანძილია ახლა იმ ქალაქამდე? რა თქმა უნდა, ბევრად მეტი, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქამდეა. რიოშიც ჩავა კაცი, სიოგამაშიც, მეხიკოშიც, სოხუმში კი ვერა, ჯერ ვერა - შეიცვალა დედამიწის გეოგრაფია, დაიმსხვრა, დაიმალა ძველი, ნასათუთევი სამყარო.

ომის ჯალათები არც ერთ ერს არ განეკუთვნებიან, მას სხვა ქრომოსომები აქვთ, ჩვენი კანონებით მათი განსჯა შეუძლებელია. *„მე უკვე ვხედავ: რა ფერისაა დასაკლავი ხარის შუბლი ან სამიზნეს შეყინული თვალები ირმის. მე უკვე ვიცი: რას განიცდის სიკვდილის მზეში მოცურავე ქალწული ტანი ან გულისპირზე ამოსული ზამბახების წითელი ფერი.“* ჩვენ დღევანდელ ბაბილონში ადვილადსაქმელი გახდა ბიბლიური ბაბილონი, სოხუმი კი, სოხუმი სულის ნაწილად იქცა, ამპუტირებულ ქალაქად, აფხაზეთი მთლიანად - ფანტომურ ტკივილად.

*„ის შაოსანი მანდილოსანი, - კომანდორის ქვრივია, ალბათ, ის ჩია, მუნჯი ბერიკაცი, - მზვერავის მამა, ის მკვდარი ნუკრი, - მეგობრის ბავშვი, ის შავი ჩონჩხი, - მკვდართა ქალაქი“.* ერთმანეთს რომ მივუმატოთ ენგურგაღმა დარჩენილი ეკალბარდ-მოძალებული სასაფლაოების კვადრატული მეტრები, ის მიწაც, სადაც უსაფლავო მკვდრები განისვენებენ, ის ზღვაც, სადაც უამრავი ადამიანი აღესრულა, ვეებერთელა ქალაქის ტერიტორიას მივიღებთ, მკვდართა ქალაქის ტერიტორიას - მკვდართა ქალაქში გახრწნილი გვამებია - *„ძლივს მოგებული ნიშანს წერტილი“*, კიდევ - *„ქალწულის თეთრი ბარძაყი, - ცისკრის ნაფლეთი, უმისამართო ჯარისკაცის უმიზნო მზერა, უწყლო, უგვიმო ქალაქის კარი“*, ქალწულის ქუთუთოები *„ჰგვანან იებით სავსე კუბოებს“* და ირგვლივ ყოველივე *„ქალის ჩონჩხივით შიშისმომგვრელია“*. მკვდართა ქალაქში *„ქვაფენილების რუხი დორბლია, ნაგავი ქუჩის ღამის სტომაქში იხარშება... მხვიარა ორთქლი კვამლივით დგება“*. იმ ქალაქში უამრავი უცნობი და ასევე უამრავი ნაცნობი დააბიჯებს. მათ შორის ერთი წარმოსადეგი, სულნათელი კაციც, ჩვენი სოხუმში დახვრეტილი მეგობარი - ჯუმბერ ბეთაშვილი - *„ის შადრევანთან შენთვის მოკვდება, დღეს უსათუოდ შენთვის მოკვდება.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ღრუბლის ნაღველში გახვეული ორი ძის ზღვაო, ლურჯთვალა ფიჭვო, – ჩამომდნარო მზისფრად სანთელო, ქრქოლადაკრულ ქალწულების უმანკოებავ... ის უსათუოდ შენთვის მოკვდება“.*

და მაშინ, როდესაც ყოველივე ის, რაც თავს გადაგვხდა, ერთბაშად გახსენდება, *„წლები, ვით მკვდარი ფრინველები, ანოყიერებს თავის ქალას და ტვინის ფორებს.“* სად არიან ფრთებგაფოფრილი, აპრილის ქარში მოგალობე ხეები, ჩვენი ახლობელი ხეები, ჩვენი ნათესავები? – *„ხეები ზლუქუნებენ, ხეები ქვითინებენ, ხეების იწყება გლოვა... ხეებს გვიხოცავენ, როგორც ბედაურებს, ქალაქად, უფრორე სოფლად... ხეები შავოსნები, ხეები – ჯვაროსნები, ცხენებით, ათასი კვიცით“.*

ცამეტი თვისა და ცამეტი დღის შემდეგ ქალაქს 27 სექტემბერი მოუახლოვდა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოუახლოვდა – *„მინახავს დიდი მარულა, ლოდი, ფართოდ გაშლილი ხავერდის ნოხი, მაგრამ აღარსად მომიკრავს თვალი, წინ ჯარი რბოდეს... და უკან ხალხი“.* შაბათი დღე განკითხვის დღე გახდა. ახლაც თვალწინ მიდგას ულელტეხილზე მომავალი, ერთიანად გათეთრებული, თითქმის სასოწარკვეთილი, მაგრამ მაინც სხვათა შემწე და გამამხნევებელი გენო კალანდია – *„შაბათს აიმღვრა ლაქვარდი შორი, გადაუარა ცას ქარბორბალამ. მწუხრის ღებივით მოთქვამდნენ ერთად ქალი და მამვი – მთელი შაბათი. შაბათს, ო, შაბათს, მკვდართა, ცოცხალთა საკაცედ იქცა ულელტეხილი“.*

დიდ ტრაგედიას ათასგზის განმეორების, დაბრუნების უნარი აქვს, ის წრიალებს ჩვენს სიზმარში და ცხადშა, ულელტეხილი არავის ავიწყებს თავს. ამიტომაც „რეკვიემში“ სვანური ზარი ხმიანობს, ხმიანობს შეუსვენებლად: *„დევნილის, მწირის, მათხოვრის ქოშით გამოვიარე საკენი თოვლში. ვოი და ვოი, ბიჭებო, ვოი, დღეს აფხაზეთი დავკარგეთ, ვოი! გამოვიარე ჭუბერი, ჯვარი, თორმეტი ლუშით, ცამეტი გვამით. ქალი და ბავშვი მომსდევდა გზაზე, ბავშვი და ქალი მოთქვამდა მწარედ: ვოი!“*

*„წინ ჯარი რბოდეს...“* კიდევ სხვა მრავალთა მიზეზთა გამო ჩვენ ვერავინ დაგვსაჯა ისე, როგორც თავადვე დავისაჯეთ საკუთარი თავი. ვერავინ დაგვამარცხა ისე, როგორც თავადვე დავიმარცხეთ თავი. ხშირად ისე ვიქცევით, თითქოს იჯარით აღებულ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ. ხანდახან ისეც ხდება, სიყვარულსაც არ ვპატიობთ ერთმანეთს, რამეთუ სიყვარულის ენაც გვავიწყდება, რთული გასაგები შეიქმნა, სიძულვილი კი მარტივია. იმ მრავალი ჭირის გამო, რომელიც თავს დაგვატყდა, საზოგადოების ფრაგმენტაცია დაიწყო. დაიქსაქსა ქვეყნის სულიერი ერთობა. თითოეულ ჩვენგანს „რეკვიემიდან“ გამწარებული დევნილი კაცი უკიჟინებს – *„შურისგების ნიშნით, რომც ხელობდე სადმე, კვლავ პირდაპირ გეტყვი: აფხაზეთი დათმე! თვით ქართული ჯარი რომ გრგვინავდეს აქვე, ხელდადებით გეტყვი: „აფხაზეთი დათმე!“*

იმედმა სიკვდილიც იცის, სიკვდილმიღრეკადია, ლეგენდებით დიდხანს ვერ გამოკვებავ. როცა იმედი კვდება, ყველაფერი კვდება მაშინ. ადამიანებს სიქას აცლის გაურკვეველი ვითარება, განსაკუთრებით დევნილებს. აი, ერთ-ერთმა მათგანმა – *„ამოიარა მაღლობი, გორზე შემოდგა ხვნეშით, ჩიტივით ფრთები გაშალა... და გადაფრინდა ხევში“.* ჭაობში ჩავარდნილ კაცს ნაპირიდან რჩევა დარიგებით ვერ ამოიყვან, თავადაც ჭაობში უნდა შეხვიდე, ხელი შემოხვიო მას და ისე გაიყვანო სამშვიდობოს, თორემ მერე და მერე, შეიძლება ლოტოსის მჭამელი ლოტოფაგების მსგავსად ქართულ ზღაპრებში ბოქმის ყვავილის მჭამელი გმირივით სამშობლოც დაივიწყოს – *“ნუ გეშინია, ძმაო ოლიფანტე, ნუ გეშინია, უხვად გვექნება წლეულს ლოტოსი... აქ არც ახალი ათონია, არც ზეთისხილების ბაღი. აქ მხოლოდ ლოტოსი ხარობს... იქ რო სასაფლაო გადაგიხნეს, იქ რო მამა დაგრჩა უსინათლო, დაივიწყე, ოლიფანტე“.*

ჩვენ, ზეპოლიტიზირებული ქვეყნის ბინადრები, რომლებმაც კარგად ვიცით ვიეტნამის სინდრომი, ჯერ რიგიანად ვერ ჩავწვდომივართ ჩვენს თვითმკვლელთა და ოლიფანტეთა სინდრომს. გენო კალანდიამ ახალი ლექსებით ნათლად გამოკვეთა დევნილი კაცის სულიერი მდგომარეობა, მისი სახე, სახე კაცისა, რომლის არსებობა ამ რამდენიმე წლის წინათ ვერც ერთ ჩვენგანს ვერც წარმოედგინა. დევნილის ფსიქოლოგიის მქონე კაცი დღესაც შუაგულ ულელტეხილზეა, ქარსა და ყინაში, მზეუტავ იმედსა და სასოწარკვეთას შორის. დღეს მას, როგორც მის ქვეყანას, საყრდენი სჭირდება რაიმე, ის საყრდენი თუნდაც მოყანყალებული ყავარჯენი იყოს.

ინდიელი ტვირთმზიდავები მახსენდება – მაიას ტომის უძველესი კულტურის შემსწავლელ ექსპედიციას ემსახურებიან. ერთ დღეს გზის გაგრძელებაზე უარი თქვეს, ბარგი მიწაზე დაყარეს და იქვე ნამოსხდნენ – ჩვენ ძალიან სწრაფად მოვდიოდით, ჩვენი სულები ჩამოგვრჩნენ, ეხლა სხეულებით კი ვერ ვივლით, ჩვენს სულებს უნდა ველოდოთო.

იმ მგზავრთავების დარად იქნებ ჩვენც გავასწროთ ჩვენს სულებს, ჩვენც ხომ ძალიან სწრაფად მოვდიოდით, ჟამის სწრაფმბრუნავ მორევში აღმოვჩნდით. იქნებ, მართლაც, მდუმარების დრო დაგვიდგა. განსჯისა და ნაფიქრების, განმარტოების. ხშირად ხომ პირისპირ, ერთმანეთთან ძალიან ახლოს მსხდომნი ერთიმეორის სახეს ვერ ხედავენ.

„რეკვიემის“ ლირიკული გმირი ქვათა მდუმარე ქვეყანაში დაეხეტება, ქვებთან უსიტყვო დიალოგით იმშვიდებს სულს – *„ქვის სამეფოში ვარ! ქვის სტუმარი! ზოგი ქვა ცხენის თავის ქალას მაგონებს, ზოგი – ლომის ყბას... ის დიდი ლოდი – ილიას შუბლს, ეს – იოანე ნათლისმცემელს, ის ქვა – ყინწვისის წმინდა ანგელოზს, ეს ქვამოწესეს, – ქვრივ ობლების ბედით დაზაფრულს, ის ქვა-ბეთჰოვენს, თმათა – ჩანჩქერით“.*

ომამდელი გენო კალანდია ბობოქარი, მოდღესასწაულე, ფერადი დღეებით ცხოვრობს. ომის შემდგომი, ზოგჯერ მეგობრებისთვისაც უცნობი კი, ხშირად ბუნებაში პოულობს სულის სიმშვიდეს, სულს იქ ითქვამს – *„გავუჩინარდეთ ტყეში ნისლივით, გავხსნათ გულის ბჭე და პალატები, ვპოვოთ მზეები სიხარულისა!“* ბუნების ყველაზე ნაღვლიანი საგალობელიც კი დამამშვიდებელია – *„მე ვნახე დილა ბულბულებით და შაშვებით გულამდე სავსე,*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ვნახე ფრთოსნების ხანძრისფერი, წითელი გუნდი და მთიბველივით თავქვეშ ხელებამოდებულმა საღამოს ბინდში მოვისმინე: ჭრიჭინობლების მწუხარე მესა, შაოსანი ქორების ქორო". „ო, გიხაროდენ! ღრუბელი მზეზე დაქორწინდა... ბერიკაცო, გამოდი გარეთ, გუგულის კაბა, ფურისულა მოსულან სტუმრად".* როდესაც მწვანედ შეიმოსება ბუნება, მაშინ მშვენიერება და კაცთა სიყვარული ბევრად უკეთესი ხდება (კენკო ხოსი).

გენო კალანდია დილის პოეტია-მეთქი, უკვე ვთქვი. დილა მისთვის სიწმინდისა და რწმენის სინონიმი იყო ყოველთვის. დილა მარადი ბავშვია - ყოველ დილით სამყარო უამრავი ფერითა და ხმით ივსება, ნათელის დაბადებასთან ერთად იღვიძებს ფრინველების ხმები, ფხიზლდება ხეები, იმღერება გრანდიოზული ჰიმნი. „ღამე მღერასა დილა სჯობს, დილაი დილაობასა" (ქართული ხალხური პოეზია). „რეკვიემშიც" რამდენჯერმე ჩნდება დილის სურათი, იმედთან წილნაყარი დილის, მაგრამ პოეტი მის სურათებს სხვა დროს მიაკუთვნებს - ვერლენის დროს, კლეოპატრას დროს, ემილი დიკინსონის, შექსპირის, საფოს, ჰომეროსის დროს. მისთვის თითქოს „სხვა განზომილებაში" თენდება, ჩვენი დრო კი სევდიანია - *„ცისარტყელების ყელ-კისერზე მიძინებული, ქედების იქით, მზეებრ მოსწრაფე შარავანდის, „ოქროვანი ღრუბლების იქით, მივდივარ იქით, - იდუმალის იქით, ო, იქით," „გარეთ, ო, გარეთ ვერცხლის დარია", „განთიადისას შროშანივით ცა ორფერია", „იქ აკაციებს აუნთიათ წმინდა სანთლები..."*

გენო კალანდია ხატავს. ის წიგნის თითქმის ყოველ გვერდზე გვთავაზობს წამით ხილულ სურათებს - *„ხელმწიფის კართან ქარვისფერი მოადგა ცხენი".* ეს ის წამებია, რომელსაც იაპონიაში სატორის უწოდებენ (წამიერი გასხივოსნება, წამიერად შემეცნებული სურათი, ნახატი). მისი სურათხატების უმრავლესობა ზღაპრული, იდუმალი მშვენიერებით მოცულია. მისი პოეტური ნახატები უსასრულოდ ასხივებენ სინათლეს („სინათლე - ეს ფერია" - პ. სეზანი). ლამაზი შუქით არის გაჟღენთილი პეიზაჟები, პორტრეტები, თვით მდორე მდინარეც ასეა დახატული - *„მდინარე ხავსის, ჭაობის მწვანე ბეჭდებით".*

პოეტის სამყარო, მიუხედავად მწუხარე რიტმისა, ნატიფია - *„რო გავახილე თვალები დილით, ზამთრის იები მეგონა თრთვილი", „საღამო ვეფხვის პერანგივით იწვის ზეგანზე", „ღრუბლის პირქუში მედუზები, ცის ვერცხლისფერი დელფინები, ელვის ელამი კიბორჩხალები", „რიქრაქის ბიბილოს ვხედავ", „ჩემო ვარდისფერო წყალდიდობავ", „ო, ნუ გაყიდი ამ ფორთოხლებს, - ზღვის ზურმუხტებს, - შიგ გაზაფხულის ჩიტები სხედან".*

ქალს - სიცოცხლის დედას, მშვენიერების საწყისს, მარად სინათლესთან - სიკეთის სიხარულის სიმბოლოსთან აკავშირებენ („რა მობრუნდა ქალი ჩემსკენ, შემომადგეს სხივნი კვლისა" - შოთა რუსთაველი).

ეს „გადამრჩენი სხივი" „რეკვიემშიც" ციაგებს - *„თეთრი ვარდის ფურცელს მოჰგავს თეთრი ვარდის კაბით, ცისარტყელას ნაჭერივით უთამაშებს წარბი... მომანათე ეგ თვალები, ეგ ლამაზი სახე, გუშინ მთელი საქართველო შენს ქორწილში ვნახე".* ეს ის გოგონაა, რომელსაც პოეტი წიგნში ასეც მიმართავს - „შენი სიყვარული მიხარია".

„რეკვიემში" უამრავი სურათ-ხატია, კასკადია მხატვრულ სახეთა... ამაზე ცალკე წერილიც შეიძლება დაიწეროს, ამ წერილში კი მათზე დაწვრილებით საუბარი შეუძლებელია. „რეკვიემი" აფხაზეთის მონატრებაც არის და მხსნელი მშვენიერების ნოსტალგიაც. მიუხედავად იმისა, რომ „რეკვიემში" ხშირია მოთქმა-ზარი, ასევე ხშირად იხატება სიკვდილის სურათები, ის მაინც სიცოცხლის წიგნია, ერთ ქართველ მეფეს ლხინისა და გლოვის დარბაზები ჰქონია. ქელეხს, ორმოცს თუ წლისთავს გლოვის დარბაზში იხდიდნენ - მეფე და მთელი სასახლე. იმ დარბაზიდან გამოსულ ადამიანებს კარის თავანზე მოხატული პატარა, წითელი ჯვარი მიაცილებდა - „გახსოვდეს სიცოცხლე!" ეს წითელი ჯვარი „რეკვიემში" ხშირად ჩნდება. გენო კალანდია სიცოცხლის პოეტია, მის ყველაზე სევდიან ლექსებშიც სიცოცხლე ფეთქავს.

„რეკვიემში" იმდენი საუცხოო ლექსია, რომ მათზე საუბარი ერთ წერილში ვერ მოხერხდება: „ლექსი სამეგრელოზე", „გოიას მოლანდება", „უკანასკნელი სიმღერა", „კონკვისტადორი", კომპოზიცია პოლ ვერლენის პორტრეტისათვის", „მაწადოს სიკვდილი", „პარტიზანი", „კომპოზიცია ფორთოხლის გამყიდველი გოგონას პორტრეტისათვის", „კომპოზიცია მამის პორტრეტისათვის", „ფორთოხლისფერი ლექსი მესხეთს", „აკვარელი", „სიდონი" და სხვა.

წიგნში ულამაზესი მცენარეც შემომეფეთა - ჯვარფურცელა. „ჯვარფურცელა" პოეტის შერქმეული სახელი აღმოჩნდა.

არის ომის ქირურგია და არის ომის ლიტერატურაც. პირველსაც და მეორესაც ოსტატის ხელი სჭირდება. სწორედ ამიტომაც არის „რეკვიემი" გამორჩეული, სულ სხვა გულისფეთქვის წიგნია, სხვა ფერებით არის გაჯერებული ის, სხვა ტკივილით გაჟღენთილი, სხვა მუსიკით დამუხტული. „რეკვიემი" გენო კალანდიას შემოქმედებაში „სხვა დროს" იწყებს, სხვა სივრცე ფეთქავს მასში. „რეკვიემი" გადარჩენის წიგნიც არის. ამ წიგნმა დაიტია ის სათქმელი, რაც მხოლოდ გენო კალანდიას უნდა ეთქვა, მისებურად ეთქვა, ის სათქმელი, რომელსაც უკვე მერამდენე წელია, ელის მისი მკითხველი. „რეკვიემი" მოვლენაა, მასში მთელი ქვეყნის ტკივილია არეკლილი, ტკივილიცა და იმედიც.

*„ნიჟარასავით გზუქნი ზღვის მოციმციმე სულს",* - წერს ერთგან გენო კალანდია. ამ დღეებში მას სოხუმიდან ჩამოტანილი ნიჟარა ვაჩუქე. ცრემლი მოერია. მწამს, ის ნიჟარა ბედნიერების მომტანი იქნება მისთვის, და მალე სოხუმიც მოგვადგება კარს, აფხაზეთი მთლიანად და ზღვაც, რა თქმა უნდა, ძველებურად იციმციმებს ჩვენს სარკმლებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მაია ქარდავა

## გიორგი ლეონიძის მხატვრული ენის თავისებურება

გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“ ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო შენაძენია. კრებული მდიდარია მეტაფორებით, ეპითეტებითა და მოხდენილი შედარებებით, სინონიმებითა და აფორისტული თქმებით.

მწერლის მკაფიო, ძარღვიანი ენა და ნათელი სტილი გვიჩვენებს, რომ უსაზღვროა ქართული ენის შესაძლებლობა.

გიორგი ლეონიძეს შეუძლია რამდენიმე შტრიხით გადმოგვცეს პერსონაჟის სახე, წარმოგვიჩინოს მისი სრულყოფილი ხასიათი, რაშიც ხელს უწყობს ფრაზის მოქნილობა, ელასტიკურობა და მოქმედების დინამიკური აღწერა: „გზაზე გამოჩნდა მარტო-დმარტო ბერიქალა, არასაფერისად ეცვა. სხვადასხვა მხიარული, ჭყეტელა ნაჭრებისაგან შეკერილი კაბა. ცალი ხელით მოძველო ბოხჩა ეჭირა, მეორე ხელით ჭრელი ქოლგა. ძველებური შავი თათმანი ეცვა ხელთ და ადამის ხნის დაგლეჯილი, მაღალქუსლიანი, ჩაღილული, ყელიანი ფეხსაცმელი, მომტვრეული, შუაზე გადახლეჩილი ქუსლით ძალიან აწვალებდა. მოქანცული, შეოფლიანებული გმინავდა, შეწუხებული ცალკე სიცხით, ცალკე უხერხული ფეხსაცმლით, ცალკე თავისი მწარე ბედით“.

გიორგი ლეონიძე ზოგჯერ უპიტარესობას ანიჭებს, საგნის ზოგადი კონტურის მოხაზვას, ხან კი ცალკეული ძლიერი შტრიხების მოსმით კმაყოფილდება.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ერთი ასპექტი - პერსონაჟის მეტყველება, როგორც ნაწარმოების გმირის დახასიათების საშუალება. ამგვარი კვლევისას მნიშვნელოვანია მთლიანად მეტყველების მხატვრული ფუნქციის გამოკვლევა, ახსნა იმ მექანიზმისა, რომლის მეოხებითაც მეტყველება იძენს განსაზღვრულ ფუნქციურ დატვირთვას და იქცევა მხატვრულ ფაქტად.

პერსონაჟის მეტყველების ავტორისეული თხრობისაგან გამოყოფა ქართულ პროზაში პირველად რეალისტებმა მოახერხეს და დატვირთეს ის სტილისტურ-ფუნქციური ვალდებულებებით. სწორედ მაშინ გაჩნდა ლიტერატურაში გმირი, რომლის მეტყველება საგრძნობლად დაუახლოვდა ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველებას.

პერსონაჟის საუბრის მანერა არ არის უფრო მეტი, ვიდრე ზოგადად ადამიანის მეტყველების თავისებურებანი. იგი ხსნის ხასიათის მნიშვნელოვან მხარეს.

მაგალითად, ზედმიწევნით წარმოგვიჩენს იორამის ხასიათს („სოფლის შარაზე“) ქვემოთ მოყვანილი ეპიზოდი:

„- ნახვამდის მამაო, მალე შენი თმიანი თავი გილიოტინის ცულქვეშ მენახოს.

- ფრთხილად იყავი! ხალხის გამარჯვება მზადდება, მეფენი საფლავში ეშვებიან!

- კლდეზე გადავჩეხ თვითმპყრობლობას, რწმენით მთის დაძვრა შემიძლიან“.

გიორგი ლეონიძის სამწერლო სტილის ერთ თავისებურებას ის ფაქტორიც განაპირობებს, რომ იგი ჯერ დაწვრილებით, დინჯი თხრობით, მონოლოგით სოციალური ყოფის ცოცხალ, რეალურ სურათს ხატავს და იქვე, მეტაფორული სახეების გამოყენებით რეალურის საპირისპირო ირეალურ სამყაროს ქმნის:

„დაბალი, შავგვრემანი, ჩოფურა, დაჯაგრული, ზამთარ-ზაფხულ დერატყავში გამოხვეული, ის ან ორღობეებში მიეჩქარებოდა ხელში სამღვდელო ბოხჩით, - რომელშიც ჭუჭყიანი ოლარი იდო, - და გამურული, ჭვარტლიანი საცეცხლურით; ან როგორც შეგრძნებული, იჯდა სამრეკლოზე, ან მღვდლის საფუტკრეში ეძინა. მისი ნაწოლი იონჯა ორ დღეს გონზე ვერ მოდიოდა“.

„ხეობის შუა დიდი თეთრი რძის ტბაა გადაჭიმული. ტბის პირად თეთრი გადაფოთლილი ხეა, თეთრი ფრინველებითა და ყრმა ბავშვებით ჩახუნძლული, ქივქივებენ, სტვირზე მღერიან, როცა მოშივათ, ხე ჩამოიწევა ტბის ძირამდე, ბავშვები დაეწაფებიან რძეს, მერე ხე ისევ აიმართება. გრძელ ხეივნებში სამოთხის ბინადარნი სულები ხელიხელ ჩაკიდებულნი სეირნობენ და ქცევადაწყნარებულები ტკბილად მუსაიფობენ“.

გიორგი ლეონიძის ენა მეტაფორულია. ის მეტაფორებით აზროვნებს, ხოლო მეტაფორული აზროვნების პირდაპირი გაგების საშიშროების თავიდან აცილება ხდება საპირისპირო განზომილებათა ერთობლიობაში მოყვანის პრინციპის შემოტანით, - ეს არის ახალი, მე-20 საუკუნის ყოფიერების რეალიზმი.

გიორგი ლეონიძის მოთხრობებში ტროპის ყოველი სახე დიდი აზრობრივი დატვირთვისა და იდეური ხასიათის მატარებელია. ნეოლოგიზმი ქმნის თავისებურ სტილისტურ კოლორიტს, ხელს უწყობს წინადადების ინდივიდუალიზირებას. ისინი გულისხმობენ ახალ სიტყვათა ისეთ ჩამოყალიბებას, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელთა ფორმირებაც განპირობებულია განსაზღვრული მხატვრული-ენობრივი წყობით. შეიძლება ეს სიტყვები ზოგჯერ გავრცელდეს, მაგრამ უფრო ხშირად ისინი რჩებიან ინდივიდუალურ გამონათქვამებად.

გიორგი ლეონიძემ ქართული სიტყვების ძირების მიხედვით ჩამოაყალიბა მრავალი კომპოზიტი. მაგ. „ალვარებული". „მოეზვირთება", „ვარდნაფენი", „წვიმილი", „მემქუხარე", „ნამოგონარი..." იგი ფერების შემოქმედია, შეუძლია, ფერებისაგან შექმნას მთელი სამყარო, ამიტომაც გვაკვირვებს მისი მოთხრობები მეტაფორებისა და სახეების სიჭარბით. იგი არა მარტო ქმნის ორიგინალურ სახეებს, არამედ აცოცხლებს ძველებურსაც. გიორგი ლეონიძის მხატვრული ფორმა ემორჩილება ცხოვრებისეულ რეალიზმს.

მწერალი ახერხებს ინტონაციაში რთული განცდის დაძაბული აზრის გადმოცემას. მის პროზაში შერწყმულია ისტორიული განზოგადება, ფილოსოფიური ნაფიქრალი ცხოვრების დანიშნულებაზე და ინტიმური აღსარება.

გიორგი ლეონიძის მხატვრულ ხილვაში ბუნებრივად არის შერწყმული ფილოსოფიური მოტივები და სახეები. ის მოზომილად უფარდებს ერთმანეთს თავისი გმირების შინაგან და გარესამყაროს მოვლენებს. ცდილობს, ადამიანებში წარმოგვიჩინოს ის, რაც სხვებმა ვერ დაინახეს. მწერალი დამაჯერებლად წარმოგვიდგენს ყოფას, გარემოს, ბუნებას. განსაკუთრებით ბუნებას, რომელიც შეადგენს თხრობის უწყვეტ ნაწილს და მწერლის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის მიხედვით სხვადასხვაგვარ ფუნქციას ასრულებს. მწერალი გვიჩვენებს თუ რა გავლენას ახდენს ბუნება ადამიანზე, მის სულიერ ცხოვრებაზე, მის განწყობილებებზე.

„ჩამოვჯდებოდი ხოლმე წისქვილის გვერდით, დიდ გაჩრდილულ კაკლის ჩრდილში და ვტკბებოდი წყლის ჩქერალის ფრქვევით, თითქოს ჩარხზე ათასი ცისარტყელა ყოფილიყო დახვეული.

...დაუდგრომელი ნიავი შლიდა, აფენდა და აქანებდა მზეკაბას. თავთავი ჩუმად შრიალებდა... მზე ჩადიოდა..."

გიორგი ლეონიძის თხრობისათვის დამახასიათებელია სისადავე, სინათლე და კორექტულობა. მოგონებებში დიდი დაკვირვებით გადმოგვცემს ხალხურ ჩვეულებებზე, სიმღერების, ანდაზების, აფორისტული თქმების თაობაზე. ეპითეტი, მწერალს ეხმარება სხვადასხვა ფუნქციის განხორციელებაში. ა) ასრულებს სოციალური და ფსიქოლოგიური დახასიათების ფუნქციას. ბ) ეხმარება მწერალს გმირთა სულიერი მდგომარეობისა და ხასიათის გადმოცემაში, მოვლენებისადმი იდეურ-ემოციური დამოკიდებულების გამოხატვაში. ეპითეტები სრულად ახასიათებენ ამა თუ იმ საგანსა თუ მოვლენას. მათივე საშუალებით იქმნება პორტრეტული დახასიათებაც. გავიხსენოთ ბებია მარადიას პორტრეტი. მოთხრობიდან „ლვინჯუა":

„ტახტზე ყარაყუმივით იჯდა პაპას მეუღლე, ცხრა შვილისა და თორმეტი შვილიშვილის ბებო მარადია, სიბერით გადაღწეული, შრომაში გამდნარი და გაცვეთილი; ქმართან ერთად ერთ მუთაქაზე დაბერებული. ნაზბალიში ედო მუხლებზე, სუფრაზე ჯდომის არაქათი აღარ ჰქონდა, თითქოს გაქვავებულიყო, უხედავი გეგონებოდა, თუმცა მის გამჭრიახ თვალს არა გამოეპარებოდა...."

გიორგი ლეონიძის ერთი შეხედვით მცირე მოცულობის მოთხრობებსა და ნოველებში მთელი ცხოვრებაა მოცემული, აქ უამრავი განცდა, გრძნობა და შთაბეჭდილებაა აღწერილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცირა ბარბაქაძე

## „რაც სამუდამოდ რჩება უთქმელი“
## გ.ალხაზიშვილი „ამოდის თუ ჩადის მზე?!“

გივი ალხაზიშვილის ახალი რომანი (ეს ჟანრი უფრო პირობითია) „ამოდის თუ ჩადის მზე?!“ იმ მარადიული კითხვის გაგრძელებაა, რომელიც კაცობრიობას დასაბამითგან აწუხებს. - „ყოფნა თუ არყოფნა“, „როგორი ყოფნა“, „რატომ ყოფნა“... რომანი უფრო პერსონაჟის ცხოვრების ერთი ეტაპის ანალიზია. ანალიზია, მაგრამ დაუსრულებელი ანალიზი, რადგან სასრული ამგვარ კითხვებს ამ სამყაროში არ დაეძებნება, მით უმეტეს, არ არსებობს პასუხები და, თუ არსებობს, მხოლოდ ზოგადად.

რომანის დასასრული: „ყველა და ყველაფერი უცნობი იყო ჩემთვის გარდა იმ დიდი კითხვის ნიშნისა და არაფრის აღმნიშვნელი ნულისა, რომლებიც ერთმანეთს არც გამორიცხავენ და არც უარყოფენ“.

...და კიდევ გაუცხოება, მე ვფიქრობ, ეს საკუთარ თავთან გაუცხოებაა უფრო, ვიდრე გარესამყაროსთან (ან ორივე ერთად). გარე ფაქტორები თუმცა ზემოქმედებენ ადამიანზე, ხშირად საბედისწეროდაც, მაგრამ...

არსებობს ასევე მარადიული „მაგრამ“... მაგრამ გარესამყარო არ არის ყველაფერი, რაც ადამიანს სიცოცხლეს აძლევს, ცხოვრება - პირობაა, პირობა ხან რთულია, ხან მარტივი, მაგრამ უნდა გაიარო, გააღწიო ყველა პირობის იქით...

არსებობს „კითხვის ნიშანი“ და არსებობს „ნული“ და, ალბათ, არსებობს სხვა გზაც. ამგვარ ფიქრთა დინებას აღძრავს მკითხველში, ერთი შეხედვით, პესიმისტური დასასრული. ნაწარმოების ღირსებას კი იმაშიც ვხედავ, რომ მისი ზემოქმედება საკუთარ არსში ჩაღრმავების პატარა გზას გვთავაზობს.

რომანის პერსონაჟი ნაწარმოების ავტორის მეორე „მე“-ა, შეთხზული, მხატვრული, გამოგონილი თუ ნამდვილი, ამას, ალბათ, მკითხველისათვის მნიშვნელობა არა აქვს,. მთავარია, რომ ჩვენ აქ მოგვიწევს შეხვედრა ერთი ადამიანის ორ მხარესთან, რომლებიც ერთმანეთს ხან ეთანხმებიან, ხან ეკამათებიან, ხან მოსწონთ ერთმანეთი, ხანაც გაურბიან, ხან ერთია წინა პლანზე, ხან მეორე... მკითხველს კი მხოლოდ დაკვირვება მართებს და იქნებ იმის აღიარებაც, რომ ის, რაც იქ ხდება, ჩვენშიც ხდება და დაფიქრება იმაზე - რატომ ხდება?

რომანის ფილოსოფიური ხასიათი მრავალ უპასუხო კითხვას აღძრავს, ან კი ძალუძს ადამიანის გონებას, პასუხი გასცეს ადამიანის ღრმად შინაგან არსში ჩადებულ ჭეშმარიტებას, რომელსაც არც კითხვა აქვს და არც პასუხი. კითხვები ადამიანს მანამდე აქვს, ვიდრე „ბოთლიდან ჯინს გაათავისუფლებდეს...“ მანამდე კი - ბრძოლა, „ეგოს“ ბრძოლა არსთან, გაორება, გაყოფა, კითხვები და პასუხები ანდა მხოლოდ - კითხვები, რადგან ხშირად ვგრძნობთ, რა უაზროა პასუხი, პასუხი - რომელსაც გონება ლოგიკით გვთავაზობს, გონებას კი შეუძლია დაგვიმტკიცოს, რომ თეთრი შავია და შავი თეთრი და, რა თქმა უნდა, ლოგიკურად! ასე რომ, სხვადასხვა დროს ხან ერთი მოგვეჩვენება ჭეშმარიტებად, ხან კი მეორე... ჭეშმარიტება კი, ალბათ, თავისთვის „ზის“ და გველოდება, როდის გამოგველევა პასუხები.

ნიშანდობლივია, რომ გივი ალხაზიშვილის რომანში „პასუხებს“ ვერ ნახავთ. არის ტკივილი, განსჯა, ანალიზი, შეფასება, - მაგრამ ამათგან არც ერთია პასუხი, რადგანაც ეს ყველაფერი გზაა... გზა, რომელიც გამოცდილებას აგროვებს, რადგან არც ერთ ადამიანს არ შეუძლია საკუთარი გამოცდილების გარეშე რაიმეს ახსნა ან შეფასება, რადგან სხვათა ტკივილები - ეს სხვათა ტკივილებია, ისინი ერთმანეთისაგან სიღრმით განსხვავდებიან, ამიტომ თითოეული ადამიანის, - მწერლის, პოეტის, მხატვრის, მოქანდაკის, მუშის, გლეხის, ფილოსოფოსის გზა - ინდივიდუალურია, თავისთავადი და მხოლოდ ერთადერთი, ერთს არ შეუძლია მეორის გამეორება. ერთ წერტილში მისვლა შესაძლებელია, ოღონდ სხვადასხვა გზებით. კაცმა რომ თქვას, ეს სხვადასხვა გზა ჩვენი გარეგნული ცხოვრებაა, ბატონი გივი რომ „პირობით ცხოვრებას“ უწოდებს.

რომანის შესავალში ავტორი წერს: „უნდა გამოგიტყდეთ, რომ პირველი ჩანაწერი ნამდვილად მე მეკუთვნის, ხოლო შემდეგ იწყება სიმონის ოპუსები, რომელთაც ზოგჯერ ერთვის ჩემი კომენტარები. ასე რომ, ეს წიგნი ჩემი და სიმონის თანაავტორობით შეიქმნა - იგი არაა მხოლოდ სიმონის ან მხოლოდ ჩემი, იგი საერთო საკუთრებაა. გთხოვთ, ამ ნიუანსს მიაპყროთ ყურადღება, რადგან მომავალში ამ საკითხს რაღაც მნიშვნელობა მიენიჭება“.

და იწყება სიმონის ჩანაწერები... მე ვფიქრობ, რომ თავად სიმონიც გაორებული პიროვნებაა, იქნებ ეს საუკუნის ტრაგედიაც არის, რომ ადამიანმა თავისი არსი ორად გაყო - შინაგანი ცხოვრება და გარეგანი ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, ასეთია სიმონი, ამას ციტატაც მიმტკიცებს: „გამუდმებით „შიგნით“ ყოფნა, საკუთარ თავში გარინდვა, განცალკევება, ჩაყვინთვა, ალბათ, შეუძლებელია, ამიტომ რეალურ, ყოველდღიურ ზედაპირზე ამოყურყუმალება თუნდაც იმიტომაა აუცილებელი, რომ საერთოდ არ მოვწყდე სიცოცხლის გარეგნულ - ვიზუალურ მდგომარეობას და საკუთარი არსებობა აღვბეჭდო სხვათა თვალში, სხვათა სინამდვილეში...“

საით მივყავართ ამგვარ გაყოფას? ეს ხომ სინამდვილეში სულისა და სხეულის გაყოფაა, სულს თავისი ცხოვრება აქვს, სხეულს თავისი, სული პოეტია, მწერალია, სხეული თავისი მკაცრი გონებით ჩვეულებრივი ყოფით ცხოვრობს, როგორც ყველა - დილით ადრე დგება, პირს იბანს, სამსახურში მიდის და ა. შ... სული იტანჯება, რომ არ შეუძლია სხეულში გამოვლინდეს, ნეტავ რატომ? და იბადება, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ორჭოფული განცდა იმ ყოველდღიური სინამდვილის გამო, რომელშიც ვცხოვრობთ და რომელიც თანდათან იწყებს გაორებას, მერე კი გაუცხოებას. ეს ჩვენი ხვედრია, უკიდურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სობათა კედლებს უნდა ვენარცხებოდეთ...“ სად არის ის ნაოცნებარი ერთიანობა? ან იქნებ მოგვწონს ადამიანებს ამგვარი ხვედრი? ყოველ შემთხვევაში, რომანის პერსონაჟს ეს მდგომარეობა მოსწონს, თავის მდგომარეობად აღიარებს, რადგან სწორედ ეს მდგომარეობა, ეს მუდმივი ჭიდილი აქეთ-იქით, ზემოთ და ქვემოთ, სულისკენ და სხეულისკენ – აძლევს წერის უნარს, აი, ციტატაც რომიდან: „...ეს ჩემთვის ერთდროულად – ტრაგედიაცაა და ბედნიერებაც. ასე რომ, უკიდურესობათა კედლებს უნებლიეთ კი არ ვენარცხები, ეს ჩემი ხვედრია და ამგვარი ხვედრი – ჩემში ამოქმედებს სიტყვებს...“ ბედნიერება მხოლოდ ტრაგედიის გამო არსებობს, სხვაგვარად სიმონს არ ეძლევა ეს ბედნიერება; თუ რაღაც არ დაკარგა, არ განიცადა, რაღაც ტრაგედიად არ ექცა... ამიტომ, ამ შემთხვევაში, ეს მისთვის ბუნებრივი მდგომარეობაა. „ეს წრებრუნვა მუდამ გრძელდება“, – ამბობს სიმონი, მაგრამ „წრებრუნვაში“ არის ახალი გზა? შემდეგში სიმონი განაცხადებს, ჩემი აზრით, კიდევ უფრო ტრაგიკულს სულისთვის: „...რაც უფრო ღრმავდება შენი სულიერი ცხოვრება, მით უფრო მძაფრდება შენი გაუცხოება – ყოველივესა და ყველაფერთან, რაც ირგვლივაა...“, უფრო ქვემოთ კი სიმონი ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „ასე რომ, ჩვენ ერთმანეთს ვაძლებინებთ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲕᲐᲨᲔᲜᲔᲑᲗ ᲘᲛ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲡ, რომელშიც ვცხოვრობთ და რომლის არსებობაც უტყუარ ჭეშმარიტებად გვეჩვენება. ილუზიების სამყაროში ჩაძირულნი, თვითონვე ვემორჩილებით საკუთარ წარმოსახვებს და ამ დროს რითაც ვხელმძღვანელობთ, ალბათ თვითგადარჩენის ინსტინქტია, რადგან გამუდმებულ ყვინთვას ამოუხსნელ დაუსაბამობაში ვერავინ შესძლებს...“

პერსონაჟის სული კი იქით მიიწევს, „...სადაც ყველაფერი და არაფერი ჰკვეთს თუ მოიცავს ერთმანეთს...“ ნეტავ სად არის ის მშვენიერი ერთიანობა? ან როგორ მივიდეთ იქამდე, იქამდე უღაბური ტყეა,... ჩემი აზრით, ეს „უდაბურება“ ჩვენშია, ჩვენი ჩვევებით შექმნილ „ეგო“-ში, რომელსაც ვებრძვით და ვერ ვანგრევთ ან არც გვინდა, რომ დავანგრიოთ, ჩვენ კი „შიგნით“ ვართ, „ეგო“-ს შიგნით. ალბათ, მთელი ცხოვრებაც მისი გარღვევის ცდაა; ხანდახან გვიჭირს, ვაღიაროთ, რომ ეს ჩვენ ვართ, ვინც „ერთიანობას“ ებრძვის და საკუთარი თავისთვის ვერ იმეტებს ჰარმონიას, რადგან „ჰარმონიაში“ იქნებ არც მოგვინდეს, კალამს ხელი მოვკიდოთ და სიტყვები ვეძებოთ.

და ისევ სიმონის აზრთა მდინარების გაგრძელება: „ჩემთვის მერამდენედ აღმოვაჩინე, რომ დაუსაბამო სამყარო – დაუსაბამო მთელია და ყოველი ცვლილება, რაც ამ უსასრულო მთლიანობაში ხდება, მარადიულ ურთიერთკავშირშია და რომ სულით ნათესავის პოვნაა მთავარი, სხვა ყველაფერი უაზრო თანაცხოვრებაა“.

საინტერესოდ მეჩვენება სიმონის ოპუსების გარკვეული ციკლის შემდეგ ავტორის ჩართვა სიმბოლური კომენტარი, რომელიც ამგვარად გამოიხატა: „სიმონის ჩანაწერების კითხვა, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა, მაგრამ მაინც ერ შევეშვი, რადგან მაინტერესებდა ამ მარტოკაცის ბედი, რომელიც იქ, ორკესტრში, სადაც იგი მსახურობდა, სულაც არ ითვლებოდა გულჩათხრობილ და მარტოსულ კაცად, პირიქით, დროდადრო ზედმეტად ეგზალტირებულიც ჩანდა და თავის პარტიას, რაც მას სხვებთან ერთად უნდა შეესრულებინა, და როცა არავითარი შანსიც არ რჩებოდა იმისა, რომ მისი ვიოლინოს ხმა – ორკესტრის სიმწყობრიდან გამორჩეული ყოფილიყო, სწორედ მაშინ, სიმონი, მთელი სხეულით ირწეოდა ვიოლინოსა თუ ვიოლინოს ბგერებთან ერთად და მისი ტანის რწევა მეტად აღიზიანებდა დირიჟორს და სიმშვიდისკენ მოუწოდებდა. სიმონის მცდელობა, მის სულსა და სხეულს ბგერებთან ერთად ემოძრავა თუ ეთამაშა, მუდამ კრახით მთავრდებოდა და ერთადერთს, რასაც გულმშვიდად ასრულებდა მხოლოდ პიჩიკატო იყო...“

სიმონი სარდაფში ცხოვრობს, – აქ მისი სამყაროა – ერთადერთი ფანჯარა, რომელიც მიწის პირას არის გამოჭრილი, ერთი მაგიდა, ერთი ტახტი, სამიოდე ძველი სკამი, ყუთში ჩასვენებული ვიოლინო და მაგიდაზე გაშლილი ნოტები და კიდევ საიდუმლო ჩანაწერებით სავსე საქაღალდე, – სულ ეს არის, რაც მას ეკუთვნის. „აქ, ბუნაგის კუთხეში, სადაც კედლები ერთმანეთს ხვდებიან, ჩემი ძველი მეგობარი ობობა ცხოვრობს, – აგრძელებს სიმონი – ისიც გასუსული ზის თავის ქსელში და რაღაცას ელოდება. ჩვენი მოლოდინი რაღაცით, თითქოს, ჰგავს კიდეც ერთმანეთს. მე ობობას ვუყურებ და ვეძებ სიტყვას, რითაც ჩემი ამბავი უნდა დავიწყო, ისიც უძრავად გაბარჯღულა და თითქოს ჩემგან მოელის რაღაც იმპულსს, ქსოვას რომ შეუდგეს. ასე ვზივართ გარინდული ორი მქისოველი, ვიდრე ერთმანეთი საერთოდ არ მიგვავიწყდება და ჩვენს-ჩვენს საქმეში არ ჩავიძირებით“.

## პ ა რ ა ლ ე ლ ე ბ ი

გივი ალხაზიშვილის შემოქმედება ერთიანია – პროზა იქნება ეს თუ პოეზია, ერთია სათქმელი, მხოლოდ გამოხატულებათა პლანია სხვადასხვა – ერთ შემთხვევაში – პოეზია, სხვა შემთხვევაში – პროზა...

ძველთაგან ცნობილია, რომ ყოველგვარ ტექსტს განმარტება სჭირდება, დაწერილსა და გაგონილს – გაგება. ამ პრინციპის გამომხატველია რუსთაველის სიტყვებიც: *„კვლა აქაცა გამების. ვინცა ისმენს კაცი ვარგი“*, ანტიკური ხანის ფილოსოფოსი და ქრისტიანი თეოლოგი ორიგენე ფიქრობდა, რომ შინაგანი აზრი, როგორც ღვთაებრივი, მხოლოდ მადლის წყალობით ხდება მისაწვდომი. საყურადღებოა, გ. შპეტის მოსაზრებაც, თუ დაწერა ღვთიურ შთაგონებას მოითხოვს, უცნაური იქნებოდა; ასეთივე შთაგონება არ იყოს საჭირო დაწერილის წაკითხვისა და ინტერპრეტაციისათვისო.

პოეზია ღვთიური შთაგონებაა და იქნებ სასაცილოც იყოს ყოველგვარი „ახსნა“ რადგან ვერასოდეს ვერ ახსნი იმას, რაც თავისი არსით აუხსნელია, რაც თავისი არსით ღვთიურია და, თუკი ლიტერატურის კრიტიკოსი მაინც ცდილობს ამას, იგი მხოლოდ ზედაპირს ეხება ლექსისას, მხოლოდ ფორმას და სიტყვით გამოხატულ შინაარსს, რომელიც მხოლოდ საშუალებაა ღრმად შინაგანის გამოსავლენად. ლირიკულ ლექსს არა აქვს შინაარსი, მას მხოლოდ გარკვეული განწყობა მოაქვს – ბგერით, რიტმით, მეტრით, თუმცა არ უარვყოფ, ლირიკაში ზოგიერთი პასაჟი სიბრძნის შემცველიც არის. ისევ გივი ალხაზიშვილის სტრიქონებს დავიმოწმებ:

*ჩემი სიცოცხლე ეს მდინარეა.*
*რასაც ხედავენ, მხოლოდ სარკეა.*
*რასაც ხედავენ. ზედაპირია.*
*თითქოს უძრავი ცის ამრეკლავი.*
*ხეთა ჩრდილები ზედ აფენია*
*და ხელოვნური მუქი რეკლამის.*

გავიხსენოთ ბიბლიიდან: „...*ვინაიდან ახლა ჩვენ ვხედავთ სარკით. ბუნდოვნად. მაშინ კი – პირისპირ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



*ახლა ვიცი მცირეოდენი, ხოლო მაშინ შევიცნობ ისე, როგორც მე ვარ შეცნობილი“* (მოციქულ პავლეს I წერილი კორინთელთა).

სხვაგან პოეტი ამბობს: *„ნუ იხედები სარკის იქით, სხვაგვარი ცაა“.* „სხვაგვარი ცა“ პოეტის იდუმალი სამყაროა, სხვათათვის შეუცნობელი და მიუღწეველი, ვერგაგებას სჯობს, რომ საერთოდ არ გაიხედო სარკის იქით. დიახ, სარკე ბარიერია, ხოლო ჩვენი ყოფიერება ამ სარკით არეკლილი უცხო სამყარო. *„მე ვარ წყვდიადში ჩაკარგული სარკის ნამცეცი“* - აცხადებს შემოქმედი, ამ *„სარკის ნამცეცს“* ილად პოულობს სინათლე, დიდი, ღვთიური სინათლე:

*მე გამახსენებს ძაფივით სხივი,*
*რომ უცხო ხალხში ვცხოვრობდი დიდხანს,*
*იქ, პირობითად მეძახდნენ გივის,*
*სინამდვილეში - უძველეს თიხას.*

ყოფიერება პირობითობაა, ჩვენი ცხოვრებაც პირობითია, ჩვენ მუდამ ვეძებთ ჩვენი ყოფის პირველმიზეზებს, რადგან *„სხვაგანაა, სხვაგანაა ნამდვილი სიცოცხლე“*; ხან მიწაა და ხან ზეცა პოეტის დარდის სათავე, იგი უსწრებს ფიქრებში დროს... *„ზღვარია სადღაც, გუმანით ვგრძნობ, სადღაც ზღვარია...“ „ძილიც სანატრელი გახდა... აღარც ის მოდის, რომ სიზმრებიან ნისლში გამხვიოს და წამიყვანოს ამ სახლიდან, ამ ქალაქიდან, ამ ქვეყნიდან, დედამიწიდან - ჩემს სამშობლოში...“*

პოეტური მედიტაციები, სიტყვებად გარდასახული, უმძაფრესი ენერგიით ავსებს სტრიქონებს, ეს ის ენერგიაა, რომელიც ვრცელდება მკითხველებზე და უნებურად ითრევს თავბრუდამხვევ სწრაფვაში მარადიულისკენ, შეუცნობლისკენ *„და ის სიტყვები ზეცის სუნთქვაში ამოზრდილი ფრთების მსგავსია, სხვა ქვეყანაში, სხვა სივრცეში მიმაქროლებენ“.*

სიტყვა პოეტის მაგიური სამოსელია. გივი ალხაზიშვილის პოეზია მკითხველამდე აღწევს არამხოლოდ სიტყვების გზით, სიტყვების ძალით... მისი შემოქმედება არა მხოლოდ სიტყვათა მეტაფორული სახეების ჯამი, ეს სიტყვათა ენერგიების ჯამიც არის. თითოეულ სიტყვაში პოეტის გულისცემას შეიგრძნობთ, *„სადღაც, ახლოს, წყაროს ხმა ისმის, როგორც მდუმარე ტყის გულისცემა,“* თუ სიღრმისეულად გაიაზრებთ, ტყის გულისცემაში ავტორის გულისფეთქვას დაინახავთ, რაც ასე ხელშესახებია ამ სახეშიც: *„ისე მსუბუქად შეირხა ჩრდილი, რომ დავინახე ნიავის სუნთქვა“.*

ფიქრი! - აი, პოეტის საუცხოო თავშესაფარი და კიდევ - დუმილი, მარტოობა, სიჩუმე... *„სიჩუმევ, ავსავსეო უფლის სიტყვებით, შენა ხარ ჩვენი თავშესაფარი...“* და მერე შემოქმედის სულის მოძრაობა: *„ისევ ფიქრის პარკში ვშრიალებ, აქ, სიჩუმეს საკუთარი სუნთქვაც კი ესმის...“*

პოეტის გულისცემა გრძელდება სხვა სტრიქონებშიც... აქ არც ერთი ფრაზა არ არის ყალბი, ზედაპირული ანდა რითმისთვის გამოგონილი, *„ამ კედლებს შორის არის სივრცე, სადაც, ხანდახან, ვტოვებ ჩემს ფიტულს და სიტყვებთან ერთად მივდივარ, რადგან სიტყვებში უფრო მკაფიოდ მოისმის ჩემი გულისცემა, ვიდრე სხეულში“.*

...მერე პოეტის სული ცდება დადგენილ საზღვარს, ადამიანის გონებით დადგენილს, ერთიანდება... ბგერაში, სიტყვაში, ფიქრის მუსიკაში ერთიანდება... გაზაფხულში ერთიანდება და ბუნების ამ დიადი დაბადების ჟამს, როდესაც სული სავსეა რაღაც იდუმალით, როცა სისხლძარღვებიც დიდდებიან მდინარეებთან ერთად... პოეტი ივსება, ყელამდე ივსება რაღაც ღვთიურით, იწყება საოცარი გარდასახვა, სიკვდილიც კი სიამისმომგვრელია, *„ო, რა საამოდ მკლავს გაზაფხული“*, მაგრამ აქვე ახსოვს მას შემოდგომა, უნაზესი სევდით ავსილი კითხულობს პოეტი: *„რამდენი წლისაა ფოთლის ანაბეჭდი, მიწაში რომ ჩატოვა რომელიღაც შემოდგომამ?!“*

...იშლება ზღვარი, იკარგება დრო, პოეტის განწყობილება გადმოდის ჩვენზეც... უმისამართო სტრიქონები ეცემა ფურცელს, უმისამართოდ ცვივა აზრები... პოეტი კრეფს და ხაზებზე აწყობს,... ხაზებში აწყობს... ატყვევებს ფიქრებს, ატყვევებს აზრებს, ატყვევებს გრძნობებს... მერე ვის ძალუძს, წამოკრიფოს ეს სიტყვები იმავე გრძნობით, იმავე განცდით...

არც დღეა, არც ღამეა... არც აქ ვართ, არც იქ... დღეც არის და ღამეც, აქაც ვართ და იქაც... ღამე თავის უბეში ატარებს დღეს, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ერთია, დიახ, სულ ერთია და სულერთი სულაც არ არის.

*რა უხმაუროდ იშლება ზღვარი,*
*როგორ ასწორებს კლდეებს და ხრამებს,*
*გაღებულია ოთხივე კარი -*
*აღარც დილაა და აღარც - ღამე.*

პოეტის სული განფენილია ყველგან და ყველაფერში, ივსება კოსმიური ჰარმონიით:

*რაც არის ირგვლივ,*
*არის ჩემში და მე ვარ ყველგან,*
*ამ სიცრუეში, სიკეთეში,*
*მდუმარებაში...*

სული ტოვებს ცოდვილ სხეულს და გარედან ათვალიერებს:

მე არ ვფიქრობ არაფერზე,
მე არ მახსოვს არაფერი,

„ვზივარ ჩემთვის და სარკმელი მათვალიერებს, მზის ნამცეცები მათვალიერებენ...“ და ა. შ.

უამრავი პარალელი შეიძლება დაიძებნოს გივი ალხაზიშვილის პროზასა და პოეზიაში, რომლებიც აგრძელებენ ან ავსებენ ერთმანეთს და მაინც... ვერაფერს ამბობენ, უფრო სწორად, არ ამბობენ მთავარს!

ზოგჯერ ხომ ტექსტი პასუხის შემცველიც არის, მხოლოდ მცირე დაკვირვება და კითხვა-პასუხი ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოჩნდება...

**P.S**

...და მაინც... „ამოდის თუ ჩადის მზე?!“ ისევ ავტორს (სიმონს) მოვუსმინოთ:

*„სიმონმა ფანჯრიდან გადაიხედა - ჰორიზონტზე მზე მოჩანდა. ვერ გაარკვია მზე ჩადიოდა თუ ამოდიოდა, რადგან არ იცოდა, რომელი სახლის რომელი ფანჯრიდან და რომელ მხარეს იყურებოდა... ცოტაც რომ დაეცადა და მზისთვის თვალი გაესწორებინა, ალბათ, მიხვდებოდა, თენდებოდა თუ ღამდებოდა, მაგრამ აღარც სურვილი ჰქონდა ამის გასარკვევად. ფანჯარას მოშორდა და სარდაფის კიბეს ჩაუყვა...“*

**P.S.S**

ცოტაც რომ დაეცადა და მზისთვის თვალი გაესწორებინა... ნეტავ რა მოხდებოდა მაშინ?!

## პოეზიის ზოგიერთი სტილური თავისებურების შესახებ

მხატვრული ნაწარმოების სტილისტიკური ანალიზის საფუძველია მთელისა და ნაწილის ერთიანობა, ერთიანობა ფორმისა და შინაარსისა. სტილისტიკური ანალიზი განუშორებელია სტილისტიკური სინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეზისაგან, რომელიც აღადგენს ნაწარმოების მხატვრულ მთლიანობას (გ. კვარაცხელია).

პოეტური ტექსტი განსაკუთრებული მოვლენაა და მისი კვლევაც მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული, რამდენადაც სიხშირედ ქცეული ყოველი ენობრივი მოვლენა შეპირობებულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, რომლებიც საკმაოდ მრავალფეროვანია.

პოეტური ტექსტის ლექსიკური ერთეულები არ არის მხოლოდ სიტყვები თავისი ძირითადი მნიშვნელობებით, მათ უჩნდებათ კონოტაციური, დამატებითი მნიშვნელობები, შეპირობებული კონტექსტით, ქვეტექსტით და სხვა ფაქტორებით. არამხატვრული ტექსტისთვის მასში ნადებული ინფორმაცია ძირითადია და განმსაზღვრელი, მხატვრული ტექსტისთვის კი ნებისმიერი ინფორმაცია არსებითად მხოლოდ საშუალებაა მხატვრული სახის შესაქმნელად... არამხატვრული ტექსტი ბოლომდე ინარჩუნებს კავშირს ასახულ რეალობასთან. ამ კავშირის გარეშე მას არავითარი შემეცნებითი თუ ემოციური ღირებულება არა აქვს. ამის საპირისპიროდ, მხატვრული ტექსტი წყვეტს უშუალო კავშირს კონკრეტულ მოვლენასთან და დამოუკიდებელ მონაცემად იქცევა... შესაბამისად, ენობრივადაც სხვაგვარ ელფერს იღებს: სიტყვები, შესიტყვებები, მთელი ფრაზა ან გაცილებით უფრო მოზრდილი სეგმენტი ტექსტისა ახალ, დამატებით მნიშვნელობას იძენენ, ახლებურად კავშირს ამყარებენ ერთმანეთთან და ამის საფუძველზე თვისებრივად ახალ სისტემას აყალიბებენ. ფრაზა უფრო ტევადი ხდება სემანტიკური თვალსაზრისით (ბ. ჯორბენაძე).

სწორედ ამ ნიშნით განვიხილავთ ჩვენი თანამედროვის – პოეტ გივი ალხაზიშვილის პოეზიას. ვფიქრობთ, რომ მისი პოეზია ლინგვოსტილისტიკისათვის საინტერესო მასალას წარმოადგენს.

ყოველი ლექსიკური ერთეული და მისი ვარიანტული მნიშვნელობა სტილურ ელფერს იღებენ ურთიერთობის იმ პირობების მიხედვით, სადაც ისინი ჩვეულებრივ გამოიყენებიან.

გივი ალხაზიშვილის პოეზიაში ალბათობის მაღალი ხარისხით გამოიყოფა სიტყვები: *ხავსი, წარსული, სიჩუმე, მარტოობა* და ა. შ. სიტყვა „ხავსი" ნეიტრალური ლექსიკის ფონდში შემავალი ლექსიკური ერთეულია. საბა მას ასე განმარტავს: *„ხავსი არს დაბალი რაიმე მწვანეილი, ხეთა და კლდეთა შემოხვეული, ლბილი და მცირე, ქვათა და ქვეყანათა ზედაცა იქმნების მრავალგან და წყალთა შორისაცა".* ქვემოთ დასახელებულ პოეტურ ტექსტებში კი „ხავსს" უამრავი კონოტაციური მნიშვნელობა უჩნდება, იმის მიხედვით თუ რა კონტექსტშია იგი წარმოდგენილი და რომელ სიტყვასთან ქმნის მეტაფორულ კავშირს. ხავსი ძირითადად ასოცირდება უძრაობასთან, წარსულთან, შიშთან.

ავტორის სუბიექტური დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი ქმნის კონტექსტში სიტყვათა კონოტაციებს; სიტყვათა სტილისტური შეფერილობა შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი ან ნეიტრალური. სიტყვა „ხავსი" ნეიტრალური ლექსიკური ერთეულია, თუმცა პოეზიის ენაში მას სხვადასხვა შეფერილობები უჩნდება.

ნეიტრალური და დადებითი:

*„ძველი სიჩუმე ხავსიან ყორის", „და იმალები ჩრდილში ხავსივით", „და შებინდების მცოცავი ხავსი", „და ჩემს თვალებში სიხარული ჰყვავის ხავსივით", „შემომყურებდა ხმელი ხავსიდან უცვლელი თვალი მარადისობის", „რა ხავსისფერი სიჩუმეა", „მეტადრე როგორ, ყვავილობს ხავსი", „რა ხავსისფერად იზრდება ბინდი". „თითქოს ქვების დუმილიდან ამოდის ხავსი"* და ა. შ.

უარყოფითი:

*„და კაცის ფიქრის უძლურება შესაზარია, მეტადრე როცა ბოროტების ხავსი ედება", „და ხავსის ხელის მეშინია, მცოცავი ხელის", „სიცრუის ხავსში ნიავი რომ გაიშრიალებს", „შენს ხავსიან პოლიტიკას ჩავებღაუჭე", „და აღმოცენდი დარდის ხავსივით", „ვიდრე სიკვდილი ჩაბნელდება თვალებში ხავსად";*

სიტყვა „წარსული", რომელიც 50-ჯერ და მეტად არის წარმოდგენილი (ერთ კრებულში) სხვადასხვა კონტექსტში, ასევე მნიშვნელობათა შეფერილობის ვარიანტულობით ხასიათდება:

*„წარსულის ფერებს თვალები კრეფენ", „ჰერბარიუმმა გაიხსენა სურნელოვანი წარსული", „ვცხოვრობ წარსული დღეების ფერფლით," „რა უმომავლო იყო წარსული" „დავუბრუნდები წარსულის ნანგრევს", „ჩემი ხმა წარსულის ხმაა, ჩემი სიტყვა წარსულის ექოა", „რომ წარსულია მომავლის სახლი", „წარსული, როგორც ნაქალაქარი", „თითქოს წარსულით ივსება სახლი", „ჩემი წარსულის ხარ ორეული"* და ა. შ...

გივი ალხაზიშვილის პოეზიაში სტილურ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს ზედსართავ სახელთა აღმატებითი ხარისხის წარმოება იმ შემთხვევაშიც კი, როცა სალიტერატურო ქართულში ამგვარი ფორმები არ გვხვდება:

*„უნაღვლიანეს სიმღერას ვიწყებ", „უმჩატეს ღრუბლად გექცა სხეული", „გაჰყავს ცხოვრება უმღვრეს ვნებას", „ვუსმენ უგრილეს სუნთქვას ბაღისას", „უტლანქეს ყოფას რომ მიაღვილებს", „განშორებამ ამოავსო უხილავი ბზარი – უცბიერესი ბაგე"* და ა. შ.

პოეტის მიზანია ახლებურად წერა, რაც ენაში უკვე არსებული გამომხატველობითი საშუალებების გადასხალისებით მიიღწევა. ამისთვის ნაირგვარი საშუალება არსებობს: სიტყვათა ახლებურად დაკავშირება, ანუ: სიტყვის ახალი დისტრიბუციული ვარიანტის აღმოჩენა, რაც არსებითად ცვლის სინამდვილის მანამდე არსებულ ხედვას, სიტყვის ისეთ კონტექსტში მოქცევა, რომელიც მოულოდნელობის ეფექტს ქმნის და, რაც მთავარია, ენის შინაგანი, მანამდე მიუგნებელი შესაძლებლობების აღმოჩენა და ამოქმედება. (ბ. ჯორბენაძე).

აღმატებით ფორმათა ხელოვნური წარმოება პოეტის ენაში შეპირობებულია ექსტრალინგვისტური ფაქტორით – პოეტის განცდა ყოველთვის არის აღმატებითი, მძაფრი; იგი ეძებს სიტყვებს, რომლებიც ადეკვატურად გამოხატავენ სათქმელს, ამის გამო ხდება სწორედ ფორმალური წარმოება, აქტუალიზდება გარკვეული ენობრივი მოვლენა.

ენის ერთეულები, რომლებიც ავტომატიზაციას განიცდიან საურთიერთო კომუნიკაციისას, პოეტურ ენაში, პირუკუ, მიმართული არიან აქტუალიზაციაზე. ამ უკანასკნელს ვ. შკლოვსკიმ „გაუცნაურება" უწოდა. ეს მოვლენა შესწავლილია პრაღის სკოლაში, სადაც მას აქტუალიზაცია და „წინწამოწევა" უწოდეს. ლ. დოლეჟელი, რომელმაც კარგად ახსნა ამ მოვლენის არსი, იმას ემყარება, რომ პოეტურ ენაში ყურადღება თვით ენობრივ ფაქტზე უნდა იყოს გამახვილებული, რითაც მოხდება მისი აქტუალიზაცია, განსხვავებით არამხატვრული ენისაგან, სადაც ფორმა ავტომატიზებულია, ხოლო ყურადღების ცენტრში შინაარსი დგას (გ. კვარაცხელია).

სიტყვათა შეხამების შესაძლებლობა-შეუძლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლობას განსაზღვრავს არა მარტო გრამატიკა, არამედ სემანტიკაც. სინტაგმის დენოტატთა მნიშვნელობების ურთიერთგადაკვეთა ქმნის სრულიად ახალ მნიშვნელობას. სემანტიკურ ძვრებს იწვევს კონტექსტი, როგორც ტექსტის ფუნქცია. წარმოიშობა ახალი ინფორმაცია, ვინაიდან კონტექსტის მოქმედების ვექტორი მიმართულია როგორც პროსპექტულად, ისე რეტროსპექტულად (გ. კოლმანსკი).

გივი ალხაზიშვილის პოეზიაში მოძიებულ ე. წ. ალოგიკურ-სემანტიკურ სიტყვათშეხამებებს თავისი ფარული ლოგიკა აქვს. აღნიშნულ სინტაგმებში საგნობრივ-ლოგიკური შინაარსი დაკავშირებულია მეორე ტიპის ინფორმაციასთან. ასეთი შეხამებებია: *მოშრიალე თავისუფლება, ულმესი მარტოობა, სურნელოვანი წარსული, მკვდარი ჰაერი, ფიქრის პარკი, ლოდინის სული, მოაზროვნე მდუმარება, სიჩუმის ძალადობა, ფიქრების საყდარი, სიტყვების სარკმელი, დარდის სუნთქვა, ხსოვნის ნანგრევი, სინათლის დანალექი, ფიქრის აკლდამა, უმომავლო წარსული, უფაქიზესი სიმარტოვე, უმწეო მშვენიერება, მშვენიერი უმწეობა, ცრემლების რუკა, რიტმის ჯებირი, ფიქრის ნაბიჯები, შეკვეთილი სიზმარი, უსხეულო ბედნიერება, თანდაყოლილი დარდი, ულამაზესი ტყუილები, ფოთლის ანაბეჭდი, კოცნისფერი ყვავილები, ოცნებათა ექსპონატები, მოგონებათა მუზეუმი, ლამაზი შიში* და ა. შ...

ამგვარი შესიტყვებები მეტაფორული ხასიათისაა და ცალკეულ დენოტატთა მნიშვნელობის ჯამი კი არ არის, არამედ ორი სიტყვის კავშირი ქმნის სრულიად ახალ შინაარსს, ახალ ცნებას, იქმნება პოეტური „მეტაფორული ტერმინოლოგია“ სინტაქსური საშუალებების - სიტყვათშეხამებების გზით, ვიღებთ სინთეზურ, ანუ იდიომატურ ტერმინოლოგიურ გამოთქმებს, რომლებსაც პოეზიის ენაში სპეციფიკური დანიშნულება აქვს. გარსია ლორკა წერდა: რა არის პოეზია?.. ·აი, რაც არის კავშირი ორი სიტყვისა, რომელთა შესახებ არავინ იცოდა, რომ მათ შეერთება შეეძლოთ, ვიდრე ისინი შეერთდებოდნენ, ხოლო, როცა შეერთდნენ, ყოველი წარმოთქმისას ახალ საიდუმლოს გამოხატავდნენ. სწორედ ეს ფუნქცია აკისრია პოეტის ენაში სემანტიკურად შეუხამებელ ლექსიკურ ერთეულთა სინტაგმურ ჯგუფს.

ბ. ჯორბენაძე მიუთითებს, რომ ერთმანეთისაგან უნდა გამოირჩეს პოეტური ხედვა და პოეტური ხილვა, რადგან ეს ორი მოვლენა აშკარად განსხვავებული ენობრივი საშუალებებით გამოიხატება; პოეტური ხედვა თავისებურად, პოეტურად დანახული სინამდვილეა... ეს არის რეალური სამყარო გარდაქმნილი პოეტურ სახეებად, ხატებად; ეს არის ესთეტიკურის ძიება რეალურად არსებულში.

პოეტური ხილვა ირეალური სამყაროს გაცხადებაა, მისადაგებული სინამდვილესთან. ამ შემთხვევაში ტექსტი ხაზგასმულად სადაა. აქ არაჩვეულებრივი, წამიერი, სასწაულებრივი გამონათება ჩვეულებრივის, ყოველდღიურის რანგშია აყვანილი.

პოეტური ხედვის ნიმუშები:

*„და ეს ოთახი, როგორც აკლდამა,*
*სიტყვის ფოსფორით იწყებს ნათებას“.*
*„ჩემი ფიქრებით მოქსოვილ სივრცეს*
*მზის აბლაბუდას თუ შევადარებ,*
*დავეძებ სწორფერს, გული რომ მივცე,*
*ახლაც დავეძებ, მაგრამ სად არი“.*
*„ჭეშმარიტებას ვერ ამბობენ ბაგენი ჩემი*
*და ხორხი ჩემი ჰგავს მკვდრადშობილ სიტყვათა*
*საფლავს“.*

პოეტური ხილვები:

*„ამ შემოდგომას, ჩემებრ ნაღვლიანს,*
*ამ შემოდგომას, წამსვლელს ჩემსავით,*
*წავყვები, სადაც ჩვენი სახლია*
*და ვივლი, ბოლო ამოკვნესამდი“.*
*„ამ კედლებს შორის არის სივრცე,*
*სადაც, ხანდახან, ვტოვებ ჩემს ფიტულს და*
*სიტყვებთან*
*ერთად მივდივარ, რადგან სიტყვებში უფრო*
*მკაფიოდ მოისმის*
*ჩემი გულისცემა, ვიდრე სხეულში,*
*სიტყვებს ჩემი სიცოცხლე მიაქვთ“.*

როგორც აღინიშნა, პოეტური ხედვა და პოეტური ხილვა განსხვავებული ენობრივი ქსოვილით არის წარმოდგენილი, მაგრამ ორივე შემთხვევაში ენობრივი ერთეულები სიტყვებზე მეტია. პოეტისთვის სიტყვა არ არის მხოლოდ მნიშვნელობა, სიტყვა არის იმპულსი, ენერგია, რომელიც ასოციაციათა რთულ ბადეშია გახლართული. პოეტური ტექსტის მხატვრულობას მხოლოდ პოეტური სახეები არ განაპირობებენ. ლოსევი წერდა: „...ჩვენ თვალწინ ხდება რაღაც რთული და მოულოდნელი. ლირიკული ლექსი ან არ შეიცავს რაიმე სახეებს, ან ამ სახეებს სრულიად არამხატვრული დანიშნულება აქვთ. წმინდა ლირიზმი ანიკონურია“. სწორედ აქ არის პოეტური სიტყვის საიდუმლო, რამდენადაც პოეტური ენა „ჭკუისმიღმურია“, ყველაფერს ლოგიკის კანონებით ვერ ავხსნით. პოეტური სიტყვა რომ მხოლოდ მნიშვნელობა იყოს, მაშინ იგი ვერ შეძლებდა მკითხველში განწყობილების შექმნას. *„წარმოდგენა პოეზიაზე, როგორც გრამატიკის ასახვაზე, ვერ აქცევს პოეზიას მათემატიკურად... პოეზიას ბევრი რამის თქმა შეუძლია. მას იმის გადმოცემაც ძალუძს, თუ როგორ ეხუთება სული ადამიანს. სიტყვები სიგნალებია, მაგრამ ნიშანს სემაფორებივით კი არ იძლევიან, ისინი განცდათა გზას წარმოადგენენ და არა მხოლოდ ამ განცდათა აღნიშვნას“.*

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პოეტური ენა განსაკუთრებული სახის მეტყველებაა, შეპირობებული ექსტრალინგვისტური ფაქტორებით;

მხატვრული სახე პოეტის სუბიექტური განცდაა, გამოხატული ენობრივი ერთეულების სპეციფიკური ქსოვილით;

გივი ალხაზიშვილის პოეზია საინტერესო მასალას წარმოადგენს თანამედროვე პოეტური ენის თავისებურებათა გამოვლენისთვის.

Omega
ომეგა

დედის დაზღვევა
INSURANCE OF MOTHER
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანია
GEORGIAN STATE INSURANCE COMPANY



# ახალი წიგნები













ნ6/16

ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნომერში გამოყენებულია ლევან მხეიძის ნამუშევართა რეპროდუქციები

